D1124

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაზ ირაკლის ძე თ ო რ დ ი ა

სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიურ
მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად

# ომისდროინდელი სოფელი თანამედროვე ქართულ პროზაში

/რ. ჯაფარიძე, ო. იოსელიანი, ნ. დუმბაძე/

ხელმძღვანელი: ფილოლოგიურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

რ. მიშველაძე

თბილისი 1997

მეორე მსოფლიო ომისდროინდელი სოფელი
თანამედროვე ქართულ პროზაში

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ნახევარ საუკუნეზე მეტი გვაშორებს მეორე მსოფლიო ომის ქარიშხლიან წლებს. ამ ომზე ბევრი დაიწერა პუბლიცისტურიც და მხატვრული ნაწარმოებიც. იმის შემდეგ რაც რუსეთის იმპერია თითქმის დაინგრა მეორე მსოფლიო ომის მიზეზებზე თუ პერიპეტიებზე არაერთი საწინააღმდეგო აზრი გამოითქვა. ერთნი აღნიშნავენ, რომ ეს იყო ორი სისტემის საბედისწერო კვეთება, მეორენი ჯერ კიდევ ვერ შეთანხმებულან ვინ დაიწყო ომი-ფაშისტურმა გერმანიამ, თუ მოკავშირეთა კოალიციამ, რომელსაც შიშს გვრიდა ვერმახტის დევური ზრდა და მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების პერსპექტივა. რა პარადოქსულიც უნდა იყოს მეორე მსოფლიო ომის მიზეზ-შედეგებზე მსჯელობა, ერთი რამ ცხადია, რუსეთის იმპერიის ხალხებისათვის ეს იყო ჭეშმარიტად სამამულო ომი. საქართველოდან წასული და უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმული ასსიათასი ჯარისკაცი სტალინგრადში თუ ბრესტის მისადგომებთან, უპირველეს ყოვლისა, თავის სამშობლოს იცავდა და კვდებოდა იმის შეგნებით, რომ მტრისათვის არ დაეთმო სამშობლო მიწის ერთი მტკაველიც. დიახ, საათივით აწყობილი საბჭოთა პროპაგანდის მაგიური ძალისხმევით ომის მონაწილე ჯარისკაცთა უმრავლესობას ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი დიდი სამშობლოს "საბჭოეთის" დაცვის ნიჭი.

ზემოთ ავღნიშნეთ, რომ მეორე მსოფლიო ომზე ბევრი რამ დაიწერა. ვალში არც ქართველი მწერლები დარჩნენ ამ დიდი მისიის წინაშე. ბევრი მათგანი პირველი დღეებშივე წავიდა ფრონტზე, მამაცურად შეერკინა მტერს და იქიდან სხეულში ჩაჭედილი ტყვიები, ნაღმის ნამსხვრევები, ნაჭრილობევი ჩამოიტანა...ზოგი ვეღარ დაბრუნდა, ფრონტიდან გამოგზავნილი წერილების მეშვეობითღა შემოგვრჩა მათი ფრონტული დღეების სუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რათები.

ომთან ერთად დაიწყო ქართული ლიტერატურის დიდი საბრძოლო ცხოვრება. საქართველოს პოეტები და მწერლები,რომლებიც აღადგენდნენ და ამრავლებდნენ ქართული კლასიკური ლიტერატურის გმირულ,პატრიოტულ ტრადიციებს,თავიანთი მგზნებარე სიტყვით მოუწოდებდნენ და აღაფრთოვანებდნენ ფრონტისა და ზურგის მებრძოლებს საგმირო საქმეებისათვის.

ქართველი მწერლები თავიდანვე ჩადგნენ სამშობლოს დამცველთა პირველ რიგებში. ბევრი მათგანი პირადად მონაწილეობდა ომში,როგორც ჯარისკაცი ან ოფიცერი, ბევრიც ხანგამოშვებით ჩადიოდა ფრონტის ხაზებში და მეომრებთან მიჰქონდა "საბრძოლო მაგიდაზე" შექმნილი სტრიქონები.

დიდი სამამულო ომის პირველსავე ხანებში ფრონტზე წავიდნენ ახალგაზრდა პოეტები: გიორგი ნაფეტვარიძე, ალექსანდრე საჯაია,მირზა გელოვანი, შალვა იოსელიანი, სანდრო ელენტი, სევერიან ისიანი, დავით პატარიშვილი, ვლადიმერ უბილავა, შალვა სოსლანი, ვაჟიკა ფხოველი, იაკობ ჩხაიძე,გრიგოლ წურციძე,კრიტიკოსი ალექსანდრე სულავა, ისინი გმირთა სიკვდილით დაეცნენ სამშობლოსათვის.

დიდი სამამულო ომის ფრონტებზე იბრძოდნენ და გამარჯვებული დაბრუნდნენ პროზაიკოსები და კრიტიკოსები: გიორგი ნატროშვილი,გიორგი ლობიძე,ელიზბარ ზედგენიძე, ვანო ურჯუმელაშვილი, ელიზბარ მაისურაძე, ვანიონ დარსელი,ალექსანდრე კალანდაძე, გიორგი ციციშვილი, რევაზ ჯაფარიძე, ნიკა აგიაშვილი, თინა დონჟაშვილი, ვლადიმერ თორდუა, აკაკი გეწაძე, დავით კვიცარიძე, ვასილ ზაიაძე, ვლადიმერ მაჭავარიანი, სილოვან ახვლედიანი და სხვები. პოეტები: ალექსანდრე გომიაშვილი, რევაზ მარგიანი, თეიმურაზ ჯანგულაშვილი, მურმან ლებანიძე,ვახტანგ გორგანელი, ლადო სულაბერიძე,შალვა ამისულაშვილი, ვასილ გვეტაძე, ალექსანდრე შანიძე, გიორგი ქავთარაძე, კარპე მუმლაძე და სხვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართალია, თანამედროვე ეტაპზე მეორე მსოფლიო ომი უკვე წარსულს მიეკუთვნა და ისტორიად იქცა, მაგრამ მიუხედავად იმისა, მაინც აქტუალურია მისი ყოველმხრივი შესწავლა და გაანალიზება.

რაც უფრო ვშორდებით ომის დღეებს, მით უფრო შეიმჩნევა მხატვრული სიტყვის ოსტატთა მისწრაფება სრულყოფილად, ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე უნაკლოდ წარმოსახონ მეორე მსოფლიო ომის გმირული ეპოპეა.

მეორე მსოფლიო ომი იმდენად მაშტაბური და დიდმსხვერპლიანი იყო,რომ მისი დავიწყება არ შეიძლება. ამიტომ არის რომ ომის თემა ამდენი ათეული წლის მანძილზე რჩება ლიტერატურისა და ხელოვნების ერთ-ერთ ძირითად თემად.

ქართველმა მწერლებმა გააცოცხლეს ომში დაღუპული მებრძოლები და სამარადისო ძეგლი დაუდგეს მათ. ომის თემაზე, ფრონტისა და ზურგის ერთიანობაზე უამრავი ნაწარმოებია დაწერილი და უთვალავი კვლევა-ძიებითი მუშაობაა ჩატარებული, მაგრამ მომავალშიც ბევრი რამ დაიწერება ამ საზარელი ფაქტის შესახებ.

ომის თემაზე დაწერილ ნაწარმოებთა შორის უნდა აღინიშნოს ევგენი ბართაიას მიერ დაწერილი მონოგრაფიები, მან ქართველ მკითხველს მიაწოდა სამი წიგნი "დიდი სამამულო ომის თემა ქართულ პოეზიაში", "დიდი სამამულო ომი და ქართული საყმაწვილო ლიტერატურა" და დიდი სამამულო ომის თემა ქართულ პროზაში", რომლებშიც განხილული აქვს მწერალს ქართულ ლიტერატურაში ომის თემის ასახვის საკითხები.

ევგენი ბართაია თავის ნაშრომებში გვიჩვენებს,რომ ქართველმა ხალხმა, მთელი თავისი ფიქრი და გონება, შრომითი საქმიანობა და საბრძოლო განწყობილება მტერზე გამარჯვების საქმეს დაუკავშირა. სწორედ ამ ფიქრის,შრომითი საქმიანობისა და ბრძოლის მხატვრული ასახვა ხვდა წილად ქართულ მწერლობას. ქართველი მწერლები ომის პირველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეებიდანვე ჩადგნენ ქვეყნის დამცველთა რიგებში. მათი ნაწარმოებე-ბის ერთი ნაწილი უშუალოდ სანგრებში იწერებოდა და ფრონტულ საველე გაზეთებში ქვეყნდებოდა. ქართველი პოეტები გმირული სულისკვეთებით გამსჭვალულ, ჯერ ისევ მელანშეუმშრალ სტრიქონებს უკითხავდნენ მებრძოლებს იერიშის წინ ბრძოლის ველზე, მიწურებში, ჰოსპიტლებში... და გამარჯვების რწმენას უნერგავდნენ.

ომის თემას უძღვნა გიორგი ავალიანმა თავისი წიგნი "ფრონტული ძმობის ექო", სადაც შესანიშნავადაა აღწერილი ქართველ მწერალთა თვალსაჩინო წვლილი ომის ჰეროიკული დღეების უკვდავყოფაში. წიგნის პირველი ნაწილი დათმობილი აქვს პროზას, ხოლო წიგნის მეორე ნაწილი ეთმობა პოეზიასა და დრამატურგიას.

წიგნში საუბარია იმის თაობაზე, თუ რა თავდადებით იბრძოდნენ ყველა ეროვნების წარგზავნილები ფრონტის ხაზზე. მებრძოლთა გმირობაზე ყველაზე მკაფიოდ, დამაჯერებლად და სიმბოლურად მეტყველებენ დიდი ბრძოლების ადგილებზე, დღეს სათუთად მოვლილი ძმათა სასაფლაოები; რომელთა რიცხვი ბევრია იმ ტერიტორიაზე, სადაც ფაშისტებს თავისი ბილწი ფეხი მიუწვდათ.

გიორგი ავალიანი თავის წიგნში "ფრონტული ძმობის ექო" დიდ ადგილს უთმობს კონსტანტინე ლორთქიფანიძის, ლ.ქიაჩელის, ვანიონ დარასელის და სხვათა ფრონტული ნაწარმოებების განხილვას.

თითქმის წარმოუდგენელია, რომ მკითხველმა კონსტანტინე ლორთქიფანიძის მოთხრობების "მწვანე ლილი", "როგორ მოკვდა მოხუცი მებადური", "უსახელო მაღლობზე", "სიკვდილი ცოტას მოიცდის", "ერთი ღამის საუკუნე" და სხვათა წაკითხვით ომის სუსხიანი წლები ვერ იგრძნოს.

ომის თემას შეეხება ლეო ქიაჩელის ვრცელი რომანი "მთის კაცი", რომელიც მწერალმა კავკასიონის მისადგომებთან ფაშისტთა წინაალმდეგ გამართულ საერთო სახალხო ბრძოლის ასახვას მიუძღვნა.

მეორე მსოფლიო ომის საბრძოლო სურათები დიდი უშუალობით და ნამდვილი ლირიული განცდებით დაგვიხატა ომის მონაწილე გიორგი ნატროშვილმა. მის შემოქმედებას მთავარ ტონს მამულზე ზრუნვა და ფიქრები აძლევს. გიორგი ნატროშვილსაც ვერ ეღირსა ბერლინში იარაღშემართული შესვლა. მძიმე ჭრილობებმა აიძულეს იგი, ფრონტი დაეტოვებინა და ხელი კალმისათვის მოეკიდა. გულის გამაწვრილებელმა ფიზიკურმა ტკივილებმა ვერ გატეხეს მხნე ვაჟკაცი და ის, რაც ავტომატით დააკლო, მტერს კალმით მიუზღა.

გიორგი ნატროშვილის "ქართველი ჯარისკაცი", "მფრინავის ნაამბობი", და "ბავშვი" ჭეშმარიტი შთაგონებით შექმნილი ნაწარმოებებია. ავტორის ლირიული განწყობილება ურინრად თან სდევს მოთხრობილ ამბებს და რეალისტის ხელვით წარმოგვიდგენს საბრძოლო ცხოვრების ეპიზოდებს.

"გ. ნატროშვილის ნოველებში შინაარსი მიმზიდველი ბუნებრივობით ვითარდება და შეიძლება ითქვას, ამ მოთხრობებით იწყება ჩვენში ნამდვილი მხატვრული აღდგენა საბრძოლო ცხოვრებისა.[1]

ომის თემას ეხება ვლადიმერ ჯანჯღავას მოგონებების წიგნი "ერთგულება": ავტორი ამ წიგნში გვაცნობს ჩვენი გმირული წარსულის დიდებულ ფურცლებს. საინტერესოდ გვიამბობს რიგითი ჯარისკაცებისა და მეთაურებისა გმირობასა და მათ მიერ გადახდილ ბრძოლებზე.

მეორე მსოფლიო ომის ფრონტებზე ქართველი მეომრების გმირობაზე, გულადობასა და მხედრულ ნიჭზე მოგვითხრობს ცნობილი ქართველი სამხედრო მწერლისა და ჟურნალისტის პეტრე შამათავას პუბლიცისტური ნარკვევების კრებული "გამარჯვება უპირველეს ყოვლისა".

ომის საშინელებას უძღვნა ლემნა შენგელაიამ თავისი მოთხრობები "შურისგება", მეოთხე ძმა", "ოჯახი", "მოლოდინი" რომანი "წითელი ყაყაჩო" და სხვა. ამ ნაწარმოებებში მწერალმა დაგვიხატა მებრძოლ ადამიანთა თავდადებული შემართება მრისხანე მტრის წინააღმდეგ. ომში მომხდარ

-----------------------------

1 გაზ. "ლიტერატურა და ხელოვნება", 1955, წ. 32 აგვისტო.

ერთ საგმირო თავგადასავალზე გაუმახვილებია ყურადღება დ. შენგელაიას მოთხრობაში "შურისგება". ამ ნაწარმოებში უპირატესად ხაზია გასმული იმაზე, რომ ქართველი ჯარისკაცი მხოლოდ პირადად მასზე თავდამსხმელ მტერს კი არ ებრძვის თავგამეტებით, მხოლოდ თავს კი არ იცავს, არამედ მის ბრძოლას, მის სიკვდილს ღრმა საფუძვლები მოეპოვება - იგი თავისი ხალხის უბრალოდ დაღვრილი სისხლის ასანაზღაურებლად ებმება თავგანწირულ ბრძოლაში, უდანაშაულოდ დახოცილი ბავშვებისა და მოხუცების ტანჯვა-წამების გამო არ ეპუება მტერს და უმაგალითო გმირობას სჩადის. მოთხრობაში "შურისგება" დ. შენგელაია აგვიწერს კოლხელი ახალგაზრდა მფრინავის ვაჟა ფარჯიკიას გმირობას მოსკოვის დაცვის დროს. მწერალმა გააზრებულად გვიჩვენა როგორ დაისადგურა ქართველ მფრინავში შურისძიების გრძნობამ, რატომ შეიპყრო ასე ერთბაშად მტრის განადგურების სურვილმა. ჩვენ დავინახეთ ფარჯიკიას ბუნებაში ერთბაშად როგორ მოზღვავდა ყველა კეთილი საწყისი, მშობლიური კოლხეთიდან რომ გამოიყოლა. კეთილშობილური მიზნის წინაშე უძლური აღმოჩნდა მოახლოებული სიკვდილის წარმოდგენაც კი. ამგვარი მოქმედების ჩადენა მხოლოდ სულით ძლიერ ადამიანებს ძალუძთ.

ომის საშინელება და მისი შემზარავი მომენტები გვიჩვენა ლადო ავალიანმა თავის ნაწარმოებებში, მწერალმა მოთხრობაში "მანუჩარ უბისელი" ექიმი ქალის თამარის სახით დახატა ჩვენი მრავალეროვანი არმიის რიგებში მებრძოლ ქალთა შეუპოვრობისა და სიმამაცის, სულიერი სისპეტაკის სურათი, თამარის თანამებრძოლი ოფიცერი გაიდაბურია, მოინახულებს თამარის მამას და ასე განუცხადებს მას:"ნეტავ ოდესმე ისეთი ბედნიერი მამა გავხდე, როგორც თქვენ ბრძანდებით, თქვენი შვილის წყალობით მთელი ჩვენი დივიზია გიცნობთ".[1]

ლ. ავალიანის წიგნში "ომისდროინდელი ქართული მწერლობა"

---

1 გაზ. ლიტერატურა და ხელოვნება", 1944 წ. 23 ივნისი.

მძაფრი ფერებითაა აღწერილი ომის ქარცეცხლიანი დღეები. იგი გვიჩვენებს, რომ მეორე მსოფლიო ომი ჩვენი ადამიანებისათვის იყო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. მასში წყდებოდა ყოფნა-არყოფნის საკითხი. ომმა კიდევ უფრო შეამჭიდროვა და დარაზმა ხალხი ფაშისტური დამპყრობლების წინააღმდეგ საბრძოლველად.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში თვალსაჩინო ლიტერატურული მუშაობას ეწეოდა ელიზბარ ზედგენიძე. მის ომისდროინდელ ნოველებს გამოცდილი ოსტატის ხელი ატყვია. ელიზბარ ზედგინიძის ნოველებმა თავისი წვლილი შეიტანეს მეორე მსოფლიო ომისდროინდელ ქართული პროზის განვითარებაში. ელიზბარ ზედგინიძის მოთხრობა "დროშა" ნახევრად დოკუმენტალური ნაწარმოებია და ასახავს რაიხსტაგზე გამარჯვების დროშის აღმართვის ეპიზოდს... მწერალი ამ ნაწარმოებში განსაკუთრებით გამოყოფს რუსი ეგოროვისა და ქართველი ქანთარიას ცეცხლში ნაწრთობ ძმობას. ქართველი გმირის მელიტონ ქანთარიას სახე მოთხრობაში გაცისკროვნებულია უმაგალითო სიმამაცისა და თავგანწირულობის შარავანდედით. ქართველი გმირი ამაყობს იმით, რომ ამდენ ხალხში, მას ქართველს ხვდა წილად ესოდენ საპასუხისმგებლო მოვალეობის შესრულება და ამ წუთებშიც თავს სამშობლო საქართველოსაგან განუყრელ არსებად წარმოიდგენს: "შესცქეროდა დროშას მელიტონი... სიხარულით უცემდა გული... ფიქრები შემოეხვივნენ მას... ამ დროშის ფარჩაზე საქართველოსაც ხედავდა... და ნატრობდა მელიტონი:"გადმოხედოს ახლა საქართველომ, დახედოს თავის შვილს, ნახოს რა მტკიცედ უჭირავს დროშა".[1]

ომგადახდილმა მწერალმა ვლადიმერ თორდუამ სიმართლით მოგვითხრო სამამულო ომის გარდასულ დღეთა შესახებ. ვლადიმერ თორდუასათვის, როგორც მწერლისათვის, შესანიშნავია ცხოვრების ის ფონი, რომელსაც იგი ესოდენ კარგად იცნობს – ბრძოლის ველი, ფრონტი, რომელიც მწერლის

---

1 გ. ზედგინიძე, რჩეული, გვ. 293

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვით,..."დიდი ცხოვრების მიმართ იგივეა, რაც რუკა ქვეყნის მიმართ - შეკუმშულ სივრცეში, მანძილში, დროში. ხოლო სიცოცხლესა და სიკვდილს შორის ზოგჯერ იგივე მანძილია, რაც წამწამსა და წამწამ შუა თვალის დახამხამებისას".

აქ, სიცოცხლესა და სიკვდილს შორის გადებულ ასე საოცრად მცირე მანძილზე შეუცვნია მას თავისი ნაწარმოების გმირები, აქ, ამ სახიფათო გზაზე, მწერალი სიცოცხლისა და სიკვდილის მიჯნას რომ უწოდებს, დაუნახავს მას გმირობა და თავდადება, ჰუმანურობა და კეთილშობილება სამშობლოს დამცველი ადამიანებისა.

მეორე მსოფლიო ომის თემას თავის შემოქმედებაში გარკვეული ადგილი დაუთმო რ. გვეტაძემ. მწერლის იმ ნაწარმოებებში, რომლებიც ომის თემაზეა დაწერილი, დიდი სიცხადით იგრძნობა, თუ რა მძაფრად განიცდიდა მწერალი მტრის შემოსევას, როგორ ღრმად სწვდებოდა იგი ფრონტული ცხოვრებას, საბედისწერო ბრძოლაში წასულთა განცდებს.

"ომი ომია, მაგრამ მშობლისათვის ორჯერ ომია",- თქვა გამოჩენილმა მწერალმა კ. სიმონოვმა.

ომს მწერალში გარკვეული დოზით ამძაფრებდა მისი ვაჟის, როგორც საველე ექიმის, ყოფნა ფრონტზე, მსოფლიო ომის ქარცეცხლში. ძნელი მისახვედრი არაა, რომ "მართალი ნოველების " მოქმედი გმირის ნოდარის პროტოტიპი მწერლის ვაჟი - ნოდარ გვეტაძეა.

მეორე მსოფლიო ომის წლებში ომის თემაზე პროზაული ნაწარმოებები გამოაქვეყნეს აგრეთვე მწერლებმა: იაკინთე ლისაშვილმა, დავით სულიაშვილმა, კლიმენტი გოგიავამ, დემნა შენგელაიამ და სხვებმა.

მეორე მსოფლიო ომში ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის ასახვა გვხდება ომის შემდგომი პერიოდის მხატვრულ პროზაშიც.

ომისშემდგომ ქართულ ლიტერატურაში ქართველი პროზაიკოსების მიერ შექმნილია მთელი რიგი მაღალმხატვრული ნაწარმოებები, რომლებშიც დიდი

ელექტრონული ბიბლიოთეკა

შემოქმედებითი ძალით აისახა ქართველი მეომრის სახე.

ომის საკითხს მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო ქართული პროზის დიდოსტატმა კონსტანტინე გამსახურდიამ. "ვაზის ყვავილობის" მთავარი მოქმედი გმირი გოდერძი ელანიძე ომის დაწყების პირველი დღეებიდან მტრის საბოლოო დამარცხებამდე ებრძოდა მტერს. მწერალმა თავის საყვარელ გმირს მთელი დატვირთვით განაცდევინა ომის სისასტიკე, აგემა რამდენჯერმე დაჭრა-დაჩეხვა, ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკში ყოფნის გულშემზარავი პირობები და ბოლომდე დატოვა იგი მტკიცე ნებისყოფის, მორალურად გაუტეხელ მებრძოლად. გადაატანინა რა განუზომელი ფიზიკური თუ სულიერი ტკივილები, კვლავ დააბრუნა გმირი თავის მშობლიურ კოლმეურნეობაში,რომელსაც ფრონტზე წასვლამდე ასე მარჯვედ მართავდა.

ომის შემდგომი წლების ნაწერებიდან ომის თემას ეძღვნება აკაკი ბელიაშვილის რომანი "უღელტეხილი". მართალია,რომანის უმთავრესი ნაწილი ასახავს ომისდროინდელი ცხოვრებას ზურგში, მაგრამ რომანში არის ვრცელი ნაწილი,რომელიც პირდაპირ ფრონტის ამბებს ასახავს, კერძოდ კავკასიონის მისადგომებთან ბრძოლებს გვიხატავს.

საბრძოლო თანამეგობრობის თემას კუთვნილ ადგილს უთმობს აკაკი ბელიაშვილი სხვა ნაწარმოებებშიც: "ორი თამარი", "ზღვასთან" და სხვ.

მოთხრობაში "ზღვასთან" ასახულია ქართველი მებრძოლის ვალიკოს საბრძოლო მეგობრობა უკრაინელ ვასილჩენკოსთან, რაც სანატორიუმის მყუდრო ცხოვრების ფონზეა ასახული და დიდი დამაჯერებლობითაა ნაჩვენები.

მეორე მსოფლიო ომის თემაზე, ომის შემდგომ წლებში, მრავალი მემუარულ-დოკუმენტური ნაწარმოებები შეიქმნა. ამ მხრივ ჯეროვანი მუშაობა გასწიეს ომის ვეტერანმა ქართველმა მხედართუფროსებმა,ფრონტელმა ჟურნალისტებმა, ფრონტული და პარტიზანული ბრძოლების სხვა მონაწილეებმა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია დავით ზაქრაძის, გიორგი ყურაშვილის, ნიკოლოზ კალაძის, იაროსლავ იოსელიანის, არჩილ კოკილაშვილის, დიმიტრი შანშიაშვილის, ოთარ ჩეჩელაშვილის და სხვათა მიერ გაწეული ლიტერატურული მუშაობა.

მეორე მსოფლიო ომის სისხლიანი დღეების აღწერაში თავიანთი სიტყვა თქვეს ქართველმა პოეტებმა.

ომისა და ომისშემდგომი პერიოდის ქართული პოეზია უტყუარი სარკეა იმ საშინელებისა, რომელიც ფაშიზმმა მოუტანა კაცობრიობას.

ომის თემა და ომში გამოვლენილი საბრძოლო თანამეგობრობის დიადი ფაქტების განზოგადება უპირველეს საზრუნავად იქცა ქართველი დრამატურგებისათვის.

ომის მძიმე წლებში მრავალი დიდი და მცირე მოცულობის პიესა დაიდგა ქართული თეატრის სცენაზე.

ქართული თეატრის რეპერტუარის მნიშვნელოვანი ნაწილი ომის თემას დაეთმო, თეატრალური კოლექტივები დაირაზმნენ მებრძოლთა ღირსეული სცენური სახეების შესაქმნელად. აღსანიშნავია სერგო კლდიაშვილის "ირმის ხევი" ილო მოსაშვილის "სადგურის უფროსი"/ სანდრო შანშიაშვილის /"ანზორი"/ და სხვა დრამატურგთა მიერ ომის თემაზე შექმნილი ნაწარმოებები.

კავკასიონის მისადგომებთან გამართული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლების ასახვას მიუძღვნა სერგო კლდიაშვილმა ვრცელი პიესა "ირმის ხევი", რომელიც შთამაგონებლად წარმოგვიდგენს ამ ბრძოლებში მონაწილე ხალხების როგორც ერთსულოვნებას, ისე ცალკეული მტრული ელემენტების გამთიშველ მოქმედებასაც. საერთოდ, პიესა მეტად დაძაბული და რთული სიტუაციების მთელი კომპლექსით ხასიათდება.

პიესაში ნაჩვენებია გერმანელთა მიერ მოოხრებული სოფელი არგუნი, ადგილობრივი მოსახლეობა გერმანელთა შემოჭრის შედეგად დაზნეულია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრი უიმედოდ შეჰყურებს მომავალს და ზოგი აშკარად მცდარ დასკვნ-ებს აკეთებს შექმნილი ვითარებიდან. სოფლელთა უმრავლესობას მტერთან ბრძოლის არავითარი ხალისი არ ემჩნევა და თავს დაღუპულად თვლის. უფრო დაწვრილებით გვაცნობს ავტორი იმ სოფლის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტე-ტული კაცის ეოლგათ ფარნიოზის ოჯახს, რომელთანაც უნდა მივიდეს ფარუ-ლად მზვერავი შალვა საბაშვილი. ეოლგათის ვაჟიშვილი ომარი გერმანელ-ებს დაუხვრეტიათ და ოჯახის ერთადერთი იმედი მათი ქალიშვილი ასმათია. ეოლგათს ღრმად სწამს, რომ გერმანელთა წარმატებანი მხოლოდ დროებითია. ამიტომაც იგი გულმხურვალედ დაუჭერს მხარს შალვა საბაშვილს და თავისი დიდი ავტორიტეტით უმოკლეს ხანში შესძლებს ხალხის დარაზმვას საჭირო მიმართულებით.

ილო მოსაშვილის პიესაში "სადგურის უფროსი" ოსტატურად არის და-ხატული კავკასიონის მისადგომებთან მოზღვავებული ჰიტლერელთა ჯარების წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლის ამაღლევებელი ეპიზოდები, ნაჩვენებია ამ ბრძოლაში ჩვენი ხალხების ერთსულოვნებისა და მონოლითურობის უტყუ-არი სცენები.

ომის თემა გააშუქა ბ. ჟამრეკელმა თავის პიესაში "გრიგალი". პიესაში ძირითადად ფრონტული ვითარებებია ნაჩვენები და მრავალფერო-ვან სცენებს შეიცავს; ჯარისკაცული ყოფა ასახულია ბევრ სხვადასხვა სიტუაციაში. მოკლედ ასეთია ქართულ დრამატურგიაში მეორე მსოფლიო ომის თემის გაშუქების ძირითადი სურათი.

უნდა აღინიშნოს, რომ მწერლებზე დაკისრებული მოვალეობას ქართ-ველი მოღვაწენი ღირსეულად ასრულებდნენ ომის დღეებში და ომის შემდ-გომ პერიოდშიც ისინი არ ალამაზებდნენ და არ აიოლებდნენ ომს. ომის მართალი, განუმეორებელი და უტყუარი, ზოგჯერ შემაძრწუნებელი და შემზარავი სურათებია აღწერილი ომის თემაზე შექმნილი ნაწარმოებებში. ეს ფაქტი გვავალებს, არა ის რომანები, მოთხრობები, ლექსები და ნა-

რკვევები დავივიწყოთ, რომლებშიც მხატვრულად აისახა ფიცვერცხლნაჭამი გმირთა სისხლით ნაწრთობი ძმობა და მეგობრობა, რასაც იმ მძიმე წლებში ყველაზე მრისხანე იარაღზე ნაკლები ხმა და დარტყმის ძალა არ ჰქონდა.

საკითხთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო სამამულო ომის ვეტერანის ცნობილი მემუარისტის ვარლამ ჯანჯღავას შემდეგი სიტყვები: "ჩვენს ხალხს, ჩვენს ახალგაზრდობას სურს, რაც შეიძლება მეტი იცოდეს იმაზე, ვინც თავდადებით იბრძოლა სამშობლოს ღირსებისათვის, ვინც თავისი სიცოცხლის ფასად სხვას სიცოცხლე შეუნარჩუნა, ბედნიერება და მშვიდობა მოუტანა.[1]

ოთხ წელს ბობოქრობდა საშინელი ომის ქარიშხალი დედათა თვალებში ცრემლებს რომ აგუბებდა, ბავშვებს ამშევდა, ცას შავი კვამლით რომ მურავდა; ქუყუანას აპარტახებდა.

ჰიტლერის არმიებს სიკვდილი მიჰქონდათ ყველგან, სადაც კი ფეხს შედგამდნენ. "ჩვენ მუხლებზე დავაჩოქებთ მთელ კაცობრიობას", - ხმამაღლა გაჰყვიროდნენ ფაშისტები. ვერ დაარჩოქეს, ვერ შეაბრუნეს უკუღმა ისტორიის ჩარხი იმიტომ, რომ არსებობდა ქვეყნად მეგობრობის უძლეველი ძალა. ომისდროინდელი ქართული სოფლის ცხოვრების აღწერას ჯეროვანი ყურადღება დაუთმეს ქართული პროზის შესანიშნავმა ოსტატებმა რევაზ ჯაფარიძემ, ოტია იოსელიანმა და ნოდარ დუმბაძემ.

რ. ჯაფარიძე და ოტია იოსელიანი ოსტატურად აზოგადებენ ქართველი ჯარისკაცის ეროვნულ-ინდივიდუალურ თვისებებს. ამ თავისებურებათა ორგანული შერწყმა ქართულ სოფელში ეროვნულ-ტრადიციებზე აღზრდილი ჯარისკაცის თვისებებთან მათი ფრონტული მოთხრობების გმირების მკვეთრად დამახასიათებელი ნიშანია.

ნოდარ დუმბაძე საბრძოლო ეპიზოდებს თავის ფრონტულ ნაწარმოებებში საერთოდ არ გვიჩვენებს. იგი გვიხატავს ომის უღმობლობისაგან

---

1 ვარლამ ჯანჯღავა, ქერჩის პლაცდარმზე, თბ:, 1979წ. გვ. 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაზარალებული, დამწუხრებული ადამიანების ცხოვრებას სოფლად, მათ მიზნებსა და მისწრაფებებს.

სადისერტაციო ნაშრომის მიზანს შეადგენს განვიხილო ქართველი ბელეტრისტების – ნოდარ დუმბაძის, ოტია იოსელიანის და რევაზ ჯაფარიძის მიერ ომის თემაზე შექმნილი ნაწარმოებები, შევისწავლო მათ გარშემო არსებული მეცნიერულ-კრიტიკული ლიტერატურა და გამოვთქვათ საკუთარი მოსაზრებები აღნიშნული საკითხის გარშემო.

სადისერტაციო ნაშრომი დახმარებას გაუწევს რევაზ ჯაფარიძის, ოტია იოსელიანის და ნოდარ დუმბაძის შემოქმედებით დაინტერესებულ პირებს.

ზემოთ აღნიშნულ მწერალთა ნაწარმოებები შეტანილია კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სასკოლო პროგრამაში, ამიტომ ვფიქრობთ ნაშრომი დაეხმარება მასწავლებლებს და უფროსი ასაკის მოსწავლეებს კლასგარეშე ლიტერატურის შესწავლაში. შეიძლება ნაშრომი დაეხმაროს ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებს მეორე მსოფლიო ომის თემაზე შექმნილი ნაწარმოებების შესწავლისა და გაშუქების საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავი პირველი

### მეორე მსოფლიო ომისდროინდელი სოფლის ცხოვრების ასახვა თანამედროვე ქართულ პროზაში

დიდი სამამულო ომის თემა, როგორც მწერლებისა და პოეტების მხატვრული შთაგონების წყარო არ გამქრალა ომთან ერთად. ომის შემდგომ ქართულ ლიტერატურაში ქართველი მწერლების მიერ შექმნილია რიგი ნაწარმოებებისა, რომლებიც თვალნათლივ აშუქებენ ომისდროინდელი ქართული სოფლის ცხოვრებას. ქართველი გლეხი თავისი გმირული შრომით ზურგს უმაგრებდა ვერაგი მტრის წინააღმდეგ მებრძოლ გმირებს. სწორედ ფრონტისა და ზურგის ერთიანობამ ჩვენი ხალხი მიიყვანა რაიხსტაგის კიბემდე და დიადი გამარჯვება მოაპოვებინა. აღნიშნულ თემაზე ქართველი პროზაიკოსების მიერ შექმნილია შესანიშნავი თხზულებანი, რომელთა შორის ღირსეული ადგილი უკავია ნოდარ დუმბაძის შემოქმედებას.

ნოდარ დუმბაძე ქართველი მწერლების იმ პლეადას ეკუთვნის, რომლებიც ეხმარებიან ადამიანს ახალი სამყაროს შესწავლასა და შეცნობაში. ნოდარ დუმბაძის პროზამ დიდი პოპულარობა მოიპოვა ჩვენს ქვეყანაში და ჩვენი ქვეყნის გარეთაც. ეს ეროვნული ტრადიციების მხატვარი ერთნაირად, ახლობელია როგორც მშობლიური, ისე სხვა ხალხებისათვისაც.[1]

ნოდარ დუმბაძე იუმორის დახელოვნებული ოსტატია. მისი ნაწარმოებები წაკითხვისთანავე იუმორის გრძნობით გვათბობს, მაგრამ მასთან ერთად ნოდარ დუმბაძის პროზას სამამულო ომით დამძიმებული სოფლის ცხოვრების მაჩვენებელი სურათები ძაბავს. მწერლის პერსონაჟები წიგნის ფურცლებიდან გადმოდიან ცოცხლად, ხორცშესხმულად და თანაგრძნობისა და სინანულის გრძნობით გვავსებენ.

---

1 ნ.ერქომაიშვილი, იურისტის ფიქრები ნ.დუმბაძის ზოგიერთ ნაწარმოებებზე. ჟურნ. ცისკარი №10,1979,გვ.142

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. დუმბაძე, როგორც მწერალი და საზოგადო მოღვაწე, მხატვრულ ლიტერატურაში დიდ აღმზრდელობით ძალას ხედავს. იგი ისე ასახავს მოვლენებს, რომ გვიჩვენებს არა მხოლოდ პატიოსნებსა და გულადებს, არამედ უსულგულოებსა და უსახო ადამიანებსაც.

ნ. დუმბაძემ არა ერთი ნაწარმოები უძღვნა ომისდროინდელი სოფლის ცხოვრების ასახვას, რომელთა შორის აღნიშვნის ღირსია რომანი "მე, ბებია, ილიკო და ილარიონი".

"მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" მედნიერ ვარსკვლავზე კი არ დაბადებულა, როდარ დუმბაძემ მკითხველი აალაპარაკა და მისადმი სიმპათიით განაწყო თავისი პირველი დიდი წიგნის უაღრესად თვალსაჩინო მხატვრულ-ესთეტიკური ღირსებებით. როდარ დუმბაძემ ჩვენს ლიტერატურაში ახალი, თავისებური სამყარო გახსნა. ეს სამყარო მხოლოდ გურიის სოფელი როდი გახლავთ. ნ. დუმბაძის ამ რომანის გამოქვეყნებამდე გურია არსებობდა ცხოვრებაშიც და ლიტერატურაშიც. ავტორის მიერ აღმოჩენილი ლიტერატურული სამყარო სწორედ მისი მხატვრული სტილის, პერსონაჟების, მწერლის ცხოვრებასთან დამოკიდებულების და მოქმედ პირთა ურთიერთობის ორიგინალური ლიტერატურული სინთეზია, რაც მწერლის სტილს ასე გამოკვეთილად ახასიათებს.[1]

"მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" კომიკური ელემენტის მაქსიმალური გამოყენებით გამოირჩევა, იგი ერთობ მდიდარია სატირულ-იუმორისტული ასახვის ფორმებით. მაგრამ ამასთან ერთად ნაწარმოებში ავტორი შემაძრწუნებლად გვიჩვენებს სამამულო ომის სუსხიან დღეებს. ომის გამო უჭირდათ რომანის მოქმედ გმირებს და ისინი თავიანთი მოლესილი ენით", ხუმრობებით, ქილიკით, ერთმანეთს ანუგეშებდნენ."

ილიკო და ილარიონი ერთი შეხედვით ტყუპისცალები ეგონება

---

1 რ. მიშველაძე, კრიტიკა, თბ., 1970, გვ. 215

მკითხველს, რადგანაც ისინი ერთმანეთის კარიკატურებს წარმოადგენენ, ე.ი. თავისი სახით ილიკო ილარიონის და ილარიონი ილიკოს კარიკატურული განსახიერებაა. ერთი შეხედვით ისინი ერთმანეთში საკუთარ თავებსაც დასცინიან.

ილიკო და ილარიონს თითქოს უკვე გაუვლიათ თავიანთი კომიკური ურთიერთდამოკიდებულების ის საფეხური, რასაც პირობითად " სიტყვიერი კენწლაობა" უწოდება. ეს ორი პირი დაკავშირებულია ბებია ოლღას ოჯახთან. ამან კი განაპირობა ზურიკო ვაშალომიძის სიახლოვე მათთან.

ზურიკელას საკუთარ თავზე მეტად უყვარს აღმზრდელი ბებია, ილიკო და ილარიონი. მას ახარებს რომანის ამ ორი გმირის, ხშირი სტუმრობა მის ოჯახში, მაგრამ ყოველგვარ სიხარულს ამძიმებს ომის საშინელება.

აი, ილიკო ესტუმრა ზურიკელასა და ბებია ოლღას ოჯახში. ზურიკელა მხიარულად შეხვდა სტუმარს, ბებია ოლღამაც გულთბილად მიიღო ეს ღვთისნიერი კაცი და საჭმელ - სასმელით გაუმასპინძლდა. მაგრამ სიმხიარულეს უცბად ცვლის სამწუხარო ამბავი, რომელიც ილარიონმა მოიტანა. ავტორი ასეთი სტრიქონებით აგებინებს მკითხველს ამ შემზარავ ცნობას.

-"დღეს ჩვენი ფოსტალიონი იყო ჩვენთან, გერასიმეს ბიჭის დაღუპვის ცნობა მოიტანა. მე ვერ ვეტყვი, შენ უთხარიო, მითხრა - თქვა ილარიონმა.

- შვილო, შვილო, უბედური შენი დედა - შეიცხადა ბებიამ და ლოყა ჩამოიხოკა".[1]

ნაწარმოებიდან ვგებულობთ რომ ეს უკვე მეშვიდე ცნობა ყოფილა სოფელში.

გერასიმესთვის ილარიონს შვილის დაღუპვის ამბავი არ შეუტყობინებია. ფოსტალიონის მიერ მოცემული ქაღალდი ბუხარში შეაგდო და დაწვა. გერასიმე ყოველდღე ელოდებოდა თავის შვილს და ეს ლოდინი მას სიცოც-

---

1 ნ.დუმბაძე, ტ.I, 1982 წ.გვ.41

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხლის ბოლომდე მოუწევდა.

ნაწარმოებში ავტორს ოსტატურად შემოჰყავს სოფლის აგიტატორი გიორგი ვაშაკიძე. აგიტატორის მოსვლა ოლღას ოჯახში და ფრონტის ამბების გამოკითხვა ერთი იყო.

ფრონტის ამბები პირველად ილარიონმა გამოკითხა აგიტატორს. ვაშაკიძემაც შემდეგი პასუხი გასცა მათ:

"ამხანაგებო, სამშობლო გასაჭირშია. ვერაგი მტერი თავისი სისხლიანი ხელებით ეპოტინება ჩვენს ქვეყანას, ჩვენი სახელოვანი წითელი არმია გმირულად ებრძვის ფაშისტურ ხროვას.

...წითელარმიელებისათვის საჩუქრებს ვაგროვებთ და თქვენც ხომ არ შეგვეწევით რამეს? - თქვა აგიტატორმა და ისე შვებით ამოისუნთქა, თითქოს ყელში წაჭერილი ბაწარი შეეხსნათ მისთვის. მაინც რა საჩუქრები გინდათ გაუგზავნოთ? იკითხა ილიკომ.

- ყველაფერი: ხილი, თბილი ტანსაცმელი, ხელთათმანი, წინდა, ვისაც რა შეუძლია. - დღეს ხუთშაბათია, ოთხშაბათს მთელი ვაგონი საჩუქრები წავა ფრონტზე ჩვენი სოფლის სახელით, თუ რამეს მოაგროვებთ, აქ მოიტანეთ, ოლღასთან, ჩვენი ბიჭები გამოივლიან და ხვალ წაიღებენ. თქვა აგიტატორმა და წავიდა".[1]

აგიტატორის გასვლის შემდეგ ოთახში სიჩუმე დაისადგურებს. ყველას თვალწინ წარმოუდგება ფრონტის ხაზზე მებრძოლი შვილი, ძმა, მეგობარი. მებრძოლებს დახმარება, ზურგის გამაგრება სჭირდებოდათ. ახლა ყველა იმის ფიქრში იყო, თუ რა გაეგზავნა სამშობლოს ერთგული შვილებისათვის საჩუქრად. სიჩუმე ილიკომ დაარღვია და თავისი ერთადერთი ნაბადი შემოატანინა ზურიკოს ფრონტზე გასაგზავნად. ეს ის ნაბადი იყო, რომელიც ილიკოს საგზალ ეხურა და სიცოცხლეს ერჩია. ილიკოს საქციელში ვლინდება ქართველი კაცის ბუნება, ერთსულოვნება და სიალალე, რომელიც ყოველ

---

1 ნ.დუმბაძე, ტ. 1982, გვ. 43

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული

ადამიანს უნდა ახასიათებდეს. ილიკოს საქციელით აღფრთოვანებულმა ილა-რიონმა მიმართა მას:

"ოქროს გული რომ გქონდა კი ვიცოდი, მაგრამ ამხელა ვაჟკაცი თუ გედო მაგ გამხმარ მკერდში არ მეგონა"[1], ამ სიტყვების დასრულების შემდეგ ილარიონი გადის ოთახიდან და მალევე ბრუნდება ახალთახალი ჩექმებით ხელში.

ბებია ოლღასა და ბურიკელას არაფერი გააჩნიათ საჩუქარი ფრონ-ტზე გასაგზავნად.

ოლღას არ სურს ჩამორჩეს არავის და თავისი წვლილი გაიღოს შვი-ლებისათვის.

იმ საღამოს ბებიამ და ბურიკელამ ერთად დაიძინეს. ცოტა ხნის შემდეგ ბებია ოლღა ადგა ლოგინიდან და საქმეს შეუდგა. აი როგორ აგვიწერს მწერალი, ბურიკელას პირით ამ საოცარ სურათს:

"ახალმიძინებული ვიყავი, რომ ფაჩუნმა გამაღვიძა, თვალები გა-ვახილე, ბებია ლოგინის ბოლოში ჩამომჯდარიყო და ფრთხილად იცვამდა. არაფერი ვუთხარი, თავი მოვიმძინარე და თვალყურის დევნება დავუწყე: ჩაიცვა - ადგა, თავისი ბალიში სკამზე გადადო, მერე ფეხები ფრთხილად შემიკეცა და თავისი სასთუმლის მხრიდან ლეიბი გაარღვია, მერე ლეიბი-დან ბღუჯა მატყლი გამოაძრო, ფეხაკრეფით გავიდა სალარომში, საჩეჩელი გამოიტანა, ბუხარს ცეცხლი შეუკეთა და იქვე დაგებული თხის ტყავზე მოიკალათა. საჩეჩელი მუხლებშორის დაიდგა, მატყლი აიღო დასაჩეჩელის ნემსებზე ჩამოჰკრა, მერე მთელი ტანით ხელების მოძრაობასთან ერთად რწევა დაიწყო, თან რაღაცას ლუტბუტებდა. ჩემსკენ ზურგშექცევით იჯდა და ასე საქმეში გართული მგლოვიარე დედაბერს გავდა, რომელსაც წინ შვილის ცხედარი ესვენა და ჭაღარა თმებს ბღუჯა-ბღუჯად იგლეჯდა დამ-ჭკნარი ხელებით.

---

1 ნ. დუმბაძე, ტ., 1982, გვ. 43

ლოგინზე წამოვჯექი, დიდხანს ვუცქერდი ბებიას და თვალებზე ცრემლ-მომდგარი ვფიქრობდი, ვინ უნდა ყოფილიყო ის ბედნიერი ჯარისკაცი, რომ-ლისთვისაც ბებიამ სითბო მოიკლო და მისი მოხუცი სხეულით გამთბარი მა-ტყლით ახლა, ამ თეთრი ზამთრის ცივ ღამეში წინდას უქსოვდა".[1]

ბებია ოლღას სახით ავტორი აცოცხლებს ქართველი დედის შესანიშნ-ავ სახეს, რომელიც სამშობლოს სადარაჯოზე მდგარი ვაჟკაცებისთვის არა-ფერს იშურებს. ბებია ოლღას რომ ჰქონებოდა ბრძოლის უნარი, იგი უეჭველად შვილებს ამოუდგებოდა გვერდში ვერაგი მტრის საწინააღმდეგო ბრძოლაში და მტკიცედ დაიცავდა, სხვა მებრძოლებთან ერთად, ჩვენი ქვეყნის საზ-ღვრებს დაუნდობელი ფაშიზმისაგან.

ყველაფერი ისედაც გასაგებია. გასაგებია ისიც, რომ ამგვარ გარემოში აღზრდილი ზურიკელას ადამიანებისათვის სითბო და სიყვარული არ დაელევა. მას კვებავს მიწიდან ამოზრდილი სითბოს მადლი, ბებიასა, ილიკოსა და ილარიონში რომ განივთებულა მისთვის. სასიკვდილო სარეცე-ლზე მწოლი ბებია ოლღა ასეთი სიტყვებით მიმართავს შვილიშვილს: ამათ ხომ უყურებს, ილარიონსა და ილიკოს, არ დაკარგო, ნენა ეს ორი კაცი, შენზე ამოსდით მზე და მთვარე, ყველაფერი დაუჯერე. თავად ზურიკომაც კარგად იცის, რომ სხვაგვარად არ უნდა მოიქცეს; იცის რომ ილიკო და ილ-არიონი მისი ყველაზე ახლობელი ადამიანები და აღმზრდელები არიან.

ომისდროინდელი ცხოვრების მ ხატვრულ გაშუქებას იძლევა ნოდარ დუმბაძე რომანში "მე ვხედავ მზეს".

"მე ვხედავ მზეში ყველაფერი ომით არის დამუხტული. სულის-კვეთება, განწყობილება, მიზანი, ადამიანთა ცხოვრების სტილი ომის კაპრიზებით იწყება.

ნაწარმოების დასაწყისში ვეცნობით დათიკო ბრიგადირს, მამიდა ქეთოს და სოსოია მამალაძეს.

სოსოია მამალაძე დათიკოს დავალებით მიდის ფოსტასთან, სადაც

---

1 ნ. დუმბაძე, ტ. I, გვ. 44

ეროვნული ბიბლიოთეკა

იკრიბებიან ბრიგადის წევრები. აქ პირველად გებულობს სოსოია ომის სახელს. მან არ იცის თუ რას ნიშნავს სიტყვა ომი, თუ რა საშინელებას წარმოადგენს იგი. სოსოია ფოსტიდან შინ ბრუნდება. იგი მიხვდა, რომ მოხდა რაღაც დიდი უბედურება, რომელსაც ტრაგიკულის რელსებზე გადაჰყავს ადამიანთა ფსიქოლოგია.

ომის დაწყების ამბავი სოსოიამ აცნობა მამიდას. სამზარეულოში მყოფ "მამიდას ცომიანი ხელი აუკანკალდა. იგი თვალს არ მაცილებდა. თუნგიდან თბილი წყალი იღვრებოდა გობში. გობი თანდათან აივსო და არღა სქელი რძისფერი სითხე გადმოდიოდა და იღვრებოდა მამიდას ფეხებთან. მე თვალს არ ვაცილებდი მამიდას ათრთოლებულ ხელებს".[1]

ნ.დუმბაძე დამამძიმებლად აგვიწერს სოფლელი ვაჟკაცების ჯარში წაყვანის სურათს. რაიონული კლუბის ეზოში უამრავი ხალხი ირეოდა. ისინი იცინოდნენ, მღეროდნენ, ტიროდნენ, ერთმანეთს რაღაცას უბარებდნენ, ჰპირდებოდნენ, ეალერსებოდნენ, კოცნიდნენ და ასე გაუთავებლად. მათ შორიახლო იდგა სოსოიაც. იგი ყველას თვალებში შესციცინებდა, ყველას ეალერსებოდა, ყველას აიმედებდა და გზას ულოცავდა. სოსოია კი დაჯერებული იყო იმით, რომ ვინც ჯარში გაიწვიეს ყველა მობრუნდა სოფელში. მაგრამ ეს ულმობელი ომი, მარტო ჯარში გაწვევა კი არ არის. სისხლისღვრაა, სადაც მეტწილად სიკვდილი იმარჯვებს უწყინარ სიცოცხლეზე.

რომანში შემზარავი ფერებით არის დახატული მთელი არსი ადამიანთა დაცილებისა. "და უცებ თითქოს მზე ჩავიდა, თითქოს დაღამდა, თითქოს ქვეყანა ორად გაიყო: ათ საბარგო მანქანას მიჰყავდა ჩვენი სისხლი და ხორცი, რომელსაც ითხოვდა მიწა იმ დიდი სიყვარულის ფასად რომლითაც უყვარდა იგი ამ ხალხს. მანქანების გასწვრივ ვიდექით ჩვენ დედები, ცოლები, დები, მამები, ბავშვები, რომლებმაც გავიღეთ ეს მსხვერპლი, კოინდარზე უპატრონოდ დარჩენილ საკრავებს შორის იდგა სახეზე ხელებაფარებული მოხუცი მაესტრო და მხრები უცახცახებდა.

მანქანები ნელი გუგუნით დაიძრა. იმ დღეს პირველად დავინახე ცრემლი ამდენი ადამიანის თვალზე, ამდენი მწუხარე, შეშინებული და გაფითრებული ადამიანი, ამ დღეს პირველად ვნახე ატირებული მამიდა. ეს დღე გავდა უზარმაზარი ზღვის მოქცევას, რომელიც მოულოდნელად უკუიქცა და დაგვტოვა ნაპირზე, როგორც თევზები, ნიჟარები, ლოკოკინები და ნაფოტები".[1]

ომის საშინელება ჰქუხდა. გამარჯვების მოსაპოვებლად საჭირო იყო მებრძოლი ჯარისკაცების ზურგის გამაგრება. ქართველმა ადამიანებმა თავიანთი წვლილი გაიღეს ამ საქმეში. ყველა თავგამოდებით შრომობდა. შრომაში გამოირჩეოდა სოსოიას მეგობარი უსინათლო გოგონა ხატია შალიკაშვილი. იგი ყველაზე ადრე დგებოდა დილით და სამუშაოდ მიდიოდა, ხატიას გათვითცნობიერებული ჰქონდა, რომ ახლა შრომა ორჯერ უფრო მეტი იყო საჭირო. მას კარგად ესმოდა ულმობელი ომის საშინელება. შეგნებული ჰქონდა ხატიას, რომ მხოლოდ ზურგისა და ფრონტის ერთიანობა წარმოადგენდა გამარჯვების საწინდარს.

უსინათლო ხატია იყო სოფლის თვალი. იგი საკუთარ უბედურებას არ გაუბოროტებია. ხატია მტკიცედ იტანდა ყოველგვარ გაჭირვებას. ის ყველაზე ფიქრობს, ყველას სატკივარს და სურვილს ხვდება. იგი ძლიერია იმიტომ, რომ მართალია თავის თავთან.

რომანში თავის სათნო ქცევით გამოირჩევა მასწავლებელი ქალი ქეთევანი.

ქეთევანი და მისი ძმისწული სოსო დაჭრილ რუს ჯარისკაცს შეიფარებენ. მაგრამ უცებ აღმოჩნდა, რომ ეს ჯარისკაცი მარტო მათი კი არა, მთელი სოფლის სტუმარი ყოფილა. ეს ფაქტი კარგად გამოხატავს მოძმე ხალხების უდიდეს ერთსულოვნებას ურთიერთპატივისცემას ომის წლებში. რუსი ჯარისკაცის სახეში მთელი სოფელი თავის ძმას ხედავდა.

---

1 ნ. დუმბაძე, ტ. I, გვ. 194

მომხიბვლელია სურათი,როცა ქეთევანის მეზობლები რძით ამარაგებენ ავადმყოფ ჯარისკაცს: "-აგია თქვენი სტუმარი,კაი გამარჯობა თქვენი,ბატონო, ხომ კარგად და მშვიდობით ბრძანდებით? - მიმართა ანატოლის მინამ. ანატოლიმ თავი დაუქნია, უხერხულად გაუღიმა და მე შემომხედა. მიშველე რამეო.

კარგი ვაჟკაცი კი ყოფილა, - მიუბრუნდა ახლა მინა მამიდას,მერე კალთაში ჩაყო ხელი, ერთი ბოთლი რძე ამოიღო და კიბეზე დადგა, - არ გეწყინოს, ჩემო ქეთო,მეტი ვერ გადავარჩინე,- თქვა მინამ და ისე წავიდა მადლობის თქმაც ვერ მოასწრო მამიდამ. მინა ეზოდან არ იყო გადასული,რომ ეზოში გიჟივით შემოვარდა ზურგზე ჩანთაგადაკიდებული ედემიკას შვილიშვილი რომანი.

- ქეთო დეიდა, გამარჯობა შენი, აგი ბაბუამ გამოგიგზავნა, იმ ჯარისკაცს დაალევინოსო! - დადგა კიბეზე ერთი ბოთლი რძე და მოჩვენებასავით გაქრა".[1]

ანატოლი გრძნობდა თუ რა პატივს სცემდნენ მას,რომ იგი ღვიძლი შვილივით შეითვისა და შეიყვარა სოფელმა. ანატოლი განცვიფრებული იყო ასეთი თბილი მიღებით.

ანატოლის გამოჩენა რომანში მოულოდნელია.იგი 1942 წელს დაიჭრა ფრონტის ხაზზე. დაჭრილთა ერთი ეშელონი ჩამოდგა მახარაძეში. სკოლა სასწრაფოდ ჰოსპიტლად გადაკეთდა. დაჭრილთა შორის იმყოფებოდა ანატოლი რომანოვი. იგი ფეხზე დააყენეს ექიმებმა, მაგრამ სრულად გამოჯანმრთელებული არ იყო. მიუხედავად ამისა ანატოლი თხოვდა ექიმებს გამოეწერათ იგი ჰოსპიტლიდან რათა ისევ ფრონტში წასულიყო. იმდენი მოახერხა,რომ აიძულა ექიმები და კიდეც გაწერეს ჰოსპიტლიდან. მაგრამ მან ვერ შეძლო სიარული და გვირაბში ჩაწოლილი იპოვა ბეჟანამ. ასე მოხდა ანატოლი სოსოიას სახლში. ანატოლის სახეში განსახიერებულია ნამდვილი წმინდა

---

1 ნ.დუმბაძე, ტ.I,თბ.,1982,გვ.248

პატრიოტის სახე. იგი მიუხედავად თავისი უძლურობისა /მძიმედ დაჭრილი იყო/ მზადაა წავიდეს ფრონტის წინა ხაზზე და გმირულად შეებრძოლოს მტერს.

ერთ დილას, როგორც კი შეატყო თავს ანატოლიმ, ეზოდან გადასვლას შევძლებო, თავისი ტანსაცმელი მოითხოვა. ქეთევანმაც თხოვნა აუსრულა სტუმარს და დაუთოვებული ტანსაცმელი გამოუტანა ანატოლის. მას წასვლა უნდოდა ქეთოს სახლიდან. ანატოლიმ მადლობა მოახსენა ქეთოს ყველაფრისათვის გამოემშვიდობა და წავიდა. ალაგესთან რომ მივიდა მას ძალა არ ეყო და გაუჭირდა გადასვლა. მაშინ ქეთევანი და სოსოია მივიდნენ მასთან და თხოვნით მიმართეს, რომ კიდევ ორი თვე დარჩენილიყო მათთან. ანატოლიც დათანხმდა მათ და ნელი ნაბიჯით წამოვიდა ოდისკენ. ანატოლი იმ დღიდან ყოველგვარ საქმეს აკეთებდა ოჯახში. მას სოფელ - სოფელ უყვარდა სიარული. აკვირდებოდა ყველა ოჯახს და უკაცოდ დარჩენილ ოჯახებში მასპინძლის დაუკითხავად აკეთებდა საქმეებს. ანატოლი რომანოვი ომიდან დაბრუნებული პირველი ცოცხალი კაცი იყო ამ სოფელში. თუ ანატოლის რამეს შეეკითხებოდნენ იგი ძუნწ პასუხს იძლეოდა და აიმედებდა ომში წასულთა ოჯახებს, რომ თავიანთი შვილები უვნებელი დაუბრუნდებოდნენ სახლებში.

საინტერესოა ქეთევანის სახე, როგორც ჭეშმარიტი პატრიოტისა. სამშობლოს დღევანდელი დღის რეალური გრძნობა, შექმნილ ვითარებაში პასუხისმგებლობის უკიდურესად ამაღლება, თავისი ხალხისა და სახელმწიფოსადმი რწმენა და სიამაყე, სათნოება, განუზომელი სიკეთე და მხოლოდ სიკეთე, სიკეთით ბოროტების დათრგუნვისა და ალაგმვის ცდა, ყოველივე ამის განსახიერებას წარმოადგენს ქეთევანის როლი რომანში. ქეთევანმა მათხოვარი გერმანელიც შეიბრალა და დამშეულს ლუკმა მისცა. მან კარგად იცოდა, რომ ეს გერმანელი მტერი იყო, მაგრამ მან იგი შეაფასა ადამიანური საწყისებიდან და გულისხმიერება გამოიჩინა მისდამი.

რომანში მძაფრი ფერებითაა დახატული ომის დროინდელი ცხოვრება და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიღარიბე. ამის დამადასტურებლად ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი ეპიზოდი:

"სოსოს მამის ქურქი და ჩექმები მიაქვს სოფელში სიმინდზე გადასაცვლელად. მას ჩატიაც ახლავს. ისინი კარდაკარ დადიან და მუშტარს ეძებენ. ბოლოს მიადგებიან მეზობელი სოფლის მკვიდრს – ბაბილოს ოჯახს. მასპინძელმა მიიპატიჟა სტუმრები ღამის გასათევად და გამოკითხა ვინაობა. ბაბილოს ოჯახმა გაიგო სოსოიასა და ჩატიას გასაჭირი. შეევაჭრა და მორიგდნენ კიდეც. ბაბილო მათ ქურქსა და ჩექმებში ხუთმათმანახევარ სიმინდს აძლევს. დილით ჩატია და სოსო შინ გასამგზავრებლად მოემზადნენ და: "–მოიცადე ბიძია, მოიცა – დე! თქვა ბაბილომ და ისევ მოიფხანა კეფა, მერე ოთახში შევიდა და ცოტა ხანში გამოვიდა აივანზე. თვალები დამიბნელდა: ბაბილოს მკლავზე ქურქი ეკიდა, ხოლო ხელში ჩექმა ეჭირა. დინჯად ჩამოვიდა კიბეზე და ჩემს წინ დადგა. სიტყვის ამოღებას ვერ ვბედავდი, პირი გამშრალი მქონდა და სიკვდილივით მეშინოდა უცებ ტირილი არ წამცდენოდა.

– ა, ბიძია, აგი ჩექმა ! – თქვა და ჩექმა გამომიწოდა. ჩექმა ჩამოვართვი და როგორც იქნა ნერწყვი გადავყლაპე. ჩატია გაშტერებული იდგა და თვალებს აფახულებდა.

– აგი პალტო ! – დააყოლა ბაბილომ და ქურქი კეხზე გადაკიდა.

– აღარ გინდა, ბაბილო ბიძია ? – ვკითხე ჩამწყდარი ხმით.

– აღარ მინდა, ბიძია ! – თქვა ბაბილომ და თავზე ხელი დამადო. აღარ მინდა ბიძია, არც ჩექმა მინდა, არც პალტო, თოფს კი დავიტოვებ, ნაჩუქარია, – თქვა და გაიღიმა.

– რატომ, ბაბილო ბიძია, ძვირია ? – ვთქვი და შევატყვე როგორ დამეღრიტა ქვედა ტუჩი.

– არა, ბიძია, ძვირი როგორაა, მაგრამ აღარ მინდა.

სხვა გზა აღარ მქონდა, შევტრიალდი და კეხიდან ტომრების ჩამოხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სნა დავიწყე.

- რას შვები, ბიჭო? - შეეშინდა ბაბილოს. გაკვირვებულმა მივხედე.

- რას შვები ? - გამიმეორა კითხვა ბაბილომ.

- როგორ რას ვშვები, არ მინდაო რომ თქვი ?

- მერე საპალნეს რაზე ხსნი ვირს ?

- წაიღეთ სიმინდი უკან ! - ვუთხარი მე.

- არა ბიძიკო, არა, მოიკალი ვიღაცამ, მაგი რავა იფიქრე შენ? სიმინდს კი არ გართმევ უკან, სიმინდი რა შავ ქვად მინდა, მაგას ისე გაძლევ - მითხრა ბაბილომ და თმები მომქაჩა".[1]

ზემოთ მოყვანილ ციტატაში არა მარტო ბაბილოს ზნეობრივი, სიკეთით აღვსილი სულიერი სამყარო ჩანს, არამედ გამოკვეთილია ნ. დუმბაძის გმირების ხასიათის ძირითადი განმსაზღვრელი ნიშნებიც. მწერალმა რამდენიმე ნიშნებით გაგვაცნო ბაბილო და მისი მეუღლე კაკანო, რომელთა ოჯახს სხვა ოჯახზე ნაკლები ტრაგედია და გაჭირვება არა აქვს. მაგრამ როცა გაიგეს სოსოიას და ხატიას გასაჭირი ისინი თანაგრძნობით განიმსჭვალენ მათდამი და სიმინდით დატვირთულნი გაისტუმრეს უკან.

ხატია და სოსოიაც გაუდგნენ სოფლის შარაგზას. სოფელი თანდათან იღვიძებდა, საკვამურებიდან აქა - იქ უკვე ამოდიოდა თეთრი კვამლი, მამლები ფრთების დგაფუნითა და ხრინწიანი ხმით აღვიძებდნენ ძილ-გამტკბარ პატრონებს. სოფლიდან რომ გავიდნენ ხატიამ სოსოია შეაჩერა, მან კარგად იცოდა, რომ ხატია უმიზეზოდ და უადგილოდ არაფერს აკეთებდა. იდგა სოსოია ერთ ადგილას გაქვავებულივით და მისჩერებოდა ხატიას. ხატიაც იდგა ერთ ადგილას და დიდხანს, დიდხანს, უცქერდა აღმოსავლეთს.

სურების მთებიდან უზარმაზარი ყვითელი ბაჯაღლო მზე ამოდიოდა.

ხატია რა თქმა უნდა არ ხედავდა მზეს, მაგრამ მის ამოსვლას გრძნობდა. გრძნობდა და თან იმედი ჰქონდა იმისა, რომ იგი მალე იხილავდა მზეს და თვალიც აეხილებოდა. მაგრამ ხატიას მხოლოდ ოცნებაში ჰქონდა მზის ხილვის იმედი, რომელი ოცნებაც მას განუხორციელებელი დარჩა.

---

1 ნ. დუმბაძე, ტ. I, თბ., 1982, გვ. 330

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწარმოებში სოსოია მამალაძე ავტორს გამოყავს, როგორც დადებითი პიროვნება, მაგრამ მის მიერ დაშვებულმა შეცდომამ ნაკლოვანი მხარეც გამოავლინა.

ერთხელ სოსოიას, ხატიას, ბეჟანას და ანატოლის თევზის ჭერისას ვიღაც წვერგაუპარსავი, სახეგარუჯული, თასმიან ქალამნებში და პიჯაკში გამოწყობილი, მხრებზე ჯვარედინად ფალასგადაკიდებული და მკლავზე თოფგადაგდებული კაცი წამოადგება თავზე. ეს კაცი დათიკო ბრიგადირი იყო. დათიკომ უცხო კაცი შენიშნა და იკითხა, თუ ვინ იყო იგი. ბეჟანამაც ღიმილით უპასუხა: ვერ იცანი? სოსოიეს რუსია. ესაა ის რუსი ? თქვა დათიკომ და ანატოლის თვალიერება დაუწყო. დათიკომ ძაან კარგად იცოდა, რომ ქეთევანს ვიღაც რუსი რომ ჰყავდა ოჯახში და ამიტომაც ეჭვიანობდა მათ. ახლა დაინახა თუ არა ეს რუსი შურისძიების გრძნობით აღივსო. დათიკომ რუსული არ იცოდა და მათ შორის თარჯიმნობას სოსოია წევდა. დათიკო იმუქრებოდა თუ ახლავე არ წაეთრევა ქეთოს სახლიდან სუფსას შევღებავ მისი სისხლით. ანატოლის ნათქვამს უკუღმა უთარგმნიდა სოსოია დათიკოს. საქმე იქამდე მივიდა, რომ დათიკომ თოფი ფეხზე შეაყენა ანატოლის მოსაკლავად. ანატოლიმ თოფი დააგდებინა დათიკოს, მაგრამ მან სოსოიეს რუსი მკლავებში მოიქცია და მიწაზე დაანარცხა. ანატოლიმ სახეში შეაფურთხა დათიკოს. დათიკომ კიდევ ერთხელ გააწნა სილა ანატოლის. მას ცხვირიდან სისხლი წაასკდა. ანატოლიმ ახლა სისხლი შეაფურთხა დათიკოს სახეში. დათიკომ იბღავლა და ქამრიდან ხანჯალი ამოიღო. ამასობაში ბეჟანა მივარდა დათიკოს დაკრა ბეჭებზე ხელი და გულაღმა გადააგორა. ბეჟანა დათიკოს ზევიდან დააწვა და ყელზე წვდა ორივე ხელით. დათიკოს სახე გაულურჯდა. უცებ ბეჟანამ ყრუდ დაიკვნესა და გაკვირვებისაგან პირი ღიად დარჩა. დათიკომ იგი დანით სასიკვდილოდ დაჭრა.

როგორც ვხედავთ სოსოიას არასწორმა მოქმედებამ ეს შედეგი გამო-

იყო. იგი ხდება მიზეზი ბექანას მკვლელობისა და ამას თვითონაც აღიარებს: "მე მოვკალი, ბექანა, მე რომ არ გამეხელებია, არაფერს არ იზამდა".[1] მართლაც სოსოიას, რომ სწორად ეთარგმნა დათიკოსათვის ანატოლის სიტყვები ეს მკვლელობა არ მოხდებოდა. ავტორი შემაძრწუნებლად აგვიწერს სიკვდილის პირას მისული ბექანას გამოთხოვების სურათს მეგობრებთან:

"მივდივარ ახლა მე და თქვენ გიტოვებთ ჩემ წილ მზესაც და ჩემ წილ ჰაერსაც, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ. ჩემ წილ მიწას წავიღებ მარტო თან".[2]

ბექანა კვდება. ეს უკიდურესად ტრაგიკული ფაქტია მკითხველისათვის, რადგან იგი ნაწარმოებში გამოჩენისთანავე უაღრესად კეთილი ბუნებით, მაღალი ზნეობრივი სულისკვეთებით, სანიმუშო კაიკაცობით, ბავშვური მიამიტობით, ყოველგვარი სიამისაგან განწმენდილი კეთილშობილებით ყოველ ნაბიჯზე სიყვარულსა და სიმპათიას იმსახურებს. ამას ერთვის სიბრალულის გრძნობა, რასაც ჩვენში მისი ფიზიკური მანკი აღძრავს. მკითხველი თანაგრძნობით იმსჭვალება მისადმი და გულიდან მონაჟონი ცრემლით დასტირის უმანკო სულის ტრაგედიას.

სოსოს, ხატიას და ანატოლის სულიერი ძრწოლა, განცდები იმდენად წრფელი, ბუნებრივი და ერთიანად გადამდებია, რომ მკითხველი როგორი გულქვაც არ უნდა იყოს, მთელი არსებით იძირება სამგლოვიარო განწყობილებაში და უახლოესი ადამიანის უბედურებად განიცდის ბექანას სიკვდილს.

"მე ვხედავ მზეში" არის ერთი პერსონაჟი - დათიკო ბრიგადირი, რომელსაც ავტორი რომანის დასაწყისშივე გვაცნობს. დათიკო სხვებთან ერთად წავიდა ფრონტზე. მაგრამ იგი გზიდან გამოიქცა და დაბრუნდა

---

1 ნ.დუმბაძე, ტ.1, თბ., 1982, გვ.262

2 იქვე, გვ.263

უკან. ერთ საღამოს იგი მოულოდნელად ესტუმრება ქეთოს ოჯახს, საინტერ-ესოა ქეთოსა და დათიკოს დიალოგი, როდესაც დათიკო ეტყვის ქეთევანს შენი გულისთვის დავბრუნდიო, იგი მკაცრად უპასუხებს:

– "შიშის გულისთვის დაბრუნდი, შიშმა დაგაბრუნა ! რად გინდა აბა, თოფი, რას იმალები ტყეში ? რას ელოდები ?

– ქეთო შენ ჭკვიანი ქალი ხარ, აგენის საქმე წასულია ხელიდან...

– ამას ელოდები ?

– მე ყველასთვის მიმიფურთხებია, ვის გულისთვის მოვკვდე, მე არა-ვინ არაფერს მერჩის. ჩემი საქმე მიწის მუშაობაა, სად უნდა წავიდე, სად უნდა დავლპე, რატომ, რისთვის. მე ჩემი სიკვდილით მინდა მოვკვდე და შენთან მინდა სიკვდილი. შენს თავს ვერავინ წამართმევს აწი, გესმ-რება ?... კარგი წავედი და მომკლეს, რა გამოვიდა მერე, რა ვიყავი, ვინ ვიყავი.

– ახლა რა ხარ ? – ჰკითხა მამიდამ; დათიკო ასეთ კითხვას არ ელოდა.

– ახლა... ახლა... პოლიტიკური ფირალი ვარ... თქვა მან ენის ბორძიკით.

– მათხოვარი ხარ შენ, დეზერტირი ! – ვუთხარი და მამიდას მივე-კარი."[1]

როგორც მოყვანილი დიალოგიდან ირკვევა ეს "პოლიტიკური ფირალი" ტყეშია და ელოდება დამპყრობთა გამარჯვებას, რომ ტყიდან გამოვიდეს, დათიკოს ყოველგვარი მოქმედება /დეზერტირობა, ხალხისაგან განდგომა, ქეთოს მიმართ ძალადობა, ანატოლის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყო-ფა, ზეჟანას მკვლელობა../ დასაგმობია. მისი ასეთი მოქმედება მკითხ-ველში ზიზღს იწვევს. ავტორი ცდილობს ყოველგვარი უარყოფითი, მანკი-ერი დაგმოს დათიკოს ხასიათში და დადებითის ნაპერწკალი გააღვივოს.

---

1 ნ.დუმბაძე, ტ.I, თბ.,1982,გვ.213

დათიკომ სიცოცხლე გასწირა და აღიღებული მდინარის ტალღებს გადარჩა უკეთილშობილესი გოგონა ხატია. ამ ეპიზოდს მიმზიდველი ფერებით გვიხატავს მწერალი რომანში.

"ხატიას აბობოქრებული სუფსა მიათრევდა და ვერავინ ბედავდა ამ უძირო სიკვდილში ფეხის შედგმას. მერე ყველამ დავინახეთ, როგორ გადმოვარდა მეორე ნაპირიდან ვიღაც, როგორ გადაეშვა სუფსაში ტანგაუხდელი. ხან მალავდა ტალღა, ხან ისევ გამოაჩენდა, იგი ძლიერი მხარეულით მისდევდა ხატიას. ბოლოს, როგორც იქნა, დაეწია და მხარზე შეიგდო. სკოლამდე ათრია ხატია და ის კაცი სუფსამ. სკოლასთან იმ კაცმა აჯობა მდინარეს, ფორთხვით ამოვიდა ნაპირზე და სილაზე გულაღმა დასვენებულ ხატიას გულზე ყური დაადო, მერე ხელში აიყვანა პატარა ბავშვივით, ბარბაცით შეიყვანა სკოლის ეზოში და მოლზე დაასვენა. მთელი სოფელი გარს შემოეხვია ხატიას და მის გადამრჩენელს. იგი ცალ მუხლზე დაჩოქილი ხელოვნურად ასუნთქებდა ხატიას, მის გვერდით დავიჩოქე. მან ირიბად გამომხედა, ჩემ წინ დათიკო ბრიგადირი იყო. ხმა არ ამოუღია, განაგრძობდა თავის საქმეს დიდხანს და დინჯად."[1]

თითქოს მოვიდა დათიკოსათვის ხსნა და შენდობა, მაგრამ ხალხის სამართალი უმკაცრესია და ურყევი. ხალხმა შერისხა იგი. ტყვიაც არ გაიმეტა მისთვის. დათიკოს წინაშე ეს ბრბო ხალხი, როგორც ერთი, ისე დამუნჯდა. დათიკოს მოქმედებას ამ დიდი განსაცდელის ჟამს შემდეგი სტრიქონებით აგვიწერს მწერალი:

"დათიკო შუა წრეში გავიდა და დადგა, გამხდარი წვერგაუპარსავი, თვალებდასისხლიანებული და ტანსაცმელშემოგლეჯილი. მან ხალხს მოავლო თვალი. მერე ყველას სათითაოდ და ვისაც კი შეხედავდა, ყველა უკან იხევდა. უხერხულად იშმუშნებოდა და თავს ხრიდა. დათიკო იდგა და ელოდა, როდის ამოიღებდა სოფელი ხმას, მაგრამ მისი

---

1 ნ.დუმბაძე, ტ.I,1982 წ.გვ.358

ეროვნული

სოფელი დუმდა, როგორც სამარე. და მე შემეშინდა ამ დუმილის ისე, როგორც ომის დაწყების პირველ დღეს შემეშინდა. დათიკო კიდევ დიდხანს ელოდა, მაგრამ ხალხი დამუნჯდა. მაშინ დათიკომ მოიგლიჯა ქამარზე თასმით დაბმული რევოლვერი, მიწაზე დააგდო და მორჩილად ჩამოუშვა ხელები. ხალხი ისევ დუმდა".[1]

მილიციისა და უშიშროების მუშაკებმა ზურგი შეაქციეს დათიკოს, არ დაიჭირეს იგი - მათ დაარღვიეს საერთო წესი, მაგრამ მწერალი ამართლებს მათ მოქმედებას.

დანაშაული თვით დათიკოს სულშია დამარცხებული, თვით საკუთარი დანაშაულის სიმძიმეშ გატყდიტა დათიკო. ხალხი ურომლისოდაც მას ცხოვრება არ შეუძლია, მოიკვეთს მას. ადამიანები "უხმოდ თითო - თითოდ გადიოდნენ წრიდან და ტოვებდნენ შუა მინდორში ქრისტეს გლახასავით ვედრებად დავარდნილ დათიკოს. მერე მან თვალებზე ხელები აიფარა და ბავშვივით აქვითინდა.

თანასოფლელებს სოსოიამაც მიჰბაძა და ხატიას ჰკითხა:

- შეგიძლია ხატია წამოსვლა ?

- კი შემიძლია, სოსოია ! - მითხრა მან და წამოდგა . ხელი მოვხვიე წელზე და ფრთხილად წავიყვანე ეზოდან. დათიკოს რომ ჩავუარეთ, ხატია გაჩერდა.

დათიკომ ცრემლიანი თვალებით ამოგვხედა.

- რა ვქნა ახლა მე, სოსოია ? - მკითხა მან.

- არ ვიცი, დათიკო!

- არც შენ იცი, ბიჭო? - თავი ჩავღუნე. დათიკო წამოდგა და გზას გახედა. გზაზე არავინ იყო. იგი მთვრალივით გავიდა ეზოდან . ჭიშკართან შეჩერდა და ისევ მკითხა:

- სად წავიდე ახლა მე, სოსოია ? - მე არ ვიცოდი, სად უნდა

---

1 ნ. დუმბაძე, ტ. I, თბ., 1982 წ. გვ. 357

ეროვნული ბიბლიოთეკა

წასულიყო დათიკო და არაფერი არ ვუპასუხე. მაშინ დათიკომ ხელი დაიქნია და წავიდა...

დიდხანს მიდიოდა იგი თავჩაღუნული. გზაჯვარედინთან რომ მივიდა, გაჩერდა ცოტახანს იდგა, მაგრამ ტყისკენ არ გადაუხვია, პირდაპირ დაადგა მთავარ თემშარას და წავიდა, ალბათ თვითონაც არ იცოდა საით... იქ სადაც შორს, საიდანაც დათიკო თვალს მიეფარა, მზე ზანტად ჩადიოდა".[1]

ნაწარმოებიდან ვგებულობთ,რომ დათიკომ შეიგრძნო თავისი დანაშაული ხალხისა და ქვეყნის წინაშე. ამას კი შემდეგი სტრიქონები ადასტურებს:

" გამოდი ვალოდია, და დამიჭირე, ხომ ხარ უშიშროების მუშაკი, გამოდი რას უყურებ დაყრილი მაქვს იარაღი".[2]

როგორც ნაწარმოებიდან ვიცით ვალოდიამ ერთი შეხედა დათიკოს და ეზოდან გავიდა, მასვე მიბაძა ბადრიამაც, ამ შემთხვევაში ისინი ემსგავსებიან ჯარიდან გამოქცეულ დათიკოს ერთი განსხვავებით. დათიკოს ეშინია სიკვდილის, მათ კი საშიში არაფერი გააჩნიათ.

სწორედ უშიშროების თანამშრომლების გულგრილობა გახდა მიზეზი იმისა,რომ ხალხმაც თანაგრძნობა არ გაუწია დათიკოს. ამან კი დათიკო ცხოვრებიდან გარიყა.

დათიკოს მწერალი ზნეობრივად გამართლებულად თვლის მას შემდეგ, რაც მან სიცოცხლე გაწირა და აბობოქრებულ მდინარეს გამოსტაცა ხატიას სიცოცხლე. ხატია ფიზიკურად გადარჩა, დათიკომ კი ზნეობრივად გაიმარჯვა. მწერალი შეწუხებულია დათიკოს ბედით და ამიტომაც ვერ იმეტებს თავის გმირს და მთელი არსებით გვიხმობს: ადამიანი ხელის ერთი მოსმით არ უნდა უარვყოთ და არ მოვკვეთოთ. მასში უნდა გავაღვიძოთ

---

1 ნ. დუმბაძე, ტ. I, თბ:, 1982, გვ. 358

2 იქვე, გვ. 357

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ავამოქმედოთ სიკეთისაკენ მსწრაფველი ინსტიტუტები, სხვისი ბედნიერებისათვის, ბრძოლისა და თავგანწირვის გრძნობა, რაც პოტენციალურად ყოველ ადამიანშია გამჯდარი.

ნოდარ დუმბაძის გმირები უბრალო ადამიანები არიან და ფილოსოფიური კატეგორიებით როდი აზროვნებენ, მაგრამ მათ მოქმედებას გარკვეული აზრობრივი ქვეტექსტიც აქვს. სოსოიაც, ხატიაც, გიჟი ბეჟანაც, მამიდაც, კაკანო და ბაბილოც, კოლმეურნე გლეხკაცებიც, სოფლის მასწავლებლებიც, ერთი სიტყვით, სოფლის ხალხი ულევი სიკეთით არის მდიდარი. ეს სიკეთე როგორც უხილავი ძალა, დვრიტად უდევს ხალხის ცხოვრებას და მისი სულიერი სილამაზის გამოხატულებად იქცევა. სიკეთე ყველაფერზე ძლიერია, მისი ზემოქმედების ძალა აღემატება თავკერძა,გაბოროტებული ადამიანების მოძალებით მიყენებულ ტკივილებს. აქ ავტორი საოცრად თანმიმდევრულია და რაც მთავარია, ბუნებრივი, მართალი. ამიტომ მის გმირებს კეთილი თვალიც აქვთ და ცხოვრებას კეთილი თვალით შეჰყურებენ. სიკეთე და ღიმილი დაჯგუფებულია ნ. დუმბაძის გმირების ბუნებაში და ესაა გასაღები,როგორც მათი ხასიათების,ისე გარემო მოვლენებთან კავშირისა, მთელი სინამდვილის დანახვისა.

ნ. დუმბაძის ნაწარმოებში სიკეთეს არა აქვს რელიგიური დოქტრინის სახე. იგი თვით ხალხის წიაღში შემუშავებული მორალის განუყოფელი ნაწილია, და მის შექმნაში ნაგულისხმევია ჰუმანური ტრადიციები წარსულისა თუ სულიერი მისწრაფებები დღევანდელი საზოგადოებისა, კაცთმოყვარეობის, ზნეობრივი ამაღლებულობის, საყოველთაო მიზნებით გამსჭვალვის და ეგოცენტრულ მიდრეკილებათა დათრგუნვის პრინციპები."[1]

ომისდროინდელი სოფლის ცხოვრება ბრწყინვალედ გადმოგვცა ნოდარ დუმბაძემ თავის შესანიშნავ მოთხრობაში "ნუ გააღვიძებ".

---

1 გ. ხუხაშვილი, ლიტერატურული წერილები, თბ., 1970 გვ. 97

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნ.დუმბაძის ამ ნაწარმოებში ნაჩვენებია ის გაჭირვება და სიდუხჭირე,რაც მეორე მსოფლიო ომმა მოუტანა ხალხს.

უჭირს ქვეყანას, უჭირს გურულ სოფელს, უჭირს სუფსის ჭალაში მიმოფანტულ მოსახლეობას.

ომმა აუწერელი გაჭირვება დაატეხა თავზე ხალხს. ფრონტის ხაზზე მყოფი ჯარისკაცი სისხლის ზღვაში მიცურავდა, შინ დარჩენილები კი შიმშილით იხოცებოდნენ. მიუხედავად ამისა დიდი და პატარა თავდაუზოგავად შრომობდა. შრომობდა რათა მეომრებისათვის ზურგი გაემაგრებინა და თავისი თავიც ერჩინა. მიუხედავად ტიტანური შრომისა სოფელი მაინც დამშეული იყო.

დამშეული სოფლის ასეთი უბადრუკი ცხოვრება გულშემზარავადაა ნაჩვენები ნოდარ დუმბაძის მოთხრობაში" ნუ გააღვიძებ".

ნაწარმოებში მოქმედ პირად გამოჰყავს ავტორს ჯოკონდა მასწავლებელი, რომელმაც კარგად იცის,რომ გაჭირვება ადამიანური ცხოვრების თანამგზავრია. ამიტომაცაა ადამიანურად, თანატოლივით, გულთბილად, სათუთად და ალერსიანად რომ ეპყრობა პატარა ადამიანებს. მისი გამოჩენა კლასში შემდეგი სტრიქონებით აქვს გადმოცემული ავტორს:

"არც გამარჯობა უთქვამს ჯოკონდა მასწავლებელს, არც დაჯექითო, არც სია ამოუკითხავს. მივიდა მაგიდასთან, ზედ ჟურნალი დააგდო,სკამი აიღო, ბუხართან მივიდა, მიგვწი-მოგვწია, დაჯდა და გათოშილი ხელები ცეცხლს მიუშვირა.

-"რას შვებით, ბავშვებო, გცივათ ? - გვკითხა, ცოტა რომ მოთბა მერე.

- გვცივა მასწ !

- რამდენი ხართ ?

- თექვსმეტიდან რვა ვიყავით.

- ნახევარი, მასწ!

ეროვნული ბიბლიოთეკა



- ცოტაა ! - გააქნია თავი".[1]

ჯოკონდა მასწავლებელი ამის შემდეგ შეუდგა გაკვეთილის მსვლელობას. მან ეგნატე ნინოშვილის მოთხრობა "განკარგულება" წაუკითხა ბავშვებს და ამ ნაწარმოების საშუალებით მოსწავლეები ჩაახედა გმირის უბედურებაში. მოთხრობის გაცნობის შემდეგ მოსწავლეებს ადვილად მოეჩვენათ თავიანთი მდგომარეობა და მომავლის იმედიც მიეცათ. სწორედ მიტომაც არის, ერთ-ერთი შეგირდი, რომ აცხადებს: "ცოტა იმედი მომეცა თურმე ჩვენზე გაჭირვებული ხალხი ყოფილა ქვეყანაზეო."[2]

გაჭირვება და სიღატაკე განუყოფელი თანამგზავრია მოთხრობის გმირებისა. ეს ყველაფერი დრომ მოიტანა. დრომ, რომლის შეცვლა აუცილებელია მშვიდობიანი ცხოვრებისათვის. ყველას უჭირდა, მაგრამ არაერთნაირად. საერთო გასაჭირი კი სისხლიანი ომი იყო.

ზოგი ოჯახი ძაძებში გაახვია ომმა. ზოგს არც შავი სუდარა აკმარა და არც შიმშილი. ხალხი იძულებული იყო უკანასკნელი რაც გააჩნდა ის გაეყიდა ლუკმა პურისათვის. ამის ნათელი დადასტურებაა მოთხრობაში მოყვანილი ერთი მომენტი:

"კვირა დღე იყო. მარჩენალი ძროხა გამოეყვანა კუკურის ბაზარზე და ყიდდა. გვერდით, გაცრეცილი, ლურჯ კაბაში გამოწყობილი თავისი ფეხშიშველა დაი ნათელა ედგა. კი არ ედგა, ორთავე ჭადრის ძირში დაგორებულ ქვებზე ისხდნენ, დიდზე-კუკურა, უფრო მომცროზე - ნათელა.[3]

გაჭირვებამ გამოაყვანინა კუკურას და მის დას, ნათელას მარჩენალი ძროხა გასაყიდად ბაზარზე. მაგრამ დამშეული სოფლის ამ უბადრუკ ბაზარზე მყიდველიც არ ჩანდა. ბინდდება, სიცივე მძლავრობს. ბო-

---

1 ნ.დუმბაძე, ათი მოთხრობა, თბ., 1977, გვ. 11

2 იქვე, გვ. 116

3 ნ.დუმბაძე, ათი მოთხრობა, თბ., 1977, გვ. 107

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლის ანანია ნიშლაძე გამოჩნდა ფეხზე წამოუდგა კუკური, ფასი გააგე-
ბინა - სამი ათასი. ორი ათას რვაასზე მორიგდნენ. ანანიამ ძროხა
ახსნა და იქვე მდგარ გლეხს გამოელაპარაკა.

- რამდენ კაცს ჩამოიარს, თუ იცი კაკაკია ?

- კაცს გააჩნია, ანანია ბატონო.

- დღეს 10 კაცი ნადი მყავს და ხვალ სამოცი - სახლის გადახურ-
ვაზე.

- გაუჭირდება, ბატონო.

- გოჭს და ინდაურს მივახმარ.

- მაშინ, იცოცხლე, გეყოფა.

კუკურას ნესტოები დაებერა. ტუჩები გაუფითრდა: რას ბრძანებ,
ბატონო, ამის დაკვლა ვინ გაიგონა? ა, ბატონო, თქვენი ფული, მიჭირს
თვარა ?...

- გაგიჟდი ბიჭო, რალა დროს პირის შეშლაა!

- კუკურამ ფრთხილად გამოართვა ბაწარი ანანიას, ჯიბეში ფული
ჩაუკუჭ ა და ნათელას მიუბრუნდა:

- წაიყვანე, გოგო, სახლში აგი ძროხა !

- სამი ათასი მანეთი ! - თქვა ანანიამ.

- წაიყვანე, გოგო!

- სამი ათას ორასი...

- რას ამბობ, ანანია ბატონო - გაიღიმა კუკურამ.

- სამი ათას ხუთასი ბიჭო! გაიმეორა ანანიამ, ნათელა გაჩერდა
და ძმას შეხედა თვალებში. კუკური გაშრა. ჯერ ნათელას შეხედა შიშ-
ველ ფეხებზე, მერე - ფულს, მერე - ანანიას და მერე ძროხას.
ერთხანს ასე იდგა. ხალხი გატრუნული უცქეროდა საოცარ სანახაობას.

- წადი, ძროხა, შინ ! - ახლა ძროხას გაუჯავრდა კუკური და
საქონელს უკან გაყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



1942 წლის გაზაფხულზე მოხდა ეს ამბავი".[1]

ზემოთ მოყვანილი სტრიქონებიდან ვგებულობთ, რომ კუკურას დიდი სურვილი აქვს გაყიდოს მარჩენალი ძროხა, რათა დროებით აიცილოს შიმშილი. მაგრამ იგი ძროხის დაკვლის წინააღმდეგია. როცა გაიგებს, რომ ანანიას ძროხა ნადიისთვის უნდა დასაკლავად, მაშინ მას თავისი სიღარიბე ავიწყდება და მიუხედავად დიდძალი თანხის მიცემისა იგი უბრუნებს აღებულ თანხას ანანიას და ძროხა კი ისევ უკან მიჰყავს სახლში.

აქ კი ყველაფერია ნათქვამი დამშეული, გატანჯული სულის საცოდაობაც და დიდი ადამიანურობის გამარჯვებაც. ფაქიზად არის ერთმანეთთან შედარებული სიმდიდრისა და სიღარიბის მარადიული ჭიდილი, ზნეობრივი ქცევის ალგებრა. ჰუმანურობის მერყეობა ბოროტებისა და სიკეთის საზღვარზე და რაც ფრიად მნიშვნელოვანია, ნოდარ დუმბაძის მოთხრობებში საბოლოოდ ყველაფერი სიკეთის სასარგებლოდ მთავრდება. ეს არის მწერლისეული პოზიცია, მკვიდრი "ესთეტიკური და იდეოლოგიური კრედო. ეს არის დამკვიდრების პათოსი.[2]

როგორც ვხედავთ კუკურასა და ანანიას სახით დაპირისპირებულია სიღარიბე და სიმდიდრე ერთმანეთთან. საშინელი ომის დროს, მაშინ როცა შიმშილით იხოცებიან ადამიანები, ანანიას სახლის მშენებლობისთვის მოუკიდია ხელი, მას იმდენი საშუალება გააჩნია, რომ ყოველდღე შეუძლია ნადის დაპურება. კუკურა კი იძულებულია ერთადერთი მარჩენალი ძროხა გაყიდოს ლუკმა პურისთვის.

კუკურასავით ღარიბი ადამიანები თავიანთი ტიტანური შრომით უმკლავდებოდნენ სამამულო ომით გამოწვეულ შიმშილს, მაგრამ მათი დამშეული, პატიოსანი ცხოვრება ბევრად სჯობდა ანანიასთანების ნებივრობით

---

1 ნ. დუმბაძე, ათი მოთხრობა, თბ., 1977, გვ. 108-109.

2 ბორის მირცხულავა, მწერლის ზნეობრივი იდეალი, ჟურნ. ცისკარი, N11, 1978, გვ. 130.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფას. ხალხის სიღარიბისა და გაჭირვების მიზეზი კი ომი იყო,რომელიც ქარიშხალივით მძვინვარებდა იმ დროს.

მნიშვნელოვანია ნოდარ დუმბაძის მოთხრობა "ძაღლი". ამ ნაწარმოებში მოთხრობილი ამბავი მეორე მსოფლიო ომის დროს მოხდა. აქ მთელი სიმძაფრითაა ნაჩვენები ომის სუსხის მიღწევა სოფელში.

ნაწარმოებში მოქმედ პირად გამოჰყავს ავტორის ბაბუა სპირიდონი.

სპირიდონი პატიოსანი მშრომელი გლეხია. მან ფრონტზე თავისი ერთადერთი შვილი გაგზავნა. თვითონ კი პატარა შვილიშვილის - გოგიტას ამარა დარჩა ოჯახში. უჭირს სოფელს, უჭირს სპირიდონის ოჯახს. აი, უკვე უკანასკნელი სიმინდი დაამთავრა სპირიდონმა, აწი რაღა ქნას. იგი მაინც არ ეძლევა სასოწარკვეთილებას და იმედის თვალით უყურებს მომავალს. სპირიდონი ყოველდღე შვილის მოლოდინშია. ამ მოლოდინის სიხარულით ალამებს და ათენებს ომში წასული შვილის მამა.მას არც შიმშილის ეშინია და არც სიკვდილის ოღონდ შვილი დაუბრუნდეს ფრონტიდან ცოცხალი.

მოთხრობაში მთელი სიმძიმით გვიჩვენებს ავტორი ომისდროინდელი სოფლის სიღარიბეს. ყოველივე ამას შემდეგი სტრიქონებით გვიხატავს მწერალი: "1941 წლის 25 აგვისტოსათვის ყველაფერი გაგვითავდა.ბაბუაჩემმა განჯიდან თავზე ტაროს ნაქურჩელით დაცოზილი, მისი ღვიძლის მომნელებელი, არყით სავსე ათლიტრიანი ბოცა გამომატანინა და მითხრა: ჩადგი გოდორში, წაიღე ჩოხატაურის ბაზარში და ერთ ფუთ სიმინდში გადაცვალე... მერე სევდიანი თვალი გააყოლა ბოცას, ამოიოხრა და ხელით მანიშნა წადიო".[1]

ასეთ გასაჭირში იყო არა მარტო სპირიდონის ოჯახი არამედ მთელი სოფელი. სპირიდონს სიღარიბეში და შვილის მოლოდინში აღმოხდა სული. აი,როგორი სიტყვებით მიმართავს მომაკვდავი სპირიდონი თავის შვი-

---

1 ნ. დუმბაძე, მზე, თბ.,1974,გვ.61

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღიმშვილს - გოგიტას: "ეს ოდა არ მიმიტოვო, ბაბუა და ლადარი არ გამიციო. ცეცხლი, ერთი ნატეხი მჭადი და ერთი ჭიქა ღვინო დაახვედრე მამაშენს: დანარჩენს თვითონ მიხედავს,რომ ჩამოვა. ეს ერთი კვირაა, ვინც ამ ქვეყნიდან წასულია ყველას ვხედავ სიზმარში. მამაშენი არ გამოჩენილა, ცოცხალია ესეიგი. შეუნახე სახლი და სახელი, ნუ გაახარებ მტერს, უეჭველად დაბრუნდება, წელს თუ არა გაისად. ომსაც აქვს დასასრული. კაცი იწყებს ომს და კაცმა უნდა დაამთავროს იგი. ომი კაცს ვერ გაათავებს."[1]

გოგიტას მამა ფრონტზე დაეღუპა. ბაბუაც მოუკვდა, მაგრამ მოთხრობის ფინალი მაინც იმედით არის სავსე, რადგან სიცოცხლე მარადიულია და ამას მწერალი მისთვის ჩვეული საოცარი ძალითა და ტაქტით, ყოველგვარი ხმამაღალი სიტყვის გარეშე ახერხებს.

"სოფელს გავხედე, ოდებიდან კვამლი ამოდიოდა თეთრ ბოლქვებად. მამლები ყიოდნენ, ძროხები ბღაოდნენ, თხები პეტელობდნენ, თიკნები კიკინებდნენ, ქათმები კრიახობდნენ, კონცხოულაზე უშველებელი მზე შემომდგარიყო... უცებ სხეული სითბოთი ამევსო და ყურებში სასიამოვნო ზარმა დარეკა."[2]

ამ ნაწარმოებში შესანიშნავადაა მოთხრობილი ცხოვრება უპატრონო ქალისა,რომელიც მეზუფეტემ დამდუღრა აქაფებული წყლით მოხუცმა კი უპატრონა და მოარჩინა. სიკვდილსაც მოხუცმა გადაარჩინა,წინაღუდგა სოფელს, ქალი რომ ეხსნა. მოხუცის სიკვდილის დღეს კი "ფართოდ გაღებულ ჭიშკარში ხოზიკით გაწკეპილი, წითელ აღიზა ტალახში ამოსვრილი, გაბანჯგლული, დაქანცული, ყურებჩამოყრილი და თავჩაქინდრული ძაღლი შემოვიდა...ბაბუას საწოლ ოთახში შევიდა და ცარიელ საწოლს დახედა, მერე ზაღაში გამოვიდა. ტახტზე დასვენებულ კუზოს მიადგა.

---

1 ნ.დუმბაძე, მზე, თბ.,1974,გვ.73

2 იქვე,გვ.88

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანა ფეხებზე შედგა, წინა თათები ტახტს დააბჯინა, კისერი წაიგრძ-ელა და ბაბუას დახედა.[1]

ეს ზნეობრივი დისციპლინა რომ არ ყოფილიყო ადამიანისა და ძაღ-ლის ურთიერთობაში საშინელი ანარქია იქნებოდა და არა ერთიანობა.

ნოდარ დუმბაძე ცხოვრებას იმედიანი თვალით უყურებს და სწორედ ამაშია მისი შემოქმედების ძალა და მშვენიერება. მისი სიყვარულით სავსე გულის ფეთქვა ძლიერად ისმის ყოველი მოთხრობიდან თუ რომანი-დან, საოცარი გადამდები თრთოლვით ავსებს მათ და ადამიანებს ჭირთა-თმენისაკენ, ტკივილთა დაძლევისაკენ, თანაგრძნობისა და თანადგომისა-კენ მოუწოდებს. მწერლისათვის სიცოცხლე, მთელი თავისი ავკარგით დიდ-ებულია, ალტაცების ღირსია და ამ ბედნიერი განცდის თანაზიარს გვხდის ჩვენც, მის მადლიერ მკითხველებს."[2]

ომის რკალში მოქცეული სოფლის ცხოვრება გვიჩვენა რევაზ ჯაფარი-ძემ თავის რომანში "ჯარისკაცის ქვრივი".

რევაზ ჯაფარიძე გახლავთ სწორედ ის მწერალი, რომელმაც თავისი თვალით იხილა ომის საშინელება. მას არაერთგზის უნახავს სისხლში ჩაძირული გმირი მებრძოლი,რომელიც უკანასკნელად გმინავდა და დედას იხმობდა საშველად, მაგრამ დედა არსაიდან ჩანდა. ვინ იცის რამდენი დაიკარგა უგზო-უკვლოდ, უსაფლაოდ. სამშობლო მსხვერპლს ითხოვდა, ამ სამსხვერპლოზე კი გმირები სანთელივით იწვოდნენ მამულისათვის. სწო-რედ ასეთ მამულიშვილთა პლეადას ეკუთვნის რევაზ ჯაფარიძე. იგი თა-ვის სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული გახლავთ და მუდამ მზადაა თავი-სი სიცოცხლე მამულის სამსვხერპლოზე ზვარაკად მოიტანოს.

რევაზ ჯაფარიძე რეალისტი მწერალია - მისი შემოქმედება ცხო-ვრების უტყუარი სარკეა. ასე იყო ომის დროსაც. მან მხატვრულ ტილოზე

---

1 ნ.დუმბაძე, მზე,თბ.,1974,გვ.73

2 გ.გვერდწითელი, ახალი ჰორიზონტი თუ ძველის, თბ.,1976 გვ.26

ელექტრონული ბიბლიოთეკა

გადმოიტანა იქ ნახული და განცდილი.

რევაზ ჯაფარიძემ რეალისტის თვალით აღწერა ომისდროინდელი ქართული სოფლის ცხოვრებაც.

რომანში "ჯარისკაცის ქვრივი" - საბოლოოდ ჩამოყალიბდა რევაზ ჯაფარიძის ორიგინალური სამწერლო სტილი. ნაწარმოებში ნათლად ჩანს მწერლის თავისებური დამოკიდებულება სინამდვილისადმი. იგი ყოველთვის ბუნებრივია, სადა და მართალი. ყოველთვის ღრმადაა დარწმუნებული იმაში, რასაც წერს და მკითხველს იმასვე ეუბნება რასაც თავისთვის იტყოდა.

ნაწარმოების დასაწყისში ვეცნობით სპირიდონ ყანჩაველს. სპირიდონმა თავისი ცხოვრება გაჭირვებაში გაიარა. იგი ათას ცხრაას თექვსმეტ წელს გერმანიის ფრონტიდან დაბრუნდა წვივზე ტყვია გაყრილი. მის ძმას ცოლი მოეყვანა და მთელ მამისეულ ქონებას დაპატრონებოდა. ომიდან ჩამოსული ძმა მიიღო ძმამ და რძალმა ოჯახში. დედ-მამა რომ მოიკითხა სპირიდონმა გაიგო, რომ მეუღლის დაჟინებული მოთხოვნით ძმას ისინი წაეყვანა სოფლიდან ხუთი კილომეტრის მოშორებით მდებარე ყანჩაველების ახოში და იქ საბძელში დაესახლებინა. სპირიდონმა ბოღმა გულში ჩაიკლა და ცხოვრების ახლებურად აწყობას შეუდგა. იგი მალე დაქორწინდა. ქონებითაც მოღონიერდა დოვლათიც და სიხარულიც შეემატა. მშობლებს ეყოლათ ერთი ქალიშვილი ხათუნა. ხათუნა მალე წამოიჩიტა და ერთ მშვენიერ დღეს ოჯახს სიძე შეემატა შალიკო მინდელის სახით. ყანჩაველს შეეძინა შვილიშვილები და სიხარულს სიხარული ემატებოდა. მაგრამ ხელახლა ატეხილმა მეორე მსოფლიო ომმა ცოლ-შვილის პატრონი მინდელი ოჯახს მოაცილა და აგუზგუზებული ცეცხლის გეენიაში გადასტყორცნა. სიძის ფრონტზე წასვლის შემდეგ სპირიდონმა წვრილშვილის პატრონი ხათუნა მინდელი სახლში წამოიყვანა და იქ უვლიდა.

"რომანში გამოყვანილი ხათუნა მინდელი სულით მდიდარი ადამიანია, არა მარტო პატიოსანი სიტყვის პატრონი, ჯიუტად დამცველიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი მიწაზე მტკიცედ მდგარი ქალია, რომელსაც შეუძლია, თავის ქალურ ვნებას, შეურყეველი სიკერპითა და მოთმინებით მოერიოს, სძლიოს თავის თავში აგიზგიზებულ ამ ცეცხლს და სულხორციანად სპეტაკი დარჩეს, მხოლოდ წვრილშვილის კეთილდღეობას დაახარჯოს თავისი წუთისოფელი."[1]

ომის მეოთხე წელს ადრიან გაზაფხულზე მოვიდა მინდელის დაღუპვის ამბავი. ამის შემდეგ ხათუნა მინდელმა გადაწყვიტა თავის ქმრის სოფელში საკაურაში დაბრუნება. ამ გადაწყვეტილებას სპირიდონი გულცივად შეხვდა და ქალიშვილს მიმართა: "ჩემი დაქცევა მოგიწადინებია და იყოს ისე, რავარც შენ გინდა. ღმერთმა ხომ უწყის, გლახა არაფერი მიმიძღვის არც შვილთან, არც სხვასთან...მე ვიცი რაზეც მემართება ეს, მაგრამ რა გაეწყობა. ოო, თქვე სულძაღლებო - ხელები აღაპყრო და პალატის გამსჭვარტლულ ჭერს შეჰხედა სპირიდონმა, - მეყო! მეყო! საფლავიდანაც აღარ მასვენებთ? რა დავაშავე ამის ფასი! თქვენ თვითონ გადამაგდეთ გზაშარაზე, თქვენ თვითონ მიჰკერძეთ ჩემს დამღუპველ ძმას, სპირიდონი მაინც ვეღარ მოითქვამს სულსო, და ახლა პასუხს ჩემგან ითხოვთ? წადით და იმას მოსთხოვეთ პასუხი, თქვე სულძაღლებო, მე რას მემართლებით".[2]

სპირიდონ ყანჩაველი დიდხანს ერკინებოდა არარსებულს, დიდხანს აზრალებდა თავს და სამართლიანობის აღდგენას მოითხოვდა, მაგრამ მისი მოქმედება მიზანს არ ხვდებოდა. სპირიდონ ყანჩაველს იმდენი უნდა ემოქმედა, რომ ორიოდე თვით მაინც გადადებულიყო ხათუნას გამგზავრება საკაურაში. იგი ფიქრობდა, თუ ეს მოვახერხე, შეიძლება ხათუნამ შემდეგ გადაიფიქროს სახლიდან წასვლაო. სხვათაშორის მას იმედიც იმისი ჰქონდა, რომ შემოდგომა გაივლევა და თუ ზამთარიც ნაადრევად გვესტუმრა, მერე ზამთარში რომელი უგუნური დაადგება გზას სამი უმწიფარი ბავშვითო.

---

1 აკაკი გეწაძე, მწერლის შუადღე, ჟურნ. ცისკარი 1969, გვ. 109, N2

2 რ. ჯაფარიძე, "ჯარისკაცის ქვრივი", 1988, გვ. 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპირიდონის ჩანაფიქრს თანდათანობით საძირკველი ერყეოდა. სოფელში ვიღაცამ ამბავი ჩამოიტანა წიფლისწყაროდან - საკაურაში ახალ დიდ ვენახს აშენებენ და, ზვარი რომ განლეჯნაგლეჯად არ გაიფანტოს, ოცდაერთ მოსახლეს აყრას და ადგილის მონაცვლეობას უპირებენო. ამნაირი ამბები სხვა სოფლებშიც ხდებოდა და რა თქმა უნდა დაუჯერებელი არაფერი იყო. სპირიდონ ყანჩაველს ეს ამბავი გაუხარდა. გაეხარდა იმიტომ, რომ თუ უპატრონოდ დარჩენილი შალიკო მინდელის სახლს შეეხებოდა ასახლება, მაშინ ხათუნა მამის ოჯახიდან ვერსად ვერ წავიდოდა და ყანჩაველსაც მიზანი ახდენილი ექნებოდა. მაგრამ მთავარი ის იყო, თუ როგორ შეხვდებოდა ხათუნა ამ ამბავს. ხათუნა მინდელი სხვისი აზრების დამყრდნობი ქალი არასოდეს ყოფილა. მას ყოველთვის საკუთარი აზრი ჰკვებავდა და საკუთარი გულის კარნახი მისთვის კანონი იყო. მაგრამ როგორც იტყვიან ცდა ბედის მონახევრეაო და სპირიდონ ყანჩაველიც ყოველმხრივ ცდილობდა შვილისთვის გზა გადაელობა მაგრამ ამაოდ. ხათუნას გადაწყვეტილება მტკიცე იყო და შესრულებას ექვემდებარებოდა, მან გადაჭრით უპასუხა სპირიდონს:

"მე რომ კარგი ქალი ვყოფილიყავი, თავიდანვე არ უნდა მომეცადა ფეხი, მაგრამ რა მექნა, საშველი აღარ მომეცა გამიშვი ახლა ჩემს გზაზე. რაც შემწეობა გაგვიწიე არც მე ჩაგიყრი წყალში, არც ესენი და არც ის, თუ ელირსა კიდევ თავის სახლში ფეხის შემოდგმა."[1]

მიუხედავად მამის წინააღმდეგობისა, ხათუნა მინდელმა ფრონტზე დაღუპული ქმრის კერა არ გააცივა, მიატოვა მამის ოჯახი და სამი მცირეწლოვანი შვილით შალიკო მინდელის კარმიდამოს დაუბრუნდა. ეს უბრალო და ჩვეულებრივი ამბავი მხატვრული ლირებულების ლიტერატურულ ფაქტად შეიძლებოდა გადაქცეულიყო მის სიღრმეში ჩაწვდომით, ყველა იმ წინააღმდეგობის გამოაშკარავებით, რაც ქალს გზაზე ეღობებოდა.

სპირიდონ ყანჩაველი თავისებურად მართალი იყო. მას სავსე ოჯახი ჰქონდა და მემკვიდრე კი არ ჰყავდა. მას სურდა მემკვიდრეობა მიეცა

---

1 რ. ჯაფარიძე, ჯარისკაცის ქვრივი, თბ., 1988, გვ. 16

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურიასათვის, მინდელის უფროსი ვაჟისათვის და ის ეხილა თავისი ავლა-დიდების პატრონად.

სპირიდონ ყანჩაველი დაკვირვებული კაცი იყო. იგი ხედავდა, გაუძნელდებოდა ხათუნას ოჯახის მეთაურობა, სახლ-კარის სათანადოდ მოწყობა და ყოველივე ოჯახური დავიდარაბის ტვირთვა. სწორედ ეს იყო სპირიდონის წინააღმდეგობის მიზეზი.

სპირიდონმა დახმარებისათვის მიმართა პაპუნას, ხათუნას ნათლიას. შეიძლება პაპუნამ გადაათქმევინოს ხათუნას საკაურაში დაბრუნებაო. მაგრამ ამაოდ.

ხათუნა მინდელს არ სურდა შალიკოს სახელი წაეშალა და შვილები მამის კერას მოეცილებინა. მის მტკიცე გადაწყვეტილებაში გამოჩნდა ქართველი ქალის სისპეტაკე, გამბედაობა და ქმრისადმი ღრმა სიყვარული. ხათუნას კარგად ჰქონდა შეგნებული, თუ რა სიძნელეების გადატანა მოუხდებოდა ქვრივ ქალს, მაგრამ უშიშრად გადადგა მან ეს სახიფათო ნაბიჯი.

ცივ ზამთარში, თავის პატარა ბიჭების თანხლებით, ხათუნა საკაურაში ჩავიდა და მინდელის გაპარტახებულ ეზოსა და სანახევროდ მინგრეულ სახლში დაბინავდა.

უპატრონოდ მიტოვებულ სახლ-კარში კარგა დაღამებამდე დაეხეტებოდნენ ზურია და ხათუნა, რათა ცეცხლის დასანთები ეპოვათ რაიმე. ზურია ყოველნაირად ცდილობდა რითიმე დახმარებოდა დედას. მან იმ დღეს პირველად იგრძნო, რომ ცხოვრება სრულებითაც არ მოეწყობოდა ისე, როგორც წამოსვლის წინ ეგონა. გაჭირვების მთელი სიმძიმის ატანა არ შეეძლო ხათუნა მინდელს. ზურიას კი ეს ყველაფერი შეგნებული ჰქონდა, მაგრამ თავისი მცირეწლოვანების გამო დახმარების გაწევა არ შეეძლო დედისათვის.

ავტორი ნაწარმოებში საინტერესო დეტალებით ხსნის ხათუნას

ეროვნული ბიბლიოთეკა



განწყობილებას. ხათუნამ ბავშვები დააძინა. მას სურს ცხარე ცრემლით განბანოს ყოველი ნივთი, ყოველი საგანი. სასურველია მოვიყვანოთ ქვრივი დედის განწყობილების გამხსნელი დეტალი:

"შალიკოს ქამარი". თბილისიდან ჩამოუტანა ეგნატემ, ჯარში მეორე ქამარი გაიყოლა, როდესაც დავბრუნდები, ისევ ამას შემოვირტყამო. აბზინდი გამწვანებულა. შესაბნევი ამოზნექილია. ამაში როგორ ეტეოდა წელი იმოდენა ვაჟკაცს ! წასვლის წინ აქამდე ისკვნიდა. გაშაფხულზე ცოტა ხორცი ჩამოყარა, ენაცვალოს ხათუნა...

"ეს მაღალფეხებიანი სასიმისებიც ეგნატეს მოტანილია. ქორწილში მოგვართვა".[1]

აქვე ჩნდება მოუხარშავი წითელი ლობიოთი სავსე ფრიალა თეფში. ლობიოს ჭიპიან მარცვლებზე ყლორტები წამოსულიყო, მაგრამ ყინვას მოესწრო და უდღეური მცენარის ყვითელი სახსრები იქვე გაეყინა.

ეს ნაადრევად მოყინული ყლორტები ბევრ რამეს მიგვანიშნებს.ასე ნაადრევად მოუსწრაფა სიცოცხლე ომმა შალიკო მინდელს. ხათუნა მინდელი გაოცებით აშტერდება იმ ყლორტებს და ეშინია. ეს დედის შიშიც არის, შვილების ბედზე ჩაფიქრებული დედის შიში. ეშინია ყველა დედას და ხათუნასაც ეშინია. ავტორმა საოცარი სიზუსტით მოახერხა მიტოვებული კარ-მიდამოს აღწერა. იმდენად ჩაგვაფიქრა, რომ მისი გმირების განწყობილება ჩვენც გადმოგვდო და მისი ჭირის მოზიარე გაგვხადა.

მწერალი დიდი სიყვარულითა და სითბოთი აგვიწერს პატარა შალვასა პალიკოსა და ზურას ცხოვრებას, მათ ბალღურ ცელქობას და სიკისკასეს, მათ სიხარულსა და წყენას, გასაჭირსა და დალხინებას.

პატარებს შორის ყველაზე უფროსი ზურია იყო. მაგრამ ზურიას ჯერჯერობით არ შეეძლო ოჯახის წარმართვა. ცხოვრებას ათასნაირი გასაჭირი მოჰქონდა ყველას ოჯახში და მითუმეტეს შალიკო მინდელის ოჯახში. უპატრონოდ დარჩენილი ოჯახის წელში გამართვა სახუმარო ამბავს არ

---

1 რ. ჯაფარიძე, ჯარისკაცის ქვრივი,1988,გვ.73

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოადგენდა. ზურიას როლი ოჯახში კი დიდი ძალა იყო. ზურიამ მამის, შალიკო მინდელის, როლი უნდა შეესრულებინა საკუთარ სახლში. ხათუნა მინდელს ქაპანის გაწევაში უნდა მოხმარებოდა. ზურია ვაჟკაცურად გამოიყურება გაჭირვების დროს. მან კარგად იცის თუ რა აზრით წამოვიდა დედა - ხათუნა მინდელი ბაბუა - სპირიდონ ყანჩაველის ოჯახიდან. ზურიას ისიც კარგად გაეგება, თუ რატომ არ უნდოდა ბაბუას მათი საკაურაში გამგზავრება. მიუხედავად ბავშვური ასაკისა ზურია გვერდით ამოუდგება დედას და ეხმარება ყოველგვარი საქმის ოჯახის საკეთილდღეოდ გაკეთებაში.

ზურიამ იცის თუ რა ნაწყენი დატოვა ბაბუა სპირიდონი დედამისმა. მაგრამ ისიც გაეგება მინდელის უფროს ვაჟიშვილს, რომ ფრონტზე დაღუპული ვაჟკაცის ოჯახის აღდგენა აუცილებელი იყო. და ეს ვის უნდა გაეკეთებინა გარდა მეუღლისა და შვილებისა. ამ მიზნითაა ზურია შეპყრობილი და ყოველმხრივ ცდილობს დედას ასიამოვნოს და უერთგულოს მას.

შალიკო მინდელის ქვრივი იმდენად ამაღლებული პიროვნებაა, რომ თითქმის ერთნაირად უგებს დიდსა და პატარას. მას დიდი იმედი აქვს თავისი ზურიკოსი, რომელიც დედას არამარტო ბავშვების აღზრდაში ეხმარება, არამედ დედის მაიმედებელი ძალაცაა. ამიტომაა, რომ ხათუნა მინდელი იმედს არ კარგავს, მას მომავლის რწმენა გააჩნია. ხათუნამ იცის თავისი წმინდათაწმინდა მოვალეობა, რომ აღუზარდოს სამშობლოს პატიოსანი და პატრიოტი შვილები. ამ აზრით შეპყრობილი დედა თავის უფროს შვილს ზურიას შესციცინებს, ზურიაც მზადაა გააკეთოს გასაკეთებელი და პირველი მამაკაცური საქმე ზურიას მიერ გაკეთებული იყო ის, რომ მან შეშით დატვირთული მარხილი მოაყენა ჭიშკარს. ხათუნას ბედნიერებას შუქი ჩაუდგა თვალებში. ზურია ოჯახის უფროსობას ირჩემებდა. ხათუნას კიდევ უფრო გაუღვივდა იმედის ნაპერწკალი და ცხოვრების ხალისი მიეცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმრის მოგონება ხათუნას უზენაეს სალოცავად გადაქცევია და შვილები სანთლად უნთია. მაგრამ შვილებზე მისი ზრუნვა მხოლოდ და მხოლოდ დედური გრძნობა როდია /ასეთი გრძნობა ყველა მხეცსა და პირუტყვსაც აქვს/. იგი განსჭვალულია პასუხისმგებლობით ქვეყნის წინაშე და ეს სულდიდობა, ეს შეგნება აცისკროვნებს მის მოწამებრიობას და გვემა თავგანწირვას. ჩვენ არ ვიცით შალვა მინდელი ფრონტზე გმირულად დაეცა თუ არა, მაგრამ ერთ რამეს კი ჭეშმარიტად ვგრძნობთ. იგი ცამდე მართალი და პატიოსანი ადამიანი იყო და ამავე გულით იბრძოლებს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე.

ხათუნა ამ პატიოსნების ცეცხლს ინახავს ქმრის დატოვებულ კერაზე და თავისი თავდადებით, მამაცური შემართებით, უთოფოდ და უზარბაზნოდ უბადო გმირობას ჩადის. ხათუნას ჭიდილი ცხოვრებასთან, ბრძოლის ველზე გასული ჯარისკაცის თავგანწირვაზე ნაკლები როდია. მას გაუბზარავი ნებისყოფა და სიამაყე აქვს. იცის თავისი ადგილი ცხოვრებაში და ამ ადგილს უსიკვდილოდ არავის დაუთმობს. ხათუნა არავისგან ითხოვს შებრალებასა და მოწყალებას, ყველაფერს თავის თავსა სთხოვს, სთხოვს გულმტკიცე დაჟინებით და ართმევს კიდეც.

ერთხელ ზამთრის თოვლიან დღეს ხათუნას სტუმრად ესტუმრებიან ეგნატე სივსივაძე, ელეფთერ ლაშხი, ბორის ღლაძე და პეპიჩა მიროტაძე. ისინი მეზობლურად შეიპატიჟა ხათუნამ ოჯახში. სტუმრებიც დათანხმდნენ. ქვრივი დედაკაცი შეძლებისდამიხედვით გაუმასპინძლდა მეზობლებს. ბოლოს ისინი სახლს დაათვალიერებენ და ხათ უნას ეტყვიან დღეს თუ არა ხვალ თოვლი სახსლ ჩამოანგრევს და აქ ცხოვრება არ შეიძლება. სახლის შეკეთებაში კი ჩვენ დაგეხმარებითო. ბორის ღლაძე დროებით თავშესაფარად ხათუნას კანტორაში ჰპირდება ბინას. მაგრამ მას სულ სხვა აზრები აქვს გულში ხათუნას მისამართით. ასეთივე თაღლითი პიროვნებაა პეტრე მიროტაძეც. ეგნატე სივსივაძე აფრთხილებს ხათუნას:

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბორისი სხვანაირი თვალით გიყურებს და მოერიდე, ნუ ენდობიო - " თუ რამე დაგჭირდება, აგერა ვარ...ბიჭის პირით შემომითვალე ან მე თავად გადმოვალ.

- "ვერ გიცნივარ კარგად, ეგნატე, - სტუმრის უკანასკნელი სიტყვებს ხათუნამ ყურადღება არ მიაქცია, - ვერც იმას ვუცნივარ, ვისდეაც ეს ამბავი მითხარი. მე გაუტანლობის არ მეშინია. გაუტანლობის მეტს რას ვხედავ ქვეყანაზე: ისე კი, რამ გაგამგელათ, ბიჭო, აღარ იცით, ვის რა უთხრათ და ვის რა გაუბედოთ?... მე ჩემს შვილებს გზაშარაზე ვერ დავყრი. ტყავში გავძვრები უკანასკნელ თავშესაფარს გავყიდი და ამან მაინც გამოვუზრდი ქვეყანას.[1] ამ სიტყვებში ჩანს ხათუნა მინდელის პატრიოტული მგზნებარება.

ეგნატე სივსივაძე შალიკო მინდელის სიყრმის მეგობარია. იგი შალიკოს ოჯახისთვის საიმედო და სანდო პიროვნება უნდა იყოს, მაგრამ ისიც სხვა თვალით უყურებს ხათუნას.

ხათუნა ეგნატეს პირდაპირ მიმართავს:"ქვეყანა მოწმეა, ჯერ დახმარება არავისთვის მითხოვია.. არავისი არ მეშინია ეგნატე! - არავისი არ მეშინია, იმისთანა ვარსკვლავზე ვარ დაბადებული, თუ ჩემ შვილებს დასჭირდა, მშიერ მგელს შევყვები ტყეში".[2]

ხათუნამ ეგნატე სივსივაძე,როგორც მოღალატე, სახლიდან გააგდო. ისიც უკანმოუხედავად მოსცილდა ხათუნას ოჯახს.

ბოროტმა ენებმა ხათუნაზე ცუდი ხმები დაარხიეს. ამ ხმების პირველი ავტორი პეპიჩად წოდებული პეტრე მიროტაძე იყო. ყველაზე ძნელი მაინც ამ ხმებთან შებრძოლება აღმოჩნდა. კაცი და ქალი თითქოს უხმო შეთქმულებას უწყობდა ხათუნას და არც კი მოაკითხეს კომლის აღსადგენად დამრჩ ნებულ ქალს. ხათუნა შეჩვეული იყო მეზობლის

---

1 რ.ჯაფარიძე, ჯარისკაცის ქვრივი,თბ.,1988,გვ.114

2 იქვე,გვ.115

ეროვნული

ქალების დუმილს, მაგრამ მაინც იმდენად სტკენდა გულს ეს ამბავი, რომ თვითონაც აღარ უნდოდა რაიმე თხოვნით მიემართა რომელიმე მათგანისათვის. ხათუნა ფიქრობდა, რომ როგორმე თავისი სიმართლე დაემტკიცებინა მათთვის. ეს ფიქრი გულს უკლავდა მინდელის ქვრივს, მაგრამ ღირდა კი ამაზე ფიქრი? ის წმინდა სუფთა და უმწიკვლო იყო საკუთარი სინდისის წინაშე. ხათუნა არავისგან არ მოითხოვდა პატივისცემას, მხოლოდ განუზომლად სურდა ყველას ადამიანურად შეეხედა მისთვის, მაგრამ ეს ადამიანობა არ აღმოაჩნდათ მინდელის მეზობლებს, ისინი თანაგრძნობის მაგიერ, ზიზღით უყურებდნენ ქვრივ ქალს, მაგრამ ხათუნა სპეტაკი ქალი იყო. მას აზრადაც არ მოსვლია ვინმესთვის შეერთებინა თავისი ცხოვრება შალიკოს შემდეგ და ამას თვითონაც აღიარებს: "შალიკო ყველაფერი იყო ჩემთვის და ახლაც, ამდენი წლის შემდეგ, მე ისევ იმას ვეკუთვნი, სულით და ხორცით. არავინ არ იცის, როგორ ხდება ეს, მაგრამ მე ვიცი. სხვანაირად რომ შემძლებოდა, იქნებ უკეთესიც ყოფილიყო. მაშინაც სწორედ ისე მოვიქცეოდი, როგორც გული მიკარნახებდა. ხოლო თუ ეს ხალხი მე მემდურის, მეტადრე ქალები, დავიჯერო, თვალში იმის გამო ამომიღეს, რომ მე ჩირქი მოვსცხე ადამიანის სახელს, რომელიც ჩემი ქმარი იყო, ჩემი სული და გული იყო, ჩემი სიკვდილ-სიცოცხლე იყო და არა იმათი".[1]

ხათუნას სიყვარულში ეჭვი შეიტანეს. თითქმის ყველამ ერთნაირად შეკრა პირი. ხათუნა კიდევ ერთხელ უკვირდებოდა ცხოვრებას. იგი ხელახლა დაუფიქრდა ეგნატეს უცნაურ საქციელს, მან გონების თვალით ყველაფერი აღადგინა, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ზედმეტად მრვიქეციო, კიდევ უფრო აღივსო გულისწყრომით. ეგნატე ვითომ შალიკო მინდელის მხარეს იჭერდა, მაგრამ ლაფში სვრიდა თვითონ მას, ხათუნას. მერე ვინ გაყო ხათუნასა და შალიკოს სახელები, ვინ დასდო მათ შორის ზღვარი.

ხათუნა მინდელს შალიკოს სიყვარულში თავისი თავიც უყვარს და

---

1 რ. ჯაფარიძე, ჯარისკაცის ქვრივი, თბ., 1988, გვ. 125

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურს უფრო მეტიც იფიქროს ამ სიყვარულზე რათა უფრო მეტად შეუყვარდეს თავისი თავი.

ხათუნა მინდელი ერთგული მეუღლეა შალიკო მინდელისა. მას შალიკოს ღალატი გულში არასდროს ჩაუდვია. მაგრამ იგი ძალიან კარგად ხედავს, მასზე, მის ოჯახზე და შვილებზე "მზრუნველი პატრონები" თუ რა აზრით უცქერიან ხათუნას უმანკო ფიქრებს. ამიტომაც ყველას საკადრის პასუხს აძლევს. იგი მზადაა თავისი სიცოცხლის ფასადაც დაიცვას სინდისი და პატიოსნება. მას სურს ობლები ისე აღზარდოს, როგორც პატიოსან მშრომელ ოჯახს შეეფერება. ხათუნას მტკიცე ნებისყოფას მხოლოდ და მხოლოდ იმისი დამშვენება შეუძლია, რასაც სინდისი და პატიოსნება უკარნახებს. იგი მზადაა შვილებს გული არასდროს ატკინოს და საჭიროების შემთხვევაში მსხვერპლად შეეწიროს ოჯახის ერთგულებას. ხათუნას უღალატო გული ვერასდროს გადაადგმევინებს ისეთ ნაბიჯს, რომელი ნაბიჯიც დაღად დააჩნდება თავის შვილებს მთელი ცხოვრების მანძილზე.

ხათუნას თავისი ხასიათი და ნებისყოფა აღმაფრენის ძალას მატებს და მომავლის იმედით დაიმედებული თავის უფროს ვაჟიშვილ ზურიასთან ერთად ეწევა ცხოვრების მძიმე ჭაპანს. იგი მამაკაცივით შრომობს დღედაღამ, რათა შვილებს არ მოაშივოს და პატიოსანი ლუკმით დააპუროს, მაგრამ მიუხედავად დაუზოგავი შრომისა ხათუნას სიღარიბე და გაჭირვება არგუნა ბედმა, მაგრამ იგი მაინც გულს იმაგრებს და იმედიანი თვალით უყურებს მომავალს: "რა ვუყოთ მერე, გაჭირვება სირცხვილი არ არის, - ფიქრობდა ხათუნა, - ერთი პირი ვის არ გაჭირვებია - გაივლის ეს დალოცვილი დრო, ესენიც დამეზრდებიან ჩვენც წამოვწევთ წელს".[1]

ხათუნას წინააღმდეგობრივ ხასიათში უძლიერესი ნაკადია შვილების სიყვარული და დაღუპული ქმრის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა. ის უდიდესი დაძაბვით ძლევს პირად მოთხოვნილებებს და სამუდამოდ სცილდება

---

1 რ.ჯაფარიძე, ჯარისკაცის ქვრივი, თბ.,1988,გვ.125

ეროვნული ბიბლიოთეკა

პორფილე ჩინჩალაძეს. პორფილე ცდილობს, კავშირი დაამყაროს ხათუნასთან, მაგრამ მის სურვილს ეღობება ქვრივი ქალის მტკიცე ნებისყოფა. იგი სიყვარულს ჰპირდებოდა ხათუნას, მაგრამ ხათუნა არ აყვა ჩინჩალაძის გრძნობებს და ასეთი სიტყვებით მიმართა მას: "არ მიყვარხარ. ძალით სიყვარული შეიძლება? შვილებს შენს ხელში ვერ ჩავყრი, მეტი რაღა გითხრა. მომშორდი, დამანებე თავი, მოხასვენე ჩემთვის. ქალის მეტი რა არის ქვეყანაზე, რაღა გაუბედურებულ ადამიანს გადამეკიდე. არ შემიძლია შენი სიყვარული. მიხვდი და გაიგე ერთხელ და სამუდამოდ. ჩემი სიყვარული თან წაყვა იმას. ახლა შვილები მყავს - დანარჩენი სიცოცხლე შვილებს უნდა ვანაცვალო".[1]

როგორც ვედა, ხათუნა დიდ შეუპოვრობას იჩენს და ამ მხრივ ხათუნას მთავარი ადამიანური ღირსება ის არის,რომ იგი თვითონ პოულობს თავის ადგილს ცხოვრებაში, ქვაღორღიან გზაზე თამამად მიაბიჯებს შვილებთან ერთად და ბოლოს სადღაც მის უკან რჩება დამარცხებული უბედურება და სიკვდილი.

პორფილე ჩინჩალაძე ხედავდა,რომ ხათუნა არ ეხუმრებოდა მას. იგი ცივ უარზე იდგა. მიუხედავად ხათუნას გულქვაობისა პორფილეს დახმარების სურვილი აღეძრა ხათუნასადმი და ერთხელ, დედაშენის გამოგზავნილი წერილი არისო და რაღაც კონვერტი გადასცა მას. მინდილის ქვრივმა კონვერტი გახსნა და ასმანეთიანების გარკვეული რაოდენობა დაინახა. ფულის დანახვამ იგი გააკვირვა. ფიქრობდა საიდან იშოვა დედამ ამდენი ფული. ნუთუ ღვინის მუშტარი იშოვეს და ფული გამოუგზავნეს, მაგრამ ეს ყველაფერი საეჭვო იყო. ამის ფიქრში გონწასულს ვიღაც ქალბატონმა უპატრონა. გაზრის კართან კი ზურია რქახატულათი ელოდებოდა დედას. მუშტარი ვერ ეშოვათ და თხა ისევ უკან უნდა წაეყვანათ. იმ დღეს ზურიასთან და საერთოდ ცხოვრებაში, პირველად იცრუა ხათუნამ.

---

1 რ. ჯაფარიძე, ჯარისკაცის ქვრივი,თბ.,1988,გვ.140

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან უთხრა თავის უფროს შვილს ფული ვიპოვეო. შეიძლება ხათუნას ხასიათის ჩრდილოვან მხარედ ჩავთვალოთ ეს სიცრუე, მაგრამ მისი საქციელი იმ დროს სწორი იყო. მას არ უნდოდა პორფილეს სახელი ეხსენებინა შვილისთვის.

როგორც ნაწარმოებიდან ვგებულობთ ხათუნას ცხოვრებაში პორფილეს, ეგნატესა და პეპიჩას საქციელს არავითარი ჩრდილის მიყენება არ შეუძლია, რადგანაც ხათუნა იყო ახალი საზოგადოების წევრი და მისი მეზობლები და კოლმეურნეობა მონაწილეობას იღებენ მის ბედში. მწერალი ხათუნას ცხოვრებას სოფლის გაშლილი სურათების ფონზე ხატავს. მწერალმა მონახა რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებაში, რომელთა ირგვლივ ცხადდება ადამიანთა მისწრაფებები და იხსნება მათი ხასიათები. ასეთი პრობლემებია რომანში მეცხოველეობის ფერმის შენახვა კოლმეურნეობაში და ვაზის პლანტაციების გაშენება.

ამ საკითხებით ხათუნა, გასაგები მიზეზების გამო, არ დაინტერესებულა, მას თავისი დარდი ჰქონდა და სოფლის თავკაცების დავაში არ ერეოდა.

რომანში ნაჩვენებია ეგნატე სიხსიგაძის, ბორის ღლაძის, კალისტრატე მასწავლებლის, ზაქარია მჭედლისა და სხვათა სახეები.

ბორის ღლაძე ის ხელმძღვანელია, რომელიც მასების ხმას ყურს არ უგდებს და ყველა საკითხს თვითონ წყვეტს. ბორის ღლაძეს ვაზის პლანტაციების გაშენების საკითხი სამჯერობაც კი არ უნდა გამოიტანოს კოლმეურნეობის წინაშე. ამიტომ გარკვეული წინააღმდეგობა სუფევს კოლმეურნეებსა და ხელმძღვანელს შორის, მაგრამ ეს წინააღმდეგობა ადვილად გადაიჭრება რაიკომის მდივნის უჩა მესხის ყოვლისშემძლე ჩარევით.

რომანში ჩვენ ვეცნობით ზაქარა მჭედელს. ზაქარა მჭედელი გამსჭვალულია ხათუნასადმი დახმარების სურვილით. მან კარგად იცის, თუ

ელექტრონული ბიბლიოთეკა

რაოდენ უჭირს ხათუნას ოჯახს და ამიტომ სურს შეგირდად აიყვანოს მინდელის უფროსი ვაჟი ზურია. მთელი ოჯახი სიხარულმა მოიცვა. ხათუნა მინდელმა კი ასეთი სიტყვებით მიმართა ზაქარა მჭედელს. "მადლობელი ვარ მე თუ ვერაფერი მოვახერხე, ჩემი შვილები გადაგიხდიან სამაგიერო პატივისცემას".[1] დაიმედებული ხათუნა ოჯახში დარჩა, ზაქარა მჭედელი კი დინჯად გავიდა ეზოში და თოვლში გატანილ ვიწრო ბილიკს დაადგა.

ნაწარმოებში კალისტრატე მასწავლებლის სახე უფრო ჩამოყალიბებული და დასრულებულია. ომმა მეტნაკლებად ყველას აგემა სიმწარე. ბორისმაც ოჯახი ვერ შექმნა და პირადი ცხოვრება მოუწესრიგებელი დარჩა. მაგრამ ყველაზე მძიმე მაინც კალისტრატეს ხვედრი იყო. მან ფრონტზე გაგზავნა ერთადერთი შვილი, რომელიც დაეცა სამშობლოსათვის ბრძოლაში. ბერიკაცი მარტოდმარტო დარჩა ოჯახში, მაგრამ როგორადაც მძიმე არ იყო მისი ბედი, მოხუცი მასწავლებელი, როგორც ნათელი იდეალებით ალჭურვილი მტკიცე ხასიათის ადამიანი, არ წყდება თავის დასაყრდენს ცხოვრებაში, ძლევს შვილის დაკარგვით მიყენებულ უდიდეს სულიერ ტკივილებს და პოულობს ძალას სხვები დააყენოს ცხოვრების ჭეშმარიტ გზაზე, ასწავლის სოფლის ახალგაზრდობას და უფროსებსაც, ხოლო როცა მარტოდენ რჩევა დარიგებას სასურველი შედეგი არ მოაქვს ნამდვილ ბრძოლას მართავს. ეს სახე თავისი ბედით და ცხოვრების ფილოსოფიით, აგრეთვე მხატვრულადაც, ყველაზე მეტადაა დაკავშირებული რომანის ძირითად ხაზთან.

რომანის ყველაზე რელიეფური ფიგურა, ხათუნას შემდეგ, არის პეტრე მიროტაძე - პეპირა. პეპირა თვითმყოფი ხასიათის მქონე პიროვნებაა: იგი იმდენად კოლორიტული სახეა, რომ იკარგება ზღვარი რეალურსა და შეთხზულს შორის, ხოლო მდიდარი და მხატვრული ფერების მეშვეობით, იგი ზოგად ხასიათს იღებს და ანატოლი ფრანსის სიტყვებით რომ ვთქვათ - "თვით სინამდვილეზე უფრო ნამდვილია"!

---

1 რ. ჯაფარიძე, ჯარისკაცის ქვრივი, თბ., 1988, გვ. 164

ეროვნული ბიბლიოთეკა



პეპიჩა ყველა საქმის "ორგანიზატორია", ყველა საქმის სულის ჩამდგმელი - ყველას პეპიჩა "ეხმარება", ყველა ახალ საქმეს პეპიჩა "თაობს". მიროტაძე სიამოვნებით ეხმარება ზაქარა მჭედელს ქორწილში და წყალშიაც შეტოპავს შუა ზამთარში. მიროტაძისთვის ხათუნა უბრალოდ ხათუნაა, ზაქარა მჭედელი - ზაქარა, ხოლო რაიკომის მდივანი ლაზარიჩი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ყარამანიჩი, ელეფთერ ლაშხი, რომლისგანაც აგრეთვე სიკეთეს გამოელის - ამბერკიჩია.

პეტრე მიროტაძე ელეფთერ ლაშხის ოჯახის ხშირი სტუმარი იყო, რომელიც მეზობლური სამსახურის თავაზით ამ ბოლო დროს შემოეჩვია ლაშხების ოჯახს. ელეფთერს ნათლიას უძახდა, თუმცა ამ უკანასკნელს ღმერთი არ სწამდა, არასოდეს არ მოენათლა პეტრეს შვილები და, ცხადია, არც თვით პეტრე.

ელეფთერს ადვილად შეამჩნევდა ადამიანი, რომ არ მოსწონდა პეპიჩას შემოჩვევა, მაგრამ ისიც იცოდა, რომ მისი ჩამოშორება არც ადვილი საქმე იყო. პეპიჩა ელეფთერის გასაკეთებელ საქმეს აკეთებდა ოჯახში. ერთხელ მან თითქმის ძალით წაართვა მუნჯიას ბეღლის გასაღები კლიტე და ხუთი ბათმანი ხორბალი წაიღო წისქვილში დასაფქვავად. წისქვილიდან მობრუნებული პეპიჩა ჯერ მუნჯიას შიშველ ფეხებს უყურებდა სალორეში ეზოდან, ბოლოს კი მოინდომა მუნჯიას დამარტოხელება ბეღელში. მუნჯიამ კი მუშტის დაძგერებით მოიშორა პეპიჩას მკლავები და გარეთ გაღებული კარიდან გავარდა. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია ელენეს. როდესაც პეტრე დერეფანში შევიდა და ნათლია მოიკითხა ელენეს პასუხში დაუფარავი ათვალისწუნება გაისმა. პეტრე პალატში დაუკითხავად შევიდა და მდგომარეობიდან, რომ გამოსულიყო ამ მიზნით დაიწყო რატრატი თითქმის მეათასედ ყვებოდა კალისტრატე მასწავლებლის შესახებ. ელენეს სულ არ უნდოდა ამ ამბის მოსმენა, მაგრამ ქმრის მოლოდინში იძულებულიყო ბედს შერიგებოდა. ელეფთერი კი ჯერჯერობით არ ჩანდა. ელენემ კარგად იცოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ პეტრე უპურმარილოდ არ წავიდოდა ოჯახიდან და ამიტომ მან თავისი ხელით გამართა ტაბაკი. თუმცა ქალის მიმოხვრაში რაღაც დიდი უკმაყოფილება და ძალდატანება გამოჭვიოდა, პეტრეს არც ერთი შეუნიშნავს და არც მეორე. თბილი ბუხარი და გემრიელი სუფრის მოლოდინი ყველაფერს ავიწყებდა. პეტრე მიროტაძე ქალის ყოველგვარ მიხრა-მოხრას აკვირდებოდა და ყოველმხრივ ცდილობდა თავისი გრძნობები დაეკმაყოფილებინა. როდესაც გაწყობილ სუფრაზე შეზარხოშდა თავის ქებას და სხვის აუგად ხსენებას უმატა პეპიჩამ. ბოლოს წამოდგა და წასასვლელად მოემზადა. იგი მივიდა ელენესთან და თითქოს დიდი კმაყოფილი ყოფილიყო ხელები მოხვია წელზე, ელენემ ძლივს მოიცილა მიროტაძის ხელები და განზე გავიდა. ამასობაშიც ელენფთერიც შემოვიდა ოთახში. პეტრე ყველას გამოემშვიდობა და წავიდა.

როგორც ვხედავთ პეტრე მიროტაძე გახლავთ ფლიდი და სინდისგარეცხილი პიროვნება, რომელსაც სირცხვილი თუ სახელი ერთ სიმაღლეზე აჰყავს. იგი ცდილობს ხელი შეუწყოს პროფილეს ხათუნა მინდელთან. ხათუნა კი როგორც დაკვირვებული ქალი პეტრეს სახეში მოღალატეს ხედავს და პირდაპირ ეუბნება მას."მე რომ უცაბედად გლახა რამე ვიფიქრო,გგონია, ნამუსს შეგინახავთ ან ერთს ან მეორეს? იმდენად იძულებულია ხათუნა ამ ორი პიროვნებისაგან იგი მზადაა სასიკვდილოდაც გაიმეტოს თავი.

რომანში შესანიშნავადაა დახატული სერგოსა და მაყვალას სახეები, მათი სიხარული, მათი ბედნიერება. მათ აღტაცებით და ოდნავ შურითაც შეჰყურებს ხათუნა. სერგო და მაყვალა განამტკიცებენ სიყვარულსა და აღმაფრენას. აქვე უნდა აღინიშნოს ზურიასა და გვანცას ბალღური, გულწრფელი და მიამიტი სიყვარული.

რაც შეეხება მოხუც იორამს, მწერალმა კარგად შეძლო მისი სახის დახატვა. იორამი ვერ გაწყვიტა წლების ტვირთმა და ვერ და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აძაგუნა. მოხუცებული ბერიკაცი ყოველთვის ცდილობს ხალხში ერიოს და მონაწილეობას იღებდეს ცხოვრებაში.

ნაკლებ დამაჯერებელია ელეფთერისა და ელენეს სახეები. ელენე განასახიერებს უმიზნო და უიდეალო ქალს, რომელსაც არც შვილი ჰყავს და არც სხვა საზრუნავი აქვს ამ ქვეყანაზე. არც სამსახური გააჩნია და არც სხვა რაიმე საქმე. აქედან უნდა გამომდინარეობდეს მისი უცნაურობანი, ავადმყოფობა და კარგადმყოფობა. ოღონდ ეს ძალიან ბუნდოვნად,ნათელი აზრისა და მხატვრული განპირობების გარეშეა ასახული ელემ რომ ელეფთერისა და ელენეს სიყვარული დაარღვია ეს გასაგებია მკითხველისათვის, მაგრამ რა კონკრეტული მოტივებით, რა კონკრეტული ზეგავლენით, რა გრძნობების აღძვრით მოახერხა მან ელეფთერის გულის გაცივება ელენეს მიმართ ეს ჩვენთვის საიდუმლო რჩება.

სასურველი,იყო რომ მწერალს ერჩვენებინა ის ფაქტორი,რომელიც ხელს უშლიდა ელენესა და ელეფთერის სიყვარულს, მაგრამ სამწუხაროდ ეს ნაჩვენები არ არის რომანში.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ მიზანშეწონილად მივაჩნია დავუბრუნდეთ ხათუნას მამის - სპირიდონ ყანჩაველის პიროვნებას. სპირიდონის ქალიშვილი ხათუნა, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ შალიკო მინდელის მეუღლე იყო. შალიკო კი მეორე მსოფლიო ომმა იმსხვერპლა. ქალიშვილი დროებით დაუბრუნდა მამის კერას, მამამ რა თქმა უნდა, გულთბილად მიიღო შვილი და შვილიშვილები. გავიდა დრო. ხათუნამ გადაწყვიტა, ქმრის, შალიკო მინდელის, კარმიდამოს აღდგენა. მაგრამ ამ გადაწყვეტილებას საწინააღმდეგოდ შეხვდა სპირიდონ ყანჩაველი. მიუხედავად ამ წინააღმდეგობისა ხათუნა საკაურაში წავიდა თავისი მცირეწლოვანი შვილებით და გაპარტახებულ კარმიდამოს დაეპატრონა.

ამ შემთხვევაში სპირიდონის საქციელი არ არის გამართლებული. მას,როგორც მამას, ხელი უნდა შეეწყო ხათუნასათვის და უნდა დახმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებოდა ცხოვრების მძიმე ჭაპანის გაწევაში. ნაწარმოებში კი ავტორი სხვანაირი მიდგომით ამართლებს სპირიდონ ყანჩაველის საქციელს.

მწერალი წერს, სპირიდონს ვაჟიშვილი არ ჰყავდა და მემკვიდრედ მინდელის ვაჟიშვილი ზურია უნდოდაო, მაგრამ ქვრივ ხათუნას თავისი უფროსი ვაჟიშვილის ზურიას გარეშე არ შეეძლო ცხოვრების წაყვანა და ეს ნათლად დასტურდება ნაწარმოებში.

ბოლოს როგორც რომანიდან ირკვევა, ხათუნა საკაურამი აშადგენს თავისი მეუღლის, შალიკო მინდელის კარმიდამოს და მთელი წლების მანძილზე შვილების იმედით უძღვება ოჯახს. ხათუნას არავინ არ თანაუგრძნობს. ამ მომენტში კიდევ ერთი ნაკლი უნდა მიეწეროს ხათუნას მამას, სპირიდონ ყანჩაველს. რატომ არ დაინტერესდა იგი შვილის ბედით და რატომ არ მოინახულა ობლების ოჯახი. ქართველი მამის ასეთი საქციელი ნამდვილად არ არის გამართლებული.

დავაკვირდეთ კიდევ ერთხელ ხათუნას პიროვნებას. სპირიდონი ავად გახდა. ხათუნა მამის მოსიყვარულე შვილი იყო. მისი გული დამწუხრებულია მშობლის ავადმყოფობის გამო. მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა და გაჭირვებისა, იგი მამის სანახავად ჩამოდის. მკითხველს უეჭველად დაებადება აზრი, რომ არ ჩამოსულიყო ხათუნა მამის სანახავად, მაშინ გამართლებული იქნებოდა თუ არა მისი საქციელი. ნამდვილად არა. შვილი ვალდებულია, რომ ყოველთვის მზად იყოს მშობლის სამსახურად.

რევაზ ჯაფარიძე წერს ძარღვიანი და ხატოვანი ქართულით, არ ერიდება ლექსიკაში დიალექტის მარაგის გამოყენებას, არა მარტო გმირის სასაუბრო ენაში, არამედ მწერლის თხრობაშიც.

რევაზ ჯაფარიძეს მარტო სახელისა და გვარის მოხსენიებით ნაწარმოებში არცერთი გმირი არ შემოჰყავს, ყველა გმირს თავისი ზნეობა და სიმართლე აქვს და ამას მოქმედებაშიც ამჟღავნებს. რ. ჯაფარიძის გმირები მიწაზე დადიან და ნიადაგი მკვიდრი აქვ თ. ამიტომაც იქცა

ეროვნული ბიბლიოთეკა



"ჯარისკაცის ქვრივი" ერთ-ერთ პოპულარულ რომანად.

ომისდროინდელი სოფლის ცხოვრების ნათელი სურათები შესანიშნავად გადმოგვცა ოტია იოსელიანმა რომანში "ვარსკვლავთცვენა".

ოტია იოსელიანი რეალისტი მწერალია და გმირებს წინასწარ აღებული მორალური იდეების თარგზე არა სჭრის და ხატავს. იგი თავის შემოქმედებაში მხატვრული სიმართლის გზას მიჰყვება და ამიტომ ერთი მეორეს არ უპირისპირებს აბსოლუტური სიკეთისა და აბსოლუტური ბოროტების წარმომადგენლებს.

ოტია იოსელიანმა ომის საშინელი დღეები გააცოცხლა თავის შემოქმედებაში. მას არ დარჩენია შეუმჩნეველი არც ერთი ეპიზოდი ომის ქარცეცხლიანი დღეებიდან.

ო. იოსელიანს უეჭველად მხატვრის მახვილი თვალი და შემოქმედებითი უნარი აქვს. იგი ომის დამახასიათებელ დეტალებს ისე გადმოგვცემს, რომ მკითხველს აგრძნობინოს მისი საშინელება.

"ვარსკვლავთცვენა" ომის გამოძახილია. თანამედროვეობისადმი მიძღვნილ ამ ნაწარმოებში რეალისტურად, ყოველგვარი ყალბი იდეალიზაციის გარეშე, ისტორიული სიმართლით, სათანადო ფსიქოლოგიური სიღრმითა და დამაჯერებლობით, მწერლური ოსტატობითაა მოთხრობილი ქართველი ხალხის ვაჟკაცურ მონაწილეობასა და მსხვერპლზე მეორე მსოფლიო ომში, მის შრომით გმირობაზე ზურგში, იმ საოცარ სულიერ სიმტკიცესა და სიფაქიზეზე, აგრეთვე იმ ზნეობრივ ერთიანობაზე, რომელიც ამ უდიდესი განსაცდელის ჟამს დაანახვა მან ქვეყანას.

თავით ბოლომდე ერთი გრძნობა გასდევს "ვარსკვლავთცვენას", გრძნობა უსაზღვრო სიყვარულისა სამშობლოსადმი, ხალხისადმი, მისი სულისა და ზნეობისადმი, და ამაშია ამ რომანის პატრიოტული ხასიათი და მნიშვნელობა".[1]

---

1 ვლ. ზამბახიძე, მწერლის პირველი რომანი, ჟურნ. "მნათობი", №11 1961, გვ. 145

ეროვნული ბიბლიოთეკა

"ვარსკვლავთცვენა" პოლემიკური რომანია, იგი თავისი პოლემიკური განწყობილებით მიმართულია იმათ წინააღმდეგ, ვინც ნებით თუ უნებლიეთ სრული სისწორით ვერ ხატავს გარდახდელი ომის სურათს, ზოგჯერ ლალატობს ისტორიულ და მხატვრულ სიმართლეს, მიუდგომლად ვერ აღადგენს იმდროინდელ მოვლენებს და ამით, კანონიერ გულისწყრომას იწვევს მკითხველთა გარკვეულ ფენებში.

"ვარსკვლავთცვენა",რომ პოლემიკური რომანია, ეს მისი ეპიგრაფიდანაც ჩანს. აკი ავტორი სწორედ იმას უჩივის ვიქტორ პეტროვიჩს,რომ "შენ ჩემთან პირად საუბარში, სხვათაშორის, გითქვამს: თქვენ - ქართველებს ომი არ გინახავთო". და ცდილობს, რომანში გადაშლილი სურათებით დაანახოს მას ამ აზრის მცდარობა არა როგორც ვინმე მოწინააღმდეგეს, არამედ როგორც მეგობარს, კეთილმსურველს, მაგრამ სიმართლის გზიდან აცდენილ ადამიანს. ამიტომაც ოტია იოსელიანმა პირადად ვიქტორ პეტროვიჩს და სხვა მისთანა ადამიანებს უძღვნა ეს რომანი, რათა ისინი სიმართლეში დაერწმუნებინა.

ასე რომ "ვარსკვლავთცვენა" ერთ-ერთი საუკეთესო რომანია ომის თემაზე ქართული მწერლობის სინამდვილეში. იგი ერთავად ნოველებისაგან შედგება. ოღონდ ნაწარმოების ხერხემალი ყველასთვის ერთია.

მომხიბლავია რომანის დასაწყისი. წუთისოფლის დღეების უსასრულო მწკრივს ერთი დღე გამოეყოფა. არაფრით არ არის საგრძნობი, რომ ეს დღე სხვებისაგან რაიმეთი იყოს განსხვავებული, წინათგრძნობა არაფერს გვეუბნება. არც ბუნება დაუძაბავს მოლოდინს. სოფლის ბავშვები ჩვეულებრივ იწყებენ ახალ დღეს:

" იმ დღეს რიკ - ტაფელას თამაშს არ ვაპირებდით. წინა ღამით შევთანხმდით, დილიდანვე გამოვრაღვიყავით სახლიდან, იქნებ გოჩას ფილთაც დაეთრია; თუ არა, შურდულები ხომ თან გვქონდა. გვინდოდა ტურუიასთვისაც გვეთქვა, მაგრამ მერე კლიმენტიას ნაშვილები წამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფდა თავს და ყვავის ბუდეში ვინ იცის რამდენი გახალა იყო.

გორა გოგონას თვალის ასახვევად დუქნებზე წავიდოდა, იქიდან ისე, რომ დუქანში არც შეიხედავდა, ორღობეებით ჩამოირბენდა ცეტერაძეების კარზე და პირდაპირ მინდორში გაძვრებოდა, იქიდან ტყეში ვრგავდით თავს, ტყიდან ყანებით, ბოგირზე არ გადავიდოდით, ჩქერში გავტოპავდით, წყლის პირზე საშურდულე კენჭებით ავივსებდით ჯიბეებს და კერტერიას სერს შევყვებოდით".[1]

მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ბავშვების მხიარულ განწყობილებას შავი სუდარა გადააფარა შემზარავმა ამბავმა,რომელიც გოგონამ აცნობა მათ:

"ამ დროს ზარივით ცივად გაისმა მინდვრის თავში გოგონას ხმა:

" გორა"!

მწვანე მოლზე საოცარი სისწრაფით მოჰქროდა გოგონა მაიასფერი კაბით.

- გორაა! გოგიტა ! - წიოდა იგი.

მოგვაწყდა ნარბნი, გულამოვარდნილი გოგონა.

- გორა, გოგიტა, ტურუ,ბიჭებოო!...

- ომი... ომი დაიწყო".[2]

ეს სიტყვა იყო რაღაც შემზარავი, რაღაც ამაზრზენი, მაგრამ არცერთმა იმათგანმა არ იცოდა ამ სიტყვის მნიშვნელობა.

ომის დაწყების მრისხანე ამბავმა შესძრა ადამიანთა გული და გონება. მოწმენდილ ცას ერთბაშად დიდისა და პატარის, სულისშემხუთველი შავი ღრუბელი გადაეფარა, სადღაც, შორს დანთხეული პირველი სისხლის სუნიც დატრიალდა. თითქოს ჰაერში, ამ სისხლის სუნი ექვსი წლის ზაზამაც იგრძნო. იგი მიიჭრა ცამეტიოდე წლის უფროს ძმასთან - გოგიტასთან და შიშნარევი ხმით ჰკითხა:

---

1 ო.იოსელიანი,ვარსკვლავთცვენა,ტ.I,1965,გვ.317

2 იქვე,გვ.324.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

- შენ იცი, რომ ომია ?

- მერე რა, რომ ომია ?

- მამას მოკლავენ, მოკლავენო... აღრიალდა პატარა ზაზა"[1] - ერთბაშად აიწეწა და კალაპოტიდან ამოვარდა სოფლის ცხოვრება, ერთბაშად მოიშალა მისი ყოველდღიური განაწესი. აოხრებულივით გამოიყურებოდა სოფლის მთელი არემარე და გოგიტას მშობლების კარმიდამოც. რასაც ასე ცოცხლად აგვიწერს მწერალი: "ოდის კარები გამოკეტილი იყო. სამზადიდან ბოლი ამოდიოდა და გაკაპასებული ბავშვის ტირილი ისმოდა. სამზადის აივანში კრუხ"წიწილა ქოთქოთებდა. ღორი ჭყვიტინით აწყდებოდა ბოსტნის ღობეს და გაძრომას ლამობდა."

დედა და მამა მიტინგზე წასულიყვნენ კანტორაში. კერიასთან ბებია იჯდა დაბალ ჯორკოზე, ორივე ხელი თავზე შემოედო, იდაყვით მუხლს დაყრდნობოდა და ნაღვერდალს ჩასჩერებოდა...

კერაზე შავი კარდალა იდგა. კარდალიდან ოხშივარი ამოდიოდა და ძნელი გასარჩევი იყო, რა იხარშებოდა. ნიგუზრები ბოლავდა, ადიოდა თეთრი კვამლი, ისე ხრჩოლავდა, მთელ სამზადში სუნთქვა ჭირდა. ეტყობოდა, კარდალიდან წყალს გადმოევლო და ცეცხლი ჩაექრო. ახლა მდუღარე დასხმული ნიგუზრები ბოლავდა და ალაგ-ალაგ კიაფობდა გადარჩენილი ნაკვერჩხალი.

ბებია ისევ ხელებშემოდებული მიჩერებოდა მიმქრალ კერას და ვინ იცის, რაზე ფიქრობდა. მხოლოდ ხანდახან აღმოხდებოდა "ღმერთო ჩემო" და იჯდა და იჯდა".[2]

მწერალი რაღაც გულისდამწველი სტრიქონებით აგვიწერს გოგიტას მამის განშორებას ოჯახთან. იგი ხვალ ომში უნდა წავიდეს. მის გულში ნაღველია ჩაგუბებული მაგრამ არ იმჩნევს ვაჟკაცი. მან კარგად იცის, რომ ომში წასული ყველა ვერ დაბრუნდება ოჯახში. მიუხედავად დარდისა

---

1 ო.იოსელიანი, ვარსკვლავთცვენა, თბ.,1965,გვ.325

2 იქვე,გვ. 226

იგი ყველაზე მეტს იცინის ოჯახში. არ უნდა რომ დაეტყვეს საყვარელ ოჯახთან განშორების სევდა. ბოლოს იგი თავის უფროს შვილს გოგიტას აბარებს ოჯახს, უხსნის თუ როგორ უნდა მოუაროს ხარებს, როგორი დინჯი უნდა იყოს საზოგადოებაში და მეორე დღეს კი იგი სხვებთან ერთად მიდის ომში.

ომში წავიდა სოფლის ყველა ვაჟკაცი. წავიდნენ მამები, ძმები, ქმრები, შვილები. მწერალი ფსიქოლოგიური სიმართლით გადმოგვცემს განშორების ჟამს შექმნილ მძიმე სულიერ განწყობილებას ქართველი ადამიანისა, კერძოდ, იმ ერთ-ერთი ქართველი დედისა, რომელიც ცდილობს ფიქრადაც არ გაივლოს ომში მიმავალი შვილის მოსალოდნელი ხიფათი და ამიტომ მშობლის წმინდა გულუბრყვილობით ეუბნება მას: "თავს გაუფრთხილდი, დედა, შენ ცუდი ძილი იცი, საბანს არ იკეცავ, შარშან ანთება გქონდა და კინაღამ დამიდგა თვალები".[1]

ბოლოს მანქანა მოადგა კანტორის კარს და ფრონტზე წამსვლელი ვაჟკაცები სოფელს მოაშორა.

წავიდა ყველა, წავიდა გოგიტას მამაც, მაგრამ დარჩა მისი დანაბარები - "აბა თქვენ იცით!" რომელიც, როგორც მოწოდება, მიუძღოდა წინ გოგიტას, უღვიძებდა მას მშობლისადმი სიყვარულით გამთბარი მოვალეობის გრძნობას და ასაკითაც ნაადრევად ამწიფებდა თითქოს.

გოგიტა მთელი თავისი არსებით ცდილობს, რომ იყოს საჭირო და სასარგებლო ხსვებისათვის, სოფლისათვის, ქვეყნისათვის. იგი გვალეღვებს და გვაჯერებს თავისი წმინდა გულის მოქმედებაში. პირველი წინააღმდეგობა გოგიტას შეხვდა კლიმენტია ცეტერაძესთან, რომელმაც ღვინიას წართმევა მოუნდომა მას. გოგიტა მთელი ძალით გადაეღობა ცეტერაძეს და ღვინია სახლში წამოიყვანა.

გამართული ხარურებით გოგიტა მთელ სოფელს ეხმარება. იგი თითქმის, ყველას ჩამოუვლის ურმით, რომ გაჭირვებულებს შეეშველოს, რომ

---

1 ო. იოსელიანი, ვარსკვლავთცვენა, თბ., 1965, გვ. 331

ეროვნული



ყველას წაუღოს საფქვავი წისქვილში. ამით კიდევ ერთხელ მტკიცდება გოგიტას გულწრფელობა და მეზობლებისადმი პატივისცემა.

გოგიტა მთელი ენერგიით ჩაება შრომით ფერხულში. მასთან წვრილ-თვალება კლიმენტია, სოფლის შენიღბული ორგული ვერაფერს გახდა. ამ ბოროტმა ადამიანმა ვერაფრით ვერ ძლია გოგიტას ნებისყოფას, მისი ხასიათის სიმტკიცეს. შვილს, რომელიც ხატივით ატარებდა თავის გულში მამის ძვირფას სახეს, ერთი სურვილი ამოძრავებდა: არავისათვის და მით უმეტეს კლემენტიასათვის არ დაეთმო ღვინია, რადგან მას სჯეროდა ომიდან მამის დაბრუნებისა.

ხარები რომ არ წაერთმიათ, ამიტომ გადაწყვიტა გოგიტამ მათი უღელში შებმა და მინდვრად სამუშაოზე გაყვანა. გოჩასა და გოგონას დახმარებით შეუდგა გოგიტა ნიადაგთან ბრძოლას. ეს ძვალგაუმაგრებელი ნორჩები ასაკისათვის შეუფერებელი საოცარ სულიერ სიმტკიცეს, დაჟინე-ბას ამჟღავნებდნენ: "აი – ამბობს გოგიტა – სახნისი მიწას მოედო, ჯერ ოდნავ წავიდა, მერე ამოხტა, გადაიწია, თავი ველარ შევიმაგრე, იქვე ამოგდებულ ბელტს წამოვკარი ფეხი და გადავტრიალდი. ვერც ხელე-ბის დახვედრება მოვასწარი, რადგან ერქვანზე ვიყავი ჩაბღაუჭებული, და მიწაზე ცხვირით გავიშოტე.

იმწამსვე წამოვვარდი და ათრეულ კავს ავედევნე. მეშინოდა ფეხი არ დაეჭრა სახნისზე ღვინიას. ამასობაში გოჩამაც იმარჯვა და შეაჩერა ხარები. კავი წამოვაყენე, მაგრამ პირში მოტკბო მარილიანი თბილი სითხე ჩამეწვეთა. ენა მოვისვი, ცხვირიდან სისხლი მდიოდა".[1]

ასეთი წვალებით დაიმორჩილა გოგიტამ ხარები და მიწის ხვნაც ისწავლა.

შრომაში ასეთი შეუპოვრები ჩანან არა მარტო გოგიტა, გოჩა, გოგონა, არამედ კოჭლი და ენაბილწი ეზიკაც, მამა ომში წასული ამი-

---

1 ო. იოსელიანი, ვარსკვლავთცვენა, თბ., 1965, გვ. 350

ეროვნული ბიბლიოთეკა

რანისა და მისი ცოლის - ფატის მამამთილი, რომელიც უქუსლო ფეხს ხეს-ავით დაათრევდა. ამირანი რომ ჯარში წაიყვანეს, ფატის მშობლებმა გადაწყვიტეს, შვილის სახლში წაყვანა, მაგრამ ეს განზრახვა არ აასრულებინა თავმოყვარე ეზიკამ. ეზიკა დროებითი მეთაური იყო ვაჟთა ერთი ბრიგადისა, დანარჩენი ბრიგადა კი ქალებისა იყო. სოფლისა და ქვეყნის ერთგული იყო ეზიკა და ამიტომ სძულდა მას ასე მწარედ ცბიერი და გაიძვერა კლემენტი.

დღე და ღამ შრომობდა სოფელი მტერზე გასამარჯვებლად და დღე და ღამ ვერ იშორებდა იგი ფიქრებს ომში წასულთა ბედიღბალზე. გოგიტას დედა ივდითი, სულ ტანჯვა - წამებაში იყო საყვარელი ქმრის დათიკოს მოლოდინში.

მწერალი შესანიშნავად გვიხატავს ომისდროინდელი ფოსტალიონის სახეს თომას პიროვნებაში. თომა ფოსტალიონი ყველასათვის საყვარელი ადამიანი იყო. თომას შემოსვლა სოფელში და სოფლელების თავშეყრა ერთი იყო. ყველას უნდოდა მიეღო ფრონტიდან წერილი და გაეგო შვილის, ძმის ან ქმრის ამბავი. თომა ფოსტალიონი ყველას აიმედებდა: დღეს თუ არ არის წერილი ხვალ იქნებაო, რადგან ასე სურდა მის გულს, სავსეს იმ გრძნობით, რომ ადამიანი ადამიანისათვის მეგობარი და ძმა უნდა იყოს. თომამ მხოლოდ ერთი უმისამართო წერილი მოუტანა გოგიტასა და მის ოჯახს დათიკოსაგან, რომელიც ნუგეშად რჩებოდა მათ და რომელსაც სათუთად ინახავდა ბებია.

დადგა შემოდგომა. შრომობდა შინ დარჩენილი ხალხი. მჭედლის შვილი გოგიაც არ იდგა უსაქმოდ. იგი ხარებს ჭედავდა, თუმც ამ სამსახურზე კლემენტის უარი უთხრა. სოფელს უკვე რთველი მოსდგომოდა კარზე, მაგრამ რა მწირი და მოწყენილი ჩანდა იგი ახლა ?

ვითომ ყველაფერი რთველივით იყო, მაგრამ მას აკლდა ის სიმხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



იარუსე, რაც მთავარი იყო მშრომელი ადამიანისათვის. არ გუგუნებდა ნადური და არ ისმოდა ქალების კისკისი. ტეხდნენ ტაროებს, ისროდნენ, ტეხდნენ და ტეხდნენ, შემდეგ კოდრებით ურმებში ჰყრიდნენ. გაუჭირდა დიდხანს ასე შრომა გოგიტას და გოჩას. ერთხელ ურემზე გოდრის ატანა-ში მათ ფატიც წაეშველა და ამ დროს მოხდა უცნაური ამბავი. ერთი კვიჟი ტარო გადმოცურდა და მაღლა ხელებატოტებული ფატის უბეში ჩაუვ-არდა. მან უბიდან ცივი ტარო ამოიღო და მთვარის სინათლეზე ისეთი თვალით შეხედა გოგიტას, რომ ყმაწვილი შეკრთა. ბოლოს ტარო წყენით და-ანარცხა და შებრუნდა.

გაოცებული დარჩა გოგიტა. მას ვერ გაეგო, რა მოხდა ახლა, რა მოხდა მაშინ, როდესაც ფატიმ ერთხელ მის დანახვაზე შიშველ მუხლებ-ზე ხელები იტაცა, კაბა წაიფარა და ნაკვერჩხალივით წამოენთო, ვერ გაეგო, აღბათ, იმ უბიწოების გამო, რომელიც საბოლოოდ ფატის საბედისწ-ერო ვნებათა ღელვას უნდა შეეწირა.

გათავდა შემოდგომა. მთელ ზაფხულს უპუროდ დარჩენილ სოფელს სიმინდიც მალე შემოელია. მეწისქვილესაც ბერღარა გადაეშვა, ორი დიდი სქელქვებიანი წისქვილი ჩაეკეტა და ერთი კიდის ვიწროღარიანი აღრიანტებოდა გაცვეთილ დოლაბს. ხვიმირაზე ერთი ტომსიკა კიდევ იყო შესკუპებული, ეს იყო და ეს. შიმშილის აჩრდილმა გაიარა მთელს სოფე-ლში. შიოდა ყველას და მათთან ერთად ტუხუიასაც, რომელსაც თავის ლა-რიბ ლუკმას უყოფდა გოგიტას კეთილი ოჯახი. დამშეული იყო ტუხუიას ერთგული თოლიაც. თოლიამ საშინელი შიმშილობის ხანაში გაბედა და თა-ვის პატრონს მჭადის ნატეხი მოპარა. ამას კი საკუთარი სიცოცხლე შე-სწირა თოლიამ. ტუხუიას განცდებს, რომელიც მწარე შიმშილით იყო გამო-წვეული შემდეგი სიტყვებით აგვიწერს ავტორი:

"- მოგკლავ თოლია !:.. თოლია გაგათავებ, - უკან გამოუდგა, ძაღლმა ურმის ქვეშ შეასწრო და მჭადს ერთი მოღრღნა კიდევ, რომ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტუხუია ურემს ეცა. იქვე ჩარჭობილ წალდს დაავლო ხელი, ძაღლი წიხლით გამოაგდო, როგორც კი ურმიდან გამოძვრა კბილებში მჭადგამოჩრილი თოლია, ტუხუიამ ისეთი ძალით მოუქნია წალდი, რომ ძაღლის თავის ქალა გაჭრა.

ამ დროს ჩვენც მივირბინეთ, მაგრამ ორად თავგაჭრილი თოლია ცალცალკე ხუჭავდა თვალებს, თითქოს ნახევარ-ნახევარი ცალ-ცალკე კვდებოდა და ორივეს მაინც მჭადის ნატეხზე რჩებოდა სული".[1]

მწერალი თავისი გმირის ასაკის ერთგულია. ის ბავშვობის ხანას აგვიწერს, ის ამ ყოფაში გადასახლდება, რომელიც უპირველეს ყოვლისა, მოთხრობის მაცოცხლებელი ჰაერია და მხოლოდა მერე მისი სიუჟეტი. სინანულით ნათქვამი სიტყვები, რომ ბავშვობის ხანაში მას ბავშვობა არ ჰქონია, აქ მართლაც ზედმეტია. ის უმამობას, შიმშილსა და ქანცგამწყვეტ შრომაში გამოიწრთო. ამიერიდან ამ ჭირს ვერასოდეს ვერ მოიცილებს თავიდან. ყველა ბავშვს თითქმის ერთნაირი ბედი დააბედა ომმა. ასეთი ბედისაა 16 წლის ბიჭუნაც. ბიჭუნას რაც არ უნდა შეემთხვეს, თავზარი არ დაეცემა. თავზარი მაშინ ეცემა კაცს, როცა ნორმებს ეჩვევა, მაგრამ ბიჭუნა იმდენად ბავშვურია და ამიტომ ისე დამყოლი, რომ ყველაფერს, რასაც ცხოვრება თავს დაატეხავს, ის ბუნებრივ ამბად თვლის. იგი იმდენად კეთილშობილი და გულმხიარულია, რომ სიმწარესა და უბედურებას, როგორც ომით დათესილი ბოროტების ნაყოფს, ძალა არ შესწევთ შებღალონ და აამღვრიონ მისი სიწმინდე, ის ხელმარჯვე და გამრჯე ადამიანია. საოცრად ყოჩაღი, გულკეთილი და ქველმოქმედია. ომის მიერ ახლობლებზე მიყენებული ყოველი ჭრილობის საპასუხოდ ის მაშინვე რაღაცას მოიმოქმედებს ხოლმე. იგი ნაღველს გულს არ აკარებს, თითქოს ტკივილს გაურბის, თითქოს ინსტიქტურად ეშინია მასთან შეგუების, თავს უფლებას არ აძლევს ბოროტებასა და სიკვდილს მიეჩვიოს.

---

1 ო. იოსელიანი, ვარსკვლავთცვენა, თბ., 1965, გვ. 426

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბავშვობა რომანში უაღრესად ცხოველმყოფელი ძალაა, მაგრამ მწერალმა ჯერ კიდევ დაუმწიფარი ბავშვების შრომის ფერხულში ჩაბმით, /რათა თავი ირჩინონ/ გვაგრძნობინა ომით მოტანილი შიმშილის საშინელი ძალა.

შიმშილისაგან ძალაგამოლეული ბავშვები ერთი მეორის ხმასაც ველარ სცნობდნენ სკოლაში. თითქოს სიცილის უნარი და მოთხოვნილებაც წართმეოდათ და როდესაც პლატონ მასწავლებელმა ცალ ყურზე სათვალე მოიხსნა, მაგრამ ხელიდან გაუსხლტდა და ძალზე სასაცილოდ ჩამოეკიდა, ამის გამო მათ არა თუ არ გასცინებიათ, არამედ "წარბიც" არ გახსნიათ.

პლატონ მასწავლებლის სახეში განსახიერებულია პატრიოტი ადამიანის ყოველგვარი დადებითი თვისებები და ოპტიმისტური რწმენა. მიუხედავად მტრის გარკვეული წარმატებებისა მას მაინც არ სჯერა მტრის გამარჯვებისა. იგი აიმედებს მოსწავლეებს, რომ ხვალ თუ ზეგ ჩვენი არმიის გამარჯვება გარდაუვალია, დასადგურებულ მწუხარებასა და გაჭირვებას მალე სიხარული შეცვლის. აი როგორი სიტყვებით მიმართავს პლატონ მასწავლებელი მოსწავლეებს: "მტრის ელვისებური ომის გეგმა ჩაიშალა, მოსკოვი ხელუხლებელია, მოსკოვში მეტროს მშენებლობაც არ შეჩერებულა, ჩვენ გავიმარჯვებთ, - თქვა მან, წამოდგა, ფანჯრისაკენ წავიდა, მობრუნდა, თავი დაგვიქნია და დაბეჯითებით გაიმეორა: -კი გავიმარჯვებთ, უსათუოდ გავიმარჯვებთ".[1]

მიუხედავად ყოველგვარი გაჭირვებისა, ადამიანები მედგრად უმკლავდებოდნენ ყოველგვარ დაბრკოლებებს და ცდილობდნენ ოჯახი დაუნგრეველი დაეხვედრებინათ ფრონტზე წასული ვაჟკაცებისათვის.

მაგრამ დედის ლოცვამ ვერ უშველა ომში წასულ გმირებს და მალე აკივლდნენ გამწარებული მშობლები. ელვის სისწრაფით მოედო

---

1 ო. იოსელიანი, ვარსკვლავთცვენა, თბ., 1965, გვ. 388

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოფელს ხმა - ეკას შვილი მოუკლესო, და აწივლდნენ მეზობლები. ყველა როგორც საკუთარ შვილს და ძმას, ტიროდა დაღუპულ კოწიას. მოთქმით იზიარებდნენ ისინი ეკას უბედურებას და ამ მოთქმაში იგონებდნენ გულსაკლავად თავის შვილებს, ძმების, ქმრების სახელებს, გასაჭირსა და გლოვის დროს ჩვენს ქვეყანაში ადამიანი არასოდეს არ დარჩენილა მარტოდ, და ასე მოხდა ახლაც. დიდი სიმართლით, რომელშიაც ჩვენ თითქოს ავტორის გულისცემა მოგვესმის, აგვიწერს მწერალი ოტია იოსელიანი, თუ როგორი გულწრფელობით გაიზიარეს მეზობლებმა ეკას ეს შავი დღე, რა ადამიანურობა და თანაგრძნობა გამოამჟღავნეს მათ ბედდამწვარი დედისადმი "კოწიას ეზო მოტირალებით აივსო. მთელი სოფელი მოიყარა, დიდიან-პატარიანად მოაწყდა უბედურ დედას, უბედური ასი დედა და მამა, ცოლი და შვილი, ბებია და მამიდა, სისხლითა და სულით ნათესავი, გულდათუთქული და თვალებატირებული, დაკაწრული სახითა და გაწეწილი ბაღარით.

ტუხუია ხუთ და-ძმას მოუძღოდა ეზოში და ექვსივე პირდაღებული ღიოდა "ზაზაიას". ექვსივე ჯოხებზე გადაკიდებულ ძონძებივით მოაბიჯებდა, თითქოს ექვს საფრთხობელას ხარიდის სიმსხო კისერზე ექვსი თავის ქალა ჩამოუცვია და ფეხი აუდგამსო.

ყველაზე ბოლოს ელპიტე გამოჩნდა. იგი გრძელ კაბას მოაფოფიალებდა და მოჰყვიროდა:

- ამზაკო, ჩემი ამზაკო !

ხმა რომ არავინ გასცა, მისთვის რომ ვერავინ მოიცალა, ეზოში ცოფიანივით შემოვარდა და მისმა შეკივლებამ ეკასაც კი ხმა ჩაუწყვიტა.

- ამზაკო, ამზაკო სადაა, ჩემი ამზაკო!

ისევ იზმუვლა ამდენმა უბედურმა დედამ, ამდენმა ცოლმა და შვილმა, ამდენმა მოხუცმა და ახალგაზრდამ. ყველა გულში შვილის ტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნსაცმელ ჩაკრულ ეკას მიაწყდა. ყველა კოწიას დასტიროდა და თავის შვილის თუ ძმის, მამის თუ ქმრის სახელს იძახდა, ყველა წასულის და არდაბრუნებულის, ყველა უგზოუკვლოდ დაკარგულისა და შინმოუსვლელის".[1]

ბევრი იტირა სოფელმა მთელ დღეს კოწიას უბედურებაზე, მაგრამ ხალხის ნებისყოფამ და ოპტიმიზმა მაინც სძლიეს ცრემლს და მოთქმას. როგორც მწერალი გვიამბობს ჭეშმარიტი ხატოვნებით "იმ ღამეს ყველამ იმედის ნაპერწკალი მოქექა და შეუბერა. დილით სოფელმა ისევ გაალო თვალი, ფანჯარაში შემოსული დღის სინათლე დაინახა, კალთაჩახეულ კაბას საკერებელი დაადო, კისერთან გაგლეჯილ საკინძეს სხვა ფერის ღილი დააკერა, ცრემლგამშრალ თვალებზე ერთი მუჭა წყალი შეისხა და კერაში ცეცხლი შეაკიზინა.

ისევ გამოჩნდა ეზიკა და ქალი და კაცი ჩაის პლანტაციაში გაიწვია".[2]

ისევ გაჩაღდა მწუხარებისა და დარდის გამქარწყლებელი შრომა. ისევ დატრიალდა სოფელში ხალისი, ისევ გაისმა ადამიანთა გადაძახილები, ბავშვთა ჟრიამული.ერთი კვირის წინ დამარცხებული სოფელი ისევ აღდგა ფერფლიდან, ისევ გარეკა მტერი და უიმედობა.

დადგა მესამე შემოდგომა. საღამო ჟამს შეხვდა გოგიტა გოგონას. იმდღეინდელი გაუთავებელი მიცილება - მოცილებისას გაისკვნა მათ შორის თითქოს და საბოლოოდ ის გრძნობა,რომელმაც ღამით ძილი წაართვა გოგიტას. თქმა არ უნდა, სიყვარულის გრძნობა იყო იგი.სიყვარულისა,რომლისადმი უნებლიე და მოულოდნელი ღალატი ასე სანანებელი დაურჩა გოგიტას. ეს "ღალატი" კი ფატისთან ჩაიდინა მან.ყოველგვარი წინასწარი განზრახვის გარეშე, როგორც ეს ლაღი ბუნების შვილებს მოსდით ჩვეულებრივ.

---

1 ო.იოსელიანი, ვარსკვლავთცვენა, თბ.,1965,გვ.432

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ალებულ ყანაში ჩალის დაზვინვისას, შებინდებაზე მოხდა ეს "ღალატი", როდესაც ნიავმა შემოუბერა, ჭრაქს ალი წააწყვიტა, თან კოკისპირულად დაუშვა. გოგიტა ინსტინქტურად შეძვრა გადასაწვიმებლად ზვინში მას ფატიც შეჰყვა. სივიწროვის გამო ქალი თითქმის ტანზე მიკვროდა ვაჟს,რომელსაც მისი ამონასუნთქი სახეში ცემდა.

რაღაც გუმანით იგრძნო გოგონამ იმ წვიმიან ღამეს ზვინში მომხდარი ამბავი და გოგიტას განუდგა. დარდმა შეიპყრო ვაჟის გული, და იგი თეთრად ათენებდა ღამეებს იმის ფიქრით, თუ როგორ გამოესყიდა თავისი დანაშაული.

გოგიტას სურდა დაემტკიცებინა სიმართლე გოგონასათვის, მაგრამ ამასაც ვერ ახერხებდა.იგი კარგავდა გოგონას, გოგონას, რომლის მეტი მას არავინ გააჩნდა.

აი, გოგიტა მოულოდნელად ახალი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა.

ეს მოხდა იმ საღამოს, როცა ეზიკა სხვებთან ერთად ტყეში შემალული ქურდბაცაცების საძებნელად წავიდა და მარტოდ დარჩენილ ფატის "დარაჯად" გოგიტა გაუგზავნა. სოფლის პირობებისა და წესისათვის ბუნებრივია ეზიკას ეს საქციელი, მაგრამ ასე იყო თუ ისე, სწორედ იმ ღამეს მოხდა ის, რასაც საბოლოოდ შეეწირა ფატის სიცოცხლე, და რამაც გოგონასა და გოგიტას სიყვარულის ძაფიც გაწყვიტა.

ალიონი კიდევ შორს იყო,როცა ეზიკას კარმიდამოს მოშორდა გოგიტა. მას უეცრად მოეჩვენა,რომ გოგონამ ყველაფერი იცის. "იცის თუ როგორ წავიდე თოფი, დამინახა თუ როგორ ვიჯექი ფატისთან ცეცხლის პირას.... როგორ შემოვარდა ჩემთან ლოგინში. ფატი და როგორ მეკვროდა განთიადამდე.

იმ დღიდან სრულიად მარტოდ რჩება გოგიტა. იგი გაურბის გოგონას, გორას. ეზიკას შეხვედრა კი სიკვდილად მიაჩნია აი თვითონ რას ამბობს გოგიტა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

" იმ ღღიდან მტკიოდა, მტკიოდა და ვერავის ვუმხელდი, მეშინოდა და ვერავის ვეუბნებოდი... ძნელია, როცა გშია და არავინ გაჭმევს, გცივა, არავინ გათბობს, უიმედო ხარ და ნუგეშის მცემელი არავინაა. უფრო ძნელია, როცა იცი, რომ იქვე, იქვე, შენთან ძალიან ახლოს არის ადამიანი, რომელსაც ასე ესმოდა შენი, ასე ერთგული იყო და აღაგესთან ცივ ქვაზე ჩამომჯდარი დილამდე უგდებდა ყურს შენს გედის ჩივილს, რომელსაც ასე მაგრად ეჭირა ხელში შენი ხელი".[1]

გოგიტას თანამგრძნობი მხოლოდ ტუხუია რჩება. იგი მასაც ბოლომდე არ ეუბნება საიდუმლოს.

ბოლოს როგორც ნაწარმოებიდან ვგებულობთ გოგიტა გახდა ფატის ბავშვის მამა და ფატის სიკვდილის მიზეზი. მაგრამ მწერალი არ ადანაშაულებს გოგიტას. მას იგი ადამიანური მორალით ამართლებს. მწერალი ნათლად გვაგრძნობინებს, რომ მის გმირთა ცხოვრებაში დატრიალებული ტრაგედიის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ომისდროინდელი ცხოვრების ჯოჯოხეთური პირობები იყო, და ბრალდების მთავარი სიმძიმეც მას, ამ პირობებს უნდა დააწვეს.

ნაწარმოების ეპილოგიდან ვგებულობთ, რომ თვითონ გოგიტა უკმაყოფილოა თავისი საქციელით. იგი ამბობს:

"დამთავრდა ომი, რომელიც ოთხი წლის წინათ თამაშით დავიწყე. დავიწყე თამაშით და წარბშეკრულმა დავამთავრე. ვნახე ყველაფერი: ვნახე ზღვა ცრემლი და მწუხარება, მოვასწარი დიდი სიყვარული და ღალატი, გავხდი მამა და ...

სიკეთეს დრო უნდა ! მე დრო არ მეყო, და უნებურად ბოროტებაც ჩავიდინე.

მე ხომ წმინდა სიყვარულს ვუღალატე! მე ხომ მამა ვარ მთელ სოფელში ოთხი წლის მანძილზე დაბადებული ერთადერთი ბავშვისა...

---

1 ო. იოსელიანი, ვარსკვლავთცვენა, თბ., 1965, გვ. 471

მე ბევრი მძიმე ცოდვა მაწევს ჩემს სუსტ მხრებზე, - ჯერ ჩვიდმეტი წელი არ შემსრულებია!

და მაინც ვიტყვი,მაინც ვამბობ: არა, ჩემი ბრალი არ არის ! არ არის ჩემი ბრალი!".[1]

მწერალმა შეძლო წარუშლელად ეჩვენებინა, ადამიანთა სიყვარულის, თავდადების, მორალური ერთიანობის, მათი სული შეუპოვრობისა და სიმტკიცის ძალა ქვეყნის, ერის, საზოგადოების ცხოვრებაში. ამაშია "ვარსკვლავთცვენის" მთავარი პათოსი, მისი ზნეობრივი ძალა და მნიშვნელობა.

ხალხის სულის ამ დიდმა გამძლეობამ და შეუპოვრობამ მოიყვანა ცხრა მაისის დილას. მილიონების თავდადებით იქნა მოპოვებული ეს გამარჯვება, რომელშიაც, როგორც ამას შესანიშნავად გვიჩვენებს მწერალი, თავისი წმინდა და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩვენმა ხალხმა არა მარტო, თავისი გმირული შრომით, არამედ იმ უთვალავი ვაჟკაცების სისხლითაც,რომლებსაც ბედმა ბრძოლის ველიდან შინ დაბრუნება აღარ არგუნა.

როგორც ვხედავთ "ვარსკვლავთცვენა" კარს მომდგარი უცილობელი აღსასრულის განუწყვეტელი და უტყუარი შეგრძნებისაგან მოჯადოებული ცხოვრების შესახებ მოგვითხრობს. სიცოცხლე სიკვდილის პირას მისულა; სიცოცხლე თვითუარყოფის ზღვარზე დგას, სიკვდილმა შეიძლება არც მოაკითხოს, მაგრამ მისი გავლენის სფეროში, მის გვერდით გარდაუვალი აღსასრულის მოლოდინში ხანგრძლივად ყოფნა უკვე სიკვდილია. სიცოცხლის სიპტომები,რომელმაც ბუნებრივი გამოხატულება ვერ იპოვა, გადაშენების სიპტომები აღმოჩნდა. სიცოცხლის დვრიტა გადარჩენას თხოულობს.

მაგრამ საკითხავია, ისევ ძველ ყაიდაზე სურს ცხოვრება? ისევ ძველებური ყოფის ფარგლებში უნდა დარჩენა? ორაზროვანია ფრაზა:

---

1 ო.იოსელიანი, ვარსკვლავთცვენა,თბ.,1965,გვ.480

ეროვნული ბიბლიოთეკა

" მე ხომ მამა ვარ მთელ სოფელში ოთხი წლის მანძილზე დაბადებული ერთადერთი ბავშვისა"... ბავშვი მაინც დაიბადა, მაგრამ მამა 16 წლისაა. ეს იყო სიცოცხლის შენარჩუნების უკანასკნელი შანსი. ამიერიდან ცხოვრება სხვა გზით უნდა წავიდეს.

მართლაც ცხოვრება უნდა წავიდეს გამარჯვების გზით. მთავარია ადამიანს ოპტიმისტური რწმენა არ დაეკარგოს და სიკვდილის დასადგურებას არ გაუღოს გულის კარი. ომმა შიმშილობა და სიმწარე, გლოვა და შავი სუდარა დათესა სოფლად, მაგრამ გმირული შრომით საქართველოს სოფლები თანდათანობით ფეხზე დგებოდა და ომიდან დაბრუნებული ნაიარევ ვაჟკაცებს უმწიკვლო ოჯახებს ახვედრებდა.

ომისდროინდელი სიღარიბე შესანიშნავად გვიჩვენა ოტია იოსელიანმა რომანში "შავი და ცისფერი მდინარე". მართალია, ამ რომანის ძირითადი თემა სამამულო ომის ქარცეცხლიანი დღეების აღწერაა, მაგრამ ნაწარმოებში მაინც ოსტატურად ურთავს ავტორი ომისდროინდელი სოფლის ცხოვრების სურათებს.

ბებია ელპიტეს სამამულო ომმა დიდი უბედურება დაატეხა თავს. მან დაკარგა სიძე და თავისი ერთადერთი შვილი ასმათი, რომელიც ჭლექით იყო დაავადებული, ქვრივი გახადა. ომმა ელპიტეს ოჯახს ესეც არ აკმარა და სიღარიბე და შიმშილიც არგუნა ბედად. მან თითქმის ყოველგვარი ძვირფასი განძი ჩალის ფასად მისცა ოქრომჭედელს, რათა ლუკმა ეშოვნა. გამხდარი, სახეჩამომჭკნარი, ერთი შეხედვით კაფანდარა მოხუცი ოქრომჭედელი სწორედ მაშინ შემოიპარებოდა ქადაგიძეების ოჯახში, როცა ყურგახვრეტილი გროშიც აღარ იყო. ავტორი შემდეგი სტრიქონებით აგვიწერს ქადაგაძეების ოჯახში ოქრომჭედლის "მობრძანებას".

"შემოძვრებოდა, მოწყენილი, დაბეჩავებული, ძველმანებგადაცმული და წუწუნებდა, ოხრავდა, ლამის ტიროდა, რომ ასეთ დროში ოქრო და სამკაული ვიღას უნდა, მე კიდევ რა გამაჩნია, რომ ოქრო და ბრი-

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ლიანტი შევიძინო, ეს კი არა, რა ხანია ერთად ორი პერანგი არ მიყიდიაო. თუ ელპიტეს ხელისგულზე საყურეს, ქინძისთავს, ძეწკვს, ან მედალიონს დაუნახავდა, უჟმური, დაჩამიჩებული სახე არა, მაგრამ ცრემლმომდგარი თვალი მაინც გაუცინებდა".[1]

"ოქრომჭედელი" ელპიტეს ვაჭრობას დაუწყებდა. მუშტარი ნივთს იღებდა, სინჯავდა, ხელში წონიდა და ისევ უბრუნებდა. იგი ცდილობდა რამდენჯერმე ნაკლებ ფასებში დაეცინცლა ელპიტესათვის ძვირფასი ნივთები. ამასაც მიაღწია ოქრომჭედელმა და ჩალის ფასად ჩაიგდო ხელში სამკაულები. ელპიტემ ყველაფერი იცოდა. იცოდა რა გროშის ფასად მიჰქონდა "გაჭირვებულს" მისი გაუხარელი ახალგაზრდობის საფასური, მაგრამ სხვამ რომ გამცეს ტყუილად დაკარგვას, ერთ თვეს რომ შვილსა და შვილიშვილს ლუკმა მიჭმიოს, ეს მიჯობსო და ასე გადაინაცვლა "შავი დღისთვის გადანახულმა" ოქრომჭედლის ხელში.

ორი დღის წინ კუბოში ჩასატანებელი საყურეებიც ჩალის ფასად წავიდა, რაკი ომი მძვინვარებდა, მტერი წინ მოიწევდა, ბაზარს ცეცხლი წაეკიდა და ხალხისათვის პური იყო სამკაული და არა სამკაული - პური.

სწორედ რომ უჭირდა ხალხს. უჭირდა ფრონტზე მებრძოლებს და უჭირდათ მათ ოჯახებს, ზურგში მშრომელებს. ვერავითარი იმედები ვერ დააპურებდა ოჯახს. საჭირო იყო გამძლეობა, გამაგრება, ოჯახის შენარჩუნება. მაგრამ ყველას როდი შეეძლო ეს. ელპიტეს ჭლექით დაავადებული შვილის - ასმათისთვის, აბასთუმანში სამკურნალოდ წასასვლელი ფულიც უნდა ეშოვნა და ოჯახიც უნდა ერჩინა. ამიტომაა რომ მან ყველაფერი, თუ რამე განძეული გააჩნდა გაყიდა.

ომისდროინდელი სიდარიბე და გაჭირვება კიდევ უფრო მძაფრადაა წარმოდგენილი რომანის შემდეგ ეპიზოდში.

თეკლა ერთ დღეს ბაზარში წავიდა და ხორცის რიგში ჩადგა. მან

---

1 ო. იოსელიანი, შავი და იისფერი მდინარე, თბ., 1979, გვ. 115

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლივს მიაღწია ლოყებღაჟღაჟა ყასაბამდე, მაგრამ ხორცი ცხვირწინ გათავდა. თეკლა "განსაცდელის" წინ დადგა, ჭლექიან დედას და ბებიას კვირაში ერთხელ ხორცის წვნიანი როგორმე უნდა გაესინჯათ. ყასაბი მიხვდა თეკლას გაჭირვებას და მოინდომა უმწეო ქალის ხელში ჩაგდება. ამ მიზნით მან თეკლას ცალი თვალით ანიშნა, ხალხი, რომ გაიკრიფება, საყასაბოს უკანიდან მოუარეო. აი რას ფიქრობს თეკლა ყასაბის შესახებ:

"ნუთუ არსებობს რაიმე ძალა, რამაც ამ ყასაბს ჩაგონა, რომ თავისი მსუქანი მუცლისათვის გადანახული ჩემთვის, ჩემი ფილტვებდაღრღნილი დედისა და ძლივს მოლასლასე ბებიისათვის უფრო აუცილებელია. "კურთხეულ არის ღმერთი, რომელიც გვწყალობს და გვზრდის სიყრმით ჩვენითგან, მისცემს საზრდელსა ყოველსა ხორციელსა".[1]

თეკლამ განიზრახა საყასბოში შესვლა, მაგრამ იგი უმალ მიხვდა, რომ გაზეთში შეხვეული მსუქანი ნაჭერი თაროზე მაცდუნებლად რომ იდო, როცა დახლიდარი წყლიან სათლზე ხელის დასაბანად დაიხარა მაშინ საყასბოში თითის წვერებზე შევიდა თეკლა. მან ფული დახლზე დადო და თაროსაკენ წაიწია, მაგრამ დაინახა, რომ ყასაბს დაკაპიწებული სველი ხელები გაეშალა და წინ ნაბიჯ-ნაბიჯ მოიწევდა, დედის ცურზე მიშვებული, შვლისთავლებიანი, ჭრელი ხბოს დაჭერისას რომ იცოდა. ღიმილი ჰქონდა ამ "ცოდვილს", ერთი კვირის მშიერ-მწყურვალს ცხვირთან მიტანილი ცვრიანი მწვადის სუნი რომ დამართებს - ხოლმე. თეკლას ზიზღისაგან ნერწყვიც გაუშრა, და ცივად მიტრიალდა".[2]

ყასაბის სახეში გაცოცხლებულია ისეთი პიროვნება, რომელიც მზადაა ყოველწუთას უღალატოს ადამიანს. ხელი საშველად არ გაუწოდოს უმწეოდ დარჩენილს.

---

1 ო. იოსელიანი, შავი და ცისფერი მდინარე, თბ.,1979,გვ.138

2 იქვე,გვ.137

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იგი მთელი არსებით გამჭვალული იყო, რომ თეკლა ხელში ჩაუგდო, რათა თავისი ცხოველური ჟინი დაეკმაყოფილებინა. მაგრამ თეკლას გამჭრიახობამ იხსნა მისივე სინდისი უსინდისო ყასაბის გადაწყვეტილებისაგან.

ასე ნათლად წარმოგვიდგინა ომისდროინდელი ცხოვრების მძაფრი სურათები მწერალმა ოტია იოსელიანმა თავის რომანში "შავი და ცისფერი მდინარე". მან თეკლა ქადაგაძის ოჯახის ცხოვრების ფონზე გვიჩვენა ჩვენი ხალხის დუხჭირი ცხოვრება და გაჭირვება დიდი სამამულო ომის პერიოდში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## თავი მეორე

## ფრონტული მეგობრობა

ქართული პროზის იმ ნაწარმოებებს შორის, რომლებშიც მხატვრულად აისახა დიდ სამამულო ომში მოძმე ერების წარმომადგენელთა საბრძოლო თანამეგობრობის სურათები, ერთ-ერთი ღირსეული ადგილი უნდა დაეთმოს რევაზ ჯაფარიძის შესანიშნავ მოთხრობას "ახლო არს ზაფხული".

მოთხრობაში "ახლო არს ზაფხული" მთავარი გმირი ომგადახდილი და სამშობლოსაკენ გამომგზავრებული ქართველი მეომარია. ქართველმა მებრძოლმა - სერგომ სხვა მებრძოლებთან ერთად მისდია ფაშისტ მტერს საკუთარ ბუნაგში და ახლა იქიდან გამარჯვებული საქართველოში ბრუნდებოდა.

ნაწარმოებში აღწერილია სერგოს მოგზაურობა მოსკოვის გზით. ნაჩვენებია ომის ულმობლობისაგან დამწვარ-დანგრეული და ჯერ კიდევ აღუდგენელი სადგურები, სადაც ვინ იცის რამდენმა პატრიოტმა დასტოვა სიცოცხლე.

მოსკოვის გზით მიმავალ სერგოსთან ერთად ავტორი გვაცნობს მის თანამგზავრ რუსის გოგოს რიაბოშაპკას.

რუსი და ქართველი ხალხის წარმომადგენლების საბრძოლო თანამეგობრობის სურათი ამ ქართველი ვაჟკაცისა და რუსი ქალიშვილის რიაბოშაპკას ურთიერთობაშია მოცემული.

რიაბოშაპკა ნამდვილი პატრიოტი სამშობლოს ერთგული ადამიანია. იგი თავის ძმებთან, მებრძოლი ჯარისკაცებთან ერთად, სამხედრო ფარაჯაჩაცმული, იბრძოდა სამშობლოს კეთილდღეობისათვის.

ომგადახდილი რუსი ქალიშვილის საშა რიაბოშაპკას სახე განსაკუთრებული სითბოთი აქვს დახატული ავტორს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

"ომში მოხალისედ წამოსული ალექსანდრას, რომელსაც ამ სახელის ყველა მოზიარის მსგავსად, შინაურობაში საშას ვეძახდით, ჩვენს ბრიგადაში სამსახური სულ ბოლო დროს მოუწია. ჯერ ტყვიამფრქვევზე იყო ვაზნების მიმტანად, შემდეგ დაიჭრა, მგონი ლაიფციგის მახლობლად, საველე ჰოსპიტალი მოიარა და კვირის თავზე ისევ უკან დაგვიბრუნდა. ამჯერად მეავტომატეთა ოცეულში გაემწესებინათ.

საშა ერთი ჩუმი და უთქმელი გოგო იყო. შესახედავად არცთუ ჯანმაგარი. გეგონებოდა სული რომ შეუბერო, წაიქცევაო. ვერც კი წარმოიდგენდი თუ მართლა რაიმე შეეძლო. ეცვა ისევე, როგორც ყველა ჯარისკაცს აცვია: კირზის ბრახუნა ჩექმა, ხაკისფერი მაზარა, ხოლო ზემოთ თითბრის ბრჭყვიალა ღილებით ნიკაპამდე შეზნეული გიმნასტურა. ყოველივე ამას ღირსეულად აგვირგვინებდა ვარსკვლავმიმაგრებული ცინცხალი ქუდი, ყურებიანი, რასაკვირველია".[1]

რიაბოშაპკას ბავშვობა ვორონეჟში გაეტარებინა. მისი მშობლებიც ოდესღაც იქ იყვნენ, მაგრამ სამამულო ომმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა და საწყალ გოგოს შინაურების ამბავი სხვადასხვა ადგილიდან მოსდიოდა:

"სულ ბოლო წერილი წვერმაღალადან მოუვიდა: ახლა აქეთ გადმოგვყარა ბედმა და, თუ ღმერთი შეგვეწია და ჯარიდან დაგითხოვენ, პირდაპირ აქ ჩამოგვაკითხე, სხვაგან ნურსად გვეძებო".[2]

მას შემდეგ, რაც წერილის მეშვეობით შეიტყო, რომ მშობლები საქართველოში არიან, რუსი ქალიშვილი დაუახლოვდა ქართველ მეომარს. მან სერგო ნამდვილ მხსნელად შერაცხა. იგი მას გვერდიდან არ მორდებოდა და დილან-ღამიანა თვალებში უყურებდა.

რიაბოშაპკას ჰყავდა სნეული დედ-მამა და პატარა და ულიანა.

---

1 რ. ჯაფარიძე, ახლო არს ზაფხული, 1966, გვ.158

2 იქვე, გვ.159

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი გრძნობდა, რომ მათ უჭირდათ ცხოვრება წვერმაღალაში. რა თქმა უნდა ომის დროს ყველას უჭირდა ლუკმა პურის შოვნა, მითუმეტეს უჭირდა რიაბოშაპკას სნეულ დედ-მამას უცხო მიწაზე, უცხო ადამიანებს შორის ცხოვრება.

სამშობლოში მომავალ სერგოს თავის მეგობართან ერთად გზაზე დიდი გაჭირვება ხვდება. ისინი მოსკოვში, კურსკის ვაგზალზე იმყოფებიან, მაგრამ ბილეთები არა აქვთ. ვაგზალზე სერგოს ჯერ ერთმა ხეიბარმა ააცინცლა ოცდაერთი მანეთი. იგი მერე შემთხვევით ხვდება ქართველებს, რომლებმაც სტუდენტებად გააცნეს თავი. ისინი შეჰპირდნენ სერგოს დახმარებას ბილეთის შოვნაში. მაგრამ ახლადშეძენილი მეგობრებს - უშანგისა და ლადის სულ სხვა მიზანი /იოლად ფულის შოვნისა/ ამოძრავებდათ და მართლაც საწადელსაც მიაღწიეს. სერგო და რიაბოშაპკა უკაპიკოდ დატოვეს. აი, როგორ მსჯელობს თანამემამულეებისაგან მოტყუებული სერგო:

"ვილაც ადგება და აკნავლდება - კაცმა კაცი რისთვის მოკლაო! ამ სირცხვილს ათი წლის კარდაკარ წანწალი მერჩია. ნეტა ტყვედ ჩავვარდნილიყავი და სამუდამოდ ციმბირში დამედო ბინა. მხოლოდ ეს არ მენახა... აი, თურმე რატომ ჩამაცივდა, სხვა დროს თუ ყოფილხარ მოსკოვში, მოსკოვი თუ იციო. გზებს მიჭრიდა, თავს იმშვიდებდა. მაშინვე როგორ ვერ მივხვდი, თვალები ასე რამ დამიბრმავა, ასე რამ გამომატვინა! უშანგიმ პირდაპირ არა თქვა? უკაპიკოდ რჩებიანო, არ შემიძლიაო... იმისი ნათქვამის გაგებას რა დიდი ლარი და ხაზი უნდოდა! ფეხსაც არ გავადგამ აქედან. მთელ მოსკოვს ნაბიჯ-ნაბიჯ შემოვივლი, საქმე უსათუოდ გადავეყრები და ლადის ბინძურ სისხლს დავლევ. არც უშანგია დასაზოგი. ლოთიო! გლახაკი! მონა! რაც მოსავალია, მომივიდეს. თურმე რა მეღოდა, თურმე ვისი წერა ვყოფილვარ! სტუდენტები ვართო. ისემც რა ვუთხრა. ჯიბის ქურდები არიან, ოხრები, კაციჭამიები, მამის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვლების გამყიდველები".[1]

სერგო უკვე შურისძიების გრძნობით აღივსო. მას ეგონა, რომ ლაღისა და უშანგის სახით, მეგობრები შეიძინა, მაგრამ მწარედ მოტყუვდა. სერგო და საშა დაეხეტებიან მეტროთი და ეძებენ სადგურებზე მოღალატე "თანამოძმეებს", მაგრამ ვერ პოულობენ, ანდა რას გახდები მეტროს სადგურებში ძებნით.

ავტორმა ლაღისა და უშანგის სახით გაგვაცნო დაუნდობელი ადამიანები, რომლებიც ყოველი წუთს მზად არიან კაპიკისათვის გასწირონ ადამიანი. მათთვის სულ ერთი იყო თუ რა გზას დაადგებოდნენ შიმშილით მისუსტებული სერგო და საშა რიაზოშაპკა. ვის უნდა გაეწოდა ხელი სერგოსთვის უცხო მიწაზე, თუ თავისი თანამემამულე არ დაინდობდა თავის სისხლსა და ხორცს. აი რა დიალოგი იმართება უკაპიკოდ, უღუკმაპუროდ თავშესაფრის გარეშე დარჩენილი სერგოსა და საშას შორის: "მეტრო პირველ საათზე იკეტება, აქ არ გაგვაჩერებენ. ვაგზალში უნდა წავიდეთ, მაგრამ ვაი თუ ვაგზალიც იკეტება. - შეუძლებელია ამდენ ხალხს ქუჩაში ხომ არ გამოყრიან!

- მაშ შერჩეთ ჩვენი ასე გამეტება?

- შერჩათ და ეგ არის. ახლა სად ვართ ნეტა? მგონი, არბატის მოედანია. წამოდი, სქემას შევხედოთ "კურსკაია" არ გვინდა. ისინი კურსკის მიწისქვეშა სადგურამდე უკანასკნელმა მატარებელმა მიიყვანა. ესკალატორის ვიწრო კიბეზედ გაშტერებული თვალებით ეძებდა სერგო თავის დამღუპველებს.

მოედანზე ხალხს მოეკლო, ხოლო თვით ვაგზლის უზარმაზარ დარბაზებში ისევ ჭედვა იყო. ქაქანი, ქოთქოთი და ძუძუთა გავშვების გაუწყვეტელი ზიაქი იდგა. წეკოს მოლურჯო კვამლს დარბაზები დიდი ხნის შეუფუთქავ ჭერამდე აევსო. ერთიმეორისაკენ პირით მოქცეულ

---

1 რ. ჯაფარიძე, ახლო არს ზაფხული, თბ., 1966, გვ. 191

ზურგ მოხარატებულ სკამებზე მჯდომარე და სკამებშუა ჩახერგილ ზურგზე მიწოლილი მგზავრების დანახვისას ადამიანი ვერც კი გაარჩევდი, რომელი თავი, ხელი ან ფეხი რომელ ტანს ება.[1]

სერგოსა და საშას სულში ცოტა ხნის შემდეგ იმედის ნაპერწკალი აკიაფდა. სერგო იმასაც კი ფიქრობდა ლადი და უშანგი მოგვძებნიან და დაპირებულ ბილეთებს მოგვიტანენო, მაგრამ ამაო იყო ყოველივე.

ამის შემდეგ საშა რიაბოშაპკა ვაგზალზე ერთ ქალს დაეხმარება ბარგის წაღებაში. იმ ქალს იგი მატარებლამდე მიაცილებს. ის კი საშას ორ ხუთმანეთიანს აჩუქებს. ასე რომ უკაპიკოდ დარჩენილებმა ათი მანეთი იშოვეს, ბოლოს საშა და სერგო ერთ ზემდეგს მოემსახურებიან და ასე ამოყოფენ ისინი როსტოვის მატარებელზე თავს.

როგორც ნაწარმოებიდან ირკვევა ომგადახდილმა ქალ-ვაჟმა დიდი ტანჯვა გამოიარეს, მაგრამ რა ყოფაშიც არ უნდა ჩაცვივდნენ ისინი, მაინც არ კარგავენ სულის სიწმინდეს, ადამიანურ სითბოსა და გულის სინათლეს, უანგარო თანაგრძნობით ექცევიან ერთმანეთს და ყველას ვინც მათ დღეშია.

ჩვენ გვჯერა გმირთა სულიერი განცდა, თანავუგრძნობთ მათ ჭირვარამს და ზიზღით ვუყურებთ ყველას, ვისაც ისინი ებრძვიან.

მათ ნებისყოფას ვერ ძლია ვერც ომმა, ვერც გზაზე შემხვედრმა გაჭირვებამ. ისინი დიდი სიმტკიცით იტანენ ყველაფერს და გამარჯვებულნი გამოდიან ცხოვრების ასპარეზზე.

რ. ჯაფარიძის ამ მოთხრობაში, მკითხველი კარგად აღიქვამს, თუ რა ძალა აქვს ფრონტულ მეგობრობას, რომ ფრონტული მეგობრობა თითქმის აბათილებს ახალგაზრდა ქალ-ვაჟის სიახლოვით მოსალოდნელ ინტიმური ურთიერთობისაკენ სწრაფვას. ფრონტული მეგობრები ახალგაზრდა ქალ-ვაჟი - საშა რიაბოშაპკა და ქართველი მეომარი მთელი

---

1 რ. ჯაფარიძე, ახლო არს ზაფხული, თბ., 1966, გვ. 192

ეროვნული ბიბლიოთეკა

საათობით არიან ერთმანეთს ჩახვეულნი, მხოლოდ იმისათვის, რომ ერთმანეთი გაათბონ, მაგრამ რაიმე ქვენა გრძნობები არ აღძვრიათ, რადგან ისინი და-ძმაზე უფრო ახლობელნიც არიან. ასეა დახატული ფრონტული მეგობრობის ძალა რევაზ ჯაფარიძის ხსენებულ მოთხრობაში. მას ნათლად სწამს, რომ ომში განმტკიცებული საბრძოლო თანამეგობრობა ომის შემდგომი წლების მშვიდობიან ცხოვრებაშიც, დიდ ზეგავლენას მოახდენს ხალხთა შემდგომი ძმური თანამშრომლობის საქმეში. და ეს ხალხები მოვალენი არიან ყოველთვის მიაგონ უპირველესი პატივისცემა ჩვენი ხალხების იმ წარმომადგენელთა ხსოვნას, რომელთაც მხარდამხარ, ძმურად გაწირეს თავი თავისუფლებისათვის და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

მხედრული მეგობრობის ასახვას მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო რევაზ ჯაძარიძემ თავის მოთხრობაში "ხმა იდუმალი". "ხმა იდუმალმა", გამოქვეყნებისთანავე მიიპყრო სალიტერატურო კრიტიკის ყურადღება. ჩვენი ჟურნალების ფურცლებზე მას სპეციალური სტატიები მიუძღვნეს ნოდარ კაკაბაძემ და კობა იმედაშვილმა, ხოლო გურამ კანკავას სტატიაში "ერთი წლიწადი ახალი ქართული პროზის მატიანიდან" მთავარი ადგილი უჭირავს რევაზ ჯაფარიძის ამ მოთხრობის განხილვას. ამავე ნაწარმოებზე საუბარი იყო საქართველოს მწერალთა მეოთხე ყრილობაზე გამგეობის საანგარიშო მოხსენებაშიც /მომხ. ი.აბაშიძე/ და გამოსულ ორატორთა სიტყვებშიც".[1]

"ხმა იდუმალი" მართლაც დამაფიქრებელი და საგულისხმო მოთხრობაა. იგი სულის ისეთ უცნობ შრეებს შლის და ისეთ სიღრმეებს მკვლევს და აშუქებს, სადაც დღემდე ნაკლებად ვინმე თუ შეუხედავს.

თემა ნაწარმოებისა არაა ახალი: "ომი - მეგობრობა, სიყვარული, მაგრამ ეს ყველაფერი ახალი თვალითა და ახალი კუთხითაა დანახ-

---

1 ვლ.მაჭავარიანი, "ხმა იდუმალი" და ქართული პროზის ეროვნული ტრადიცია, ლიტ.გაზეთი N28,1959წ.10 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ული. მოთხრობაში ალარაა აღწერილი ბატალური სცენები, არც დაჭრილთა კვნესა გვესმის, მაგრამ ომის სიმძიმე და სიმწარე მთელ ნაწარმოების ირგვლივ ისმის და იგრძნობა.

ნაწარმოები იწყება ჯარისკაცის მიერ სოფლის ცხოვრების გახსენებით. პოლკი სადაც ახალგედა ჯარისკაცი მსახურობდა, თურქეთის საზღვართან, იდგა. შორს კი საშინელი ომი მძვინვარებდა. მალე იგი სხვებთან ერთად ქვეითი ჯარის ოფიცერთა სასწავლებელში გააგზავნეს, სასწავლებელი ქალაქგარეთ იყო. აქ ის პატარა ჯგუფის უფროსად დაინიშნა ზემდგის მიერ. დრო ჩვეულებრივ ნელა მიდიოდა. ერთხელ სატანკო დივიზიის მძიმე ტექნიკა მოადგა სასწავლებლის მოედანს და იქ დაბანაკდა. კურსანტი მებრძოლი, რომელსაც ლევანი ერქვა აქ გაიცნობს დივიზიის კაპიტანს - მირიანს. ლევანი და მირიანი ისე დაუახლოვდნენ ერთმანეთს რომ მათ შორის წოდებრივი ზღვარი იშლება. აი რას ამბობს ლევანი:

"ის ჩემთვის ალარ იყო კაპიტანი, გვარდიის კაპიტანი, გვარდიის სატანკო დივიზიის ექიმი. უბრალო, ჩემი კბილა ბიჭი იყო, რომელთანაც თითქოს ერთად გატარებული სიყმაწვილე მაკავშირებდა. ჩემი კბილა ბიჭი იყო. გული მარჩვენა და არც მე დავრჩენილვარ ვალში. ჩვენ სიტყვაც არ გვითქვამს ერთმანეთისათვის, რანი ვიყავით აქამდე, რით ვსულდგმულობდით, ცხოვრების რა გზა გავიარეთ. ამის არც დრო იყო და არც სურვილი. ჩვენ თითქოს მთელი, სიცოცხლის მანძილზე ვეძებდით ერთმანეთს, ვეძებდით და აი, ვიპოვნეთ კიდეც".[1]

ლევანსა და მირიანს ძმებივით უყვართ ერთმანეთი. მირიანი კაპიტანია და სატანკო დივიზიის ექიმად მუშაობს. ლევანმა გაიცნო იგი თუ არა, მაშინვე ისე შეეგუა მას, რომ იფიქრნებით მთელი ბავშობის წლები ერთად გაუტარებიათო.

ლევანი უტყუარი გუმანით გრძნობდა, რომ კაპიტანსაც სიამოვ-

---

1 რ. ჯაფარიძე, ხმა იდუმალი, თბ., 1966, გვ. 50

ნებდა მის ახლოს ყოფნა. ლევანიც ყოველ ღონეს ხმარობდა იმისთვის, რომ მუდამ კაპიტანის გვერდით ყოფილიყო, რომელიც მას ერთგულ მეგობრად ეგულებოდა: შესანიშნავად აგვიწერს მწერალი ლევანის ამ სურვილს:

"ლაშქრობიდან დავბრუნდებოდით თუ არა, იარაღს მივაყუდებდი და ხეივნისაკენ გავრბოდი. მირიანი, იქ მელოდებოდა ხოლმე. თუნდაც არ დამლოდებოდა! გვარდიის სატანკო დივიზიის სატანკო ბატალიონი ხუთი წუთის სავალზე იდგა. რა უნდოდა იქ მირბენას."[1]

აი კაპიტანი მირიანი შვებულებით დააწინაურეს მან ეს ყველაფერი გააგებინა თავის მეგობარ ლევანს. რა თქმა უნდა ლევანს გაუხარდა მეგობრის დაწინაურება, მაგრამ მაინც მოიწყინა. მირიანის წასვლის შემდეგ ლევანის სახეს ღიმილი არ გაკარებია. ლევანს ენატრებოდა მირიანი, წყუროდა მისი ნახვა. წყუროდა ახლობელი ადამიანი, ვინც მისი გულის აზრს იზიარებდა.

მირიანის წასვლის შემდეგ სასწავლებელში ფრონტის სარდალი ჩამოვიდა. ერთხელ ლევან ბერიშვილთან ასეულის მორიგე შემოვიდა და მოახსენა პოლკოვნიკი კუნსევიჩი გიბარებსო. კუნსევიჩმა ლევანი დააწინაურა და მას მსროლელი ასეულის მეთაურობა დაავალა. მომავალი ლაშქრობა სწორედ მისი სარდლობით უნდა განხორციელებულიყო.

ლევან ბ ერიშვილს არ სჯეროდა მისი დაწინაურება. მაგრამ ეს კი სიმართლე იყო. სწორედ ამისთვის დაიბარეს ტაქტიკის კლასში.

პოლკოვნიკ კუნსევიჩმა არჩევანი ბერიშვილზე შეაჩერა და ცხადია მისი დიდი იმედი ჰქონდა. ასეთი საპასუხისმგებლო საქმის მინდობა პატარა საქმე არ იყო. ყველას არ შეეძლო ეხელმძღვანელა ასეულისათვის, მითუმეტეს გააფრთებული ომის დროს.

ლევანი სიხარულისაგან ფეხზე აღარ იდგა. მას მოთმინება არ ჰყოფნიდა, ელოდა თუ როდის გავიდოდნენ მინდორში მძიმე და სახიფათო

---

1 იქვე, გვ.51

ელექტრონული ბიბლიოთეკა

დავალების შესასრულებლად. და დადგა ეს დრო: ლევანი უკვე თავისი ასეულით საღამშრომოდ გავიდა. ავტორი შემდეგი სტრიქონებით აგვიწერს ლევან ბერიშვილის საბრძოლო დებიუტს:

"პირველმა ზარბაზანმა დაიქუხა. მწვანე ტაფობში მტვრის უსწორმასწორო სვეტი დადგა. ამომავალი მზის სხივები კვეთდნენ მტვრის ბოლქვებს და გაქარხლებულ ტაფობს მოლოლიალე ჩრდილებით ალაქავებდნენ. ჭოგრიტს წავეტანე. ხელი მიკანკალებდა. ჭოგრიტი ქვეშ მომქცეოდა. ტანი ძლივს ავითრიე, რომ როგორმე გამომეძრო. სანგრიდან ამოვხტი, ავტომატი მოვიქნიე, რაღაც დავიყვირე და წინ გავიქეცი.

ჩემი ხმა სხვებმა აიტაცეს.

წინ მივრბოდი და მიწასაც ველარ ვამჩნევდი ფეხქვეშ. ვგრძნობდი, მარჯვნითაც მორბოდნენ, მარცხნითაც. ზარბაზნების მორეული ქუხილი, ძლივსღა აღწევდა ჩვენამდე.

მაშ არ შემცდარა მოხუცი პოლკოვნიკი, არ შემცდარა, არა! ეს არ არის სასაცილო, სასაცილო სრულებით არ არის ! ნამდვილი ბრძოლაა, მე კი ამ ბრძოლას ვმეთაურობ, მე ვმეთაურობ, მე!"[1]

ლევან ბერიშვილმა თავისი მხედრული ნიჭით ყველას სიყვარული დაიმსახურა. იგი შეუპოვარი და უშიშარი მებრძოლი დადგა. მას თითქმის თავისი სიცოცხლე არაფრად მიაჩნდა ისე შედიოდა ტყვიის ცეცხლში. მას მომხდარი ამბებით გაბრუებულის უზომოდ უნდოდა მირიანის ნახვა, უნდოდა ადამიანი ვინც მისი სიხარულით გაიხარებდა. პოლკის ხელმძღვანელობამ დააფასა ლევანის სამსახური და იგი ათდღიანი შვებულებით დააწინაურეს. ამასობაში მირიანიც ჩამოვიდა შვებულებიდან.

მირიანის შვებულებიდან დაბრუნების ამბავი დიასახლისმა შეატყობინა ლევანს. იგი სიხარულით შეხვდა შვებულებიდან დაბრუნებულ მეგობარს! -"ლამურა!- მივაძახე გახარებულმა - ცოცხალი ხარ?

---

1 რ. ჯაფარიძე, ხმა იდუმალი, გვ.58

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ოჰ, მოხვედი ? შეკრთა იგი და ზემოთ ამოიხედა, - გამარჯობა!

პასუხად აივნის კარი გავუღე. რაღაც ქაღალდში გახვეული გამოვართვი, ეტყობოდა, ჩქარა ევლო. ხმამაღლა სუნთქავდა. მაშინვე სკამზე ჩამოჯდა, კიტელის საყელო შეიხსნა და გამიღიმა".[1]

იმ საღამოს ლევანმა მირიანისაგან შეიტყო სამწუხარო ამბავი. მირიანი თავის დივიზიასთან ერთად ფრონტზე მიდიოდა. ლევანს რა თქმა უნდა, უმძიმდა მეგობართა განშორება, მაგრამ საშველი არ იყო. ომი მძვინვარებდა და მტერს გამკლავება სჭირდებოდა. დამწუხრებულმა ლევანმა მირიანი ფრონტზე გაისტუმრა, ხოლო ფრონტზე წასვლის წინ შვებულებით დაწინაურებული ლევანს სახლში წერილი და წიგნების შეკვრა გაატანა. განშორებისას ორივეს თვალზე ცრემლები მოაწვა. ეს იყო წმინდა მეგობრობის ცრემლები, მეგობრობისა, რომელიც ამ ორ პიროვნებას მდინარესავით მოედინებოდა.

ფრონტზე წასული მირიანი ომის მრისხანე და გრძელმა გზამ იმსხვერპლა. ჩვენთვის გაუგებარია გმირულად დაიღუპა თუ არა მირიანი, მაგრამ ვრწმუნდებით, რომ ყველაზე უმაღლესი გმირობაც კი მისთვის მიუწვდომელი არაა.

ლევანი თბილისში ჩამოვიდა და მეგობრის ოჯახს ესტუმრა. აღსანიშნავია მირიანის დედისა და ლევანის შეხვედრა:

"კარი შუახნის გამხდარმა ქალმა გამოაღო. ტანთ სავარეოდ ეცვა. ხელში მოწაფური შავი პორტფელი ეკავა. ალბათ, სადმე მიდიოდა და მე შევაჩერე. დამინახა და შეკრთა . რადგან სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდა ჩემს წინაშე. მე ხომ დაკაკუნებაც ვერ მოვასწარი! ჩემოდანი დავდგი და ქუდი მოვიხადე.

- მირიან სავანელი აქ ცხოვრობს ?

- დიახ, წარბშეკრულად მიპასუხა ქალმა, მე დედა ვარ მირიანის...

---

1 იქვე, გვ. 61

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ სიტყვებზე ხმელი ხელი გამომიწოდა და მეც ჩამოვართვი:"[1]

მირიანის დედის სახით თვალწინ წამოგვიდგება ქართველი ქალი, რომელიც თვალებში შეცქერის უბედურებას და მზად არის მტკიცედ დახვდეს მას.

გავიდა დრო. ლევანი ისევ ესტუმრა ფრონტზე მყოფი მეგობრის ოჯახს. მაგრამ წინანდელი სიმხიარულეს ნაცვლად მას შემდეგი სურათი წარმოუდგა: კარი ზანტად გაიღო და თალხებში გახვეულმა ქალმა გამოიხედა. მაია არ იყო. ვიღაც სხვა იყო. ჩვენ მხოლოდ ერთხანს ვუყურებდით ერთმანეთს.

თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, ქალს უცებ სახე მოექცა, კინაღამ შეჰკივლა, მაგრამ თავი შეიკავა და ისევ გაუჩინარდა. კარს უკან გავშრი. ალბათ, ოთახებში კიდევ იყო ხალხი. ხმამაღალი ჩურჩული გარკვევით მესმოდა.

კარი ხელახლა გაიღო. ორი კაცი გამოვიდა ერთი მოხუცი, ერთიც ხანდაზმული. ამათ ქალები გამოჰყვნენ. მე იმავე ადგილზე ვიდექი. ვერ გავნძრეულვარ. აღარც კი მესმოდა, რა ხდებოდა ჩემს გარშემო. თვალები ხანში შესულ კაცს მივაპყარი, ორმოცდაათს იქნებოდა მიტანებული, სქელი თმა გვირგვინად წარმოსდგომოდა მის მაღალ ხორბლისფერ შუბლს. თვალებში ნაცნობი სხივი დავიჭირე. ვინ იყო თითქოს სადღაც მენახა. ეს კაცი, მზერა ვერ მომეწყვიტა მისთვის. ალბათ, ასეთი იქნებოდა ის ამაყი, მაიორი, ჭარმაგობისათვის რომ მიეღწია.

"მამა"! - გამიელვა უცებ და კვნესის მაგვარი რაღაც აღმოხდა".[2]

განსაკუთრებით ამაღლევებელია მირიანის დედის საქციელი, რომელიც დამწუხრებული მოსთქვამდა:

---

1 ჩ.ჯაფარიძე, ხმა იდუმალი, თბ:, 1966, გვ. 65

2 იქვე, გვ. 101

ეროვნული ბიბლიოთეკა

"შვილო მირიან...

– ამხანაგი მოგივიდა, ბიჭო... კიდევ მოგივლენ ამხანაგები?[1]

ავტორი მძაფრი ფერებით გადმოგვცემს მეგობრის დაღუპვით გამოწვეული ლევანის სულის გვემას, მის ტანჯვას, მწუხარებას: "ერთხანს გაოგნებული ვიდექი გადასასვლელთან. ვერ მომეგონებინა, ქალი სად დავტოვე. მალე გადამვარდა გულიდან ესეც. ხალხში გავერიე. ჯერ ჯიქურ მივარღვევდი ბრბოს, მერე ტროტუარიდან ჩამოვედი და ძუნძულით გავყევი ქუჩის პირს".[2]

ასე შესანიშნავად აქვს დახატული მხედრული ძმობა-მეგობრობა რევაზ ჯაფარიძეს თავის ბრწყინვალე ნაწარმოებში "ხმა იდუმალი".

ხალხთა საბრძოლო თანამეგობრობის ძალა გადმოცემული აქვს აგრეთვე რევაზ ჯაფარიძეს თავის რომანში "ვნების კვირა".

შორეული ჰოლანდიის ქ. ზანდფორტში ფაშისტების ტყვეობაში იმყოფება ქართველებისაგან შემდგარი საგანგებო ბატალიონი. ქართველ პატრიოტთაგან განსაკუთრებით დასამახსოვრებელი გმირები არიან ევგენი არტემიძე, ნიკო მიქიაშვილი, შურა ჩიღაჩავა და სხვები. ზემოთ დასახელებულ გმირებს მეგობრულად მხარს უმშვენებს ოსი კოსტა გოიაევი.

კოსტა გოიაევი, საშუალოზე ოდნავ მაღალი ტანის, მკვიდრად ჩადგმული ორმოც-ორმოცდაათი წლის კაცი იყო. იგი ფრონტზე მოხვედრის პირველ კვირაში ტყვედ ჩავარდნილიყო და თითქმის ევროპის მრავალი ბანაკი შემოევლო. ბოლოს კი გერმანელებმა, როგორც ქართული ენის მცოდნე და საქართველოს მცხოვრები, ქალაქ ცხინვალის მკვიდრი, ქართულ ეროვნულ ბატალიონში გაამწესეს.

კოსტა გოიაევმა ბევრს დაამახსოვრა თავი თავისი გულითადობით. დაუნდობელი ფაშისტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ კოსტა მათ

---

1 იქვე, გვ. 102
2 იქვე, გვ. 103

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ უღალატებდა. მას ისინი ბევრ საიდუმლო დავალების შესრულებას ანდობდნენ. გოიაევს თავისი ბუნკერი ჰქონდა. სწორედ ამ ბუნკერში უნდა გაეცნო არტემიძესა და გოიაევს ერთმანეთი. მაგრამ კავშირი საიდუმლოდ უნდა დამყარებულიყო. შურა ჩილაჩავამ და ევგენი არტემიძემ მიწისქვეშა სარდაფიდან სადგომს ახლოს გაუარეს და დაზვერვეს საჭიროების შემთხვევაში საიდან უნდა ჩასულიყვნენ ბუნკერის კარის გასაღებად.

შურას შემჩნეული ჰქონდა, რომ ბუნკერის ბინადრები - კოსტა გოიაევი და მისი სამივე ხიზანი - მთელი დღის მანძილზე სამჯერ - ოთხჯერ ჩადიოდნენ ბუნკერში პაპიროსის გასაბოლებლად. ბიჭებმა ფორანი დასატვირთავად გვირაბის ყელში ჩააყენეს და იქიდან დაუწყეს თვალყურის დევნება ეზოს.

ერთ მშვენიერ დღეს მოახერხა ევგენი არტემიძემ კოსტა გოიაევთან სტუმრობა. ამ ეპიზოდს შემდეგი სტრიქონებით აგვიწერს ავტორი:

"ევგენიმ კარი შეაღო და თვალის დახამხამებაში კარცერივით ვიწრო ოთახში გაჩნდა, რომელშიაც მბჟუტავი ნათურა ენთო და დღის სინათლე არსაიდან შემოდიოდა. ოთახში რკინის ორსართულიანი საწოლები იდგა. იგი ოთხი კაცის სადგომად იყო განკუთვნილი. საწოლების ზედა სართულებზე ლოგინები იყო. მაშასადამე, კოსტასთან ერთად ბუნკერში კიდევ ერთი კაცი ათევდა ღამეს. კედელთან მიდგმულ საწოლზე წელსზემოთ შიშველი, მხრებში თავჩარგული, თმაშეთხელებული კაცი იჯდა. ცემენტის იატაკზე ხმარებისაგან გაცვეთილი ფეხსაცმელი გაეშალა. ზედ ფეხი ქუსლით დაედგა, მთელი ტანით წინ გადმოწოლილიყო და ჭუჭყიანი ლოლბანდით წვივს იხვევდა".[1]

ევგენისა და კოსტა გოიაევის დიალოგიდან ირკვევა, რომ ქართველი ტყვეებს სურთ იარაღის შოვნა და წინააღმდეგობის ადგილობრივ ორგანიზაციასთან კავშირის დამყარება.

---

1 რ. ჯაფარიძე, ვნების კვირა, თბ., 1984, გვ. 131

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგულისხმოა ევგენი არტემიძისა და კოსტა გოიაევის ძმადგაფიცვის ფაქტი, რომელიც რომანში ფაქიზად არის ფიქსირებული და ბევრის მთქმელია:

"-ძმად შევეფიცოთ ერთმანეთს, კოსტა! - მთელი გრძნობით შესძახა არტემიძემ და გოიაევის კოტიტა მარჯვენას წაეტანა - თუ ჩვენ ორს შორის ერთმა მეორეს უღალატოს, იმ მოღალატეს შხამად და სამსალად შეერგოს დედის რძე, არ ეღირსოს სამშობლოში დაბრუნება, ჩალპეს უცხო მიწაში, დღე ღამედ გადაქცეოდეს, გულით საყვარელი მოსისხლე მტრად, საწოლი გველების ბუდედ".[1]

ევგენი არტემიძემ ბოლოს სათქმელი უთხრა კოსტა გოიაევს - უნდა დავეხმარო იარაღის შოვნაშიო. კოსტას ეს დავალება სახიფათოდ, სიცოცხლის ფასად მიაჩნდა, მაგრამ ძმადნაფიცს ვერაფრით ვერ გადაათქმევინა სურვილი.

ბოლოს კოსტა გოიაევი დასთანხმდა არტემიძეს და იარაღის გატანის საკუთარი გეგმა წამოუყენა:

საჭირო იარაღსა და საჭურველს კოსტა დღისით მოაგროვებდა წყალსაწრეტ გვირაბში და შემდეგ ნაწილ-ნაწილ დიუნების დასავლეთ კალთებზე აჩხორილ ლერწმოვანში გაიტანდა. იარაღ საჭურველის ამ გზით გატანას თავისი სიძნელე ახლდა: გვირაბში, უფრო კი ხვრელში, მხოლოდ ხოხვის თუ გაძვრებოდა ადამიანი, მაგრამ მას, სამაგიეროდ, უპირატესობაც ჰქონდა - წყალსაწრეტი დღენიადაგ ჩაბნელებული იყო და თვიდან თვემდე შიგ კაცი არ შეიხედავდა."[2]

მართლაც კოსტა გოიაევმა ძმადნაფიცის დავალება ბრწყინვალედ შეასრულა და საჭირო იარაღი დათქმულ ადგილზე მიიტანა. მას ეშინოდა შეიძლება ოპერაციამ უშედეგოდ ჩაიაროსო, ამიტომ ძმადნაფიცი გააფრთ-

---

1 იქვე, გვ. 139

2 იქვე, გვ. 142

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხილა: "ფრთხილად იყავით, ევგენი, თუ ჩემი ძმობა გწამს. რა დროს გაგვიგებენ და დაგვეცემიან, შენ გაუგებ?".[1]

მართლაც ამ სახიფათო საქმის შესრულება შეიძლებოდა სიცოცხლის ფასი დასჯდომოდა ორივე ძმადნაფიცს.

ნაწარმოებში აღსანიშნავია ადგილობრივი მკვიდრის კოორ - ვან-ლემერენის სახე.

ევგენი არტემიძემ კოორ-ვან-ლემერენის ოჯახთან ფარული კავშირი გააბა. ეს კავშირი შემდეგში ამ პატრიოტი ადამიანების მტკიცე საბრძოლო თანამეგობრობაში გადაიზარდა.

კოორ-ვან-ლემერენი ევგენი არტემიძეს და მის მეგობრებს აკავშირებს წინააღმდეგობის ადგილობრივ ორგანიზაციასთან,რომლის ხელმძღვანელობითაც მოქმედებენ ისინი.

სწორედ წინააღმდეგობის ადგილობრივმა ორგანიზაციამ დაავალა არტემიძეს იარაღის შოვნა,რომელიც მეტად მძიმე საქმე იყო.სახიფათო დავალების შესასრულებლად ევგენი მარტო არ წასულა. მას თან ახლდა ნიკო მიქიაშვილი. ნიკო მიქიაშვილის პიროვნებაში განსახიერებულია სამშობლოს წმინდა პატრიოტის, უღალატო მეგობრის სახე. იგი მზადაა ყოველგვარ გაჭირვებასა და განსაცდელს გმირულად შეხვდეს ოღონდ საწადელ მიზანს მიაღწიოს.

ნიკო მიქიაშვილს კარგად გაეგება ამ გზაზე მოსალოდნელი ხიფათისა, მაგრამ იგი მზადაა თავის სიცოცხლეც შესწიროს ამ წმინდა საქმის შესრულებას.

არტემიძე და მიქიაშვილი ველოსიპედებით მგზავრობდნენ. ცოტა მანძილი გაიარეს და ველოსიპედები ადგილზე დატოვეს. შემდეგ ფეხით გააგრძელეს სიარული,როცა დიუნების ძირს მიადგნენ ევგენიმ ნიკო გააჩერა და უთხრა: "შენ აქ დარჩი, ან დიუნების წვერზე ახოხდი და

---

1 იქვე,გვ.142

დამელოდე...ორის წასვლას ისევ ერთის წასვლა ჯობია, იქნება უფრო ადვილად გავაღწიო".

მაგრამ ნიკოს იქ არ მოუცდია. იგი უკან გამოუდგა სიბნელეში გაუჩინარებულ მეგობარს. მიქიაშვილის მოულოდნელი დანახვით გაოგნებულმა არტემიძემ ხმამაღლა წაიჩურჩულა:

"შენ ხარ ნიკო? - უცებ ხმამაღალი ჩურჩული გაიგონა და გველნაკბენივით შემოტრიალდა, - ნიკო! კიდევ უფრო ხმამაღლა დაიძახა თითქოსდა მიწიდან ამომძვრალმა არტემიძემ.

მიქიაშვილი უხმოდ გამოტრიალდა და გულდაგულ წავიდა იმ მხარეს, საიდანაც ევგენის ხმა ესმოდა. ახლოს,რომ მივიდა, განცვიფრებისა და აღტაცებისაგან კინაღამ ხმამაღლა შეჰყვირა. ევგენი მუხლებამდე ჩაფლულიყო დიუნების ქვიშაში და ოფლს იწმენდდა, წინ კი მჭიდემორგებული ავტომატების მთელი გროვა და ხურჯინის თვლებივით ერთმანეთზე გადაბმული ტოლის ორი ყუთი ეყარა.

- რა ენა ჩაგივარდა! - შეუტია მან გადატანილი მღელვარებისა და ჩქარი სიარულისაგან სუნთქვამოხშირებულ მიქიაშვილს, თანაც თავისებურად კმაყოფილებით ჩაიხითხითა. - წაიღე ესენი და არხის პირზე დააწყე. მე ერთ გზას კიდევ მოვასწრებ. კოსტას ვენაცვალე, ძმადნაფიციც ამისთანა უნდა".[1]

როგორც ვხედავთ ევგენი არტემიძესა და ნიკო მიქიაშვილს დიდი გაჭირვება ხვდებათ არჩეულ გზაზე, მაგრამ მაინც თავიანთ მიზანს მიაღწიეს და იარაღი დათქმულ ადგილზე, კოორ-ვან-ლემერენის ოჯახში მიიტანეს.

კოორ - ვან - ლემერენის პიროვნებაში ავტორმა დაგვიხატა სახე იმ ადამიანისა,რომელიც სიცოცხლის ფასად იბრძვის თავისუფლებისათვის. იგი მზადაა თავისი თავი მსხვერპლად შესწიროს სამშობლოს.

---

1 რ. ჯაფარიძე, ვნების კვირა,თბ.1984.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



კოორ-ვან-ლემერენის მეშვეობით ევგენი არტემიძე კავშირს ამყარებს ანი კლაინთან,რომელიც არის ჰოლანდიის კომუნისტური პარტიის ჰარლემის რაიკომის მდივანი, წინააღმდეგობის მოძრაობის ადგილობრივი საბჭოს წევრი. ევგენი არტემიძემ ამ ქალს თავისი და ამხანაგების სახელით ტყვეობაში მყოფი ქართველების მართალი და დამარწმუნებელი სურათი დაუხატა.[1]

საინტერესოა დიალოგის ის მონაკვეთი,როდესაც ევგენი არტემიძემ ახსენა ემიგრანტ ქართველებისაგან შემდგარი ასეულის სახელი "თამარ აინსი". ანი კლაინმა არტემიძეს საუბარი შეაწყვეტინა და ჰკითხა თუ ვინ იყო თამარი. ანდა რატომ ერქვა მისი სახელი ემიგრანტთა ასეულს. ატრემიძემ თხოვა მიქიაშვილს უკეთესად აეხსნა მასპინძლისათვის თუ ვინ იყო თამარი.

"თამარი ქართველი მეფის სახელია, - შეჰბედა მთლად ყურადღებად გადაქცეულ ანი კლაინს ნიკომ - ულამაზესი ქალი იყო, ბრძენი და მტკიცე ხასიათის. მისი მეფობის ხანაში საქართველომ კულტურული და ეკონომიკური განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია. საქართველოს ეკლესიამ,რომელსაც დიდად მფარველობდა,როგორც სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის უაღრესად გარჯილი მეფე, სიკვდილიდან მრავალი წლის გასვლის შემდეგ, თამარი წმინდანთა შორის შერაცხა".[1]

ანა კლაინი დააინტერესა ამ ამბავმა და მეგობრებს უთხრა: "მაშ თქვენ ამბობთ,რომ მეთორმეტე საუკუნეში ქართველებს თავიანთი ეროვნული სახელმწიფო ჰქონდათ და მეფეც თავისი ესვათ?

- არა მარტო მეთორმეტე საუკუნეში, პატივისცემულო. ქართულმა სახელმწიფომ ორი ათას წელიწადზე მეტ ხანს იარსება. მარტო ბაგრატიონების, სამეფო საგვარეულო, საქართველოს ტახტზე ათას წელიწადზე მეტს იჯდა. თუ არ ვცდები, ასე ხანგრძლივად მსოფლიოს არც ერთ

---

1 ნ. ჯაფარიძე,"ვნების კვირა",თბ.,1984,გვ.178

ეროვნული ბიბლიოთეკა



დინასტიას არ უმეფია. უპასუხა მიქიაშვილმა. მერე რა მოხდა, ჩამოაგდეს? იკითხა კლაინმა.

- არა, საქართველო, მისი უკანასკნელი მეფის თხოვნით რუსეთმა შეიერთა და ქართველ მეფეთა ტახტი გაუქმდა".[1]

ანი კლაინისა და ევგენი არტემიძის გაცნობა მათივე მეგობრობით გვირგვინდება. ევგენი თხოვს ანი კლაინს წინააღმდეგობის აღგილობრივი ორგანიზაციის წევრად ჩარიცხონ ის და მისი ამხანაგებიც და გარკვეული გეგმით იხელმძღვანელონ ერთობლივი შეიარაღებული გამოსვლის მოსაწყობად.

შეიარაღებული გამოსვლის მოწყობა კი აუცილებელი იყო, მაგრამ ეს ყველაფერი ფარულად უნდა მომხდარიყო. შეიარაღებული აჯანყების მოწყობის გეგმის გაგებას ფაშისტების მხრიდან შესაძლებელი იყო გაუთვალისწინებელი მსხვერპლი, ბატალიონის სრული განადგურება მოყოლოდა. ამიტომ წინააღმდეგობის აღგილობრივი ორგანიზაციისა და ტყვეობაში მყოფი ქართველთა ბატალიონის მოქმედება შენიღბულად და დინჯად ხორციელდებოდა.

ნაწარმოებს წითელი ზოლივით გასდევს კაკოსა და შამშეს მეგობრობა.

კაკო ცუცქირიძე გესტაპოს ხელში ჩავარდა. მას სიკვდილით დასჯა არ ასცდებოდა. შამშე მღვდლაძეს გივი მინდიაშვილის ასეულის ბიჭებმა შეატყობინეს ეს ამბავი. შამშემ სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდო და დაპატიმრებული ცუცქირიძე გამოიხსნა. ხოლო საპატიმროში სამიოთხი პწკარისაგან შემდგარი წერილი დატოვა, რომელი წერილის წაკითხვა ვასო ინჯიას მოუხდა, რადგანაც გერმანელებმა ვერ მოახერხეს უცხო ენაზე დაწერილი წერილის წაკითხვა.

წერილი ასეთი შინაარსის იყო:

"მე და კაკო ერთად მივდივართ. ბიჭებო, ნუ გვეძებთ. შევხვდე-

---

1 რ. ჯაფარიძე, ვნების კვირა, თბ., 1984, გვ. 179

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით ომის შემდეგ. ვასიკო ინჯია მომიკითხეთ. არვინ მიწყენინოთ. სიკვდილი გერმანელ ფაშისტებს! კაპუტ ჰიტლერ!

შამშე მღვდელაძე.

ევგენი არტემიძე ორმხრივად შეაშფოთა მომხდარმა ამბავმა, ერთი მხრივ, მას თავისი გულითადი ამხანაგები ენანებოდა, რომელთა სიცოცხლე ამიერიდან ბეწვზე ეკიდა, მეორე მხრივ, გულს ბრაზი უმღვრევდა, რომ შამშე მღვდელაძისა და კაკო ცუცქირიძის სახით უაღრესად გაბედული თანამზრახველები, წმინდა წყლის კონსპირატორები და საკუთარი თავივით სანდო ადამიანები დაჰკარგა.

კაკო ცუცქირიძე და შამშე მღვდელაძე წინააღმდეგობის ადგილობრივი ორგანიზაციის წევრი ხდებიან და ისინი მოქმედებენ ამ ორგანიზაციის სამუშაო გეგმის მიხედვით ფაშისტთა საწინააღმდეგოდ.

რომანში გამოყვანილია მოღალატე ვასო ინჯიას სახე, რომელიც ფაშისტთა სამსახურში ჩამდგარა და მათი მონა - მორჩილი გამხდარა. ვასოს არც სამშობლოს სიყვარული ამოძრავებს და არც საქართველოში დაბრუნებაზე ოცნებობს. მისთვის სულერთია, სადაც არ უნდა იყოს ოლონდ თვითონ გრძნობდეს თავს ბედნიერად. იგი გერმანული სარდლობის სრული ნდობითაა აღჭურვილი. ვასო ინჯია მაიორ ბრაიტნერის ყურმოჭრილი მონაა. ქართველთა ბატალიონის სისხლისმწოველი ვასო ინჯია ცდილობს ქართველთა შორის ფაშისტთა მოღალატე აღმოაჩინოს და თავისივე ხელით მოუღოს ბოლო. აკი თვითონ არ ამბობდა კაკო ცუცქირიძეზე და შამშე მღვდელაძეზე ჩემი დანით გამოვჭრი ყელს და მათ სისხლს დავლევო.

ვასო ინჯიამ ოსტატურად სცადა ევგენი არტემიძისაგან გაეგო თუ რას წარმოადგენდნენ შალვა ღოლაძე, ნოე გონგლაძე, აკაკი მაჩაიძე, გივი ანთიძე და სხვები. სასურველია მოვიყვანოთ გარკვეული მონაკვეთი მათი დიალოგიდან:

ეროვნული ბიბლიოთეკა



"ინჯიამ არტემიძე გვერდით მოისვა და ჩაძიება დაუწყო. მოხუცს ყველაფერი აინტერესებდა, ყველა წვრილმანის ჩაწვდომას ლამობდა.

"-ამ ბიჭებს , ასმეთაურებად რომ გვყავს სულის სწორად მითხარი თუ იცნობ?

- ზოგს მეტად, ზოგს ნაკლებად, ბატონო ვასო, - მშვიდად, თავდაჯერებულად უპასუხა ევგენიმ. - კრუშინაში ხომ ერთად ვიყავით. საფრანგეთშიც ერთად მოგვიწვია ყოფნა. ახლა აქ...

- სათითაოდ ხომ არ დამიხასიათებ?

- მკითხეთ, ბატონო, და თუ რამე ვიცი, გიპასუხებთ.

- ვინ არის მაგალითად შალვა ლოლაძე? რით სუნთქავს? რატომ ხდება ყველა რომ თვალებში შესცქერის და მის სიტყვას ანგარიშს უწევს?

ინჯიამ თითი შუბლზე მიიდო და ევგენის უთხრა აქ მიყურე და ისე მომიყევი ყველაფერიო".[1]

მოღალატე ინჯია ასეთივე შეკითხვებს უმეორებდა სხვა ასმეთაურებზეც არტემიძეს. ევგენიც დინჯად აუღელვებლად პასუხობდა ინჯიას. ბოლოს ვასომ უთხრა არტემიძეს.

- ო, შე, მამაძაღლო, თუ ტყუი, რა დაწყობილად ტყუი, ერთი რომ არაფერი გეშლებაო.

რა თქმა უნდა ინჯიასთანა ადამიანები ბევრი იყვნენ ჰიტლერის სამსახურში,/მაგალითად კოტე ჩინჩაბაძე/ მაგრამ მიუხედავად მათი ღალატისა ევგენი არტემიძემ საწადელს მიაღწია.

უდალატო მეგობრების იმედით იკისრა არტემიძემ ყველა სახიფათო დავალების შესრულება და მართლაც მიაღწია მიზანს. ამით მწერალმა გვიჩვენა ფრონტული მეგობრობის ძალა, რომელიც შეუძლებელს შეაძლებინებს ადამიანს.

---

1 რ.ჯაფარიძე, ვნების კვირა, თბ., 1984, გვ.99

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველებმა ჰოლანდიელ მეგობრებთან ერთად შეასრულეს მძიმე,სარისკო დავალება და გამარჯვებასაც მიაღწიეს.

დადგა დრო,რომ ფრონტელი მეგობრები თავიანთ სამშობლოში, საქართველოში უნდა დაბრუნებულიყვნენ. ერთი თვის შემდეგ ივნისის თვრამეტს, შუადღისას, ნავსადგურ იუდესხილდიდან ზღვაში გავიდა გემი, რომლის გროტანძაზეც ქარი კანადის ეროვნულ ალამს ატკაცუნებდა. გემბანზე კანადურ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი 222 ქართველი ჯარისკაცი იდგა. მხარზე ყველას მჭიდემორგებული გერმანული ავტომატი ეკიდა. ეს ის ავტომატები იყო,რითაც ომი გადაიხადეს და მტერსაც და მოყვარესაც თავიანთი კაცური კაცობა დაუმტკიცეს. უმეტესობას ჯერ კიდევ მოუშუშებელი ჭრილობები აწუხებდა. გემის ბაქანზე დიდხანს დგომა არ შეეძლო, მაგრამ მაინც იდგა, თვალს ადევნებდა ნაპირს, თანდათან რომ შორდებოდათ, მეხსიერებაში სამუდამოდ იბეჭდავდა კუნძულს, ოთხწყალშუა მოქცეულ მწვანე ოაზისს, რომლის წიაღშიც, მშობლიური ეზოყურიდან ცხრა მთასა და ცხრა ზღვის გადაღმა, ხუთასოცდაორმა ქართველმა ჰპოვა განსასვენებელი.

ამრიგად, რევაზ ჯაფარიძის შემოქმედებას ხალხის ცხოვრების ცოდნა სძენს დიდ ძალასა და დამაჯერებლობას. მისთვის ყველაზე დიდი ღირსება, სინდისის საქმე, სიმართლის სამსახურში გახლავთ, რომელიც მხოლოდ მართალი ამბების თხრობით არ იფარგლება. ისეთი სიმართლე,რომელსაც რ.ჯაფარიძე ემსახურება, ადამიანებს წინ მიუძღვის, სავალ გზას უნათებს და ცხოვრების მძიმე ლაბირინთებში ყველაზე მთავარისა და მნიშვნელოვანის გარჩევას ასწავლის.

რევაზ ჯაფარიძის გმირები ჩვენი ნაცნობი ადამიანები არიან. გვტკივა მათი სატკივარი და გვახარებს მათი სიხარული. მის მწერლურ სამყაროში მრავალი ადამიანი ცხოვრობს, სხვადასხვა რწმენისა და

სულის ადამიანი. ამ ადამიანთა უმეტესობა საინტერესოა თავისი სიწმინდითა და კეთილშობილებით, სამშობლოსადმი ღრმა სიყვარულისა და პასუხისმგებლობის გრძნობით.

ქართველი ხალხის მონაწილეობა მეორე მსოფლიო ომში და ომში გამოვლენილი მეგობრობის ძალა გვიჩვენა მწერალმა ოტია იოსელიანმა რომანში "შავი და ცისფერი მდინარე".

რომანის დასაწყისში ვეცნობით სოფლის მასწავლებელ ფარნა ამაღლობელს, რომლისთვის ისტორია პროფესიად და მსოფლმხედველობის წესად გადაქცეულა. მის ოთხ ვაჟიშვილს ომში წასვლა ელის და კარს მომდგარი გაჭირვების გასააზრებლად თუ მასთან შესაგუებლად ფარნა წარსულს მიმართავს, საკუთარ თესლტომობასაც იხსენებს და კოლხეთის ნეფე აიეტსაც, რომლის ვაჟი მზაკვრულად მოკლეს არგონავტებმა.

ფარნას უმცროს შვილს მეოცნებე მამუკას ცხოვრებასთან საკუთარი ნაზოდვარის გარდა არაფერი აკავშირებს. ფარნა კი გრძნობს, ცხოვრება ამ ნაზოდვარში უფრო ნიშანდობლივად რომ ვლინდება, ვიდრე მომჭირნე და ანგარიშიან ყოფაში, რომელშიც მისი საშუალო ვაჟი ვატუტი ასე ძალიან გაწაფულა. ამ მძიმე წუთებში ფარნა ყურს როდი უგდებს "პროზას, რომელშიც ადამიანი იმყოფება", არამედ უმცროს ვაჟის ამოუხსნელ საქციელში "მიწის ქერქის მშვიდ სუნთქვას" შეიგრძნობს.

რაც უფრო ღრმად შედიან იოსელიანის გმირები ისტორიულ ცხოვრებაში, მით უფრო შვებით სუნთქავს ავტორი. ის თვალსაჩინო პარამეტრებამდე დაშვებას ერიდება. იოსელიანი შემოქმედება პროზაიზმისაგან განდგომას მოასწავებს.

ფარნა ამაღლობელი ცხოვრობს რათა იკვლიოს და იკვლევს რათა იცხოვროს. ვერავინ შეამჩნევს სად გადადის ერთი მეორეში. ოთხი ვა-

---

1 [illegible] 1983, გვ. 145.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყის ბედიღბალი ფარნას საგონებელში აგდებს, მაგრამ ოთხი განსხვავებული და ერთმანეთის უგუებელი პიროვნების ბედსა და ხასიათებში გახლართული ფარნა აღმოაჩენს, რომ ჯერ საკუთარი თავი არ შეუცვნია და თავისი ისტორიული არსებობის სიღრმეს ჩააკვირდება. ფარნას საკუთარი არსებობის ხანიერების შეგრძნების უნარი შესწევს. მას შეუძლია ერთდროულად წინაპრადაც განიცადოს თავი და შთამომავლადაც. ფარნა ოთხი შვილის, ოთხი განსხვავებული პიროვნების ბედიღბალში გახლართული ისტორიკოსი გახდა და ამით საკუთარი ისტორიული არსებობის სიღრმე გამოაშკარავა.

ფარნა მნიშვნელოვანი პერსონაჟია, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ომში საქართველოს ღვაწლს განმარტავს და ამ ღვაწლზე დაფიქრებულა, არამედ იმიტომ, რომ მის პიროვნებაში იმ ნაწარმოების კვანძი იხლართება, რომელიც მოგვითხრობს ომზე და ფრონტულ ძმობა-მეგობრობაზე".[1]

რომანის ბევრ ეპიზოდშია ხაზგასმული ჩვენი ქვეყნის, სხვადასხვა ეროვნების მებრძოლთა ერთი მიზნით დარაზმულობა, მათი ძმური ურთიერთობა ბრძოლაში და ერთმანეთისათვის აშკარა თავდადებაც კი.

მეორე მსოფლიო ომი მძვინვარებდა. სამშობლოს დასაცავად სხვებთან ერთად ფარნა ამაღლობელის შვილებიც წავიდნენ.

ფრონტის ხაზზე იმყოფებოდნენ ლუონი, მამუკა და ბაკური, ხოლო ამაღლობელის მეოთხე ვაჟი, ვატუტი სამხედრო ჰოსპიტალში მსახურობდა მთავარი ექიმის თანაშემწედ.

ლეონი გაცნობისთანავე დაუახლოვდა რუს მებრძოლს, აფანასენკოს. ისინი ყოველთვის ერთად იყვნენ და ბევრჯერაც იხსნეს ერთმანეთი ვერაგი მტრის ტყვიისაგან. მიშა აფანასენკო იყო უშიშარი მებრძოლი. იგი ტყვიასა და ცეცხლს არ ემალებოდა. მისთვის სულ ერთი იყო ბომბი

----------------

1 ანი ბარისოვა, ვარსკვლავები და დოლაბები, დისკარი N11 1984, გვ. 145

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცვიოდა თუ თოვლის ფანტელი. იგი ყოველთვის წინა პლანზე მიდიოდა და სხვა მებრძოლებიც მის უშიშარ გულს ჰბაძავდნენ. მიშას არაერთგზის ჩაუგდია თავი საფრთხეში. ბევრჯერ გადაურჩა სიკვდილს, მაგრამ მიუხედავად ამისა იგი ჩვეული სიმამაცით იბრძოდა. აი,როგორ გვიხატავს ავტორი მებრძოლი მიშა აფანასენკოს სახეს:

"აფანასენკო დიდი ხანია ტყვიასა და ცეცხლს აღარ ემალებოდა. მისთვის სულერთი იყო შრაპნელი ზუზუნებდა, ჭურვი წიოდა თუ ზღვაური უზერავდა. მიწის გულიდან, ხვრელებიდან ამოჰყავდა მტრის ცეცხლს მებრძოლები და უმუზარადო, გულმოღეღილ, უთავშესაფრო აფანასენკოს,ვეღარ ეკარებოდა. ერთ-ერთი უკან დახევის დროს ხელყუმბარები და ტყვია რომ გამოელიათ, მურყნარში გაწოლილ ნისლსა და კვამლში ძლივს შეათრია ლეონმა, მაგრამ წელში ვერ მოღუნა, მტერი ისე ახლოს მოსდევდათ, ორივე ფარაჯის კალთები დახვრეტილი ჰქონდათ და სისხლი არ გადენიათ".[1]

აფანასენკოს თავისმა საქციელმა მებრძოლებოში უშიშრის სახელი დაუგდო.

ავტორი ვრცლად აგვიწერს აფანასენკოსა და ლეონის საბრძოლო ეპიზოდებს". შეტევა დაიწყო უშიშარი აფანასენკო წინ მიიწევდა.მას ყოველწუთს ემუქრებოდა სიკვდილის საფრთხე, მაგრამ აფანასენკო მიდიოდა, ცალ ხელში რატომღაც ორი ხელყუმბარა ეჭირა, ცალით შაშხანა გულზე კონდარით მიებჯინა და მიდიოდა, არც გარბოდა, არც გაწოლასა და ფორთხვას აპირებდა,წიოდა ტყვია, სხეპავდა გაყვითლებულ, გათოშილ, ფოთლებჩაკიდებულ მაღალ ბალახებს. აყეფებდა მტრის ნაღმსატყორცნი ბატარეას, ალბათ შეტევას არ ელოდნენ და დაუგვიანდათ ბრძოლაში ჩაბმა, თორემ საფარიდან თავს წამოგაწევინებდა?"[2]

ბრძოლის დროს ლეონმა მეგობარი დაკარგა.იგი ეძებდა აფანასენკოს,

---

1 ო. იოსელიანი, შავი და ცისფერი მდინარე, თბ., 1979, გვ. 31

2 იქვ:, გვ.33

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მას ვერსად მიაგნო, ბოლოს გაისმა ვაშას ძახილი", "ვაშას", "ვაის"და "მიშველეს" ვინ არ ღრიალებდა, მაგრამ მიშას ომახიან ხმას ხრიწინიც ერია. ლეონმა აფანასენკო და ტელიატნიკოვი ერთად დაინახა სანგართან. მხარათრეული ლეონიც მათთან გაჩნდა. წინ რომ წაიწიეს მტერი არ დაუხვდათ. გერმანელებმა უკან დაიხიეს. გამხეცებული აფანასენკო ჭკუაზე აღარ იყო, როდესაც მტრის სანგარში მტერი არ დაუხვდა. როცა სანგარი მოირბინა ერთი მკვდარი ფრიციც ვერ იპოვა. იმ ღამესვე გერმანელებმა ფრონტის ამ უბანს ახალი ძალები და საომარი საჭურველი მოაყარეს და ახალი შეტევისათვის მოემზადნენ. შეღამებისას ბრძანება მოვიდა და აფანასენკომ და მისმა თანამებრძოლებმა ტყის ზოლით უკან დაიხიეს.

გზის გაკვლევა უჭირდათ მებრძოლებს. აფანასენკო წინ მიდიოდა, მას უკან ლეონი მისდევდა. გადაუღებლად თოვდა. მებრძოლების ყოველი ნაბიჯი ჯოჯოხეთად იქცა. ისინი მდინარეს მიადგნენ. ლეონი გრძნობდა, რომ მტერი ამ ადგილს უმეთვალყუროდ არ დატოვებდა. ამიტომ მდინარის დინებას უნდა მიჰყოლოდნენ ფრთხილად. მიშა აფანასენკოსა და ლეონს ახალგაზრდა ევგენი მიჰყვებოდა. იგი ანთებით იყო დაავადებული და ლეონს ზურგზე მოკიდებული მიჰყავდა. ლეონს სულ აღარ უგრძვნია თუ როგორ შეწყდა ევგენის სუნთქვა, საშამ ლეონს ზურგიდან ანთებით დაფერფლილი, გაფიჩინებული ტვირთი მოხსნა, რომელსაც გულისპირზე და მაჯებზე ლეონის ზურგის და ხელის სითბოდა შერჩენოდა.

ლეონმა მკვდარი ევგენის დანახვაზე არაადამიანურად იზმუვლა, მაგრამ მიშამ მაშინვე პირზე ხელი დააფარა. ძნელი იყო მეგობრის დაკარგვა, მაგრამ ვერც ლეონ ამაღლობელი და ვერც მიშა აფანასენკო მკვდარს ვერაფერს უშველიდნენ. საქმის დაყოვნება კი მათაც სიკვდილს უქადდა.

ბრძოლა კი გრძელდებოდა. მეგობრები ფრთხილად მიკაფავდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზას სამშვიდობოსაკენ. ისინი ყოველ წუთს ელოდნენ ცხელი ტყვიის სტუმრობას. სიკვდილის შიშს თითქოს ბუნების სტიქიაც უწყობდა ხელს. გაცოფებული ზენა ქარი ზუზუნებდა და მტვერი და სილა რომ აღარ ეყო, მგლის საფანტის ტოლა ხრეშს ხვეტდა, გაბუაწვერასავით ჰაერში ატრიალებდა და ხეს, სახლს, კაცს და ნადირს უშენდა. სტვენდა ქარი და ყველაფერს წაღეკვითა და აღგვით ემუქრებოდა.

ისინი წყალდაწყალ მიდიოდნენ რათა თოვლზე ნაკვალევი არ დაეტოვებინათ. უცებ მიშა შეჩერდა. მისთვის დიდი ხანია საშიში და მოულოდნელი არაფერი არსებობდა, მაგრამ ორივე მეგობარი გააკვირვა საბან შემოხვეული ქალის დანახვამ, რომელიც ფულურო შეკარული ხის ძირას იჯდა სკამზე და პაპიროსს აბოლებდა.

ავტორი ამ უცხო ქალის სახით გვაცნობს ისეთ პიროვნებას რომლისთვისაც სულერთია გერმანელი გაიმარჯვებს თუ რუსი. მისთვის მთავარია, რომ თავისი ცხოველური ჟინი დაიკმაყოფილოს. იგი თურმე თავის საყვარელ ჰენრიხ მულცს დარაჯობს, კიდეც ამაყობს მითი. როდესაც მიშა აფანასენკომ უთხრა: შენ ქალი არა ხარ! შენ ძუკნა ხარო, ქალმა შემდეგი სიტყვებით უპასუხა აფანასენკოს:

-"აფსუს, ჰენრიხ მულცი რომ წასვამია და სძინავს! ისვენებს, თორემ ის გეტყოდა ჩემს ღირსებაზე. თქვენ რა...

- ლეონს მიანათა ცეცხლოვანი თმის ტევრში აელვებული ცისფერ დაკრული თვალები, - ამას შიშველი ქალი ან სულ არ უნახავს, ან იმდენი ხნის წინ, ახლა ვერ გაუხსენებია. შენ კიდევ რა გექალება, შე უბედურო! უთხრა აფანასენკომ, თეთრ პერანგს რომ დაინახავ, ერთი დაფხანა მთელ საქალეთს გირჩევნია!".[1]

მიუხედავად მათი ურთიერთშელაპარაკებისა ამ ქალმა არ გასწირა მეგობრები ლეონი და მიშა აფანასენკო. მან მათ სოფლიდან გასასვ-

---

1 ო. იოსელიანი, შავი და ცისფერი მდინარე, თბ., 1979, გვ. 55

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელი გზა მიასწავლა.

ლეონის უმცროსი ძმა მამუკაც გმირულად იბრძოდა ფრონტზე. იგი ერთ-ერთი იერიშის დროს სასიკვდილოდ დაიჭრა. აი, დაჭრილი მამუკა თავისი მეგობრის ავთანდილ გოკერიას საძებნელად მიდის. გზაზე უიმედოდ მიმავალ მამუკას მანქანა წამოეწევა. მანქანა, რომელმაც ჩაუარა, არც დაუნახავს მამუკას. შოფერმა მანქანა დაამუხრუჭა. მამუკა ძლივს აფორთხდა მანქანის ძარაზე. შოფერმა იკითხა თუ საით მიდიოდა. მამუკამ ძლივს უპასუხა გოკერია... ავთანდილ გოკერია...

ავთანდილ გოკერია ასეულის მეთაური იყო და იმას ეძებდა მამუკა ამაღლობელი. მძღოლმა ჰკითხა ავთანდილ გოკერიას ასეულში გაგამწესეს თუ ისე მიდიხარო. მამუკამ უპასუხა ავთანდილ გოკერია ძმა არის ჩემიო. მძღოლს სიხარულის ელფერი დაედო. თვითონაც ქართველი ყოფილა - ცხოვრებაძე და თანამემამულის დანახვამ სიმხნევე შემატა მას. მანქანა დაიძრა. ცხოვრებაძემ ავთანდილ გოკერია მოძებნა და სიხარულით უთხრა: ძმა მოგიყვანეთ მეთაურო, ძმა.

ავთანდილ გოკერიას ძმა არ ჰყავდა და ხომ არ მამასხარავებს ეგიო და ხმა აწეულმა უპასუხა:

"კაცო შენ წერას ხომ არ აუტანიხარ! თუ ხუმრობას არ იშლი ეს რა ხუმრობააო - ძმა არ მყავს მე და აქედან გამეცალე, თორე გაგათავებ".

ცხოვრებაძეს მანქანის ძარაში ჩაკვეტებული იმ საცოდავი ჯარისკაცის უფრო სჯეროდა, ჯერაც რომ წამოდგომა ვერ მოეხერხებინა, ვინემ ამ ცეცხლივით მეთაურისა და მაინც დალუპული ვარ, თუ მართლაც ძმა არ გამოდგაო, თავისი არ დაიშალა.

ცხოვრებაძემ ავთანდილ გოკერია მანქანის ძარასთან მოიყვანა. ავთანდილის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მანქანის ძარაზე მამუკა ამაღლობელი დაინახა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

-"მამუკა ხარ, კაცო, შენ ?! - იკითხა ბოკერიამ ძალიან, ძალიან წყნარად და ორივე ხელით მისკენ გამოწვდილი ამაღლობელს მკლავები მოხვია, ციმციმ, უსუსური ბავშვივით დალეული, ძარიდან გადმოიყვანა და გულზე აიკრა".[1]

ავთანდილ ბოკერიას სახეში ჩვენ ვეცნობით ისეთ პიროვნებას, რომელიც ყოველ წუთს მზადაა მეგობარს დახმარების ხელი გაუწოდოს. მან გულზე მიხუტებულად ატარა მამუკა ამაღლობელი სანამ ერთ მიწაწაყრილ ბრტყელსახურავიან განიერ მიწურ სახლს არ მიუახლოვდა. სახლიდან სქელ-სქელი დედაკაცი გამოვიდა და გაუკვირდა, როცა "ნაჩალნიკი" გულზეახუტებული ჯარისკაცით რომ დაინახა.

დიასახლისს ჯერ მკვდარი ეგონა ავთანდილს გულმკერდს ახუტებული მამუკა, მაგრამ როცა სიცოცხლის ნიშან-წყალი შენიშნა დაჭრილის სახეზე, მაშინ ბოკერიას კარი გაუღო და ოთახში შეუძღვა. ავთანდილმა მეგობარი რკინის საწოლზე გულაღმა დააწვინა და დიასახლისს მიმართა:

"ხანუმ, ჩემი ყონაღია! აუხსნა ავთანდილმა დიასახლისს ასეთი მზრუნველობის მიზეზი, როცა სტუმარს თავისი ხელით გახადა ფარაჯა, ბათინკები და ერთადერთ დაბალ, ბრტყელი რკინის საწოლზე გულაღმა დააწვინა... ბოკერიამ ხელი გულის ჯიბისაკენ წაიღო და წითელი სამთუმნიანების ყური გამოაჩინა.

ქალმა თვალი აარიდა.

- ხანუმ! - მოხედა ავთანდილმა, ისედაც ვერაფერს გაგებინებ და შენ თუ ისევ ტყეში იცქირე, ძალიან კი მიგახვედრებო.

- ჩემი ყონაღი... ბუხ-ბუხ!...ხელი ჩრდილო დასავლეთით გაიშვირა ბოკერიამ, რაც ალბათ იმას ნიშნავდა, ფრონტელი მეგობარია და ომიდან დაბრუნდაო".[2]

---

1 ო.იოსელიანი, შავი და ცისფერი მდინარე, თბ., 1979, გვ.269

2 იქვე, გვ.273

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავთანდილ ბოკერია სათუთად ზრუნავდა მამუკაზე. მას არაფერი ენაღვლებოდა მეგობრის გადასარჩენად. მამუკა ამაღლობელმაც კარგად იცოდა ბოკერიას გულისხმიერება და ამიტომაც დაჭრილმა მისკენ აიღო გეზი.

ავთანდილისთვის კი ახლა საინტერესო იყო თუ რას ეტყოდა მკურნალი მამუკას შესახებ. მისცემდა თუ არა გადარჩენის იმედს.

-ოი, ალაჰ! - ამოიხვნეშა გულნატკენმა დედაკაცმა.

- ცეცხლი.. ბუხარზე მიუთითა, - ქათამი, - პირში, რომ მწიფე ქათმის ბარკალს გამოისობ, ისეთი მოძრაობა გააკეთა, - კვერცხი.. - ცერი და სალოკი თითით ოვალური წრე შეკრა, მეფე! - ცხვარივით დაიპეტელა, ცხვრის ხორციც დამჭირდებაო.

- ხინკალი, ხინკალი! - ხინკალიც მოვამზადოთო, - ყველი და ყველაფერი... ხელით დიდი წრე შემოხაზა - ირგვლივ, ჩვენ თუ არა, მეზობლებს რაც გააჩნიათ, ყველაფერი იშოვეო, მერე ბეჭებზე მკლავი შემოხვია, - ხანუმ ! - თვალებში ჩააჩერდა".[1]

თითქოს დაიმორცხვა ქალმა ბოკერიას საქციელი. ავთანდილი შეყვარებულივით ექცეოდა ხანუმს. ჯვარის წერასააც ჰპირდებოდა თვალთმაქცურად, მაგრამ ეს ყველაფერი საქმისთვის იყო საჭირო. მამუკას გადარჩენის იმედი მხოლოდ და მხოლოდ იმ ქალს უნდა მიეცა, სხვა მკურნალი ავთანდილს იქ არ ეგულებოდა.

მიუხედავად საშინელი, სისხლიანი დღეებისა ავთანდილ ბოკერიამ რაც შეეძლო ყველაფერი გაუკეთა თავის მეგობარს, სწორედ მისი მეშვეობით განიკურნა მამუკა ამაღლობელი და კვლავ საბრძოლო მწყობრში ჩადგა. ავთანდილ ბოკერიას იმედი და ძალა ამოძრავებდა მამუკას, ამიტომაც იყო, რომ დაჭრილმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და ავთანდილ ბოკერიასაკენ მიმავალ გზას დაადგა. მან არ იცოდა იპოვნიდა თუ არა მეგობარს, მაგრამ მას მაინც მეტი ძალა არ ჰქონდა. იგი დახმარების

---

1 ო.იოსელიანი, შავი და ცისფერი მდინარე, თბ., 1979, გვ.274

ეროვნული ბიბლიოთეკა



გარეშე სიკვდილს ვერ გადაურჩებოდა. საკითხავია ისიც მიაღწევდა თუ არა მამუკა ასეულის მეთაურ ბოკერიამდე, რომელიც ძმად ეგულებოდა მას. ალბათ მამუკა ვერ მიაღწევდა იქამდე, რომ არ ყოფილიყო მძღოლი ცხოვრებაძე, რომელმაც მანქანა თავისი სურვილით გაუჩერა. ცხოვრებაძეს მეშვეობით გაიკვლია გზა მამუკამ ბოკერიასაკენ. ამ უკანასკნელმა კი იგი სიკვდილს გადაარჩინა.

ნაწარმოებში ბევრი ქართველი მებრძოლია გამოყვანილი მოქმედ გმირად. მათ შორის საინტერესოა ბესო კინწურაშვილის სახე. ბესო კინწურაშვილი თავის მეგობრებთან - ივანოვსა და მაიბოროდასთან ერთად იმყოფება ფრონტის ხაზზე. ისინი თითქმის დღედაღამ ერთად იმყოფებიან სანგარში თუ პალატში. ერთხელ ისინი ერთად სოფელში მოხვდებიან. აქ ისინი დაინახავენ მეფორნეს, მაგრამ არ იციან ენდონ თუ არა ამ უცნობ კაცს.

მეფორნესთან სემიონი ჩავიდა. მეფორნემ დაინახა თუ არა უცნობი სადავეები უხმოდ მოსწია და ოთხთვალა შეაჩერა, მაგრამ სემიონს კი არ მიაშტერდა, ვისაც ვერ ხედავდა, თვალით იმას დაუწყო ძებნა. სემიონ ივანოვმა აქეთ მოიხმო მეფორნე. იგი ივანოვს მიუახლოვდა და იმდენზე გაჩერდა, რომ სტუმარს ხელის ჩამორთმევა რომ მოეწადინებინა, ვერ მისწვდებოდა. ივანოვმა გამოჰკითხა მასპინძელს ყველაფერი და მეგობრებთან დაბრუნდა. მაიბოროდას არ მოეწონა მეფორნის საქციელი და ივანოვს ჰკითხა: ვინ არის, არ მომწონს... ივანოვმა აუხსნა ბესო კინწურაშვილსა და მაიბოროდას, რომ ეს კაცი აქაურია და მის მეშვეობით გაიგო, რომ სოფელში გერმანელები ყოფილან სულ რამდენიმე ჯარისკაცი, მაგრამ ხუტორი გამცემლებით და ჯაშუშებითაა სავსე, არავის დაგვინახოთო.

მეგობრები შიშმა შეიპყრო. აქედან წასვლა დააპირონ და თუ ვინმემ შეამჩნიათ, მაშინ თავს დაიღუპავენ. ივანოვმა უთხრა მეფორნე თვითონ გაგვიყვანს აქედანო. მაიბოროდამ მეგობრები შეაჩერა და ცამ-

ელექტრონული ბიბლიოთეკა

დეც მართალი იყო. ის კაცი ერთგული იყო თუ მოღალატე, ფეხის მოცვლა აღარ შეიძლებოდა."გაცემის შემთხვევაში აქედან წასვლა ყველას დაღუპვას უდრიდა, თუ ერთგული გამოდგებოდა კიდევ უარესი - აქაურობის მიტოვება იმას ნიშნავდა,მოყვარეც მტრად გადაგეკიდებინა. რაკი ეჭვი შეიტანე მის კეთილსინდისიერებაში და გაიქეცი, იქნებ შენი გულისთვის თავს წირავდა და თუ მიაფურთხე, ადგება და ამ შენს მიფურთხებულ ტყავს მაინც გადაირჩენს, სანამ მას სხვა დაასმენდეს, თვითონ იტყვის სიმართლეს".[1]

ასე მსჯელობდა მაიმორიდა და მართლაც ასეთი მსჯელობა იყო სწორი. ამის შემდეგ მეგობრებმა დაზვერვა დაუწყეს მეფორნეს. მეფორნემ ფორანი ერთ ეზოს ჭიშკართან დააყენა, კარები გააღო და შიგნით ეზოში შეიყვანა. ბოლოს იგი გაუჩინარდა. მეგობრები დაეჭვდნენ მეფორნის საქციელში და ეჭვიც გამართლდა - მეფორნე მოღალატე გამოდგა. თითქოსდა ვაშლის მოსაკრეფად მის ეზოში შესულ ბესო კინწურაშვილს მოტოციკლეტების ხმა შემოესმა. შეშინებულმა მასპინძელმა მხარზე ხელი დაკრა, ჩაჯექი არ დაგინახონ, არ დამღუპოო. ბესომ ეზოს გადაღმა გადაიხედა და ლაფაროში ატუზულ ივანოვს და კარებში შემოსულ მაიმორიდას თვალი მოკრა. მასპინძელმა ბესო კინწურაშვილი თავლაში შეუშვა და იქ დამალა. ბესო ფიქრობდა ქრისტიანი კაცია და მტრის ხელში არ ჩამაგდებსო.

მოტოციკლეტების ხმაური მოახლოვდა. ბესომ თავლაში გაჭვარტლულ-გათითხნილი მინა შენიშნა. მტკაველა სარკმელი გაწმინდა ისე რომ მეზობლის ღობისა და ბოსლის დანახვა შეიძლებოდა. ძლივს გაარჩია,რომ ივანოვი მეზობლის საბძელში შევარდა. ჭიშკარში კი გერმანელებს მოკრა თვალი. სროლა ატყდა მეზობლის ეზოში.

თავლა, სადაც კინწურაშვილი იმყოფებოდა გარედან იყო დაკეტილი. ბესომ ბოგა აყარა და კარი შიგნიდან გაამაგრა ისე რომ მტერს

---

1 ო. იოსელიანი, შავი და ცისფერი მდინარე, თბ., 1979, გვ. 223

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემოსვლა აღარ შეეძლო. მტერი თავლის კარს მოადგა, შესვლა ვერ შეძლო, მაშინ მან სარკმლიდან დაუშინა ტყვიები ბესოს სამალავს. ბესომ არ იცოდა იყვნენ თუ არა მისი მეგობრები ცოცხალი. ამასობაში მან მეზობლის საბძლიდან მაშხანის გასროლა გაიგონა. იმედი მიეცა, რომ ბიჭებიდან ერთ-ერთი მაინც ცოცხალიაო, მაგრამ გაოცდა, - აქეთკენ სად ისვრიანო!.. რომ გარეთ ხელყუმბარის გრიალი გაიგონა. ბესოს არც კი უფიქრია სარკმლიდან გახედვა შეიძლებაო ისე მივარდა სარკმელს,საიდანაც შემდეგი სურათი დაინახა:

"თავლის გვერდით, ორ-სამ ნაბიჯზე, გულაღმა ეგდო მარჯვენა წაწყვეტილი დაფლეთილი გერმანელი შავი, პრიალა ჩექმების გარდა, სისხლიანი მწვანე ჩვრების და ხორცის გროვად ეყარა. მარცხენა, სალი ხელით ჩექმისფერ პრიალა ავტომატს ჩაფრენოდა.

"ბიჭებს უსვრიათ, როცა "ლიმონის" შემოგდებას აპირებდა და ხელში აუფეთქდა".[1]

ბესომ კარი ოდნავ გამოაღო და კართან გაფითრებულ "მასპინძელს" მოკრა თვალი. ელვის სისწრაფით აიტაცა მოღალატე და თავლაში შემოათრია. მერე მას წითელარმიელის პილოტურა თავზე დაახურა და უკანა კარიდან თავი გააყოფინა. იქვე ჩასაფრებულმა გერმანელმა მას ტყვია დაახალა. ამასობაში ბესო კინწურაშვილმა გარეთ გამოსვლა მოასწრო. ამ ეპიზოდს შემდეგი სტრიქონებით აგვიწერს ავტორი:

"პილოტურა" მასპინძელს სრული მოუვიდა, მაგრამ კისერში ხელწაჭერილმა დაწურნება ვერ მოასწრო, რომ თავი კარში გააყოფინეს. გარედან კი ცხელი ტყვიები ჩალისფერ თმაზე მაშინვე ნაკვერცხლებივით დააყარეს. ერთი წამოყმუვლება და ჯ ილებით მოგარძვლიან, ხეშეშ მკლავზე ჩაფრენა მოასწრო, რომ ფეხქვეშ ისედაც მიწაგამოცლილს ფრთები შეესხა, თავლიდან ორ საჟენზე ნაყარ, ცხელი ჩონჩორიკის კაცის

---

1 ო. იოსელიანი,შავი და ცისფერი მდინარე,თბ.1979,გვ.230

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმაღლე გროვას მიენარცხა. ერთბაშად თავს, მკერდსა და მუცელში გავლილმა ტყვიებმა დაჭმუჭვნა, დახვია და ცალუღივით დააგორგოლავა."[1]

ნაკელში აფართხალებულ "მასპინძელს" მიმდგარი, დარეტიანებული გერმანელი მანამ არ აპირებდა ტყვიის ცეცხლის შეწყვეტას სანამ ბესო კინწურაშვილმა ყურის ძირში ტყვია არ დაახალა.

ბესო კინწურაშვილმა ამ ბრძოლაში დაკარგა მისი განუყრელი მეგობრები მაიბოროდა და ივანოვი. თვითონ კი რაღაც საოცრად გადაურჩა სიკვდილს. ბესო კალანდარიშვილმა გერმანელებისაგან მოკლული მეგობრები ღია ცის ქვეშ დატოვა სოფელში, თვითონ კი ბრეზენტის ღვედით შეკრული, დახოცილი მეგობრებისა და მტრის იარაღებით დატვირთული უკან გაბრუნდა:

"შებინდებისას ორი კაცით შემსუბუქებული, მაგრამ დარდით და ბოღმით კიდევ უფრო დამძიმებული ტივი მდინარეს ფრთხილად აუყვა სიცოცხლის გადასარჩენად და თავისიანებთან შესაერთებლად".[1]

არის თუ არა გასამართლებელი ბესო კინწურაშვილის საქციელი. მწერალი ამართლებს კინწურაშვილს და ზემოთ დასმულ შეკითხვაზე შემდეგი სტრიქონებით პასუხობს:

და

"სიცოცხლე - ეს ძველი გაცვეთილი ცხოველური ინსტიქტი, ვერაგულად დარაჯობს ყველაზე გულად ადამიანსაც კი და ზოგჯერ ისეთ სილაჩრეს ჩაადენინებს, რომლის მერე კაცის არსებობას კაპიკის ფასი არა აქვს. სიცოცხლე თავისას მოითხოვს და სულ არ დაგიდევს შენს სიცოცხლეს აქვს რაიმე აზრი თუ არა. იგი დედამიწის მთელ სიგრძე-სიგანეზე მბრძანებლობს, რომელსაც თავისი ზუსტი საბრძოლო ამოცანა აქვს - რაღაც არ უნდა დაუჯდეს, გაიმარჯვოს! და შენ მის ჯარისკაცს, არ გეკითხება, გინდა თუ არა ბრძოლა, დაიღალე, დაკარგე რწმენა და მიზანი. იქნებ აღარც სიცოცხლე გინდა შენთვის რომ ეკითხათ, იქნებ ქვეყნად

---

1 იქვე, გვ. 237

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჩენაც არ მოგესურვებინა /ადამიანების უმრავლესობა ალბათ ასეც მოიქცეოდა/... სიცოცხლე - მობარებული განძის კიდობანწინდითაა/ მობარებული თურმე მგელმაც შეინახა/ ხშირად არც კი იცი ამ კიდობანში რა თვალ-მარგალიტია, მაგრამ დღედაღამ ერთგული ძაღლივით დარაჯობ. დარაჯობ, დარაჯობ სანამ ახალი ცვლა არ მოვა... და უნდა დატოვო ამხანაგი, მეგობარი, ძმა, დედა და მამა, თუ ისინი სიცოცხლეს აღარ სჭირდება და უშველო შენს სიცოცხლეს, რომელსაც შენთვის ჩალის ფასი აღარა აქვს, მაგრამ "ვილაცისათვის" აუწონავი ოქროს ღირებულება გააჩნია. გაქვს შენ ამის სურვილი და თუ არა, უნდა ეცადო მეტი სიფრთხილით და მოხერხება გამოიჩინო, რომ რაც შენმა მეგობრებმა დაკარგეს, მტერმა შენც ხელიდან როგორმე არ გაგაგდებინოს".[1]

მართალია, მწერალი ამართლებს ბესო კინწურაშვილს, მაგრამ მისი გამართლება სწორი არ არის.

ჩვენ არ ვიცით, კინწურაშვილის ადგილზე, თუ როგორ მოიქცეოდნენ მისი მეგობრები მაიბოროდა და ივანოვი, მაგრამ ერთი ფაქტია, ბესომ დიდი დანაშაული ჩაიდინა დახოცილი მეგობრების წინაშე. მან ისინი დაუმარხავი დატოვა. იმ ადგილზე სადაც შეტაკება მოხდა უკვე არც მტერი იყო და არც მოყვარე. კინწურაშვილს თავისუფლად შეეძლო მეგობრების მიწაში მიბარება, მაგრამ არ გააკეთა, პირიქით იგი დატვირთა მეგობრებისა და მტრის იარაღით და გზას გაუდგა. ასეთი საქციელი ქართველს კაცს არ ეპატიება და მითუმეტეს ბესოს, რომელიც უშიშარი მებრძოლის როლში გვევლინება რომანში.

მხედრული მეგობრობის საკითხი შესანიშნავადაა გაშლილი ნოდარ დუმბაძის რომანში "ნუ გეშინია, დედა".

ამ ნაწარმოებში ნოდარ დუმბაძემ წარმატებით სცადა აესახა

---

1 ო. იოსელიანი, შავი და ცისფერი მდინარე, თბ., 1979, გვ. 237

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი არმიის მეომრების ყოფა – ცხოვრების სურათები, სამშობლოს სადარაჯოზე მდგარი მესაზღვრეების ფიქრები, გრძნობები,მისწრაფებები, ჩვენი არმიის სხვადასხვა ეროვნების მეომრებს შორის არსებული მეგობრობა, დაფუძნებული ომში ტრადიციად ქცეულ საბრძოლო თანამეგობრობაზე, რომელიც ამ მეომრების მამებმა და პაპებმა განამტკიცეს. მეტად საინტერესოა მწერლის აზრი მესაზღვრის როლზე.

ნოდარ დუმბაძემ გარკვეული დროის განმავლობაში დაჰყო მესაზღვრეთა შორის /რომანში მოქმედი ოფიცერი მდინარაძე სწორედ მწერლის ორეულად უნდა ვიგულისხმოთ./ ამიტომ აქვს ასე ღრმად განცდილი მესაზღვრის როლი და სწორედ მესაზღვრეების ცხოვრების ასე ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა განსაზღვრავს რომანის წარმატებას.

რომანი სწორედ მწერალ ვლადიმირ მდინარაძის გაცნობით იწყება. მაიორმა ჩხარტიშვილმა მესაზღვრეთა ასეულს წარუდგინა ოფიცრის ფორმაში გამოწყობილი მდინარაძე. მდინარაძის სურვილი იყო შეესწავლა მესაზღვრეების ცხოვრება, მათი ავი და კარგი, გაეზიარებინა მესაზღვრე ჯარისკაცის ბედი და ნახული სინამდვილით აეგო ახალი რომანი მესაზღვრეთა ცხოვრებაზე.

ნოდარ დუმბაძემ სწორედ ამ ქარგაზე ააგო თავისი უბრწყინვალესი რომანი "ნუ გეშინია,დედა".!

ნ.დუმბაძე სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული მწერალი გახლდათ. მისთვის სამშობლო სალოცავი ხატია. მას კარგად გაეგებოდა რომ ასე ლამაზად არ გამოიყურებოდა ჩვენი ქვეყანა ომის დროს. ეს სილამაზე ჩვენი ადამიანების თავდადების შედეგია. ხალხს სიცოცხლის ფასად დაუჯდა მშვიდობის განმტკიცება ჩვენს ქვეყანაში. ყოველივე ამაში დიდ როლს ანიჭებს მწერალი მესაზღვრეებს, რომლებიც დღესაც მოვალენი არიან უფრო ფხიზელი თვალით დაიცვან ჩვენი ქვეყნის საზღვრები.

რომანის დასაწყისში ავტორი გვაცნობს ისიდორე ჯაყელს,რომე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიც ბოლშევიკი იყო. 1924 წელს მენშევიკების გამოსვლების დროს ისიდორე ჯაყელი პირველი გამოცხადდა სოფლის საბჭოში და მოითხოვა იარაღი მენშევიკების საწინააღმდეგოდ. სოფლის საბჭოდან უკან დაბრუნებულ ისიდორე ჯაყელს საკუთარ ოჯახში დახვდნენ მენშევიკები: მინაგო ჯაბუა და მისი ორი ამხანაგი,რომლებიც კბილებამდე იყვნენ შეიარაღებულები. მინაგო ჯაბუა დაუძინებელი მტერი იყო ისიდორე ჯაყელის და მისი აზრით დადგა დრო შურისძიებისა:

ისიდორე ჯაყელის ოთახი სასამართლო დარბაზს წააგავდა სადაც, მაგიდას სამი მსაჯული უჯდა. თვითონ ისიდორე კი საბრალდებულო სკამზე იჯდა და ელოდა განაჩენს. განაჩენმაც არ დააყოვნა. მინაგო ჯაბუამ გამოუტანა განაჩენი ისიდორე ჯაყელს! მიქელგაბრიელის საყდრიდან ჯვრის ჩამოგდებისათვის, კომკავშირის უჯრედის მდივნობისათვის, სოფლის საბჭოს თავმჯდომარეობისათვის, დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წევრის მინაგო ჯაბუას დევნისათვის, მამულების ძარცვა გლეჯისათვის და სახელმწიფოს წინაშე ჩადენილი სხვა უამრავი დანაშაულისათვის, გურიის აჯანყების რევოლუციური საბჭოს საველე სასამართლოს სახელით დახვრეტა მოგესაჯა.

მინაგო ჯაბუამ განაჩენის სისრულეში მოყვანა ბოსელში განიზრახა, რათა ნეხვსა და ნაგავში ამოეხადა სული ისიდორესათვის. მაუზერის ათი ტყვიიდან შვიდმა ტყვიამ ისიდორეს ძვალსა და რბილში გაუარა. მინაგოს ეგონა,რომ ისიდორეს საქმე მოისტუმრა, მაგრამ ისიდორე ჯაყელი რაღაც სასწაულით გადაურჩა სიკვდილს. რამდენიმე თვის შემდეგ მას გონება დაუბრუნდა.

სწორედ ისიდორე ჯაყელის შვილიშვილი მესაზღვრე ჯარისკაცი ავთანდილ ჯაყელი არის რომანის მთავარი ფიგურა. მას ვეცნობით, როგორც დედმამით ობოლ სოფლელ ბავშვს. ავთანდილ ჯაყელმა სკოლის დამთავრების შემდეგ, სამედიცინო ინსტიტუტში სცადა ბედი,მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაიჭრა. ამის შემდეგ იგი მიჰყავთ ჯარში და იწყება მესაზღვრის ფხიზე-ლი ცხოვრება.

საზღვრის საგუშაგოზე ჯაყელთან ერთად მსახურობენ სხვა ეროვნე-ბის წარმომადგენლებიც. აქ არიან: კარალიოვი, არბუზოვი, ძნელაძე, პა-რხომენკო, ზუღოვი და მრავალი სხვა მებრძოლები, რომელთაც მეთაურობს ქა-რთველი ოფიცერი ჩხარტიშვილი.

აღსანიშნავია ავთანდილ ჯაყელისა და პეტრო შერბინას მეგობრობა. ისინი განუყრელი მეგობრები არიან.

ნაწარმოების სიუჟეტში ოსტატურადაა ჩართული უკრაინელი ჯარისკა-ცის პეტრო შერბინას წერილი დედისადმი, რაც ჩვენი ქვეყნის სხვადა-სხვა ეროვნების მეომართა ურთიერთპატივისცემის გამომხატველია. წერილი დაწერა შერბინამ, მაგრამ მისი გაგზავნა ვერ მოასწრო ისე დაიღუპა.

აი რას წერს შერბინა: "მეგობრები კარგი მყავს და მეთაურებიც, შენი შვილი პეტრო შერბინა ყველას უყვარს, წარჩინებული მესაზღვრე ვარ. ჯერ ჯაშუში არ დამიჭერია. მაიორი ჩხარტიშვილი დამპირდა, თუ ორს დაიჭერ, ერთს სახლში გაგატან დედაშენ მარია პავლოვნასთანო. ჰა, დედი, რას იტყვი, ჩამოვიყვანო ჩვენი ძაღლი დაბერდა უკვე, დავა-ბათ ეზოში და ვაყეფოთ და ვაყეფოთ. აქ ისეთი მეგობრები მყავს, სულ მზესა და მთვარეს ჩემზე იფიცებენ... ადრეც გწერდი, ერთი ქართვე-ლია, ჯაყელი, მეორე ჩვენებური პარხომენკო...სურათს გიგზავნი, სამი ვართ. შავი ჯაყელია, დანარჩენებს მიხვდები..

ჯაყელს დედა არ ჰყავს. შენი სურათი რომ ვაჩვენე, ასე მითხრა, სულ დედაჩემს ჰგავსო. ალბათ, მართლა ჰგავხარ, აბა ტყუილს რატომ იტყვის. დედას იფიცებს ხოლმე. როდესაც დედას იფიცებს, მაშინ არ არ სტყუის. ქართველები თუ დედას დაიფიცებენ, ხატზე დაფიცებას უდრის. კიდევ მეტს. თავისი ქვეყანა სიგიჟემდე უყვართ, საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადღეგრძელოს,რომ ამბობენ, ხანდახან ტირიან კიდევაც. სამოთხესავით ქვეყანაა, დედი, საქართველო სამოთხესავით".[1]

ეს წერილი შერმინას დაღუპვის შემდეგ ავთანდილ ჯაყელმა შეინახა და სათუთად უვლიდა მეგობრის მიერ დატოვებულ უკანასკნელ რელიქვიას.

ავთანდილ ჯაყელი ამაყობს თავისი უკრაინელი მეგობრით პეტრო შერმინათი. თბილისელ ახალგაზრდებთან გაპაექრებისას მან შეუვალ იარაღად პეტრო შერმინას წერილი გამოიყენა და მეხთატეხასავით მიაყარა მათ. იგი მაშინ სტუმრად თბილისში დადუნასთან ჩამოვიდა. დადუნა მისთვის უსაყვარლესი არსება იყო. უკვე წელიწადნახევარი იყო გასული,ჯაყოს დადუნა რომ არ ენახა.

ავთანდილ ჯაყელი ქუჩაში მოულოდნელად შეხვდა დადუნას. დადუნასაც გაუხარდა ჯაყოს დანახვა. ისინი თითქმის გმირთა მოედნამდე სირბილით ჩავიდნენ. აქ ტაქსს დაელოდნენ. უეცრად დადუნას წინ გაპრიალებული ვოლგა გაჩერდა და დადუნა და ჯაყო მანქანაში შეიპატიჟა. მანქანის მძღოლი დადუნას ამხანაგი ვიღაც გივი გამოდგა,რომელმაც მათი საერთო მეგობრის ნელის დაბადების დღეზე წასვლა შესთავაზა მათ. ჯაყოს სტუმრობა დაბადების დღეზე მოულოდნელი იყო. აქ მას ძველი ნაცნობები: გელა, ანზორი, პოეტი ქალი მზია და იზიდა დახვდნენ, მაგრამ ბევრი უცნობიც დაინახა ავთანდილმა სუფრასთან. სუფრაზე ავთანდილ ჯაყელის გაპამპულება დაიწყეს. განსაკუთრებით გელა აეკიდა. როდესაც სამშობლოს სიყვარულზე ჩამოვარდა საუბარი და კინკლაობა მაშინ ავთანდილ ჯაყელმა უპასუხა: მე მიყვარს სამშობლო ყველანაირი ცუდი, კარგი,მახინჯი,ლამაზი,მშიერი,მაძღარი,შიშველი და შემოსილი, ბედნიერი და უბედური..ყველანაირი..ჯაყომ კონიაკი დაისხა და დალია. ბოლოს ჯიბეში ხელი ჩაიყო და რაღაც გაკეცილი ქაღალდი ამოიღო ეს იყო მისი

---

1 ნ.დუმბაძე,ტ.II,თბ.,1983,გვ.208

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკრაინელი მეგობრის პეტრო შერბინას წერილი, რომელიც დაბადების დღეზე შეკრებილთ წაუკითხა. ბოლოს ავთანდილ ჯაყელმა დაუმატა "ეს შერბინა უკრაინიდან ჩამოვიდა. წვიმაში, თოვლში, ნიაღვარში, ტალახში, სიცხეში, უკუნეთში და წკვარამში იწვა, დახოხავდა, დარბოდა, იდგა და საზღვარს იცავდა... შერბინამ ეს წერილი 28 სექტემბერს დაწერა. შერბინას მეგობრები უყვარდა, დედა უყვარდა, სამშობლო უყვარდა. შერბინას მზე უყვარდა და ისე მოკვდა, არ დაუკვნესია, უხმოდ ტიროდა. 29 სექტემბერს ღამით, დაიღუპა შერბინა. და მე ახლა შერბინას სადღეგრძელო მინდა ვთქვა".[1]

როგორც რომანიდან ირკვევა, ავთანდილ ჯაყელის მეგობრობა შერბინასთან სიწრფელის ნიმუშია. შინაგანად პატიოსანი, იგი, აჯაგრულ ზღარბს ემგვანება ქალაქელი უსაქმურების წრეში მოხვედრისას.

"ავთანდილ ჯაყელს არ შეუძლია შეურიგდეს დადუნას მეგობრების ფუქსავატურ ბუნებას, ფუფუნებისაკენ სწრაფვას, ეგოისტური გრძნობებით ცხოვრებას! იგი ფაქიზი ბუნების წყალობით გრძნობს ჭუჭყის მოახლოებას და არ უნდა იმ ჭუჭყს დაანებოს დადუნა. და ამიტომ "აქტიურობს" და ალიზიანებს დადუნას თავგასულ მეგობრებს, დაურიდებლად იწვევს დუელში. ეს დუელია სისუფთავისა და ჭუჭყის, ზნეობრივი სიმართლისა და ფუქსავატობისა. დადუნას სწორედ ეს სისუფთავე იზიდავს ავთოში. იგი მთელი არსებით გრძნობს, რომ რაღაც დიადი და ძვირფასია ამ სისუფთავეში, აუნაზღაურებელი განძია, რისი მსგავსიც საკუთარ წრეში არ იპოვება. საკუთარი სიცოცხლის გადარჩენის გზას იგი ავთოში აღმოაჩენს. ავთო ჯაყელიც გრძნობს დადუნას ამ შინაგან, ღრმა და ჭეშმარიტ სისუფთავეს და კიდეც შეიკრა ლამაზი სიყვარულის წრე. ავთანდილ ჯაყელის ზნეობრივი სიწმინდე მესაზღვრეთა ცხოვრების მორალადაც იკითხება. ასეთი ბუნების კაცს ძალუძს მხოლოდ სხვა ხალხის შვილთან გულწრფელი წმინდა

---

1 ნ. დუმბაძე, ტ. II, 1983, გვ. 213

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრობა".[1]

ასე რომ ავთანდილ ჯაყელის მოქმედება, დადუნას მეგობრებთან გამართლებულია, ამიტომაც დადებით გმირადაა შერაცხული ნაწარმოებში, მაგრამ მას შეიძლება ბევრი უარყოფითი მხარეც მიეწეროს.

თბილისში ჩამოსულმა ავთანდილ ჯაყელმა სტუდენტი გოგონა დადუნა გაიცნო და შეიყვარა. ერთხელ დადუნამ სახლში დაპატიჟა ჯაყელი. ავთანდილიც ეწვია დადუნას ოჯახს. აქ მას დადუნას ამხანაგები დახვდნენ. ჯაყოსა და დადუნას ამხანაგებს შორის მოხდა შელაპარაკება. ისინი ამცირებენ ავთანდილ ჯაყელს. დადუნას ამხანაგები ისე გამოიყურებიან, რომ ავთოზე მაღლა დგანან, რადგანაც სტუდენტები არიან, ჯაყო კი აბიტურიენტია. განსაკუთრებით ჯაყელს დადუნას მკლავებდაბერილი ამხანაგი ანზორი ამცირებს. ავთო ცოტა რომ შეთვრა, მაშინ ძალაც მოემატა და მკლავებდაბერილი მუტრუკის საპასუხოდ მოემზადა. მან ღვინით სავსე ჭიქა აიღო, ჭიქაში ჩააფურთხა და ისე შეასხა სახეში ანზორს. თვითონ ჯაყელი ამბობს "უცებ ერთი უცხოური ფილმი გამახსენდა. იქ ერთი გმირი ღვინით სავსე ჭიქაში აფურთხებს და ისე ასხამს სახეში ვიღაც გაიძვერას".

მაგრამ ჯაყელისთვის ეს გასამართლებელი საბუთი არაა. მან ამით თავისი საყვარელი არსების - დადუნასა და მისი ამხანაგების წინაშე საშინელი საგიზღროება ჩაიდინა, რითაც შელახა ქართველი კაცის ღირსება. ცნობილია, რომ ქართველ კაცს ღვინით სავსე ჭიქასთან სრულიად სხვა დამოკიდებულება აქვს, ეს დამოკიდებულება არის წმინდა და ამაღლებული.

ავთანდილ ჯაყელი, როცა ამ საიცრებას ჩადის, მაშინ იხსენებს ერთ უცხოურ ფილმს, რომლის დასახელება ნაწარმოებში არ არის მოცემული, ჰბაძავს ფილმის ერთ-ერთ გმირს და ქართველი კაცისათვის

---

1 ჯ. ღვინჯილია, გზა სინათლისაკენ, ჟურნ. "განთიადი", N4, გვ. 140

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუტევებელ დანაშაულს ჩადის. ამ ფაქტთან დაკავშირებით მიზანშეწონილია გავიხსენოთ სამამულო ომთან დაკავშირებული ერთ-ერთი საუკეთესო ქართული მხატვრული ფილმი "ჯარისკაცის მამა" სადაც მოხუცი მამა სათუთად ეპყრობა ვენახს, ვაზს, როცა ერთმა ტანკისტმა ტანკით გადაუარა ვენახს, მაშინ მან მას ეს არ აპატია. იგი გულში ჩაახედა და თავისი დანაშაული შეაგნებინა. ჯარისკაცის მამამ ვენახი პატარა ბავშვს შეადარა. აქ ჩაქსოვილია ქართველი კაცის სიყვარული ვაზისადმი, რომლის მოვლა შვილის გაზრდას ეტოლება. აქედან გამომდინარე ავთანდილ ჯაყელის საქციელი კი მის სიკვდილს უდრის.

გავიდა ორი წელი. ჯაყომ ბევრი რამ ნახა. იგი სამხედრო სამსახურშიც გაიწვიეს. სამხედროდან შვებულებით ჩამოსულ ჯაყოს ავტორმა ისევ შეგვახვედრა დადუნას ამხანაგის სახლში შეკრებილ ახალგაზრდებთან. დადუნას მეგობრები ისევ ძველებურად არიან: პაპიროსს ეწევიან, როიალს უკრავენ, კონიაკს სვამენ. ..ე.ი. არ არიან შეცვლილი. ავთანდილ ჯაყელიც მათ წინაშე ისევ ძველებურად იქცევა და შემდეგი სიტყვებით მიმართავს მათ:

"აი შენ,მაგალითად,რომ გადაგიდვია ფეხი ფეხზე და აბოლებ პაპიროსს, შენ, რომ მიჯდომიხარ მაგ როიალს და ელოდები როდის მოვა შენი რიგი, შენ,გაირონივით რომ წევხარ სავარძელში და წერ, როგორ უჭირავს ყანჩას ცალ ფეხში დედამიწის სფერო, შენ,რომ დაგიბერია მკლავები და აგდიხარ მაგ სავარძელში...რას აკეთებთ?! ეს არის თქვენი სიყვარული?! ეს არის? მიმიფურთხებია მე თქვენთვის".[1]

ავთანდილ ჯაყელს ეს საქციელი სრულებით არ ჰგავს ჭკუათმყოფელი კაცის საქციელს. ავთანდილ ჯაყელმა ამ სიტყვებით დადუნას ამხანაგებს სულში შეაფურთხა, შელახა მათი ისედაც შელახული ღირსება.

"კიდევ მეტ დანაშაულსა და გაუგებრობას ჩადის ავთო ჯაყელი.

---

1 ნ.დუმბაძე,ტ.II,თბ.,1989,გვ.213

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსაც იგი ამ სიტყვების შემდეგ ნაცემი და მოსულიერებული ქუჩაში გამოვიდა მას დადუნას ერთ-ერთი ამხანაგი გივი წამოეწია,რომელმაც ისევ უკან დაბრუნება თხოვა ჯაყოს. მაგრამ ჯაყელმა უარი უთხრა.ბოლოს გივიმ უთხრა ავთო ჯაყელს, ერთი სათხოვარი მაქვს იმ ბიჭის წერილი მაჩუქეო. ავთანდილ ჯაყელს დაღუპული მეგობრისაგან ერთადერთი სახსოვარი შემორჩა - დედისადმი გასაგზავნი წერილი, /რომლის გაგზავნაც ვერ მოასწრო შერმზინამ ისე დაიღუპა/ ჯაყელმა მეგობრის ეს ძვირფასი რელიქვია ანგარიშმიუცემლად აჩუქა პირველსავე მთხოვნელს".[1]

გივიმ თვითონაც არ იცოდა რისთვის და რატომ სთხოვა ჯაყელს მეგობრის წერილი. გივისთვის ამ წერილის არც შინაარსი იყო არაფრის მთქმელი და წერილიც არაფერს წარმოადგენდა. ჯაყელს კი კარგად გაეგებოდა მეგობრის წერილის მწველი სტრიქონები,რომლის წაკითხვა არ ეღირსა შერმზინას დედას. ავთანდილ ჯაყელს თავისუფლად შეეძლო პეტრო შერმზინას დედისთვის გაეგზავნა ეს წერილი სათანადო განმარტებით, ან თვითონაც წასულიყო მეგობრის სახლში და გადაეცა წერილი ოჯახისთვის, მაგრამ არც ერთის და არც მეორის გაკეთება მას აზრადაც არ მოსვლია. ამიტომაც ავთანდილ ჯაყელის მოქმედება სრულებით არა ჰგავს მოყვარული მეგობრის საქციელს, რაც დიდებით გმირს არ ეპატიება.

ნაწარმოებში გარდა ავთანდილ ჯაყელისა შესანიშნავადაა დახატული ფერიდესა და ალი ხორავას სახე.

თუ დადუნასთან ურთიერთობის საკითხი ერთგვარი გაურკვეველია, ამას ვერ ვიტყვით ფერიდესთან რომანის თაობაზე. ფერიდესთან რომანი, ისე როგორც თვით ფერიდეს სახე ნაწარმოებში,რაღაც შემთხვევითობის ხასიათს ატარებს. საამისოდ არც ნიადაგია მომზადებული და არც ხეირიანი დასასრული ეძლევა ამ ამბავს.

ავთანდილ ჯაყელი სამხედრო სამსახურში ჰყოფნის დროს გაიც-

---

1 რ. მიშველაძე,კრიტიკა,თბ.,1970,გვ.219

ნობს ქვრივ ქალს – ფერიდეს. მოეწონება იგი და სიყვარულში გამოუტყ- დება. შვებულებიდან ნაადრევად დაბრუნებული ჯაყო ფერიდეს ესტუმრე- ბა სახლში. ფერიდე კი შემდეგი სიტყვებით მიმართავს მას.

საინტერესოა მათი დიალოგი:

– მე რომ გთხოვე, არ მოხვიდე – მეთქი?

– ვერ შევძელი, ფერიდე, მოვედი, გნახე და წავალ.

– ხომ მნახე, ადექი ახლა და წადი!

– ნუ გამაგდებ, ფერიდე, ცოტა ხანს ვიქნები კიდევ.

– აკი თბილისში წახვედი?

– ვერ გავძელი თბილისში... შენ მომენატრე!

– სტყუი!

– მაშ რატომ ჩამოვედი?

– არ ვიცი.

– თუ არ იცი გაიგე შენი გულისთვის ჩამოვედი!

ორი წელია ფერიდე... ორი წელია თურმე მიყვარხარ"[1]

ფერიდეს არ უნდა ავთანდილ ჯაყელთან სასიყვარულო ურთიერთობა. იგი შემდეგი სიტყვებით მიმართავს ავთანდილ ჯაყელს "მე ჯერ ის ერთი სიყვარული არ მომინელებია და ბაზარში თავს ნუ გამაყრევინებ, სოფელში თავს ნუ მომჭრი, ნუ მოდიხარ ჩემთან, ხალხს იმაზე რატომ აძლევ სალაპარაკოს რაც არ არსებობს?...ისიც არ ვიცი, მართლა ჩემი გულისთვის დაბრუნდი თუ არა – ვაითუ შენც არ იცი... ვაითუ არ იცი, ბიჭო ავთო!"..[2]

ასეთი სიყვარულის ძაფი მას გაბმული აქვს სტუდენტ გოგონა დადუნასთან. ჯარში მიმავალი ავთანდილ ჯაყელი ჯამის პირველ საათ- ზე დადუნასთან მივა და გარეთ გამოსვლას თხოვს. დადუნაც პერანგის

---

1 ნ.დუმბაძე, ნუ გეშინია დედა!, თბ., 1989, გვ. 221

2 იქვე, გვ. 222.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამარა გამოვა გარეთ ჯაყო მას შემდეგი სიტყვებით მიმართავს "შენი ჭირიმე დადუ, რა კარგი ხარ, როგორ მიყვარხარ, რომ იცოდე!...მეზობლებო გამოდით, გამოდით, გამოდით, თქვენ გენაცვალეთ, გაიგონეთ, დადუნა მიყვარს".

როგორც ვხედავთ სიყვარულის საკითხშიც უარყოფით პიროვნებად შეიძლება ჩაითვალოს ავთანდილ ჯაყელი.

ნაწარმოებში ერთ-ერთ გმირად გამოყვანილია ალი ხორავა. მან კარგად იცის ფერიდესა და ავთანდილ ჯაყელს. მან ერთხელ ავთო ზღვაზე თითქოსდა სათევზაოდ წაიყვანა. ნავი ერთ ადგილას გააჩერეს. ალი ხორავამ ერთი ბოთლი არაყი და შემწვარი სტავრიდა დაალაგა ნავის ფსკერზე. თითო ყანწი დალიეს. ალი ხორავამ უთხრა ავთანდილ ჯაყელს " ის გოგო, უბედური გოგოა... თქვა ალიმ და ხმაში ჟანგი შეეპარა.

- ამის სათქმელად წამომიყვანე, ალი ბატონო, ზღვაში? ამას სახლში ვერ მეტყოდი? - ვკითხე და ათრთოლებული ხელით არაყი გადავკარი.

- ზღვა ჩემი სახლია, ავთანდილ ჯაყელო, ზღვა ერთადერთი სულიერია დედამიწის ზურგზე,რომელსაც ყურები არა აქვს. ზღვა სუფთაა, უმტვერო, უნაგვო, ზღვა ადამიანის ტვინს და სულს რეცხავს და ნაგვი ნაპირზე გააქვს. რასაც გეტყვი ზღვასავით მართალია და რასაც მეტყვი ზღვასავით მართალი უნდა იყოს! - თქვა მან.

- ფერიდე ჩვენი სოფლის სინდისია, ფერიდე ჩვენი სოფლის შვილია და ვინც ფერიდეს შავს გახდის, ჩვენი სოფლის სინდისი და შვილი უნდა გახდეს.

- მე ამ ზღვასავით მართალი მივსულვარ ფერიდესთან და ამ ზღვაზე სუფთა გამოვსულვარ იქიდან - ვთქვი მე.

- შე, ჩემო შვილო, მთელი ცხოვრება წინ გაქვს, ფერიდემ კი ნახევარი ცხოვრება დაამთავრა. შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ, ის კი ქვრივია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერიდეს პატრონი უნდა, შენ თვითონ საპატრონო ხარ, ფერიდეს ნამდვილი სიყვარული სჭირდება, შენ ჯერ სიყვარული ლამაზი ქალი გგონია. მე გთხოვთ, მოერიო შენს ოც წელიწადს და წახვიდე შინ, კეთილად და მშვიდობით წადი, შვილო, გულს ნუ აყვები, ვიდრე გვიანი არ არის".[1]

როგორც ვხედავთ ავთანდილ ჯაყელს ალი ხორავა მამაშვილურ დარიგებას აძლევს, მაგრამ რომანში ნაჩვენები არ არის თვით ის პროცესი, რამაც ალი ხორავას ასეთი რეაქცია " საქმეში მამაშვილური ჩარევა - გამოიწვია.

ავთანდილ ჯაყელი კმაყოფილი რჩება ალი ხორავას რჩევის და როგორც ცხოვრებაში გამოცდილ კაცს ისე აფასებს და შემდეგი სიტყვებით მიმართავს მას:

"ალი ხორავა, შენ იცი რომ ხვალ გრიგალი ამოვარდება, ზღვა გადაირევა, ნაპირებს წალეკავს და შეიძლება დაახრჩოს ავთანდილ ჯაყელი, მაგრამ ავთანდილ ჯაყელი შევა ამ ზღვაში, ავთანდილ ჯაყელს მოსთხოვს ზღვა სულს და ავთანდილ ჯაყელი არ მისცემს სულს ზღვას; არც ვეშაპის კუჭში მოიხარშება ავთანდილ ჯაყელი. ავთანდილ ჯაყელის ნავი ნაპირისაკენ მიდის. ალი ხორავა, ავთანდილ ჯაყელი მადლობელია შენი.

"ნუ გეშინია, დედა" არ შეიძლება სქელტანიან რომანად ჩაითვალოს, თუმცა აქ სხვადასხვ ა ბედის, ბიოგრაფიის, ხასიათის ადამიანებს ვხედებით. ყოველი მათგანი გარკვეულ ინტერესს იწვევს, მაგრამ რომანის ერთ-ერთ საინტერესო სახედ მაინც ივანე სერგეევიჩ კოტინოვი მიიჩნევა,რომელსაც ჯაყო მოფერებით "ვანიჩკა ბიძიას" ეძახის, ხოლო ავტორი ყოველი ფეხის ნაბიჯზე გვიმტკიცებს,ივანე კოტინოვი უაღრესად კეთილშობილი, უანგარო და პატიოსნებით ალსავსე კაციაო.

იქნებ თვით ძია ვანიჩკას ბიოგრაფია განაპირობებს მისადმი ასეთ ინტერესს, იქნებ ისიც კი, რომ სწორედ ძია ვანოს შემოაქვს ის

---

1 ნ.დუმბაძე,ნუ გეშინია,დედა! ტ.II,თბ.,1989,გვ.240

მამხილებელი პათოსი,რომელიც ამ ნაწარმოებში, მართალია არ დომინანტობს და "ნუ გეშინია, დედას" მთავარ მაგისტრალურ ხაზს არ წარმოადგენს, მაგრამ მაინც საკმაოდ თვალხილული ჩანს. ამას აქვს ერთგვარი გამართლებაც: ვანიჩკას იმდენი ჭირი გადახდენია თავს, იმდენ ბოროტსა და ავს ჩაუვლია მის თვალწინ, რომ ბუნებრივია, მას ექნება მძაფრი რეაქცია ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენის მიმართ. ყოფის ის ნაკლოვანებანი,რომელსაც ძია ვანიჩკა დასცინის, ხოლმე, არარაც მიიჩნევა იმასთან შედარებით, რაც მას გადახდენია, რაც მას უნახავს. ამიტომაც არის მისი მხილება მოყვარულად პირში ნათქვამი სიტყვა,სიმართლის სიმწარეც რომ დაჰყვება ხოლმე თან. მაგრამ ვანიჩკას, სახე სხვა მხრივადაც არის საინტერესო. გავიხსენოთ ძია ვანიჩკას და ავთო ჯაყელის შეხვედრა რესტორანში. ავთანდილ ჯაყელი მეორე დღეს ჯარში უნდა წასულიყო. ძია ვანომ იგი რესტორანში დაპატიჟა და შემდეგი ეპიზოდი მოუყვა ფრონტული ცხოვრებიდან.

" მე სამი რამ ვიცი: ჯარი,ციხე და მთა. მე ჯარს ვამბობ, ომს ვგულისხმობ, ავთო, 42 წელს ჩვენი დივიზია ალყაში მოექცა როსტოვთან, ვინც გაარღვია ალყა, გავიდა, ვინც ვერა და ტყვედ ჩავვარდით. საშველი არ იყო, ტყვედ ჩავვარდით.. - ვანიჩკა ბიძია ისევ დაფიქრდა, ხელი ოდნავ უთრთოდა. - სოფლის ფარდულთან ჩაგვამწკრივეს ორრიგად. სამასი კაცი ვიქნებოდით.

- ებრაელები გამოდით! - თქვა გერმანელმა ოფიცერმა.

- ორი ებრაელი გვყავდა. გავიდნენ.

- ახლა კომუნისტები გამოდით! - ბრძანა გერმანელმა ოფიცერმა. დიდხანს არავინ არ დაძრულა ადგილიდან. ოფიცერმა ბრძანება გაიმეორა, ხელში შიშველი პარაბელუმი ეჭირა და მეორე ხელისგულზე იწყობდა რიტმულად. პირველი ჩვენი მეთაური გავიდა, უფროსი ლეიტენანტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კობლოვი, მერე სხვები, სულ ოცდათერთმეტი კაცი, მათ შორის ჩემი იმა-კაცი ბუხუტი ავალიანი. ბუხუტის ვუცქეროდი, ის კი მიღიმოდა, ძალიან გაფითრებული იყო, როგორც ეს სუფრა, ასეთი იყო და იღიმებოდა.

მე შემრცხვა, ძალიან შემრცხვა, ისე შემრცხვა, რომ სიკვდილი მომინდა... გავედი, და ბუხუტის გვერდით დავდექი. ბუხუტის თვალები გაუგანიერდა.

- გაგიჟდი? - მკითხა ქართულად, მე მინდოდა, მეთქვა არა - მეთქი, მაგრამ ღლდვისაგან ხმა ვერ ამოვიღე. ოფიცერმა ბრძანება გასცა. ყველა დანარჩენები წაიყვანეს. ახლა ფარდულთან 34 კაცი ვიდექით.

- ახლავე დაბრუნდი! - მითხრა ბუხუტიმ და ხელი მკრა. მე უარყოფის ნიშნად თავი გადავიქნიე. მაშინ იგი მივიდა გერმანელთან და დამტვრეული გერმანულით აუხსნა, რომ მე არ ვიყავი კომუნისტი. გერმანელი ჩემთან მოვიდა და მანდატი მომთხოვა. მე ჯიბეების ქექვა დავიწყე. უცებ ყრუ, ბლაგვი და ცივი დარტყმა ვიგრძენი საფეთქელში, როცა გონს მოვედი მიწაზე ვეგდე დამხობილი ჩემს 33 გაწამებულ მეგობარს შორის. მერე ომის დამთავრებამდე სულ ტყვე ვიყავი".[1]

ამ ეპიზოდში გამოხატულება პოვა ქართველი მწერლის მაღალმა ჰუმანურმა სულისკვეთებამ საერთოდ, რაც, ცხადია, ქართველ კაცის სულიერი სიმდიდრიდან გამომდინარეობს. ძ ი ა ვანიჩკა თავისი აბურდული ცხოვრებით, პირში მთქმელობით გაცილებით საინტერესო პიროვნებაა ვიდრე მისი მეუღლე შურა. ამიტომაც ავთო ჯაყელი უმალ პოულობს მასთან საერთო ენას და ბევრ რამესაც სწავლობს მისგან.

რომანის დასასრულში დედის არდილთან გასაუბრებისას ვგებულობთ, რომ ავთანდილ ჯაყელი უნდა იყოს ბაბუასავით ვაჟკაცი, მამასავით გულწრფელი და ალალი, ვანიჩკა ბიძიასავით პატიოსანი, ალი

---

1 ნ. დუმბაძე, ნუ გეშინია, დედა! თბ., 1989, გვ. 108

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორავასავით ჭკვიანი, ჩხარტიშვილივით ძლიერი და ერთგული, და უნდა საქმისათვის შერგინასავით უხმოდ სიკვდილი შეძლოს, და დადგა დრო დედის აჩრდილთან გამომშვიდობებისა, რომელიც რომანში შემდეგი შემაძრწუნებელი სიტყვებითაა გადმოცემული:

– არ წახვიდე, დედა, ნუ დამტოვებ, მაშინ ვიღას ვუთხრა რაც მინდა?

– შენ ოღონდ თქვი და მომსმენი უამრავია, შვილო.

– არ წახვიდე, გეხვეწები დედა!...

– ჩემი დარჩენა არ შეიძლება, უნდა წავიდე, შვილო!

– აღარ მოხვალ დედა?

– როგორ არ მოვალ, ყოველთვის მოვალ, როდესაც გაგიჭირდება, შენ ოღონდ, მინატრე და მოვალ.

– ნახვამდის, დედა!

– თავს მოუარე, არ დამღუპო, შვილო!!!

– ნუ გეშინია, დედა!"[1]

ცნობილია, რომ ნოდარ დუმბაძის ამ რომანს დიდი წარმატება ხვდა წილად. რომანი კარგად მიიღო მკითხველმა და მაყურებელმა. ამ წარმატების მიზეზად რომანში აღძრული ინტერნაციონალური პრობლემების ზუსტი პოზიციიდან წარმატებით გადაჭრაც უნდა ვიგულისხმოთ.

როგორც ვხედავთ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში გმირობისა და მამაკაცობის მთავარი მკვებავი წყარო იყო სამშობლოსა და მეგობრობის გაუხუნარი გრძნობა. ხალხთა მეგობრობა კი განუყრელად დაკავშირებულია სამშობლოს სიყვარულთან. სწორედ ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების კავშირმა და ძმობა-მეგობრობამ გაუძლო ისეთ უმძიმეს განსაცდელს, როგორიც ეს მრისხანე ომი იყო.

-------------

1 ნ.დუმბაძე, ნუ გეშინია,დედა! ტ.II,თბ.,1969,გვ.255.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქართველმა პროზაიკოსებმა: რევაზ ჯაფარიძემ, ნოდარ დუმბაძემ და ოტია იოსელიანმა ნათლად ასახეს მოძმე ერების წარმომადგენელთა საბრძოლო თანამეგობრობის სურათები თავიანთ შემოქმედებაში. მათ მიერ სამამულო ომის თემაზე შექმნილი ნაწარმოებები უძვირფასესი განძია თანამედროვე ქართული მწერლობისა.[1]

ეროვნული ბიბლიოთეკა



## თავი მესამე

## ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი

მეორე მსოფლიო ომისდროინდელ ლიტერატურაში სიყვარულის საკითხის გაშუქებას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა.

სიყვარული ერთ-ერთი ძირითადი ძალა იყო სიკვდილის წინააღმდეგ ბრძოლაში. სიყვარულის წრფელი გრძნობით ფრთაშესხმული მებრძოლები ვაჟკაცურად ამარცხებდნენ სიკვდილს. გმირ მებრძოლებს სიყვარული სიკვდილის შიშს ავიწყებდა /სიკვდილის შიში კი უფრო საშინელია, ვიდრე თვით სიკვდილი/ და ტიტანური გამძლეობით ერკინებოდა მტერს.

სისხლის წვიმების დროს სიყვარულის თავისებურ განცდას არა ერთი ნაწარმოები უძღვნეს ქართველმა პროზაიკოსებმა, რომელთა შორის აღნიშვნის ღირსია რევაზ ჯაფარიძის ნაწარმოები "ხმა იდუმალი".

"მწერალი ამ მოთხრობაში ქალ-ვაჟის სიყვარულის პრობლემას სულთა ნათესაობის ასპექტით განიხილავს და აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა სიმღერას და მუსიკას ენიჭება, რომელმაც ადამიანს თავისი მონათესავე, თავისი დაკარგული ნახევარი უნდა აპოვნინოს. მთელი მოთხრობა ალსავსეა მღელვარე და წრფელი ლირიზმით და ეს იგრძნობა ყოველ ეპიზოდში, როგორც ბუნების, ვარსკვლავებით მოჭედილი ცისა და გადაბელილი ტირიფის ხეივნების ასახვისას, ისე ადამიანთა ხასიათების გამოძერწვისას".[1]

ნაწარმოებში ავტორს მთავარ მოქმედ გმირად გამოყავს მირიანი და ლევანი, რომლებიც ერთად გადიან სამხედრო სამსახურს. გაცნობისთანავე მირიანსა და ლევანს ძმებივით შეუყვარდებათ ერთმანეთი. ისინი უერთმანეთოდ ვერ ძლებენ. მირიანი ახალგაზრდა კაპიტანი იყო. ერთი შეხედვით ოც წელსაც არ მისცემდა კაცი. სასიამოვნო შესახედავი,

---

1 გ. ნატროშვილი, მართალი სიტყვა, გაზ. "კომუნისტი", 1983, წ. 22 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამაკაცური იერის მქონე პიროვნება გახლდათ. მირიანს ქედმაღლობა არ უყვარდა. იგი თავისი უბრალოებით ყველასთვის სასიყვარულო კაპიტანიიყო გვარდიის სატანკო დივიზიაში.

ერთხელ ლევანი მივლინებით ჩამოდის თბილისში და თავისი მეგობრის მირიან სავანელის ოჯახს ესტუმრება, სადაც გაიცნობს მირიანის დას, მაიას. ნიშანდობლივია მაიას შემოსვლა მოთხრობაში.

"-მაია! - დაიძახა დიასახლისმა და შეკვრა ჩამომართვა.

ოთახის კარი გაიღო. შუშაბანდში საშუალო ტანის შავგრემანმა ქალიშვილმა გამოიხედა.

- მირიანის ამხანაგია, წერილი გამოუტანებია, - მიმართა მას დიასახლისმა, შეკვრა იატაკზე დასდო, შავი პორტფელი იღლიაში ამოიჩარა და წერილი მაშინვე გახსნა.

გახარებულმა მაიამ ტაში შემოჰკრა და ისევ ელვასავით გაქრა, როგორც გამოჩნდა.

დიასახლისს შუბლი შეეკრა და წერილს კითხულობდა.

- ბოდიში, მე...დავძარ ხმა მოწიწებით, რათა კითხვაში ხელი არ შემეშალა, ქუდი ფრთხილად დავიხურე და უკან-უკან წავედი კიბისაკენ".[1]

სტუმართმოყვარე მირიანის დედამ ლევანი სახლში არ გაუშვა და შინ შეიპატიჟა. აქ ლევანი და მირიანის და მაია გაიცნობენ ერთმანეთს. ავტორი შესანიშნავად გვიხატავს მაიასა და ლევანის გაცნობის სურათს მოთხრობაში:

"თითქოს ხელი ჰკრესო, ისე გამოვარდა შუშაბანდში საოცრად მოძრავი, თვრამეტი - ცხრამეტი წლის ქალიშვილი, ჯიქურ მოგვადგა და ისევ დედას მიმართა ალერსნარევი საყვედურით:

- დაიწყებს ყვირილს! - არ უნდა დავალაგო?

---

1 რ. ჯაფარიძე, ხმა იდუმალი, თბ., 1966, გვ. 66.

ეროვნული ბიბლიოთეკა



იმის გულუბრყვილო, თითქმის ბავშვურ მუტიაწობაზე ღიმი მომერია და როდესაც ხელი ჩამოვართვი, მზერა ისევ დიასახლისისკენ გადავიტანე. ვგრძნობდი მაიას ეღიმებოდა და ისევ მე მიყურებდა, რაც ერთსა და იმავე დროს ძალზე სასიამოვნოც იყო და წონასწორობასაც მიკარგავდა... მალულად მაიას გავხედე. იგი იღიმებოდა. მაიამ შემნიშნა, რომ ვუყურებდი და როდესაც დედა ისევ წერილს დაუბრუნდა, მეგობრულად თვალი ჩამიკრა".[1] ბოლოს ისინი მარტოდ რჩებიან ოჯახში. სათანადო საუბრის შემდეგ გაიცნობს თუ არა ლევანი მაიას, იმ წამსვე მოეწონება და ერთი ნახვით "შეიყვარებს". თვითონაც კი აღიარებს ამას "მაიას სახე გაცნობისთანავე წონასწორობას მიკარგავდაო".

ლევან ბერიშვილმა ვერ გაუძლო მოზღვავებულ გრძნობას და მოულოდნელად დატოვა მეგობრის ოჯახი.

სახლში მისულ ლევანს ოჯახში არავინ დახვდა. შებინდებისას შინაურები მოვიდნენ და მთელი სახლი დიდი ხნის ნანატრმა სიხარულმა მოიცვა. თვითონ ლევანი ამბობს: "ნაცნობი საგნებიც კი გრძნობდნენ ჩემს მოსვლას. ყველაფერს შევხაროდი და ყველაფერი მე შემომხაროდაო".

შინ მოსულ ლევანს მაია სავანელი გაახსენდა და მოუსვენრობა დაეტყო, რაზედაც მამამაც უსაყვედურა:

-"გაშალე აბა შუბლი, დღეის სწორსაც აქ მეყოლები თუ?

მამა შესამჩნევად მოხუცებულიყო. ახლა ველარ მომეგონებინა, როგორი იყო ის ჩემი წასვლისა წინ. "საწყალი მამა!" - ვფიქრობდი გულასიებული და პირში ენა ვერ მომებრუნებია-.[2]

ლევანი დარდს შეეპყრო, და მისი გულის მობრუნება ეხლა არავის შეეძლო. ჯერ შვებულება არ იყო გასული, რომ ერთ მშვენიერ დღეს ლევანმა მამას განუცხადა: მამა მე უნდა წავიდე... სად?

---

1 რ. ჯაფარიძე, ხმა იდუმალი, თბ., 1966, გვ. 67

2 იქვე, გვ. 73

ეროვნული ბიბლიოთეკა

-მოიხედა მან და ცვლის გამოსაკვერავი გრდემლი, რომელიც ის იყო ჩამოელო ბუხრის თავიდან კინაღამ დაუვარდა. ლევანის მამა მშვენივრად ხვდებოდა იმას რომ თავის შვილს რაღაც აწუხებდა. მას ზედმეტი შეკითხვებით არ შეუწუხებია შვილი. ბოლოს ლევანი გასამგზავრებლად მოემზადა, სადგურზე დედ-მამა გამოყვნენ და შვებულებით ჩამოსული შვილი ისევ ჯარში გააცილეს. თბილისში ჩამოსული ლევანი, ვაგზლის მოედანზე გასვლისთანავე გადაწყვეტს მაიას ნახვას და იგი ისევ მირიანის ოჯახს ესტუმრება.

ლევანი ჭიშკართან მაიას შეხვდა. მაიას ჯერ გაუკვირდა ლევანის დანახვა, მერე კი სიხარულმა გაუნათა სახე.

- ლევან ! მართლა თქვენა ხართ? რა კარგია ! -

განაგრძნობდა მაია, რომელიც ალბათ, ვერ ამჩნევდა ჩემს გაოგნებას, შვებულება ასე მალე გავიდა? ლევანს მაიას საპასუხოდ სიტყვები ვერ მოეგონებინა. იგი მორჩილად მიჰყვებოდა მაიას უკან. მან ის ოთახში შეიპატიჟა. აქ ჯერ მირიანზე ჩამოვარდა საუბარი. მაიას ყოველი სიტყვა ალტაცებას იწვევდა ლევანის გულში.

მირიანს სიმღერა უყვარს. ალბათ თქვენც გიყვართ მუსიკა შეეკითხა მაია ლევანს და იგი როიალს მიუჯდა. მაია უკრავდა. ლევანი რალაც იდუმალმა გრძნობამ აიტაცა. იგი ფეხაკრეფით მიუახლოვდა როიალს. ვარდისფერი თითები უკვე მოუსვენრად დაჰქროდნენ კლავიშებზე. ლევანი დაჟინებით შეჰყურებდა ფრონტონს, სადაც მისი ლანდი იყო აღბეჭდილი. მან კიდევ გადადგა ერთი ნაბიჯი. მაიამაც იგრძნო ლევანის მოახლოვება. მან უცებ შეწყვიტა დაკვრა და ლევანს ამოხედა. მას ღიმილის ნატამალიც აღარ უჩანდა თვალებში. იგი უეცრად წამოდგა და განუძრევლად გაჩერდა ლევანის წინ ერთ ადგილას. ლევანი სიტყვის თქმას ვერ უბედავს მაიას. მან დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ ძლივს დაიბრუნა სიტყვის ამოთქმის უნარი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

"----მაია, მე... უნდა წავიდე..

– როგორც გენებოთ, – მოესმა მისი შეცვლილი ხმა, თბილისში როცა ჩამოხვიდეთ, შემოიარეთ ხოლმე..

თავს უკანასკნელი სიამოვნება წავართვი, უკან აღარ მომიხედნია, წინა ოთახში გავედი, იქიდან შუშაბანდში, მინებიანი კარი გავაღე და რკინის კიბეზე სირბილით დავეშვი. ქუჩაში მივხვდი რა ჩავიდინე: სამუდამოდ დავკარგე მაია – დღეის შემდეგ აქ აღარ მომესვლებოდა. ჩემი ნებით მივატოვე იქაურობა. არავის არ გამოვუგდივარ. მაშ რისთვის გამოვიქეცი? შეიძლებოდა მეტი უგუნურობა? იქნებ სულ ახლო ვიყავი ბედნიერებასთან და მე თვითონ გადავხერგე იქით მიმავალი გზა!".[1]

ამდენი ფიქრის შემდეგ ლევანი ისევ გადაწყვეტს დაბრუნებას მაიასთან. გადაწყვეტილება მან რამდენიმე წუთში სისრულეში მოიყვანა. ოთახში შესულს შემდეგი სურათი წარმოუდგა თვალწინ:

"ტახტზე გულაღმა იწვა მაია. ფართოდ გახელილი თვალები ჭერისთვის მიერყრო. მისი მოღელილი მკერდი ახლა არაჩვეულებრივად მაღალი და გამომწვევი მეჩვენა. ზომიერად აუდ-ჩაუდიოდა. ოცნებაში წასულს თავი ყურთბალიშის უკან გადაეგდო. მბზინვარე თმა ხალიჩას კიდეზე ეყარა. მარცხენა ფეხი, რომელზედაც კაბა ჩამოსცურებოდა, მოეკეცა და ტახტზე შემოედგა. მუხლის ქვემოთ ვარდისფერი სიშიშვლე მოუჩანდა".[2]

ლევანმა უკვე ვერ დაიმორჩილა თავის თავი. იგი ახლოს მივიდა მაიასთან. მის წინ მუხლებზე დაემხვა და გაყინული ხელები წელზე მოჰხვია. მერე ლევანი გვერდით მიუჯდება მაიას, უკან გადავარდნილ სახეს წაეტანება და როცა მკლავებში მისი ტანის სიმძიმეს იგრძნობს, გახურებული ტუჩებით მის მოკუმულ ტუჩებს დაასცხება.

ლევანი შეცდა ამ შემთხვევაში. იგი მირიანის ოჯახში მოხვე-

---

1 რევაზ ჯაფარიძე, ხმა იდუმალი, თბ., 1966, გვ. 81
2 იქვე, გვ. 82

ელექტრონული ბიბლიოთეკა



ქრისტიანივე "მუშტრის" თვალით უყურებდა მაიას. მის ყოველ მოძრაობას ყურადღებას აქცევდა. მას ავიწყდებოდა ის, რომ რაც არ უნდა სუსტი ნებისყოფის ყოფილიყო მაია, მას მაინც მეტი თავშეკავება მართებდა.

ლევანმა არ დაინდო მეგობრის ოჯახი. მან უღალატა მირიანს. მირიანს, რომელსაც ძმაზედ უკეთესად უყვარდა. მართალია, რომ "სიყვარული ეს ისეთი ძალა, რომელიც გულსა და გონებას არ უჯერებს, მაგრამ მირიანის დასთან ლევანს ეს გამოთქმა ვერ გაამართლებს. ლევანს უნდა დაეცვა მეგობრის ოჯახის ღირსება მისი სახელი. მირიანის არ ჰყოფნის პერიოდში თვით ლევანს უნდა ეთამაშა მირიანის როლი მისივე ოჯახში. მაგრამ, როგორც ვხედავთ ყველაფერი პირიქით ხდება. ლევანის სტუმრობას მეგობრის ოჯახში მოულოდნელი შედეგი მოჰყვა. მაიამ თავისი უმანკო სიწმინდე შესწირა მას. ისარგებლა მაიას სუსტი ნებისყოფით ლევანმა და არ დაინდო მეგობრის და, რომლისთვისაც დაძმის თვალსაწიერიდან უნდა შეეხედა მას.

ლევანის ეს საქციელი შეიძლება შეფასდეს, როგორც მეგობრის ოჯახის ღალატი და დაუნდობლობა.

საინტერესოა, თუ როგორი თვალებით შეხვდებოდა შვებულებიდან დაბრუნებული ლევანი მირიანს. მაგრამ მის საბედნიეროდ სატანკო დივიზია აყრილიყო და ფრონტის ხაზზე გაეგზავნათ. როგორც დივიზიის კაპიტანი მირიანიც სხვა მებრძოლებთან ერთად გამგზავრებულიყო ბრძოლის ველზე. ასე რომ ლევან ბერიშვილისა და მირიან სავანელის შეხვედრა მომხდარი ამბის შემდეგ არ ყოფილა.

ლევანის ქვეცნობიერ სამყაროში ჩამარხული გრძნობა მოთხრობაში კვლავ განაგრძობს თავის მოქმედებას. ბოლოს ის ლევანს დეზერტირობასაც ჩაადენინებს. ლევანი თითქოს იმიტომ, რომ მაიასაგან წერილებს არ ღებულობს, ჯარის ნაწილისაგან დაუკითხავად თბილისში მორბის. რაღაც მეტისმეტად რთული ინსტიქტი და გრძნობა მოსვენებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ აძლევს, სულიერ წონასწორობას უკარგავს. ის შფოთავს და იტანჯება. გზად მიმავალი ფიქრობს:

"ნუთუ მეც ვიქნები, ვინწუმეს მამა? — მომაგონდა იმდღევანდელი ფიქრი,მაიასაკენ რომ მიმაქანებდა ჩქარი მატარებელი, — ჯერ არაფერი , არაფერი და მერე უცებ — მამა!

იქნებ მაია უკვე იყო იმ არსების დედა,რომელსაც ჩემთვის მამა უნდა დაეძახა? გული ამიჩქროლდა. მკერდში აქამდე შეუცნობი სითბო ჩამეღვარა. თვალები დავხუჭე, რათა უფრო ნათლად წარმომედგინა,როგორ იქნებოდა მაია ჩემი შვილის დედა. ახლა იმას გადავწვდი,სად ვიცხოვრ-ებდით. რასაკვირველია, სოფელში! მაია იქ უცხო ენას ასწავლიდა სოფ-ლელ ბავშვებს და ვიცხოვრებდით ტკბილად და ხალისიანად".[1]

აი, ასე ოცნებობდა ჯარის ნაწილიდან გამოპარული ლევანი, რომე-ლმაც დაარღვია საყოველთაოდ აღიარებული კანონი, მაგრამ მისი მოქმე-დება მწერალმა გაამართლა იმ ასპექტით,რომ სიყვარულის ყოვლისშემძლე ძალამ დეზერტირობა ჩაადენინაო მოთხრობის გმირს.

სიყვარულის საკითხში შეიძლება გასამართლებელი იყოს ლევან ბერიშვილი, მაგრამ საკითხავია ისიც თუ ვისთან გინდა გახასიათებ-დეს ეს წრფელი გრძნობა. მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა მაიასა და ლევანის სიყვარული საბოლოოდ არ გამართლებულა. მათ წმინდა გრძნ-ობას შავი სუდარა გადააფარა ომმა,რომელსაც მოულოდნელად შეეწირა მი-რიან სავანელის სიცოცხლეც.

მაიას სანახავად ხელმეორედ ჩამოსულ ლევანს შემდეგი სურათი წარმოუდგა თვალწინ მეგობრის ოჯახში:

"მაგიდაზე ცოცხალი ყვავილები ელაგა. ეს ხომ შემოსვლისთან-ავე დავინახე, მაგრამ რატომღაც ვერ შევნიშნე, ყვავილებს შორის მირიანის ახალთახალი ქუდი იდო. სწორედ ის ქუდი,რომელიც სასწავლე-

---

1 რ.ჯაფარიძე,ხმა იდუმალი,თბ.,1966,გვ.90

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლის ხეივანში ეკავა იმ ღამეს, პირველი ხმა რომ აუწია ჩემს მაგივრად...

ნაბიჯი წინ წავდგი. როიალის კუთხიდან სიცარიელე შემომჩერებოდა. ხალიჩა მოეხსნათ, მაგრამ ტახტი ისევ ძველ ადგილას იდგა. გახევებული ვიდექი და დიდხანს ვერ ვხედავდი: იმ ტახტზე მაია იჯდა. უწესრიგოდ ჩამოშლილი თმის ხვეულებში სახე ძლივს მოუჩანდა. უეცრად შევხედე და ვიცანი. იმანაც შემომხედა, მაგრამ ერთი ძარღვიც არ შეტოკებია სახეზე. უაზროდ იყურებოდა სადღაც ჩემს იქით. მე თითქოს გამჭვირვალე ვიყავი. მერე ოდნავ ასწია სახე. თვალებში ნაცნობი სხივი გაუკრთა და მე მომეჩვენა, რომ მაიას კივილი გავიგონე. ყურებში როიალის გუგუნი იდგა. როცა გამოვერკვიე, მაია მე მიყურებდა. არაფერს აღარ დავერიდე. მივაჩერდი. ლაწვზე ცრემლი აუციმციმდა მაიას, ლოყაზე ჩამოუგორდა".[1]

რა უნდა ქნას ნორმალურმა, თუმცა აფორიაქებული ფსიქიკის ადამიანმა, როცა ის ნახავს თავის სატრფოს ასეთ მძიმე ვითარებაში? ქართველმა კაცმა, რომელსაც ეროვნული ხასიათი შემორჩენილი აქვს, რაც გაოგნებულიც არ უნდა იყოს ის, თითქოს ღარბაისლობა არ უნდა დაკარგოს და უნდა მიუსამძიმროს მიცვალებულის დედას, მით უმეტეს, რომ მას მირიანის და ესოდენ უყვარს. თუ მაგალითად, მან სიყვარულისაგან ეს ღარბაისლობა დაკარგა, შესაძლებელია ის იქვე მივარდეს თავის სიყვარულის საგანს, ჩაიდინოს კიდევ ერთი უცნაურობა, მაგრამ ასე არ მომხდარა და ასეც რომ ყოფილიყო, მწერალს ამის აღწერა არ გაუჭირდებოდა. მაშ როგორ იქცევა ლევანი? რადგან მირიანი აღარ არის, ეტყობა მას მაიაც აღარ აინტერესებს. იგი უაზროდ გამორბის სატრფოს ოჯახიდან და სამუდამოდ შორდება მაიას. როგორც ნაწარმოების დასასრულიდან ვგებულობთ მაიას სახლიდან გამოქცეული ლევან სავანელი

---

1 რ. ჯაფარიძე, ხმა იდუმალი, თბ., 1966, გვ. 102

მიმავალი მატარებლის ტამბურის კარს გამოაღებს და ჩამოხტება. ნანობს რაც გააკეთა იმას, მაგრამ უკვე გვიანია აი რას ამბობს ლიანდაგზე დაცემული ლევანი:

"წამოდგომა მოვინდომე, მაგრამ ვერ შევძელ. ყრუ ტკივილმა ისევ რაღაც ცივს გამკრა.

ხელზე სისველე მომხვდა. გამაჟრჟოლა. ახლა მივხვდი,რომ სითხე, რომელშიაც პირქვე ვიწექი ჩემივე სისხლი იყო.

ერთხელ კიდევ გავიბრძოლე და როცა საკუთარ სხეულს ველარ მოვერიე, უმწეოდ რაღაც ამოვიღმუვლე და ცრემლები წამსკდა"...[1]

ასე ტრაგიკულად მთავრდება მაისა და ლევანის რომანი მოთხრობაში.

სიყვარულის საკითხს შესანიშნავად იხილავს მწერალი ოტია იოსელიანი რომანში "შავი და ცისფერი მდინარე".

ნაწარმოების მთავარი მოქმედი გმირია ფარნა ამაღლობელის ვაჟიშვილი მამუკა. იგი რომანში გამოყვანილია,როგორც შეუდრეკელი მებრძოლი და სპეტაკი სიყვარულის მატარებელი ადამიანი.

ომი მოულოდნელად დაიწყო. მშვიდობიან ცხოვრების რამდენიმე საათი დარჩენია. ეს რამდენიმე საათი მამუკასა და თეკლას სიყვარულს ეკუთვნის. სიყვარული არ კითხულობს რა ხდება მის მოსვლის ჟამს დედამიწაზე. ასე არ კითხულობს ბალახი ამოსვლის, ხე-ყვავილობას, ფრინველი - გალობის დაწყებას. თითქოს განზრახ ბედისწერამ დიდი საქვეყნო განსაცდელის წინ შეართმევინა ცოლი ლეონს, სათევზაოდ მდინარის პირას გაიყოლია თეკლა და მამუკა, გამოუვალ ჩიხში მოაქცია ბაკურისა და გუგუტას გაუმხელელი რომანი. და კვლავ ვინ იცის მერამდენედ გამოიკვეთა წიგნში მარადიული კონფლიქტი - სიყვარული და სიკვდილი, ადამიანთა პირადი იდუმალი ცხოვრება და ომი.

დაწვრილებით, ნაბიჯ-ნაბიჯ არის აღწერილი რომანში ის დღე

-----------------

1 რ.ჯაფარიძე,ხმა იდუმალი,თბ.,1966,გვ.106

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამუკასა და თეკლას ცხოვრებისა, როცა იმათ სიცოცხლის ხიდან იგემეს აკრძალული ნაყოფი, და ომიც დაიწყო. იშვიათი სიზუსტით აღწერილი თევზაობა, შავი და ცისფერი მდინარის საოცარი გარემო და ბუნების კარნახს აყოლილი ორი არსება ექსპოზიციის ყველა ემოციური ნაწილია.

სიცოცხლის დიდ კანონს დამორჩილებული ორი არსება ინსტინქტურად მიილტვის ერთმანეთისაკენ. ზაფხულის დილა, ცოცხალი წყალი, მიწა და ბალახი მღერის ამ სიყვარულის საგალობელს. ეს სიყვარულის საგალობელი სიმღერა ყველა სულდგმულს ახასიათებს. მაგრამ რა იცის ამ ორმა არსებამ, თუ რა ბედი ეწევა ბედნიერად დაწყებულ სასიყვარულო ისტორიას. მათმა არ იციან თუ რას უქადის ამ წრფელ გრძნობას ომი. ომი, რომელიც სიკვდილის დამბადებელია ამ ქვეყნად.

მწერალი შესანიშნავად აგვიწერს მამუკასა და თეკლას სასიყვარულო სცენას:

"ვაჟი შეშინებული ჩააჩერდა და დაინახა, ქალიშვილის ცრემლდატბორილ გუგებში იმოდენა ორი მზე ირეკლებოდა, ჩვეულებრივ თვალებში არაფრით არ შეიძლებოდა ჩატეულიყო; ამ ურჩეულო მზეებს ჩაშტერებულმა ტუჩები თვითონაც წინ წასწია და ხელახლა დაიხარა, მაგრამ ამჯერად ისეთ ცხელ და მათრობელა ამოსუნთქვაში გაეხვია, თითქოს საარყე ქვაბს დამხობოდეს; ისევ თავის აღება მოინდომა, მაგრამ კისერზე სველი სახელოების ქვეშ გათარანებული მკლავები შემოეჭდო და უნებურად, მაინც მაღლა აწეულს ზედ გადანასკვული, ერთ სხეულადქცევის ასე მოწადინეც აჰყვა; აკანკალებული ხელები ეტყობა, თვითონაც ისე მაგრად მოხვია, როცა კვლავ ცხელ სილაზე დაეშვა, კაბისა და მკერდსაკრავის ქვეშ მოქცეული ქალიშვილის ძუძუები ისე მტკივნეულად იგრძნო, თითქოს მათ შორის ორი, გახურებული რიყის თეთრი ქვა მოქცეულიყო.

და ადუღდა მდინარე, აიმღვრა, გადმოვიდა ნაპირებს, ჩაიხვია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზე, სილა და ტირიფი. გაჭირდა სუნთქვა ამ ბობოქარ მორევში, რომელსაც უკვე აღარც ნაპირი გააჩნდა, არც ფსკერი, არც დასაწყისი და არც დასასრული.

ბადეში გახლართული სულშეხუთული თევზი კი ფართხალებდა და თავის დაღწევას ლამობდა."[1]

თითქოს ერთბაშად შეიცვალა ყველაფერი. ახლა თეკლა ის თეკლა არ იყო, არც მამუკა ჰგავდა მამუკას. ეს სიყვარული და ტკივილი, სინანული და სიმშვიდე აღარ ჰგავდა იმას, რაც ამ წუთამდე უგრძვნია და განუცდია. თუ თეკლა დღემდე სხვანაირად ექცეოდა მამუკას ახლა იგი უკვე აღარ ეკრძალებოდა მას. პირიქით ეთამამებოდა, ეფერებოდა და კოცნიდა. თეკლაში ახლა თავისთავად მამუკაც იგულისხმებოდა და მამუკაში კი თეკლა. შავი და ცისფერი მდინარის ნაპირზე გატარებული დღე მათში ახალი ცხოვრების დასაწყისი იყო.

ქალ-ვაჟი საღამოს ერთმანეთის მხარდამხარ მიდიოდნენ და სოფელ მაღალაშს მიუახლოვდნენ. მომხდარით ძალზე დაფიქრებული იყო მამუკა ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია თეკლასაც და დამშვიდებით უთხრა:

– ნურაფერზე იდარდებ, მამუკა, მე ბედნიერი ვარ!..

და მართლაც ქალის დაღლილ, კუთხეებში ჩაწითლებულ, მაგრამ ფართოდ გახელილ თვალებში დაისის მეწამული ცეცხლი ირეკლებოდა: რაც მისი ნათქვამის უტყუარ დასტურად მოეჩვენა მამუკას.

ისინი ბედნიერად გაუყვნენ სოფლის შარაგზას. თეკლას უკვირდა, რომ ადამიანებს არ ხედავდა. უპატრონოდ დარჩენილი პირუტყვი თავის ეზოს მისჩერებოდა, მაგრამ იქ კარის გამღები არავინ იყო. თუ რომელიმე გამოილანდებოდა ისიც თავჩაქინდრული და უყურადღებო მიდიოდა გზაზე.

დღეს, როცა ყველაზე მეტად მიუახლოვდნენ ერთმანეთს, ამ სოფელს, ქვეყანას, და დღეიდან ყველაზე მეტად სჭირდებოდათ ადამიანე-

---

1 რ. ისელიანი, შავი და ცისფერი მდინარე, წიგნი I, თბ., 1976, გვ. 60

ეროვნული ბიბლიოთეკა

გის ყურადღება და სიყვარული, თითქოს განგებ მტრულად და გულცივად დაუხვდნენ. თვით პირუტყვიც, ხე და ქვაც უსულგულოდ,უტყვად ხვდებოდა ამ ორ, ერთმანეთზე და ამ ქვეყანაზე ასე გულაღად მინდობილთ.

მტრულად შემოგებებულ მოსახლეობას თავი რომ დააღწიეს, ნაბიჯი მერეც არ შეუნელებიათ. მიდიოდნენ თავჩაქინდრული და ფიქრობდნენ,ნუთუ ცა და ქვეყანამ გაიგო ის რაც მათ თავს გადახდა, ნუთუ სიყვარულის ნებას არ აძლევენ ერთმანეთზე უზომოდ შეყვარებულებს.

ანალოგიური სურათი დახვდა მამუკას საკუთარ ოჯახში. თეკლას აწუხებს დარდი ნუთუ ყველაფერი გაიგეს, ნუთუ ყველა სამტროდ გადაექიდა?! იმისთვის რომ ასე უყვარს? იმისთვის რომ უერთმანეთოდ სიცოცხლე არ შეუძლიათ? მაგრამ საქმე ასე არ იყო. თავისივე ოჯახში გაიგო მამუკამ,ომის დაწყების ამბავი. ომმა კი მამუკასა და თეკლას წრფელ სიყვარულს სისხლის წვიმები დაუშინა.

მამუკა ამაღლობელი სხვებთან ერთად გაიწვიეს ფრონტზე. მამუკას ომში გაწვევამ, ასე მოულოდნელმა გაუჩინარებამ, თეკლას გუნება ისე დაუბინდა და დაარეტიანა,რომ რამდენიმე დღე გაურკვევლობისაგან გამოლენჩებული დადიოდა.

მაგრამ გავიდა დრო და მიიღო მამუკასაგან პირველი წერილი. მამუკა თეკლას გარდა ყველას მოკლე და მშრალ წერილებს უგზავნიდა, ოჯახსაც კი. მაგრამ თეკლას სწერდა რაღაც გაუთავებელი შინაარსის წერილს, სიყვარულით სავსეს, ძალიან მნიშვნელოვანს.

..."და მამუკა სწერდა თეკლას. სწერდა და ეძებდა ახსნას, რასაც ეკითხებოდნენ ქვეყანას, ღმერთსა და კაცს - თეკლა და მამუკა, ნოშრევან არდაძე, ცინცაძე და გოკერია, მოსკოველი კუზმა კუდრიკა, ავაევი და ოცმეთაური ვინოკუროვი, თურქმენი ბერდიევი, ვიშნევსკი და ჰაჯილაროვი.. მაიორი და გენერალი..თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები, მასწავლებელი ფარნა ამაღლობელი

და კოლმეურნე ლადო ლიპარტელიანი და ბოლოს და ბოლოს ალბათ, თვით გერმანელიც ამას კითხულობდა და პასუხი არ იყო - არ იყო - ომი რომაა, ვერ გაიგე, სულელი ხომ არა ხარო?! თეკლაც ათიათასჯერ მოითხოვდა პასუხს, თუ რატომ წაართვეს ისედაც გაწამებულ გოგოს ერთადერთი ბედნიერება: და მართლა იყო თუ არა შესაძლებელი,რომ დღეს თუ ხვალ მისთვის ტყვია ეკრათ და სული ამოეხადათ. თეკლა მიუხედავად მამუკასთან განშორებისა, ისევ მამუკას წერილებით იიმედებდა თავს.

"ყოველდღე მოფრინავდნენ ცხელი,სამკუთხა, უამრავი ბარათები იმედებით, მალე შეხვედრის რწმენით, რომ ეს უთუოდ საჭიროა, რომ ეს, ალბათ, ასე უნდა მომხდარიყო. ერთად ყოფნისას ზოგჯერ ხდებოდა, რომ მამუკას ფიქრი, სადღაც გაექცეოდა. ახლა არა, ახლა სულ თეკლაზე ფიქრობს".[1]

უეცრად მამუკას წერილებიც შეწყდა. ამის შემდეგ ამაოდ ელოდა თეკლა სატრფოს წერილებს. იგი გულდათუთქული დადიოდა. უეცრად თეკლამ მიიღო გადაწყვეტილება წასულიყო მამუკას სანახავად ფრონტის ხაზზე. ეს გადაწყვეტილება თეკლამ სისრულეში მოიყვანა. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა გოგომ მოძებნა ფრონტზე ავთანდილ ბოკერიას შეკედლებული თავისი შეყვარებული, სასიკვდილოდ განწირული მამუკა და მასთან სიკვდილამდე დარჩენას ლამობდა, რათა მისი ჭირ-ვარამის თანამონაწილე ყოფილიყო. საინტერესოა თეკლასა და მამუკას შეხვედრის ეპიზოდი:

"მამუკა! - იკივლა თეკლამ, მის ფეხებთან დაეცა, მუხლებზე ხელები მოხვია და ნჯღრევა დაუწყო - რატომ არაფერი არ გიკვირს, არ გეშინია, არაფერი არ გესიზმრება და არ გახარებს!... რატომ! ვინ დაგასახიჩრა ასე, ვინ მოგკლა და ამოგართვა გული, ვინ წამართვა თვალის სინათლე, ვინ ჩააქრო ჩემი სიცოცხლის ცეცხლი! მამ...მამ!... ამოიღე ხმა, მამ! მამ! სანატრელო, სულისდგმავ, თვალისჩინო!...

---

1 ო.იოსელიანი,შავი და ცისფერი მდინარე,თბ.,1979,გვ.109

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ დამღუპა ისედაც დაღუპული და დარბეული, ვინ დამაქცია ისედაც დაქცეული და მიწასთან გასწორებული!...

მამუკა პასუხს არ იძლეოდა.[1]

ამ შემთხვევაში თეკლე ამჟღავნებს ნამდვილ სპეტაკ გრძნობას, წრფელ სიყვარულს მამუკასადმი. და თუ არა წმინდა გრძნობა ადამიანი ასეთ სარისკო ნაბიჯს ვერ გადადგამს. თეკლა არა ჰგავს ფატის /"ვარსკვლავთცვენა"/, რომელმაც თავისი უნებისყოფით უღალატა ფრონტზე მყოფ მეუღლეს და საყვარელი გაიჩინა. თეკლა ქადაგიძე ჩვენს წინაშე ცოცხლდება, როგორც სამშობლოსა და სატრფოს ერთგული პიროვნება.

როგორც ვხედავთ თეკლამ ფრონტის ხაზიდან აცნობა ფარნა ამაღლობელს მამუკას ამბავი. ფარნამ, ამ ცის ჩამოქცევაში გაიგო რომ მამუკა ცოცხალი იყო, ძალიან გაიხარა. მეორე მხრივ, იმითაც იყო ეს ამბავი სასიხარულო, რომ "ეს თვალებგადმოთხეული" გოგი მამუკასთან იყო.

ნაწარმოებიდან ირკვევა, რომ თეკლა ქადაგიძე იყო ერთი უმწეო, ალალი გოგო - თავისი ქალური ვნებების ტყვე და თავისაგან თავდაუღწეველი, საკუთარი კეთილისა და ბოროტის ვერ გამრჩევი, სიკეთის ვერ წარმმართველი და ბოროტის ვერ დამთრგუნველი.

თეკლას, ამ უმწყემსურ და უგზამკვლევო გოგოს გზაზე გადაეღობა ტრიფონ აფაქიძე. ტრიფონმა ბინა ქადაგიძეების გვერდით იშოვა. ჯერ მას თეკლას დედის ასმათის ინტერესი კლავდა, მაგრამ მას ვერ ეღირსა, თანდათანობით თეკლა წამოიჩიტა. ტრიფონმა ახლა თეკლასკენ აიღო გეზი. ამ გზაზე ტრიფონ აფაქიძემ გაიმარჯვა და უკვე "თეკლას არც თავისი თავის ყოლის უფლება გააჩნდა. მან ისიც დაკარგა - თავისაც წაართვეს.. თვალხილული დასვეს და აყურებინეზენ: როგორ ჯიჯგნიან, თელავენ, რყვნიან, ცოცხლად წვავენ და იშზოზს ხელს თვითონაც და მისი დამრზევ დამაქცევარიც - ბეშიის ცრედართან გონმიხდილის დამპყრობი, გამაუპ-

---

1 იქვე, გვ. 318

ატიურებელი, ნამუსის ამხდელი. ხასად უზის იმას, ვის სისხლსაც წვეთ-წვეთად უნდა სვამდეს, სვამდეს და ვერ ძღებოდეს, წყურვილს ვერ იკლავდეს!..

თეკლას ყოფამ არსებობა შეწყვიტა. გამოშრა, გაცარიელდა, გამოლენჩდა, წუმპით გაბინძურდა, ბრიალა, ციმციმა თვალებში - ბოროტი ვნება და ცბიერი, უნდილი შური, უნდობლობა ჩაუსახლდა. ყოველივე ამას შემდეგი სტრიქონებით აგვიწერს ავტორი რომანში:

"ნაშიმშილევი ჭამდა, რაც წინ ედო და ნამწყურვალევი სვამდა, რასაც სთავაზობდნენ. ედებოდა მონის თონთხლო, ოფლიანი ქონი და უჯდებოდა კალთაში მოძალადეს, უწვებოდა გამრყვნელს და გათიშულივით უსიზმრო, უგრძნობელი ძილით ეძინა. არც სწავლა უნდოდა, არც სამსახური, არც შრომა, არც საქმე და ხვალინდელ დღეზე ფიქრი.

ვინც მიიტაცა და მიისაკუთრა, ვისი ნივთი და ყასაბის ხელების შესაწმენდი ჩვარიც იყო, მან უკეთ უწყოდა თავის ბუნაგს რა მხევალიც დაამშვენებდა. ისე უნდა მოექცია ნადავლი მდედრი, ვნება - მპყრობელის გარდა - არავის აღძროდა მიტაცებულის ხსნა. კიდეც რომ ვინმეს გახსენებოდა, გული აღარ მისვლოდა. წყაროს თვალი ისე აემღვრია და აეტალახებინა, მწყურვალს პირი ვერ დაეკარებინა. სულმოცლილი ლეშად ქცეულიყო და მონის უღელს ისე შეჩვეოდა - შესისხლხორცებოდა, თავის დაღწევასა და თავისუფლებას მონობა ერჩივნა".[1]

აი ასეთ ყოფაში მყოფ თეკლას, მამუკას მამა ფარნა ამაღლობელი ესტუმრება "ოჯახში". მოულოდნელი იყო ფარნას გამოჩენა, მაგრამ თეკლას არც გაკვირვებია, არ შეუპატიჟებია, /კარების გაღებისთანავე ფარნა თავისით შევიდა ოთახში/ არც სკამი შეუთავაზებია, არც ჭერი, არც მასპინძლობა. ამ უტყვსა და უგრძნობელს ისიც არ დასცდენია: "ვეღარ გცნობო", "გზა შეგეშალათო", ან "არაფერი აღარაა რაც იყოო"!

---

1 ო. იოსელიანი, შავი და ცისფერი მდინარე, თბ., 1988, გვ. 175

ელექტრონული ბიბლიოთეკა

სარტად დარჩენილ ფარნას მხოლოდ ესღა აღმოხდა.

– აჰა, ასეა საქმე... პასუხიც შესაფერი იყო.

თეკლა ქადაგიძე რომანში ხასიათდება როგორც ყოველმხრივ დადებითი პიროვნება, სპეტაკი სიყვარულის გრძნობის მატარებელი, მაგრამ ამ შემთხვევაში თეკლა ქადაგიძე ჩვენ არ შეგვიძლია შევრაცხოთ მხოლოდ დადებით გმირად. მან ბოლომდე ვერ შეინარჩუნა თავისი ნამუსი, ვერ დაიცვა ქართველი ქალის ღირსება. მართალია, მისი შელახვა მოხდა მაშინ, როცა იგი გონწართმეული ეგდო გებიის ცხედართან, მაგრამ შემდეგ მას ჰქონდა ძალა და პირობები იმისა, რომ არ ყოფილიყო უნამუსობის მონა. პირიქით თეკლა ქადაგიძე უსუსურობას იჩენს, იგი ღალატობს მამუკას სიყვარულს, ღალატობს თავისთავს და ვიღაც სამიკიტნოში ჩასახულის ტრიფონ აფაქიძის მხევალი ხდება. ზედსშეგუებული უსირცხვილოდ პასუხობს ფარნა ამაღლობელს:

დიახ, ბატონო, ფარნა მე გავთხოვდი.

ესეიგი, თეკლა "თხოვდება" ყოველგვარი სიყვარულის გარეშე და ეს მისი დიდი ნაკლია. მას თავისი სიცოცხლე უნდა გაეწირა და უსიყვარულოდ არავისთან სარეცელის მოზიარე არ უნდა ყოფილიყო.

მიუხედავად იმისა, რომ თეკლა ტრიფონ აფაქიძეს დამორჩილებული ჰყავდა და მისი მონა იყო, მაინც იგი შურისძიების გრძნობითაა გამსჭვალული აფაქიძის მიმართ. მაგრამ შურისძიება მის უსუსურ ძალას არ შეუძლია. ტრიფონსაც ეშინოდა შურისძიების. იგი მფრთხალი იყო და თეკლას არც გაკეთებულს ენდობოდა და არც დასხმულ წყალს დალევდა იგი ამას არ მალავდა. "რა ვიცი რას მიპირებ, შენი სიყვარულისთვის /ვითომ მანამდე თეკლას დედა არ ჰყვარებოდა/, რამდენი შენიანი გავწირეო". ბოლოს თეკლა ქადაგიძემ ომის დაღლილი და კონტუზირებული გმირი კაცისმკვლელობაში გაჰხვია; ამით კიდევ ერთ უმსგავსობას ჩადის თეკლა. მან ისარგებლა უაზროს განუსჯელობით, რომელსაც ერთხელ

ელექტრონული ბიბლიოთეკა

თქმა დასჭირდა, რომ იქვე გაეგუდა საყვარელ ქალთან წასწრებული; როცა ამისთანა რამეს გუნებაში აქედან წასვლამდეც ვერ გაიელვებდა. ახლა მით უმეტეს, არც ეჭვი იცოდა და არც ღალატის გაეგებოდა რაიმე. თეკლას რომ არ ებიძგებინა, მოქიშპეს ხელსაც კი ჩამოართმევდა, როგორც ჩვეულებრივი კაცი კაცს. როგორც დათქმული ჰქონდათ მამუკა დათქმულ დროზე უნდა მოსულიყო თეკლასთან და კარზე დაეკაკუნებინა. ამის შემდეგ უნდა მომხდარიყო შურისძიება ტრიფონ აფაქიძეზე. მოულოდნელად მოსული მამუკა რევოლუციის ხმარებას აგვიანებდა. ამას იმიტომ შვრებოდა ამაღლობელი, რომ მტარვალი აღსასრულის მოლოდინით ეწამებინა. საბოლოოდ გაწყრა ღმერთი და თეკლამ მიაკივლა:

– რას შვრები, მამუკა! – რას უცდი, მამუკა!

– რატომ! რატომ არ ჰკლავ ! – და თვითონ გაქანდა იმის შიშით, მალე გონებას დავკარგავ უნდა მოვასწრო და შარვლით ხელებგაკავებულ დადამბლავებულ ტრიფონს ფრჩხილებით ყელში ეცა. ამის შემდეგ თეკლამ გონება დაკარგა და როცა გონს მოვიდა და სულთამობრძავმა, როდი-როდის თვალი გაახილა, თავის უბედურებაზე უწინ მაინც მტრის უბედურების დანახვა მოინდომა.

მისი დამაქცეველი იატაკზე გაგუდული ეგდო.

როგორც რომანის დასასრულიდან ვგებულობთ თეკლა ქადაგიძემ თავისი სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა; მან მდინარეში თავი დაიხრჩო. იგი ყოველმხრივ შერყვნილი და დამცირებული წავიდა იმ ქვეყნად. წავიდა ისე რომ დამტირებელი არავინ რჩებოდა.

რომანში გაკვრითაა აღწერილი ბაკურისა და თამარის, ბესოსა და ვალიას, ვატუტისა და მზიას სიყვარულის ისტორია, მაგრამ მათ სიყვარულს აკლია ის მაღალი ზნეობრივი იდეალი, რომლითაც ხასიათდებოდა მამუკასა და თეკლას წრფელი გრძნობა.

ბაკურ ამაღლობელი სიყვარულის საკითხში თავგზააბნეულ პიროვნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბად გვევლინება. მას იმიტომ უნდა მირიანაშვილის ქალთან დაახლოება რათა გაუადვილდეს გუგუტასთან განშორების გზა. გუგუტას თავისუფლად შეეძლო დაეშორებინა თამარი ბაკურისგან, თუნდაც ერთ ლოგინში წოლილიყვნენ.

გუგუტა გამოსავალს არ ეძებს, უკეთესს არ ეძებს, ან არ ეგულება.

გუგუტა ყოველთვის იქ იყო, სადაც ბაკური იღუპებოდა და მისთვის ეს არსებობას ნიშნავდა. ის ბაკურის საცხოვრისის იქით ცხოვრებას ვერ ხედავდა. მისთვის ის უიმედობა იყო იმედი და ის თვითმკვლელობა სიცოცხლე, რასაც ბაკურის არსებობა მიჰქონდა.

თამარ მირიანაშვილს გულწრფელად უყვარს ბაკურ ამაღლობელი. მან მშვენივრად იცის ვიღაც "სხვა" ქალის არსებობა, მაგრამ მაინც სიყვარულს თავი ვერ დააღწია. იგი მაინც იმ სულით ცხოვრობს, რითაც ბაკური სუნთქავს. თამარს ცხოვრება ისე ესმის, როგორც ყველა ნორმალურ ადამიანს უნდა ესმოდეს. თამარი ომში იმყოფებოდა. მართალია მან სინაზე და კდემა დაჰკარგა, მაგრამ მაინც ქალურია. თამარი იწვა ბაკურთან, როცა უიმისობა არ შეიძლებოდა, როცა სხვა გზა არ იყო, მაგრამ გიმნასტურის არც ერთი ღილი არ შეუხსნია. იგი არასოდეს თავისი ქალურობის ტყვე არ გამხდარა და ქალურ სისუსტეებს არ მინდობია.

რაც შეეხება ვატუტ ამაღლობელს მას სატრფოსი კი არა მშობელი მამის სიყვარულიც არ შეუძლია. ამის დამადასტურებლად შეიძლება მოვიყვანოთ ერთი ეპიზოდი რომანიდან:

"ვატუტი სადილობის დროს დაბრუნდა. ბებიასთან და ბიძასთან თავისი ხელით წაღლო საჩუქრები და მამას ისე მოესალმა, ფარნას ჩამორთმევისას ხელი რომ არ დაეჭირა, გადაეხვეოდა და ხანგრძლივი კოცნით "აამებდა", მაგრამ არც ამისთვის შემცბარა, განზრახული რომ ვერ აისრულა. მაგიდასთან სიმამრის გვერდით ჩამოჯდა, მხარზე ხელი ჩამო-

ეროვნული

ადო. მამაჩემო, შენ თუ არ გინდა, აგერ მყავს მამა ვინც ალე[illegible] და ცხოვრების ფასი იცისო".[1] შემდეგ ღვინით შეჭიკჭიკებულმა ვატუტიმ მზიას მოხვია ხელი და სკამზე ძალისძალათი დასვა, ჩუმჩოგანარევი საყვედურით:

– მითხარი გოგო რატომ არ გიყვარხარ მე შენ?

მზიას პასუხზე ვატუტიმ გადაიხარხარა და თქვა:

– კარგია ეს დალოცვილი სიყვარული და კარგი ცხოვრება...

ვატუტი თავისი ძმის საცოლეს თეკლა ამაღლობელსაც უდიერად ექცევა. ვატუტის, როგორც ჰოსპიტლის მთავარ ექიმს თეკლა ესტუმრა. თეკლას აინტერესებს დაჭრილებთან შეხვედრა. შეიძლება მამუკაზე იცოდნენ რამეო. მაგრამ ვატუტის საქციელით განაწყენებული გარეთ გამოვარდება და დალმართზე სირბილით დაეშვება. უკვე სამშვიდობოს გასული თეკლა ამბობს: "არა, ეს არაა მამუკა, შენი ძმა, შე მოღალატე ბიჭო, შე მატყუარა, შე ორპირო! სად წახვედი და სად დამტოვე, ვისთან დამტოვე...არაა ეს შენი ძმა!... გეწყინოს თუ გინდა – გეწყინოს... შენ მაინც არა ხარ კარგი ბიჭი! მიმატოვე, გამეპარე... მერე ერთი თვეო, ერთადერთი თვეო, დღეები ითვალეო, საათები და წუთები ითვალეო და ერთი თვის მერე სულ, სულ გაჩუმდი, შეგრცხვა, რომ სიტყვა გატეხე. სინდისმა შეგაწუხა, რომ მე შენი მოიმედე, შენზე შემოჩერებული და მლოცველი ვერაგულად დამტოვე, ამათ ხელში!...შენი ძმები,...ნამდვილი ძმები კი თან წაიყვანე".

როგორც ვხედავთ იმდენად განიცდის თეკლა მამუკას ძმის, ვატუტის მოქმედებას მისდამი, რომ მას ძმად არ თვლის.

რომანში გაკვრითაა აღწერილი გესოსა და ვალია ჟიჟიანას ტრფობის ეპიზოდი. ერთხელ გესო კინწურაშვილი სოფლის დასაზვერვად უნდა წასულიყო. ეს ის დრო იყო, როცა ციდან სიკვდილი წვიმდა და ყოველ წამს შეიძლებოდა ფეხი ნაღმზე დაგედგა, ან ავტომატსა და ტყვიამფრქვევს დაეცხრილე. სარისკო იყო ყოველი ნაბიჯის გადადგმა. ამიტომ გესოს-

---

1 ო. იოსელიანი, შავი და ცისფერი მდინარე, თბ., 1979, გვ. 395

თან არავინ იკისრა წასვლა. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ყველას მოსაკ-
ვირად მკვირცხლად წამოდგა ვალია და გესოს გასაყოლად მოემზადა. გესო
კინწურაშვილი დასთანხმდა.

ნაწარმოების მთავარ მოქმედ გმირად ავტორს გამოყავს საჩინო. საჩინომ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე შექმნა ოჯახი. მაგრამ მეუღლ-ესთან დიდი ხნის ცხოვრება არ არგუნა ბედმა. დაიწყო ომი და საჩინოც სხვებთან ერთად წავიდა ფრონტზე, სახლში კი დატოვა თავისი საყვარელი მეუღლე დესმა. რა თქმა უნდა ომმა ბევრი ადამიანი შეიწირა მსხვერპ-ლად. საჩინოსაც არაფერი ისმოდა. არც დაღუპვის შეტყობინება მოსულა. დესმა კი ელოდებოდა თავის საყვარელ მეუღლეს. ომის დამთავრების შემდეგ ხუთი წელი გასულიყო. საჩინო კი ისევ და ისევ არ ჩანდა. რა არ ნახა საჩინომ ფრონტზე. ცეცხლი და ყინვა, მტრის ტყვია და ზურგი, მავთულხლ-ართების შიგნით ცხოვრება, ასჯერ სიკვდილი და მაინც გადარჩენა. საჩი-ნოს დააგვიანდა.

დააგვიანდა... სიმართლე არ დაუკარგავს, მაგრამ დრო დასჭირდა ბევრი დრო დასჭირდა...და აი ჯარისკაცი, რომელიც დაღუპული ეგონათ, შინ ბრუნდება. სახლში მომავალ საჩინოს გზაზე ერთი ტრაქტორისტი შეხვ-დება. ერთმანეთის გაცნობის შემდეგ ტრაქტორისტმა შინ მიიპატიჟა სა-ჩინო.

"–ჩემთან წამოდი, იმ ოჯახს ნუ მიადგები და ნუ ააწიოკებ სოფ-ელს ამაღამ. მარტო იმ ერთს, რომ ადგეს თავზე ეგ გასაჭირი, კიდევ ჰო, მაგრამ ყველა შინმოუსვლელის ოჯახი გამწარდება... შენ რა გინდა, ჩემ-სას წამოდი... ჩემსას ჰქვია... ახლა მე ვცხოვრობ იმ ოჯახში. იქაც დაღუპულია ჯარისკაცი. მისი ოჯახი იყო. გული მტკივა, რომ გამახსენდე-ბა. იქ მას უნდა ეცხოვრა მე ვცხოვრობ, მაგრამ მეც მართალი ვარ. ჩვენ, ჯარისკაცებმა ვიცით, ერთს რომ გაუვარდება თოფი ხელიდან, მეო-რემ უნდა აიღოს. თავშესაფარი სხვისი გათხრილია და შიგ მე არ ჩაწვ-ებიო, ეს ჯერ არც ერთ ჯარისკაცს არ უთქვამს... – ტრაქტორისტმა თავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გააქნია, - რა მექნა, ოთხი ნეკნი მაქვს ამოღებული, მარცხენა ფეხს ამაზე მეტად ვერ ვხრი. ვინმე ახალგაზრდა რომ შემერთო, ვერ გამიგებდა, ჩემი ტკივილი არ ეტკინებოდა. ავდექი და ჯარისკაცის ქვრივი შევირთე. ბევრი გაჭირვება უნახავს მარტოხელას. გაჭირვების არ შეეშინდება.

კაცი, რომელიც სარინომ გაიცნო თურმე მისი ცოლის - დესმას ახალი ქმარი ყოფილა. ტრაქტორისტი ამბერკიც ჯარიდან დაბრუნებულა. შემდეგ დესმა შეურთავს და მასთან ერთი ვაჟი შესძენია. ორი ჯარისკაცი ერთმანეთს თავის ვინაობას არ უმხელს, არ უმჟღავნებს, მაგრამ იმას კი ხვდებიან ვინ არიან ისინი დესმასთვის.

"...ამბერკიმ ლენინგრადის ბლოკადაში დაღუპული ძმის სახელი დაარქვა ბავშვს - არჩილი. უკეთესი იყო სხვა სახელი დაერქმია. ერთხანს სულ ძმას აგონებდა ეს სახელი, მერე დესმამ ფერებაში ხან არჩიკოდ აქცია, ხან არჩოდ, ხან არჩა-ბარჩად, ახლა ამბერკი არჩოს უძახის და თანდათანობით ისე მიითვისა ეს სახელი, არჩილის გაგონება ძმას კი არა, შვილს პატარა არჩოს ახსენებს".[1]

ავტორი ყურადღებას არ ამახვილებს დესმაზე, რომელიც მხოლოდ მოთხრობის ბოლოს ხვდება, რომ მისი პირველი ქმარი სარინო დაბრუნებულა. თვითონ კი გათხოვილი დახვდა მეუღლეს. მწერალი ყურადღებას არც სარინოზე ამახვილებს, სარინო მიხვდა, რომ უკვე აქ აღარავის სჭირდება. ავტორის ყურადღება გამახვილებულია პატიოსან ჯარისკაცზე ამბერკიზე, რომელსაც უსახლკარობა და სიცოცხლის ჩამწარება ემუქრება.

დესმას თავისებურად ამართლებს ავტორი ნაწარმოებში და ამბობს: "არ შეიძლება ერთსაუკუნოვანი ერთგულება მოითხოვო, ერთ საუკუნეს არ ძლებს ადამიანი. მთელი სიცოცხლე არ უნდა მოსთხოვო ადამიანს. ის მთლად მისი წილია და აქედან ცოტა რამ მასაც უნდა დაუტოვო."[2]

ავტორი ნაწარმოების დასასრულში აგვიწერს დესმასა და სარინოს

----------------

1 ო. იოსელიანი, ტ. I, თბ., 1981, გვ. 318

2 იქვე, გვ. 290

წამიერ შეხვედრას რკინისგზის ლიანდაგზე. ისინი შემხვედრი მატარებლებივით იდგნენ ერთმანეთის წინ და არაფერს ამბობდნენ.

დესმას სათქმელი მაინც არაფერი ჰქონდა. მან თავის პირველ მეუღლეს - საჩინოს უღალატა და სხვას დაუთმო მისთვის განკუთვნილი გული. დესმამ ბოლომდე ვერ შეინარჩუნა სისპეტაკე და ერთგულება ოჯახისადმი. მართალია, მას დაღუპული ეგონა საჩინო, მაგრამ ამის დამადასტურებელი არავითარი ცნობა მას არ ჰქონდა. იგი გამოჩენისთანავე გაჰყვა პირველ მთხოვნელს და საჩინოს სახლიც მას ჩააბარა. ფრონტიდან დაბრუნებულ საჩინოს უკვე თავისი სახლიც არა აქვს თავშესაფარად და უგზო უკვლოდ მიეხეტება თოვლიან ლიანდაგზე. ამას ყველაფერს ბოლოს ხვდება დესმა, მაგრამ უკვე გვიანაა, მის მიერ დაშვებული შეცდომის გამოსწორება შეუძლებელი იყო.

სიყვარულის საკითხს მეტ-ნაკლებად ეხება ნოდარ დუმბაძე თავის შესანიშნავ რომანში "მე ვხედავ მზეს".

მართალია ამ ნაწარმოებში ყველაფერი ომითაა დამუხტული,მაგრამ მიუხედავად ამისა,რომანში გაკვრითაა აღწერილი დათიკო ბრიგადირისა და ქეთო მასწავლებლის დრამატული რომანი და სოსოიას და ხატიას სიყვარულის წრფელი გრძნობა.

ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი მოქმედი გმირია ქეთევანი. იგი ქართულის მასწავლებელია სოფელში. დათიკო ბრიგადირსა და სოსოიას მამიდას, ქეთევანს უყვართ ერთმანეთი. სიყვარულით გათანგული ბრიგადირი ყოველ საღამოს დაიტრება ქეთევანის ოჯახში. სოსოია მამალაძეს კი სასტიკად ეჯავრება იგი და შემდეგი სიტყვებით მიმართავს მას: "ყოველ ღამე სტუმარი არ გამიგია მე"! დათიკო თითქოს თავის გამართლებას ცდილობს და სოსოიას საყვედურით მიმართავს: "-უფროსი და უმცროსი, სტუმარი და მასპინძელი არ იცი, ბიჭო შენ? მე ბრიგადირი

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ვარ და ყველას ოჯახში ასე დავიარები".[1] მაგრამ სოსოია მშვენივრად ხვდება თუ რისთვის დადის ბრიგადირი მამადაძეების ოჯახში. მან კარგად იცის, რომ დათიკოს უყვარს მამიდამისი და სწორედ ესაა ძირითადი მიზეზი მისი სტუმრობისა ქეთევანის ოჯახში. არც ქეთოა ამ სიყვარულის წინააღმდეგი. გარკვეული დროის შემდეგ მათი სიყვარული ბედნიერად უნდა დამთავრდეს. მაგრამ მოულოდნელად დიდი სამამულო ომი დაიწყო. ომმა კი ტრაგიკულ რელსებზე გადაიყვანა ადამიანთა ცხოვრება, სამშობლოს სადარაჯოზე სხვებთან ერთად დათიკო ბრიგადირიც გაიწვიეს. თვალცრემლიანმა ქეთო მასწავლებელმა ფრონტზე გააცილა იგი. ავტორი შესანიშნავად აგვიწერს გაცილების ამ ეპიზოდს:

"მამიდა მესერთან დგას დათიკო ბრიგადირის პირდაპირ და თვალს არ აცილებს მას. დათიკო ბრიგადირი რაღაცას ეუბნება, მამიდა ყურს უგდებს. მეც ვუყურებ დათიკოს. იგი გაფითრებულია. მერე დათიკო მკლავზე ჰკიდებს ხელს მამიდას. მამიდა არ აშვებინებს ხელს. დათიკო ახლა მეორე მკლავზე ჰკიდებს ხელს მამიდას და ახლა ორივე მკლავი უკავია მამიდას. მამიდა არც მეორე ხელს აშვებინებს და ისინი ახლა სულ ახლოს დგანან ერთმანეთთან. ვუყურებ მამიდაჩემს, იგი გაფითრებულია და ახლა უფრო ჰგავს ღვთისმშობელს, მაგრამ აღარ მეშინია, რომ იგი გათხოვდება, რომ მას ახლა ვინმე წამართმევს და არ მივდივარ მათთან. მამიდა გრძნობს ჩემს მზერას და ჩემკენ იხედება. დათიკოც იხედება ჩემკენ და მეძახის. მივდივარ და მამიდას გვერდით ვდგები".[2]

დათიკო ბრიგადირმა სოსოიას შემდეგი სიტყვებით მიმართა: -მივდივარ, სოსოია, ომში! მიხედე მამიდაშენს, შენ ვაჟკაცი ხარ ახლა! ხომ იცი როგორ მიყვარს მამიდაშენი!! მე მალე დავბრუნდები სოსოია და მერე ერთად ვიქნებით სულ.

---

1 ნ.დუმბაძე,"მე ვხედავ მზეს",თბ.,1982,გვ.184

2 იქვე,გვ.193

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრონტზე რჩეული ბიჭები გაიწვიეს. სოფელი დაცარიელდა ახალგაზრდებისაგან. სოფლად დარჩენილი დიდი თუ პატარა განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა. ომმა შიმშილი და სიღატაკე მოიტანა სოფლად. ყველაზე საშინელი ის იყო რომ ერთი თვის თავზე პირველმა ძაძებში შემოსილმა დედაკაცმა გაიარა სოფელში. ყველგან სამგლოვიარო ზარი ჩამოკიდა საზარელმა ომმა. გლოვამ და მწუხარებამ ყველას გულში ერთნაირად დაისადგურა.

ერთ დილას კარგად გათენებული არ იყო,როდესაც ქეთო მასწავლებლის სახლში ნაცნობმა ხმამ დაიძახა. ეს იყო უსინათლო ხატია შალიკაშვილის ხმა, რომელსაც ყველა იცნობდა სოფელში და ქეთევანსაც არც უკითხავს რომელი ხარო ისე შემოიპატიჟა. ხატიას ქეთოსთან ჰქონდა რაღაც საიდუმლოდ სათქმელი, მაგრამ ამის თქმა სოსოიას დასწრებით არ უნდოდა. მან სოსოიას გარეთ გასვლა თხოვა. სოსოია ადგა ლოგინიდან და ბრახუნით აივანი გაიარა ვითომ წავედიო, მაგრამ იგი უცბად უკან მობრუნდა და კარებთან სმენად იქცა. ხატიამ იგრძნო, სოსოია რომ კარებთან იდგა და მოცილება თხოვა. იგი ეზოში ჩავიდა. ბოლოს უკან მობრუნებულ სოსოიას შემდეგი სურათი წარმოუდგა თვალწინ:"ქაღალდივით გაფითრებული მამიდა მაგიდასთან იჯდა, ორთავე ხელი საფეთქლებზე შემოეწყო, წინ დაგდებულ ჩემს ხალათს დაშტერებოდა და დუმდა. ხატია მასთან მისულიყო ზურგის მხრიდან, სულ ახლოს, მხარზე ხელი მოეხვია მამიდასათვის და მასზე უფრო გაფითრებულიყო".[1]

სოსოიასთვის გაუგებარი იყო მათი გაფითრებისა და დარდის მიზეზი, მაგრამ ბოლოს ყველაფერში გაერკვა. თურმე ღამით წისქვილიდან გამოსული ხატიას შეუსვენია. გზად ვიღაც კაცი მოდიოდა, /რა თქმა უნდა უსინათლო ხატია იმ კაცს ვერ ამჩნევდა/ ხატიასათვის შეუკითხია რომელი ხარო. ხატიასაც უპასუხნია. ხატიას ეს კაცი ხმაზე უცვნია. თურმე სამშობლოს დასაცავად წასული დათიკო ბრიგადირი ყოფილა. აი

---

1 ნ.დუმბაძე,მე ვხედავ მზეს,თბ.,1982,გვ.199

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ამბავი მოუტანა ქეთევან მასწავლებელს ხატია შალიკაშვილმა. არ უნდოდა ქეთევანს დაეჯერებინა ეს ყველაფერი და ხატიას მიმართა:

- შენ თუ იცი, რას ამბობ, ხატია?

ხატიამ ხმა არ გასცა,

- იქნებ შეგეშალა ხატია, ხატია?

- არ შეიძლება მე კაცის ხმა შემეშალოს, უპასუხა ხატიამ და იგი სიმართლეში დაარწმუნა".[1]

ქეთევანი იმ დღიდან დამუნჯდა. თავაუღებლად დადიოდა დილიდან საღამომდე. თუ რამე საქმეს აკეთებდა იქ შეაცივდებოდა ხელი და იდგა ასე მონუსხულივით. ღამის თვალგახელილი იწვა. ძაღლის ყოველ დაყეფებაზე წამოხტებოდა და სულს განაბავდა, თითქოს ვიღაცას ელოდა, ის კი არ მოდიოდა, არა და არა.

ასე იტანჯებოდა ქეთო მასწავლებელი. მისთვის ცხოვრებამ უკვე აზრი დაკარგა. მდგომარეობა ისევ უსინათლო ხატიამ გამოასწორა. იგი მივიდა ქეთო მასწავლებელთან და უთხრა.

-"ქეთო მასწავლებელო, იმ დღეს რაც გითხარით, ტყუილი გამოდგა

- რა თქვი? - ჰკითხა ხმის კანკალით მამიდამ.

- ტყუილი გამოდგა. მომეჩვენა, მომეყურა, - თქვა ხატიამ. და გაიღიმა.

- მართალს ამბობ ხატია?

- ახლა კი ვამბობ მართალს, მაგრამ მაშინ მომეყურა. ბევრი ვიფიქრე იმ ღამით და მივხვდი რომ მომეყურა.

- დედა დაიფიცე, ხატია!

- დედის საფლავს ვფიცავარ, ქეთო მასწავლებელო!

თქვა მან დიდი ხნის დუმილის შემდეგ. მამიდამ სახე დაუკოცნა ხატიას.

--------------------

1 ნ. დუმბაძე, მე ვხედავ მზეს, თბ., 1982, გვ. 199

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცებ სახეზე ხელები აიფარა და ატირდა პატარა ბავშვივით.

ხატია კი გაუნძრევლად იდგა და იღიმებოდა, მაგრამ ამდენი ტანჯვა მის სახეზე აღრე არასოდეს მინახავს".[1]

ხატიამ თავის სიცოცხლეში პირველად იცრუა ქეთო მასწავლებელთან და ქეთევანსაც დარდი შეუმსუბუქა.

გავიდა დრო. შუაღამისას ქეთევანის სახლს ვიღაც მოადგა და კარს წკლრევა დაუწყო. საიმედო კარი არ იღებოდა. მერე ფანჯარაზე დააკაკუნეს ფრთხილად... ეს დაუპატიჟებელი სტუმარი სამშობლოს დასაცავად წასული და გზიდან გამოქცეული დათიკო ბრიგადირი იყო, რომელმაც ტყეს შეაფარა თავი.

მოულოდნელია მისი სტუმრობა ქეთევანის სახლში - ამ ეპიზოდს შემდეგი სიტყვებით აგვიწერს ავტორი.

"- ქეთო, გამიღე კარი! - მოისმა გარედან.

- ვინა ხარ? ძლივს ამოიღო ხმა მამიდამ.

- მე ვარ, დათიკო! - მამიდამ ყურებზე ხელი აიფარა და თვალები დახუჭა.

- ქეთევან, გამიღე კარი, დათიკო ვარ! - მამიდას არაფერი ესმოდა.

- ქეთო! - კარი მაგრად შეინჯღრა. მამიდამ ხელები მოიცილა ყურებიდან, თვალები გაახილა და კარს მიაშტერდა, რომელიც ახლა განუწყვეტლივ ინჯღრეოდა.

- ქეთო, დათიკო ვარ!

- რომელი დათიკო? - იკითხა მამიდამ.

- დათიკო, ვერ მიცანი? სიტყვა მაქვს შენთან სათქმელი!

- დათიკო ჯარშია! - თქვა მამიდამ.

- გამიღე კარი, თორემ ჩამოვილებ! - თქვა დათიკომ და კარი ისევ შეანჯღრია".[2]

---

1 ნ. დუმბაძე, მე ვხედავ მზეს, თბ., 1982, გვ. 201

2 იქვე, გვ. 212

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშველი არ იყო და ქეთევანმა სოსოიას გააღებინა კარი. დათიკოც შემოვიდა.

ქეთევანი ერთ ადგილას იდგა და შემოსულ სტუმარს ყურადღების მიღმა ტოვებდა. დათიკომ კი მიმართა მათ. "რამ შეგაშინათ, რომ დაგპირდით, მალე დავბრუნდები მეთქი?".

თითქოს დანაპირის შესრულების მიზნით გამოიქცა დათიკო ბრიგადირი გზიდან. ამით მას სურს თავისთავის მართლება, მაგრამ ეს უკვე შეუძლებელია. ქეთევანი მკაცრად მიმართავს მას, რომ იგი შიშის გულისთვისაა დაბრუნებული და არა არავის სიყვარულით. ქეთევანსა და დათიკოს შორის გამართული დიალოგიდან ირკვევა, რომ დათიკოს სულ სხვა მიზნები გააჩნია. მას იმედი არა აქვს გამარჯვების და არც უნდა რომ გაიმარჯვოს თავისმა ხალხმა. იგი დამპყრობთა გამარჯვების მოტრფიალეა. ეს მშიშარა ობივატელი პოლიტიკურ ფირალად ასაღებს თავს და უცდის ფაშისტთა გამარჯვებას რათა გამოვიდეს ტყიდან და თავისი საკეთილდღეო საქმე აკეთოს.

დათიკო არ ელოდა ქეთევანის ოჯახში ასე მიღებას.

იგი გულდაწყვეტილი მიმართავს ქეთოს, რომ სიცოცხლესავით ელოდა მის ნახვას, მან კი ერთი გაღიმებული სახეც არ უჩვენა დათიკოს. შიმშილით შეწუხებულმა დათიკომ საჭმელი მოითხოვა, მაგრამ ამაზე შემდეგ პასუხს იღებს სოსოიასაგან "შენი საჭმელი ჭადი კი არა, ძაღლი შიმშილით გვიკვდებაო". აქ კი უკვე ყველაფერი გასაგებია. დათიკოს უკვე ქეთევანის ოჯახში ძაღლის დონეზეც არ აყენებენ.

როგორც ნაწარმოებიდან ირკვევა ქეთევანს წრფელი გულით უყვარს დათიკო ბრიგადირი. იგი მასთან ოჯახის შექმნაზე ფიქრობდა, მაგრამ დადგა დრო დათიკოს შეძულებისა. ქეთევანმა ზურგი შეაქცია სამშობლოს მოღალატე დათიკოს. მან მოულოდნელად მოსული სტუმარი დათიკო ბრიგადირი სახლიდან გააგდო და სამუდამოდ მოიშორა იგი. მათ შორის ჩატ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყდა სიყვარულის ხიდი, რომელიც საბოლოოდ აღუდგენელი დარჩა.

დათიკო ბრიგადირი არა მარტო ქეთევანმა შეიძულა, არამედ მთელმა საზოგადოებამ გარიყა იგი ცხოვრების ასპარეზიდან. დათიკო უარყოფით პიროვნებად გვევლინება. მას ვაჟკაცობა რომ ჰქონოდა, იგი გზიდან არ გამოიქცეოდა. დათიკოსავით, რომ ყველა გამოქცეულიყო მაშინ უბრძოლვე-ლად ითარეშებდა მტერი ჩვენს მიწაწყალზე. მართალია, ბევრი ვერ დაბრ-უნდა ფრონტიდან, მაგრამ მათი საქციელი კი რჩება, როგორც გმირობის მაგალითი. ამ პოლიტიკურ ფირალს გმირადაც კი მიაჩნია თავი, მაგრამ არ იცის თუ რა მთხლე და ჭადის მათხოვარია. ამიტომაც ქეთევანს არა აქვს უფლება უერთგულოს დათიკოს და სწორადაც იქცევა მის წინაშე.

ასე ტრაგიკულად მთავრდება რომანში დათიკოსა და ქეთევანის სიყ-ვარულის ისტორია.

ნაწარმოებში მწერალი შესანიშნავად აგვიწერს სოსოიასა და ხატიას წრფელ გრძნობას.

ბესარიონ შალიკაშვილის ხატია დაბადებიდანვე ბრმა იყო. როდესაც მეორე მსოფლიო ომი დაიწყო, ხატია სხვებთან ერთად შრომობდა სოფლად ფრონტელი მეგობრებისთვის ზურგის გასამაგრებლად. თუ კი ვინმეს შე-ეძლო შრომა ყველა სამუშაოდ უნდა გასულიყო. ავტორი შემდეგი სტრიქო-ნებით აგვიწერს ხატიას შრომით ფერხულში ჩაბმას.

"გვეძახდნენ ყველას, თუკი ვინმე ვიყავით სოფელში, და გავდიოდით ყველა, თუკი ვინმეს შეგვეძლო მუშაობა. არ ეძახდნენ მხოლოდ ბესარიონ შალიკაშვილის ხატიას, მას დაძახება არც უნდოდა, იგი ყველაზე ადრე დგებოდა დილით, მსხვილ, ქერა ნაწნავებს გვირგვინად იკრავდა თავზე, გამოდიოდა ჩაის პლანტაციაში, გამარჯობას იტყოდა ხმამაღლა, ისე რომ არავის გვიცქეროდა სახეში. იგი იცქირებოდა სადღაც შორს, შორს და უფრო ფრთხილად დგებოდა კვალში და უფრო ფრთხილად არჩევდა ჩაის ფოთლის თვითეულ ყლორტს, ლამაზი და თხელი თითებით. თუ ყანას ვთოხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიდით, იგი დარჩენილი აცლიდა მაღაზს სიმინდებს, ან იჯდა ნაკირის მი-ლოში, ისევ საღლაც შორს იცქირებოდა უსასრულობაში და ისევ იღიმებო-და თავისი დიდრონი ცისფერი თვალებით".[1]

ხატია ყველას და ყველაფერს უღიმის. იგი ყველას სიხარულსა და მწუხარებას უთქმელად უგებს. ამიტომაც იგი მიაჩნიათ თავისიანად და ჭკუის დარიგებას თხოვენ ამ თითისტოლა, მაგრამ დედაკაცივით ბრძენ გოგოს.

ხატია შინაგანად ხედავს მზეს და სოსოიას. მართალია იგი უსი-ნათლოა, მაგრამ იმდენად კეთილია, რომ ამ სიკეთემ ყველაფერს სძლია და სრულიად ახალი რაკურსით დაგვანახა ხატიასა და სოსოიას სულიერი სამყარო.

სოსოიამ გულწრფელად შეიყვარა ბრმა ხატია. ისინი უერთმანე-თოდ ვერ სძლებენ. თითქმის ერთნაირად იზიარებენ ცხოვრების ჭირ-ვარ-ამს და ერთნაირად იშუშებენ ომის მიერ მიყენებულ ჭრილობებს. ხატია სკოლაშიც დადის. იგი ყოველდღე სოსოიას დაჰყავს. ერთხელ კლასში სა-მხედრო სწავლების მასწავლებელი ლევან გურიელიძე შემოვიდა. მას სურდა კლასში დისციპლინის დამყარება, მაგრამ ვერ გამოუვიდა. მან შენიშვნ-ის სახით მიმართა ხატიას - "დაჯექი, გოგო, შენ ნუ იყურები საღლაც, იქით, აგერ მიყურე თვალებში! ხატია დაჯდა, ოღონდ მის ლამაზ დიდ-რონ ცისფერ თვალებს ღიმილი არ მოცილებია... კლასში უხერხული სი-ჩუმე ჩამოვარდა. მასწავლებელმაც იგრძნო, რომ რაღაც უადგილო რომ თქვა, მაგრამ ვერ მიმხვდარიყო რაშიც იყო საქმე. სამხედროს მასწ-ავლებელი მდგომარეობიდან ისევ ხატიამ გამოიყვანა.

- მე ვერ ვხედავ, მასწავლებელო! - თქვა ხატიამ და წამოდგა. ბოლოს მასწავლებელი აიმედებს ხატიას, რომ მას ნამდვილად დაუბრუნ-დება თვალთსინათლე.

------------------

1 ნ. დუმბაძე, მე ვხედავ მზეს, თბ., 1982, გვ. 196

ეროვნული ბიბლიოთეკა



სოსოიაც შეჰნატრის იმ დღეს, როდესაც მის უღამაზეს ხატიას აეხილება თვალები. სინათლის დაბრუნების იმედი ხატიასაც აქვს, რადგან ბათუმელი ექიმი დაჰპირდა, თუ მზეს ხედავს, სინათლეს დაგიბრუნებო. გარდა ბათუმელი ექიმისა ხატიას იმედს აძლევს მასწავლებელი ლევან გურიელიძე, რომელიც ეუბნება: "მეც დავბრმავდი ხასანის ტბასთან. ვერაფერს ვერ ვხედავდი..." - მხოლოდ მზეს ვხედავდი და დამიბრუნეს სინათლეო". ასე დაიმედებული ხატია სოსოიას მიმართავს:

" შენ კი გხედავ, სოსოია, შენ გხედავ" მზეს ვხედავ და მეტს ვერაფერს".

ხატია მამამისმა - ბესარიონმა ბათუმში წაიყვანა სამკურნალოდ. სოსოია შეპყრობილია იმ იმედით, რომ თავის საყვარელი არსება - ხატია თვალხილული დაუბრუნდება. მაგრამ სოსოიას სიხარული წუთიერი გამოდგა. ბათუმიდან დაბრუნებულმა ხატიამ სოსოიას უთხრა, გაისად გაზაფხულზე უნდა ამიხილონ თვალი, წელს თურმე არ შეიძლებაო. თვალცრემლიანი სოსოია შემდეგი სიტყვებით აიმედებს ხატიას:

" ნუ გეშინია, ხატია, გაისად ხომ აგიხილებს თვალს?

- ვუთხარი ხატიას და საფეთქლებზე ხელი გადავუსვი. ხატიას თვალები ნუშივით დაუწვრილდა და ასე ღვთიშობელზე ლამაზი გახდა.

- გაისადღ, სოსოია ! - თქვა ხატიამ.

- ნუ გეშინია, ხატია!

- არ მეშინია, სოსოია!

- იმან თუ არ აგიხილა, მე აგიხელ, ხატია, ლედას გეფიცები, აგიხელ.

- ვიცი სოსოია

- თუ გინდა არ აგიხილოს რა მოხდა მერე. მე ხომ მხედავ?

- შენ კი გხედავ, სოსოია.

- აბა, მეტი რა გინდა ხატია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

-მეტი არაფერი".[1]

როგორც ვხედავთ ხატიასა და სოსოიას სიყვარულის წმინდა გრძნობა ახასიათებთ. უსინათლო ხატია გულწრფელია სოსოს მიმართ. სოსოია კი საიმედო ძალაა ბუნებით დაჩაგრული ხატიასი. მან კარგად იცის, რომ ხატიას მიუხედავად გათუმელი ექიმის დაპირებისა, არასდროს აეხილება თვალი, მაგრამ მაინც ოპტიმისტურია და შეყვარებულს განკურნების იმედს აძლევს. იგი მზადაა შეირთოს და უერთგულოს უსინათლო ხატიას. ხატიაც იმედით ცხოვრობს და რომანის დასასრულიც სავსეა ამ იმედებით, მომავლის რწმენით.

აი, როგორი სიტყვებით მიმართავს სოსოია წუთისოფლის მარაგზას.

"ახლა დადგა დრო ჩვენ წაგვიყვანო - მე და ხატია, წაგვიყვანო და გვაჩვენო, სად თავდები, და თუ სადმე თავდები, ჩვენ არ გაგათავებთ შენ, ვივლით ასე უსასრულოდ ხელიხელ-ჩაკიდებული, შენ აღარ მოიტან ჩვენს ამბებს სოფელში საკუთარა წერილებითა და ნაზეწკი მისამართებით, ჩვენ დავბრუნდებით ჩვენი ფეხით. პირს ვიზამთ აღმოსავლეთით, დავესწრებით გაჯაღლო მზის ამოსვლას და მაშინ ხატია იტყვის ხმამაღლა: ეს მე ვარ, ხატია, ხალხო, მე გხედავთ თქვენ.[2]

როგორც ნაწარმოებიდან ირკვევა, სოსოიას და ხატიას სიყვარული ნამდვილ ჭეშმარიტ გრძნობებზეა აღმოცენებული.

სოსოიასა და ხატიას მეგობრობა და სიყვარული ქმნის რომანის ძირითად მაგისტრალურ ხაზს. მზის შინაგანი ხიდვაც სწორედ ამ პერსონაჟებთანაა დაკავშირებული. ამრიგად, ასე შესანიშნავად იხილავს მწერალი ნოდარ დუმბაძე სიყვარულის საკითხს თავის რომანში "მე ვხედავ მზეს" ეს ნაწარმოები ერთ-ერთი უნიკალური ქმნილებაა თანამედროვე ქართული პროზისა.

---

1 ნ. დუმბაძე, მე ვხედავ მზეს, თბ., 1982, გვ. 362

2 იქვე, გვ. 362

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დ ა ს კ ვ ნ ა

მეორე მსოფლიო ომმა მილიონობით ადამიანთა სიცოცხლე შეიწირა, ამ ომის ჭრილობა დღესაც მოუშუშებელ იარად ამჩნევია კაცობრიობას.

ათასნაირად ტრიალებდა ომის მონაწილეთა ბედის ჩარხი. ვინ იცის ვინ როგორ აღმოჩნდა მტრის პირისპირ, ვისი გზები სად როგორ გადაერღართა იმ საბედისწერო დროს, ვისთვის როგორ გაბრწყინდა ბედის ვარსკვლავი და სად და როდის ჩაქრა იგი.

მეორე მსოფლიო ომის წლებში საქართველოზე არ გადიოდა ფრონტის ხაზი, არც მტრის ზურგში აღმოჩენილა მისი ტერიტორია, რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, ბალტიისპირა რესპუბლიკებისა და მოლდავეთისათვის შეიძლება ჩვეულებრივ მოვლენად მივიჩნიოთ უშუალო მონაწილეობა ფაშისტ დამპყრობლებთან გაჩაღებულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში, მაგრამ იყო თუ არა ქართველისათვის ეს ომი სამამულო, ეკუთვნოდა თუ არა საქართველოს სისხლი დაეღვარა ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლაში?

თუ გადავავლებთ თვალს ჩვენს ისტორიას დავინახავთ თუ როგორ შევიდა საქართველო და მისი "ტანჯული ხალხი " ძმურ დიდ ოჯახში" ერთ-ერთ უღალატო შვილად და როგორ შეეკეცა ფრთები დიდი ილიას ნათქვამს "ჩვენი თავი ჩვენ უნდა გვეკუთვნოდესო".

1941 წ. როცა ბედის ჩარხი უკუღმა დატრიალდა და მტერი ვერაგულად დაგვესხა თავს, მაშინ სხვებთან ერთად საქართველოც შეება გამხეცებულ მტერს სისხლისმღვრელ ბრძოლებში. ასე გახდა საქართველო მეორე მსოფლიო ომის მონაწილე და "დიდი სამშობლოს" მიწაწყლის დამცველი.

ასე რომ ომი და ომისდროინდელი ცხოვრება უმნიშვნელოვანესი თემა გახდა მრავალეროვან ლიტერატურაში და ამ თემამ ცხადია, უდიდესი ადგილი დაიკავა ქართულ მწერლობაშიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს ქართველი მწერლების რევაზ ჯაფარიძის, ოტია იოსელიანისა და ნოდარ დუმბაძის მიერ ომის თემაზე დაწერილ ნაწარმოებების შესწავლის მცდელობას. ნაშრომში მოცემულია აღნიშნულ მწერალთა დამოკიდებულება მრისხანე ომისადმი. ნაჩვენებია მათი წვლილი ომის თემის ასახვისა და ლიტერატურული გაშუქების საქმეში. ცალკეული ნაწარმოებების განხილვისას ზოგჯერ ეჭვი არის შეტანილი ამა თუ იმ სიტუაციის მწერლისეულ ინტერპრეტაციაში და გამოთქმულია საკუთარი მოსაზრებები.

ნაშრომის პირველ თავში "ომისდროინდელი სოფლის ცხოვრების ასახვა თანამედროვე ქართულ პროზაში", განხილულია ნ.დუმბაძის "მე,ბებია ილიკო და ილარიონი", მე ვხედავ მზეს", "ნუ გაიღვიძებ" და მოთხრობა "ძაღლი". რევაზ ჯაფარიძის "ჯარისკაცის ქვრივი", ოტია იოსელიანის "ვარსკვლავთცვენა" და "შავი და ცისფერი მდინარე".

ნაშრომის მეორე თავი ეთმობა ფრონტულ მეგობრობას სადაც განხილულია შემდეგი ნაწარმოებები: რ.ჯაფარიძის "ახლო არს ზაფხული", "ხმა იდუმალი, "ვნების კვირა". ოტია იოსელიანის " შავი და ცისფერი მდინარე", ნ.დუმბაძის "ნუ გეშინია,დედა!".

რევაზ ჯაფარიძის შემოქმედებაში მშვენივრადაა ასახული ფრონტული მეგობრობის ძალა. /მის ნაწარმოებებში დადებითი გმირების გვერდით გვხვდება უარყოფითი პირებიც. ასეთები არიან ლადი და უშანგი /"ახლო არს ზაფხული"/, ვასო ინჯია და კოტე ჩინჩაგაძე "ვნების კვირა". რევაზ ჯაფარიძის ნაწარმოებთა დადებითი გმირები სიმტკიცით იტანენ ყველაფერს და გამარჯვებულნი გამოდიან ცხოვრების ასპარეზზე.

ოტია იოსელიანის რომანში "შავი და ცისფერი მდინარე", დადებით გმირთა გალერეას ამშვენებს ბესო კინწურაშვილის სახე. იგი რთული, წინააღმდეგობრივი ბუნების პერსონაჟია: სახელდობრ: ბესო კინწურაშვილმა ერთ-ერთი თავდასხმის დროს დაღუპული მეგობრები მაიზოროდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ივანოვი ღია ცის ქვეშ დაუმარხავი დატოვა, მაშინ როცა მას არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა. შეტაკების ადგილზე არც მტერი იყო და არც მოყვარე/ თვითონ კი მეგობრების იარაღით დატვირთული დაბრუნდა უკან.

მხედრული მეგობრობის გაუხუნარი გრძნობაა ნაჩვენები რომანში "ნუ გეშინია,დედა". რომანის მთავარი მოქმედი პირია ავთანდილ ჯაყელი. ავთანდილსაც უხვად აქვს "მიწიერი ცოდვები". კერძოდ მისი საქციელი დადუნას ამხანაგებთან სრულებით არა ჰგავს ჭკუათმყოფელი კაცის საქციელს. ყველაზე მეტ დანაშაულად ავთანდილ ჯაყელს შეიძლება მიეწეროს დაღუპული მეგობრის პეტრო შერგინას დედისადმი გასაგზავნი წერილის გასაჩუქრება. მან მეგობრის ეს ძვირფასი რელიქვია ანგარიშმიუცემლად აჩუქა პირველსავე მთხოვნელს. ამ შემთხვევაში ჯაყელის მოქმედება სრულებით არ ჰგავს მოყვარული მეგობრის საქციელს.

ნაშრომის მესამე თავი ეთმობა სიყვარულის საკითხს, განხილულია რ.ჯაფარიძის "ხმა იდუმალი". ო.იოსელიანის "შავი და ცისფერი მდინარე", "ჯარისკაცი დაბრუნდა. ნ.დუმბაძის "მე ვხედავ მზეს".

რ.ჯაფარიძის მოთხრობა "ხმა იდუმალი "მთავარი მოქმედი გმირია ლევან ბერიშვილი.ლევან ბერიშვილი შვებულებით ჩამოდის თბილისში და თავისი ფრონტელი მეგობრის მირიან სავანელის ოჯახს ესტუმრება. აქ გაიცნობს მირიანის დას მაიას და ერთი ნახვით "შეიყვარებს". სამხედრო ნაწილში დაბრუნებამდე მეორედ ესტუმრება სავანელის ოჯახს ლევანი. ამ სტუმრობას კი მოულოდნელი შედეგი მოჰყვა. მაიამ თავისი უმანკო სინდისი შესწირა მას. ლევანის ეს საქციელი შეიძლება შეფასდეს როგორც მეგობრის ოჯახის ღალატი და დაუნდობლობა.

სიყვარულის საკითხს ეხება მწერალი ოტია იოსელიანი რომანში "შავი და ცისფერი მდინარე". ნაწარმოების მოქმედმა გმირმა თეკლა ქადაგიძემ ბოლომდე ვერ შეინარჩუნა თავისი ნამუსი და ვერ დაიცვა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქართველი ქალის ღირსება. ასევე ვერ შეინარჩუნა ლესმამ /ჯარისკაცი დაბრუნდა /"სისპეტაკე და ერთგულება ოჯახისადმი. იგი გამოჩენისთანავე გაყვა პირველსავე მთხოვნელს და თავისი მეუღლის სახლიც მას ჩააბარა.

როგორც ვხედავთ ომის თემის ასახვისა და ლიტერატურული გაშუქების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს, სხვა მწერლებთან ერთად, რევაზ ჯაფარიძემ, ნ. დუმბაძემ და ო. იოსელიანმა, რომლებმაც თავიანთი შესანიშნავი ქმნილებები კიდევ ერთხელ გააცოცხლეს ომში დაღუპული მებრძოლები და უკვდავების ძეგლი აუგეს მათ.

მეორე მსოფლიო ომისადმი მიძღვნილი ნაწარმოებებში რევაზ ჯაფარიძემ ო. იოსელიანმა და ნოდარ დუმბაძემ მაღალმხატვრულად ასახეს ჩვენი ხალხის მონოლითურობა, საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთიანობა და მტკიცე საბრძოლო თანამეგობრობა, რითაც დიდი წვლილი შეიტანეს თანამედროვე ქართული ლიტერატურის განვითარებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამოყენებული ლიტერატურის სია


1. დუმბაძე ნ. რჩეული ტ.1, თბ.1982
2. დუმბაძე ნ. რჩეული ტ.1,1982
3. დუმბაძე ნ. მზე თბ.,1974
4. დუმბაძე ნ. ათი მოთხრობა, თბ:,1977
5. იოსელიანი ო. შავი და ცისფერი მდინარე, წიგნი 1, თბ.1976
6. იოსელიანი ო. შავი და ცისფერი მდინარე, წიგნი II, ქუთ.1979.
7. იოსელიანი ო. შავი და ცისფერი მდინარე, წიგნი III, ქუთ.1984
8. იოსელიანი ო. შავი და ცისფერი მდინარე, წიგნი IV ქუთ.1984
9. იოსელიანი ო. ვარსკვლავთცვენა, თბ.1965
10. იოსელიანი ო. ტ. I. თბ.1981
11. ჯაფარიძე რ. ახლო არს ზაფხული, თბ.1965
12. ჯაფარიძე რ. ვნების კვირა, თბ.,1984
13. ჯაფარიძე რ. ჯარისკაცის ქვრივი, თბ.,1988
14. ავალიანი ტ. ფრონტული ძმობის ექო, თბ.,1978
15. ავალიანი ლ. ნოველები და წერილები, თბ.,1975
16. ავალიანი ლ. ომისდროინდელი ქართული მწერლობა
17. აგიაშვილი ნ. ჭაბუკები დარჩნენ მარად, თბ.1961
18. აბაშიძე ირ. სიტყვა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმზე, გაზ. კომუნისტი, 1-აპრილი 1944.
19. ანთაძე მ. "ჟამი ბრძოლისა და ჟამი სიყვარულისა" ჟურნ. განთიადი №5,1976წ.
20. ბორისოვა ა. ვარსკვლავები და ღოლაბები, ცისკარი №11,1986
21. ბათიაშვილი გ. შენაკადები, თბ.1977
22. ბართაია ე. დიდი სამამულო ომის თემა ქართულ პოეზიაში, თბ.1967
23. ბართაია ე. დიდი სამამულო ომის თემა ქართულ პროზაში, თბ.1969.
24. ბართაია ე. დიდი სამამულო ომი და ქართული საყმაწვილო ლიტერატ. თბ.1973
25. გვერდწითელი გ. ახალი ჰორიზონტი თუ ძველი, თბ.1976
26. გეწაძე ა. მწერლის შუადღე, ჟურნ. "ცისკარი"№2,1968
27. გვეტაძე ა. მოთხრობები, თბ.1951
28. გენძეხაძე ე. დიდი სამამულო ომის ასახვა ქართულ საბჭოთა პროზაში, თბ.1985
29. გიორგაძე ო. ბრძოლის სიმღერა დარჩა მარადის ქუთ.1985
30. ერქომაიშვილი ნ. იურისტის ფიქრები ნ. დუმბაძის ზოგიერთ ნაწარმოებებზე, ჟურნ. ცისკარი №10,1979
31. ზამბახიძე ვლ. მწერლის პირველი რომანი. ჟურნ. მნათობი №11,1961.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

32. თოდუა ვლ. სამშობლო და მეგობრობა, თბ. 1986
33. იოჭაშვილი დ. სინათლის სავსე სამყარო , თბ. 1984
34. კვანჭილაშვილი ტ. ახალი წერილები, თბ. 1988
35. მაჭავარიანი ვლ. ხმა იდუმალი და ქართული პროზის ეროვნული ტრადიცია, ლიტ. გაზ. N28
36. მიშველაძე რ. კრიტიკა, თბ. 1970
37. მერკვილაძე გ. წერილები თანამედროვე მწერლებზე, თბ. 1975
38. მერკვილაძე გ. სინამდვილის შთაგონებული მხატვარი ჟურნ. "ცისკარი", N11, 1965
39. მირცხულავა ბ. მწერლის ზნეობრივი იდეალი ჟურნ. ცისკარი N11 , 1978
40. ნატროშვილი გ. მართალი სიტყვა გაზეთი "კომუნისტი", 22.05:1983წ.
41. ნატროშვილი გახალი წლის ღამე გაზ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1944, 26 მაისი.
42. ნატროშვილი გ. ვიბრძოლოთ ახალი წარმატებებისათვის გაზ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1944 წ. 14.04.
43. ნატროშვილი გ. დასავლეთის ფრონტზე გაზ. "კომუნისტი", 1944
44. პაჭკორია ო. ჯარისკაცის ვალი, გაზ. ლიტ. საქართ. 1967, 31 მარტი
45. ჩიქოვანის - ქართველი მეომრები ყუბანში გაზ. "კომუნისტი", 1943წ. 23 ივნისი
46. ღვინჯილია ჯ. გზა სინათლისაკენ, ჟურნ. "განთიადი" N4, 1982
47. ციციშვილი გ. "მცირე მიწის დიდი ეპოპეა" ჟურნ. "კრიტიკა", N3, 1978
48. ციციშვილი გ. სიყვარული სისხლის წვიმების დროს, თბ. 1975
49. ხუხაშვილი გ. ლიტერატურული წერილები, თბ. 1970
50. ჯანჯღავა ვ. ქერჩის პლაცდარმი. თბ., 1973

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ს ა რ ჩ ე ვ ი

შ ე ს ა ვ ა ლ ი . . . . . . . . . . . . . . . . .

მეორე მსოფლიო ომისდროინდელი სოფლის ცხოვრების
ასახვა თანამედროვე ქართულ პროზაში . . . . . . . . 14

ფრონტული მეგობრობა. . . . . . . . . . . . . . . . . . . 76

სიყვარული . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 125

დ ა ს კ ვ ნ ა. . . . . . . . . . . . . . . . . . . . 156

გამოყენებული ლიტერატურის სია . . . . . . . . . . .

ეროვნული
ბიბლიოთეკა